



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

# მაცნე

675-ე  
1977/3

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3-1977

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ  
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ

15806



თბილისი  
ТБИЛИСИ

3·1977

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкრелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ღლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რ ე დ ა კ ც ი ა ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07 телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.9.1977; შეკვ. 2218; ანაწყოების ზომა 7×11<sup>1</sup>/<sub>2</sub>;  
ქაღალდის ზომა 7×108<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ნაბეჭდი თაბახი 16.80; საალრიცხო-საგამომცემლო  
თაბახი 16.02; უე 04177; ტირაჟი 1700;  
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

|   |     |
|---|-----|
| 6. პოლოკაპა, ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი . . . . .  | 5   |
| <b>დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი</b>   |     |
| ა. ლომთათიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე                                   | 7   |
| <b>ილია ქავჭავაძის დაბადების 140 წლისთავი</b>   |     |
| ბ. აბნაპაძე, ილია ქავჭავაძე და თანამედროვეობა . . . . .   | 27  |
| მ. მიჩაძე, ა. პ. ჩხევიძე რევოლუციამდელ ქართულ თეატრალურ კრიტიკაში . . . . .                                 | 43  |
| 3. იმნაიშვილი, ვინ არის „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ავტორი . . . . .                                   | 56  |
| შ. რაიზიშვილი, ქართული ზღაპრის გერმანელი აკვივალენტი იანსენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ (XIII ს.). . . . . | 63  |
| ლ. სმირნოვა, X ს. პოეტის აბულ-ლ-მუჰიად ბაღის გეოგრაფიული თხზულება . . . . .                                 | 78  |
| მ. აფრიდონიძე, რთული ტოპონიმის კომპონენტთა შეხამებითი უნარისათვის . . . . .                                 | 82  |
| ბ. როგავა, წამ და წუთ სიტყვათა ამოსავალი სემანტიკა . . . . .  | 89  |
| ა. კუგლაშვილი, დიალექტური სიტყვარმოებიდან . . . . .   | 92  |
| ჟ. ნიკოლსი, სახელადი შედგენილი შემასმენელი ქართულში . . . . .   | 97  |
| ბ. თოფჩიანი, მოქმედებითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში . . . . .   | 111 |
| მ. დოჩიაშვილი, ქართული „ბუნსო“//„ბუნარი“ და მისი პარალელები კავკასიის სხვა ენებში . . . . .                 | 115 |
| მ. მიქაელაძე, ხმოვანთა რედუქცია ბაცურ ენაში . . . . .   | 118 |
| ბ. ჩანტაძე, ბასკური დიალექტური ლექსიკის იზომორფული და ალომორფული ანალიზი . . . . .                          | 129 |
| ბ. თოფჩიანი, გარდაბნულ აზერბაიჯანულთა მეტყველების ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება . . . . .                 | 133 |
| მ. ბაბასანიძე, ძველი თურქული ლექსიკის შესახებ იუნეს ემრეს ნაწარმოებებში . . . . .                           | 139 |
| ნ. კილაძე, როგორ ვთარგმნოთ მუჰაჯეუნა . . . . .  | 150 |
| <b>ცნობები და შენიშვნები</b>  |     |
| რ. მირიანაშვილი, ქართველთა კვალი სირიაში . . . . .  | 152 |
| <b>პრიტიკა და ბიბლიოგრაფია</b>  |     |
| ბ. ბურჯულაძე, ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა . . . . .   | 164 |
| <b>პროზიკა და ინფორმაცია</b>  |     |
| მ. ბ. რედენკოს ხსოვნა . . . . .   | 176 |
| ეფუხისტაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში . . . . .  | 177 |
| ახალი წიგნები . . . . .   | 192 |

ქ. შარტავის სს. ბიბ. სს. ბიბ.  
სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
ბიბლიოთეკა

## СОДЕРЖАНИЕ

|  |     |
|--|-----|
| Н. Д. ЧОЛОКАВА, Основной закон нашей жизни . . . . .   | 5   |
| <b>60-летие Великой Октябрьской социалистической революции</b>   |     |
| К. В. ЛОМТАТИДЗЕ, Институт языкознания в канун 60-летия Октябрьской революции . . . . .                            | 7   |
| <b>140-летие со дня рождения Ильи Чавчавадзе</b>   |     |
| Г. Я. КАПКАВА, Илья Чавчавадзе и современность . . . . .   | 27  |
| М. В. МИКАДЗЕ, А. П. Чехов в дореволюционной грузинской театрально-литературной критике . . . . .                  | 43  |
| В. И. ИМНАИШВИЛИ, Вопрос об авторстве «Жития Стефана и Никона» . . . . .   | 56  |
| Ш. И. РЕВИШВИЛИ, Немецкий эквивалент грузинской сказки во «Всемирной хронике» Янсена Эникеля (XIII в.) . . . . .   | 63  |
| Л. П. СМИРНОВА, Географическое сочинение поэта X в. Абу-л-Муайяда Балхи . . . . .                                  | 78  |
| Ш. Т. АПРИДОНИДЗЕ, О сочетательной способности компонентов сложных топонимов . . . . .                             | 82  |
| Г. В. РОГАВА, Семантика грузинских основ წად სამ „секунда“ и წუთი სამი „минута“ . . . . .                          | 89  |
| К. М. КУБЛАШВИЛИ, Из диалектного словообразования . . . . .  | 92  |
| Дж. НИКОЛС, Именное сказуемое в грузинском языке . . . . .   | 97  |
| Г. В. ТОПУРИА, К истории творительного падежа в сванском языке . . . . .   | 111 |
| Е. И. ДОЧАНАШВИЛИ, Грузинское слово бусно//буснари и его параллели в других языках Кавказа . . . . .               | 115 |
| М. Г. МИКЕЛАДЗЕ, Редукция гласных в бацбийском языке . . . . .   | 118 |
| Г. И. ЧАНТЛАДЗЕ, Изоморфный и алломорфный анализ баскской диалектной лексики . . . . .                             | 129 |
| Г. В. ТУШМАЛИШВИЛИ, О некоторых лексических особенностях говора азербайджанцев Гардабанского района ГССР . . . . . | 133 |
| Ш. В. ГАБЕСКИРИЯ, О древнетюркской лексике в произведениях Юнуса Эмре . . . . .                                    | 139 |
| Н. В. КИЛАДЗЕ, Как переводить мухакикуна . . . . .   | 150 |

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

|  |     |
|--|-----|
| Р. Д. МИРИАНАШВИЛИ, Следы грузин в Сирии . . . . . | 152 |
|--|-----|

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

|   |     |
|---|-----|
| Г. Т. БУРЧУЛАДЗЕ, Баскский язык и баско-кавказская гипотеза . . . . . | 164 |
|---|-----|

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

|   |     |
|---|-----|
| Памяти М. Б. Руденко . . . . .  | 176 |
| В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» . . . . . | 177 |
| Новые книги . . . . .   | 192 |

## ჩვენეი ცხოვრების ძირითადი კანონი

შემოქმედებითი შრომის მიღწევების გამრავლების, პოლიტიკური აქტიურობის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრის ვითარებაში განიხილავენ მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი მეცნიერები სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე.

მოწონებით შეხვდნენ ქართველი მეცნიერები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, მსოფლიოში საყოველთაო შევიდობის დამყარებისთვის დაუცხრომელი მებრძოლის ლ. ი. ბრეჟნევის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევის შესახებ.

1936 წლიდან, ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებიდან, დღემდე გავიდა ორმოც წელზე მეტი. ამ ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნებს. ისინი მთელი სისავესითაა ასახული ახალი კონსტიტუციის პროექტში. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი არის განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი კანონი. იგი წარმოადგენს ისეთი მსოფლიო-ისტორიული მოვლენების კონსტიტუციურ აღიარებასა და დამკვიდრებას, როგორცაა: ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის — საბჭოთა ხალხის წარმოშობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მუშათა კლასის პარტიის მთელი ხალხის პარტიად გადაქცევა, გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებად გადაზრდა, ახალი ადამიანის — კომუნისტის მშენებლის აღზრდა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევა თავის მოხსენებაში ხაზი გაუსვა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის შემკვიდრებობით კავშირს და ნსგავსებას ჩვენს ქვეყანაში ადრე და ამჟამად მოქმედი „სოციალისტური ტიპის კონსტიტუციის ნიშან-თვისებებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ლენინმა დასახა“. გარდა ამისა, ლეონიდ ილიას ძემ მიუთითა იმაზეც, რომ „პროექტში დატოვებულია ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის ბევრი პრინციპული დებულება, ვინაიდან ისინი დღესაც შეესაბამებიან ჩვენი წყობილების არსს, ჩვენი განვითარების ხასიათს“.

უადრესად ძვირფასი, ფასეული, რაც ხაზგასმითაა მოცემული ახალი კონსტიტუციის პროექტში, მდგომარეობს სოციალისტური დემოკრატიის განვითარება-გაღრმავებაში, იმ დებულების სრულყოფაში, რომლებიც ეხებებიან საბჭოთა ადამიანის გაზრდილ უფლება-მოვალეობებს, გამოხატავენ საზოგადოებისა და პარტიის ზრუნვას საბჭოთა მოქალაქის შემოქმედებითი ძალებსა და ნიჭის განვითარებაზე, ქმნიან საფუძველს პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის პარტიის განუხრელი ზრუნვის ახალ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს კონსტიტუციის პროექტის ოცდამეექვსე მუხლი: „საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობისა და ცხოვრების სხვა სფეროებში“.

ქართველ მეცნიერებს კარგად აქვთ შეგნებული ის დიდი როლი, რაც ჩვენს მეცნიერებას, მთელ ქართულ კულტურას ეკისრება მასების კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის, ხალხის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ქართველი მეცნიერები გულითად მადლობას უხდებიან სკკ ცენტრალურ კომიტეტს, მის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის — ახალი კონსტიტუციის პროექტისათვის, რუმელსაც მხურვალედ იწონებს მთელი ჩვენი ხალხი, მიიჩნევს მას საბჭოთა მეცნიერებაზე ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვის კიდევ ერთ გამოვლინებად. მთელ მიღწეულ წარმატებებს, შათ შორის ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის — ახალი კონსტიტუციის პროექტის შექმნას, ქართველი მეცნიერები უმაღლიან ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებას და სინდისს — მშობლიურ კომუნისტურ პარტიას. ქართველ მეცნიერებს ღრმად აქვთ გააზრებული დღევანდელი დღეების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოების დიადი მომავლისაკენ წინსვლის საქმეში. მათ შესისხლხორცებული აქვთ ზვალინდელი დღის რწმენის სიმტკიცე, წარსულის შეცდომებისადმი ფხიზელი, კრიტიკული დამოკიდებულება, დღევანდელი ჭერ კიდევ გადაუტრეკელი პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტის აუცილებლობა.

სამაყაოა, რომ ქართულ მეცნიერებას მთელ საბჭოთა მეცნიერებაში ერთ-ერთი საპატიო და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია, რომ ქართველ მეცნიერთა საუკეთესო წარმომადგენლების მიღწევებს არაერთხელ დაუმსახურებია ხალხისა და პარტიის მაღალი შეფასება. ამასთან ქართველ მეცნიერებს კარგად აქვთ შეგნებული ისიც, რომ ყველაფერი ეს არ იძლევა თვითდამშვიდების, მიღწეულით დაკმაყოფილების უფლებას. მათ კარგად ახსოვთ საქართველოს კვ XXV ყრილობაზე ამხ. ე. შევარდნაძის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ჩვენ გვწამს, რომ მეცნიერებათა აკადემია წარმატებით გადაწყვეტს დასახულ ამოცანებს. ამის საწინდარია ჩვენი აკადემიის დიდი, ნაყოფიერი საქმიანობა წარმოებასთან, ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განსამტკიცებლად“.

აღფრთოვანებულნი იმით, რომ პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების ნათელ დემონსტრაციად იქცა ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, ქართველი მეცნიერები კიდევ უფრო მეტი თავდადებით იბრძობენ, იბრძოლებენ კომუნისმის ნათელი იდეალების ხორცშესხმისათვის.

ნოდარ კოლოკაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავი

კეთილანდერძი ლომთათიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

### ენათმეცნიერების ინსტიტუტი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე

ოქტომბრის რევოლუციამ ყველა პირობა შეუქმნა ყოფილი რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხებს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისა; მომზადდა ნიადაგი ეკონომიკურ-კულტურული აღორძინებისათვის, შემოქმედებითი ნიჭის გაშლისათვის.

ხორცი შეისხა ქართველი ხალხის მოწინავე შეილების დიდი ხნის ოცნებამ — ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით თბილისში დაარსდა ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც სათავე დაუდო სამეცნიერო კადრების მომზადებას, საკვლევადიებო მუშაობის გაშლას, ქართული სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბებას.

იმთავითვე მტკიცე ნიადაგზე აღმოჩნდა ქართული ენათმეცნიერება თბილისის უნივერსიტეტში. პეტერბურგის ძლიერმა ქართველოლოგურმა ცენტრმა არსებითად თბილისში გადმოინაცვლა. აქ მას სათავეში ჩაუდგნენ ივ. ჯავახიშვილი, იოსებ ყიფშიძე და აკაკი შანიძე (შემდგომში მათ შეუერთდა გიორგი აბულედიანი). მათ სულ მალე, თითქმის ერთდროულად, გვერდში ამოუდგნენ მეცნიერთა ახალი თაობის წარმომადგენლები (ენათმეცნიერები ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ისტორიკოსი ს. ჯანაშია და სხვ.).

ივ. ჯავახიშვილმა უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ფართოდ მოხაზა ქართველოლოგიის ამოცანები და საკვლევადიებო სფერო. კერძოდ, ქართული ენის ბუნებისა და ისტორიის ძიებისას იგი აუცილებლად თვლიდა არა მარტო ქართველურ ენათა შესწავლას, არამედ მონათესავე კავკასიის ხალხების ენათა შესწავლას ისტორიულ-შედარებითი ძიების მიზნით; წინა აზიის მკვლევართა კვლევას ქართველურ-კავკასიურ ენებთან გენეტური ურთიერთობის თვალსაზრისით და სხვ. აღნიშნული მიმართულებებით თანდათან კიდევ გაიშალა მუშაობა თბილისის უნივერსიტეტში; ჩამოყალიბდა სათანადო საენათმეცნიერო კათედრები; მომზადდა სპეციალისტები და უნივერსიტეტის დაარსების თითქმის მეორე ათეულის დამლევისათვის, ისევე როგორც მეცნიერების მთელ რიგ სხვა სფეროებში, შეიქმნა შესაძლებლობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებშიც დაარსებულყო სათანადო კვლევითი ინსტიტუტები.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის შემადგენლობაში შეიქმნა ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი („ე ნ ი მ კ ი“). ამ მრავალპროფილიანი, მაგრამ ერთ მტკიცე კოლექტივად შეკრული სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი იყო ს. ჯანაშია. აღნიშნულ ინსტიტუტში საენათმეცნიერო პროფილის განყოფილებები იყო: ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკისა (გამგე გ. აბულედიანი), ქართველური ენებისა (გამგე აკ. შანიძე), ლექსიკოლოგიისა (გამგე ვ. თოფურია); სამეცნიერო ტერმინოლოგიისა (გამგე ვ. ბერი-



ძე), შთის კავკასიური ენებისა (გამგე არნ. ჩიქობავა), აღმოსავლური ენებისა (გამგე გ. წერეთელი). შემდეგ კი, 1941 წ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე, საქართველოს ეროვნული აკადემიის დაარსების პირობებში შესაძლებელი გახდა „ენიმეკი“-ს ბაზაზე ცალკე გამოყოფილიყო ენათმეცნიერებისა (იმხანად ნ. მარის სახ. ენის ინსტიტუტი) და ისტორიის ინსტიტუტები.

ამრიგად, აკადემიის სისტემაში შექმნილ საენათმეცნიერო კვლევის ცენტრს საფუძველი ეყრება 1936 წლიდან<sup>1</sup>.

თბილისის უნივერსიტეტის შესაბამისი კათედრების გვერდით (რომლებიც დიდ პედაგოგიურ სამუშაოებთან ერთად ეწევიან მნიშვნელოვან კვლევა-ძიებასაც ენათმეცნიერებაში) ფართო მუშაობა გაიშალა ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ამ ინსტიტუტის ძირითადი ამოცანა იყო ქართულ-ქართველური ენების სტრუქტურის, ლექსიკის, ისტორიის შესწავლა; მონათესავე ენათა სტრუქტურისა და ქართველურ ენებთან მათი გენეტიური და ისტორიული ურთიერთობის შესწავლა; ზოგადი საენათმეცნიერო თეორიის დამუშავება; ენობრივი მეურნეობის საქიბროოტო საკითხების მოგვარება.

ინსტიტუტის წინაშე დასმულ ამოცანათა შესაბამისად მუშაობა გაიშალა შემდეგ განყოფილებებში: ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება (გამგე თ. შარაძენიძე), ქართველურ ენათა განყოფილება (გამგე ივ. ქავთარაძე), ლექსიკოლოგიის განყოფილება (გამგე მ. ჭაბაშვილი), სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება (გამგე რ. ლაშბაშიძე), მეტყველების კულტურის განყოფილება (დაარსდა 1963 წ. თავდაპირველად 1959 წლიდან ეწოდებოდა „ქართული სალიტერატურო ენის ნორმების განყოფილება“, გამგე ივ. გიგინეიშვილი), შთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება (გამგე არნ. ჩიქობავა), ახლო აღმოსავლეთის ენათა განყოფილება (გამგე გ. წერეთელი. 1960 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ცალკე დაარსების გამო ეს განყოფილება შეუერთდა აღნიშნული ინსტიტუტის საენათმეცნიერო განყოფილებებს)<sup>2</sup>, თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (დაარსდა 1958 წ., გამგე ალ. კობახიძე), ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე ზ. ჯაფარიძე).

ამჟამად ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემოჩამოთვლილ 7 განყოფილებასა და ერთ ლაბორატორიაში მუშაობს 107 მეცნიერ-თანამშრომელი, მათ შორის ერთი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ორი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 18 ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, 55 მეცნიერებათა კანდიდატი.

ზოგადი ენათმეცნიერების დარგში დიდი მუშაობა ჩატარდა ენათმეცნიერების ინსტიტუტში როგორც სათანადო კვალიფიციური კადრების მომზადების, ისე სხვადასხვა მიმდინარეობათა კრიტიკისა და საბჭოთა მეცნიერების

<sup>1</sup> 1944 წლამდე ამ ინსტიტუტების საერთო ორგანოს წარმოადგენდა „ენიმეკის მოამბე“ (სულ გამოვიდა 14 ტომი), ხოლო 1946 წლიდან ენათმეცნიერების ინსტიტუტს აქვს თავისი ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (ივე), დღემდე გამოცემულია 19 ტომი.

<sup>2</sup> ამ ხაზით წარმოებული კვლევა აქ აღარ შემოვა. იგი ასახება სათანადო ინსტიტუტის მუშაობის მიმოხილვაში.

ბევრი სპეციალისტის ნაშრომი იმის გამო, რომ მათ სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც (უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტები და სხვა) უხდებოდათ მოღვაწეობა და სათანადო დაწესებულებათა გეგმით სრულდებოდა მათი გამოკვლევები, ამ მიმოხილვაში ასახავს პოვნებს მხოლოდ ნაწილობრივ.

პოზიციების საფუძველზე, ზოგადი ენათმეცნიერების თეორიის დამუშავების მხრივ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ზოგადენათმეცნიერულ კვლევას საფუძველად დაედო შემდეგი პრინციპები:

ენათმეცნიერების თეორია ენის ფილოსოფიისაგან განსხვავებით მიზნად ისახავს განაზოგადოს ენათა კვლევის შედეგები და ემსახუროს საენათმეცნიერო კვლევის პრაქტიკას.

ამ პრინციპის შესაბამისად თეორიული მუშაობა ენათმეცნიერების ინსტიტუტში ორგანულად დაუკავშირდა იბერიულ-კავკასიურ ენათა მეცნიერულ შესწავლას. ერთი მხრივ, გააზრებული თეორიული პრინციპები ხელს უწყობენ კონკრეტულ ენათა ნაყოფიერ კვლევას, ხოლო, მეორე მხრივ, თავისებური სტრუქტურის მქონე იბერიულ-კავკასიური ენები გვაწვდის უაღრესად ფაქტურ მასალას არაერთი ზოგადენათმეცნიერული პრობლემის გადაწყვეტისათვის (როგორცაა, მაგ., გრამატიკული კლასების, სინტაქსურ კონსტრუქციათა წარმოქმნის, ფონეტიკურ კანონზომიერებათა, ენათა ურთიერთგავლენის პრობლემები და სხვ.).

ენის შესახებ მეცნიერების ინტერესები აუცილებლობით მოითხოვს ისტორიზმის პრინციპების დაცვას, რამდენადაც „ისტორიზმის გარეშე არ არსებობს ენის შესახებ მეცნიერება“, მაგრამ ეს სრულიადაც არ მოასწავებს ენის აღწერის ანალიზზე უარის თქმას, პირიქით, გულსხმობს მას.

ზოგადენათმეცნიერულ თეორიაში სათანადოდ უნდა დასაბუთდეს ენათმეცნიერების, როგორც სპეციფიკური ჰუმანიტარული მეცნიერების, დამოუკიდებლობა. ამით წყდება საკითხი ფსიქოლოგიზმის, ლოგიციზმის, ესთეტიზმის... უარყოფის შესახებ ენათმეცნიერებაში.

აუცილებელია ენათმეცნიერების სხვადასხვა თეორიის, განსაკუთრებით ახალ მიმდინარეობათა, გულდასმით შესწავლა, რათა ფაქტური რაც არის, გამოცყნოთ.

აღნიშნული პრინციპები წამოყენებული და დასაბუთებულია არნ. ჩიქობავას შრომებში, რომელთაგან ძირითადია „ზოგადი ენათმეცნიერება“ ორ ნაწილად პირველი — პ რ ო ბ ე დ ე ვ ტ ი კ უ ლ ი ნაწილი (რომელიც ჯერ კიდევ 1935 წ. გამოქვეყნდა, მესამე გამოცემა — 1946 წ., ახალი, გადამუშავებული გამოცემა კი — 1952 წ.), ხოლო მეორე — ძ ი რ ი თ ა დ ი პრობლემები (1945 წ.), მასში წარმოდგენილია ავტორის კონცეფცია ენის რაობის შესახებ. განხილულია ენათმეცნიერების სპეციალური მეთოდები, მოცემულია ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობათა კრიტიკული ანალიზი<sup>3</sup>.

ზემოჩამოთვლილმა პრინციპებმა განაზღვრა, ერთი მხრივ, ზოგადენათმეცნიერული კვლევა პოზიტიური თვალსაზრისით, ხოლო, მეორე მხრივ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დამოკიდებულება ენათმეცნიერების სხვადასხვა მიმდინარეობათა მიმართ.

„ენიმიკი“-მ, ხოლო შემდეგ ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, სრულიად გარკვევით უარყოფითი პოზიცია დაიკავა ნ. მარის „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრების“ ვულგარულ-სოციოლოგიურ დებულებათა მიმართ. ინსტიტუტის თვალსაზრისი გამოთქმული იყო არნ. ჩიქობავას მოხსენებაში „პრობლემა ენი-

<sup>3</sup> იქვე ენზე გამოქვეყნდა ამავე ავტორის: «Введение в языкзнание», I, М., 1953 (მეორე გამოცემა) და «Проблема языка как предмета языкознания», М., 1959.

სა, როგორც ენათმეცნიერების საგნისა, საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი ამოცანების ასპექტში<sup>4</sup>, რომელიც მოხსენდა 1940 წ. ლენინგრადში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების სხდომას (გამოქვეყნდა ენიშვის მოამბეში, ტ. X, 1941 წ.) და ამავე ავტორის წერილში „საბჭოთა ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხის შესახებ“, რომლითაც გაიხსნა 1950 წ. ცნობილი საენათმეცნიერო დისკუსია გაზეთ „პრავედაში“.

რაც შეეხება საზღვარგარეთულ საენათმეცნიერო მიმდინარეობებთან დამოკიდებულებას, ენათმეცნიერების ინსტიტუტში არ ჰქონია ადგილი არც მათ ლიტონსიტყვიერ და ხელაღებით უარყოფას და არც ბრმად და უკრიტიკოდ აღიარებას (ამის ნათელიყოფა არნ. ჩიქობავას შრომები ფ. დე სოსიურის, ა. მეიეს, ს. ფოსლერის, ბლუმფილდის მექანიცისტური თეორიის, სტრუქტურალიზმის... შესახებ; თ. შარაძენიძისა — პრალის სკოლის, დესკრიფციული ლინგვისტიკის, ნეოლინგვისტიკის შესახებ; ბ. ფონჩუასი—კ. ფოსლერის ესთეტიზმის შესახებ და სხვ.).

ენათმეცნიერების ინსტიტუტში წლების განმავლობაში მუშავდებოდა ენის თეორიის ისეთი აქტუალური საკითხები, როგორცაა: ენის რაობის პრობლემა (მას მიეძღვნა არნ. ჩიქობავას წერილების ციკლი; გამოქვეყნდა როგორც ქართულად, ისე რუსულად საკავშირო საენათმეცნიერო კურნალებსა და კრებულებში<sup>4</sup>, ისტორიული და აღწერითი ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები და კვლევის მეთოდები, ენათა ტიპოლოგიის საკითხები, ენათა კლასიფიკაციები, ფონოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სემასიოლოგიისა და ლექსიკოლოგიის პრინციპული საკითხები. საკმაო ადგილი ეთმობა ენათმეცნიერების თანამედროვე მიმდინარეობათა კრიტიკულ ანალიზს. შეისწავლებოდა ენის თეორიის საკითხები ენის ფილოსოფიაში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი დროულად ეხმარებოდა ახალ ტენდენციებს ენათმეცნიერებაში. ასე მაგ., ინსტიტუტმა 50-იანი წლების ბოლოს პირველმა რესპუბლიკაში გადადგა ნაბიჯები ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების სპეციალობით კადრების მოსამზადებლად. ამ სპეციალობით ასპირანტურის კურსი გაიარა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 7 ახალგაზრდამ.

ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ, ზემოდასახელებულ შრომათა გარდა, ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე გამოქვეყნებულია მონოგრაფიები: „ენათა კლასიფიკაციის პრინციპები“ (თ. შარაძენიძე, 1958); „თანამედროვე ენათმეცნიერების თეორიული საკითხები“ (თ. შარაძენიძე, 1972); „ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა“ (თ. შარაძენიძე, 1974. იგივე—რუსულ ენაზე, 1971); „კოპენჰაგენის სტრუქტურალისტური სკოლის ამოსავალი პრინციპები“ (ი. რამიშვილი, 1974); „სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული“ (ბ. სტურუა, 1975); „მარკარების მიმართება ფონოლოგიაში“ (ი. მელიქიშვილი, 1976); „ფონემის ცნება ენათმეცნიერებაში“ (ი. ქობალავა, 1976).

<sup>4</sup> К вопросу о путях развития современной лингвистики (ВЯ, 1966, № 4). К вопросу о взаимоотношении \*мышления и речи в связи с ролью коммуникативной функции («Язык и мышление», 1967). Лингвистика как интегральная наука о языке (Проблемы языкознания. Доклады и сообщения советских ученых на X Международном конгрессе лингвистов, М., 1967); О философских вопросах языкознания (ИАН СССР, Серия лит. и языка, 1974, № 4). Язык и теория языка в философии и лингвистике (ИАН СССР, серия литературы и языка, 1973, т. XXXII, вып. 6) და სხვ.

ინსტიტუტის ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებამ გამოაქვეყნა ოთხი ტომი კრებულისა „თანამედროვე ზოგადი და მათემატიკური ენათმეცნიერების საკითხები“ (I ტ.—1966; II ტ.—1967; III ტ.—1972; IV ტ.—1974).

ინსტიტუტის თანამშრომელთა გამოკვლევები ზოგად ენათმეცნიერებაში ინსტიტუტის ორგანოსა („იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“) და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია) გარდა ქვეყნდება საკავშირო ყურნალებსა და კრებულებში, ზოგი მათგანი კი—უცხოეთშიც (არნ. ჩიქობავას „ენათმეცნიერების შესავალი“ რუსულიდან ითარგმნა ჩიხურ, პოლონურ, ჩინურ, ბულგარულ ენებზე; თ. შარაძენიძის, მ. მაჭავარიანის შრომები გამოქვეყნდა ენათმეცნიერთა X და XI საერთაშორისო კონგრესების აქტებში (იმავე ავტორების შრომები დაიბეჭდა აგრეთვე ზოგ სხვა კრებულში).

ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებზე მოხსენებებით სისტემატურად გამოდიან არა მხოლოდ ინსტიტუტის ან რესპუბლიკურ სამეცნიერო სესია-კონფერენციებზე, არამედ საკავშირო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზედაც. ისინი მონაწილეობენ აგრეთვე საერთაშორისო კონგრესების, სიმპოზიუმების, კონფერენციების მუშაობაში.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „საბჭოთა ენათმეცნიერების თეორიის“ სამეცნიერო საბჭოს თაოსნობით ენათმეცნიერების ინსტიტუტმა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად მოაწყო ორი საკავშირო სამეცნიერო სესია — პირველი (1971 წ.) მიეძღვნა „ენისა და მეტყველების“ პრობლემას (სესიის მასალები გამოქვეყნდა 1977 წ.), ხოლო მეორე (1977 წ.) — თემას „მნიშვნელობის პრობლემა თანამედროვე ენათმეცნიერებაში“ (გამოქვეყნებულია თეზისები).

1960 წლიდან ზოგადი ენათმეცნიერებისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის განყოფილებას გამოეყო ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორია (გამგე შ. გაფრინდაშვილი, 1968 წლიდან—ზ. ჯაფარიძე).

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფონეტიკის ექსპერიმენტული კვლევის საგანია როგორც ზოგადი ფონეტიკის საკითხები (მაგ.: აკუსტიკურ-პერცეფციული მხარე ბგერისა, ენის ბგერითი წყობის ექსპერიმენტული კვლევა, მეტყველების მანქანური სინთეზისა და სამეტყველო ბგერათა მანქანური გამოცნობა, ექსპერიმენტის საკვლევი მეთოდების დამუშავება), ისე ქართული, ქართველური და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ფონეტიკის ექსპერიმენტული შესწავლა.

ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის შედეგები (ცალკეული სტატიების შესახებ რომ არაფერი ვთქვათ) აისახა მონოგრაფიებში: „სენური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (ექსპერიმენტული გამოკვლევა, ს. ჟღენტო, 1949), „Фонетика даргинского языка“ (Ш. Г. Гаприндашвили, 1966), „პერცეფციული ფონეტიკის ძირითადი საკითხები“ (ზ. ჯაფარიძე, 1975).

1966 წლიდან გამოდის ექსპერიმენტული ფონეტიკის ლაბორატორიის სერია კრებულის სახით (რედაქტორები შ. გაფრინდაშვილი, ზ. ჯაფარიძე) „მეტყველების ანალიზისა და სინთეზის საკითხები“, რომელშიც გამოქვეყნებულია ამ დარგის სპეციალისტთა ცალკეული ნარკვევები (გამოსულია 5 ტომი).

ამჟამად გაშლილია მუშაობა ქართული ენისა და მისი დიალექტების ფონეტიკის საკითხთა ექსპერიმენტული კვლევა-ძიების მიმართულებით.

ქართულ-ქართველურ ენათა კვლევა-ძიება ინსტიტუტში წარიმართა სხვადასხვა ასპექტით.

გარკვეული ყურადღება ექცეოდა ამ ენათა შესწავლის საკითხებს, უკვე არსებული გამოკვლევების, ადრე ჩატარებული მუშაობის დახასიათება-შეფასებას.

ქართულ-ქართველურ ენათა შესწავლის ისტორიის საკვანძო საკითხებმა ასახვა პოვა არნ. ჩიქობავას მონოგრაფიაში — „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“ (1965). ცალკეულ პერიოდებსა და ავტორთა შრომებს მიეძღვნა მონოგრაფიები — „გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში“ (ნ. აბესაძე, 1960); „გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა“ (ე. ნიკოლაიშვილი, 1970) და სხვ.

ადრე ჩატარებული კვლევა-ძიების შესწავლა-დაფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა ოდენ მემკვიდრეობის ათვისების თვალსაზრისით, არამედ საკვლევ პრობლემათა გამოყოფის თვალსაზრისითაც. ამიტომევე ამ ბოლო ხანებში ინსტიტუტში დიდი მუშაობა მიმდინარეობს ქართული ენის შესწავლის ისტორიის სრულყოფილად გამოკვლევისათვის. შედგა სრული ბიბლიოგრაფია და ხდება ცალკეულ ავტორთა შრომებისა და მათში წარმოდგენილი საკითხების მონოგრაფიული დამუშავება.

ქართული ენის შესწავლა ძირითადად პრაქტიკული სასკოლო გრამატიკების შედგენით შემოიფარგლებოდა. ამ მხრივ არსებითი ვარდატება მოჰყვა ნ. მარის შრომას „Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка“ (1908), რომლის ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენს მისივე „ძველი ქართული ენის გრამატიკა“ (1925, რუსულ ენაზე). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკ. შანიძის ფუნდამენტური შრომა „ქართული გრამატიკა. I. მორფოლოგია“ (1930). შემზადდა ნიადაგი ქართული ენის აგებულების ცალკეულ პრობლემათა გაღრმავებული შესწავლისათვის.

შესწავლის საგანი გახდა ქართული ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, ფონეტიკური სისტემა და ბგერათა კლასიფიკაცია, ბგერათა კომპლექსები, მახვილი, უკვე მომხდარი და ამჟამად დიალექტებში მიმდინარე ფონეტიკური პროცესები და სხვ.

ამ საკითხებს არაერთი გამოკვლევა უძღვნეს გ. ახვლედიანმა, ე. თოფურიაშვილმა, ს. ელენტიამ, არნ. ჩიქობავამ, შ. ძიძიგურამ, ბ. ფოჩხუამ, გ. როგავამ, თ. უთურგაიძემ და სხვ.

გამოქვეყნდა მონოგრაფიები: „ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში“ (მ. ძიძიგური, 1960), „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა“ (თ. უთურგაიძე, 1976).

ქართული ენის სახელის მორფოლოგიასა, ზმნის პირის, დროისა და ფუძის სტრუქტურის საკითხებს მიეძღვნა მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ვ. თოფურიას (როგორიცაა, მაგ., „ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის“, 1936; „ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში“, 1942; „ნამყოფი სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში“, 1955; „მესამე ტიპის ვნებობის წარმოება ქართულში“ და სხვ.) და არნ. ჩიქობავასი. მის მრავალრიცხოვან გამოკვლევათა ძირითადი დებულებები განზოგადებული პრინციპების სახით ჩამოყალიბებულ-



ლია ისეთი შემავაშებელი ხასიათის მიმოხილვებში, როგორიცაა—ქართული ენის დახასიათება, რომელიც წარმოდგარა რვატომიანი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პირველ ტომს (1950 წ.), „Грузинский язык“ საკავშირო კრებულში „Языки народов СССР“, IV, Иберийско-кавказские языки“ (1967) და რუსულ და ევროპულ ენებზე გამოსულ ქართული ენის მიმოხილვებში (რუსულად — 1971, ფრანგულად — 1972, ინგლისურად — 1974).

ზემოთ ჩამოთვლილ ცალკეულ საკითხებზე არაერთი გამოკვლევა დაიწერა ინსტიტუტის თანამშრომლების (ივ. ქავთარაძის, შ. ძიძიგურის, არ. მარტიროსოვის, ივ. გიგინეიშვილის, გ. როგავას, თ. შარაძენიძის, ბ. ფოჩხუას, გ. მაჭავარიანის, ლ. ნოზაძის, თ. ზურაბიშვილის და სხვათა) მიერ.

გამოქვეყნდა მონოგრაფიები: „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში“ (ივ. ქავთარაძე, 1954); „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ (ა. თაყაიშვილი, 1961); „ინფინიტივის საკითხისათვის ძველ ქართულში“ (დ. ჩხუბანიშვილი, 1972); „სტატიკური ზმნები ძველ ქართულში“ (მ. სუხიშვილი, 1976) და სხვ.

ძველი ქართულის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკვანძო საკითხები განხილულია არნ. ჩიქობავას მონოგრაფიაში „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში 1. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით“ II. (1948).

ქართული ენის სინტაქსის შესწავლას მიეძღვნა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. I. (არნ. ჩიქობავა, 1928, მეორე გამოცემა 1968). „მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (ა. კიზირია, 1963), „რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში“ (ა. კიზირია, 1969) და სხვ.

ქართულ-ქართველურ ენათა სტრუქტურის მრავალი საკითხი იქნა გაშუქებული გამოკვლევებში, რომლებიც გამოქვეყნდა სერიაში „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“ (I ტ.—1959, II ტ.—1961, III ტ.—1963, IV ტ.—1974).

ფუძის აღნაგობისა და საწარმოებელ აფიქსთა საკითხი ახლებურად დაისვა და გადაწყდა მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (არნ. ჩიქობავა, 1941). ვ. თოფურიამ გამოკვლევათა მთელი სერია მიუძღვნა ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებას. მათში გამოყოფილია ფუძეს შეხორცებული რიგი აფიქსი, დადგენილია კომპოზიტების წარმოების პრინციპები. ძველსა და ახალ ქართულში სიტყვაწარმოების ცალკეული თავისებურება გარკვეულია სხვა ავტორთა არაერთ ნაშრომში.

სახელისა და ზმნის ფუძეთა მეცნიერულმა ანალიზმა და ლექსიკური მასალის შედგენილობის ისტორიის რკვევის მაღალმეცნიერულ ნიადაგზე დაყენებამ, ქართველურ ენებთან კონტაქტში მყოფი ენების მასალის ფართოდ გათვალისწინებამ შესაძლებელი გახადა ცალკეული სიტყვების ეტიმოლოგიისა და სემანტიკური განვითარების ისტორიის დადგენა.

აღნიშნულ საკითხებისადმი მიძღვნილია გამოკვლევები ი. ჯავახიშვილის აკ. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიის, ს. ჯანაშიას, ე. ბერიძის, ილ. აბულაძის, მ. ანდრონიკაშვილის, გ. როგავას, ოტ. კახაძის, ივ. ქავთარაძის, ლ. ველენიძის, ირ. ქერქაძის, ალ. კინჭარაულის და მთელი რიგი სხვა ავტორებისა.



სათანადო ყურადღება ექცეოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული საზღვარგარეთის რატურო ენის ისტორიის პერიოდების, გამოჩენილი მწერლების ენისა და სტილის, ასევე ცალკეული მნიშვნელოვანი თხზულების ენობრივ თავისებურებათა ანალიზს.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევა გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ენის თაობაზე (ვ. ბერიძე, არნ. ჩიქობავა, ივ. გიგინეიშვილი, ალ. ჭინჭარაული და სხვ.).

„ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის ანალიზი მოცემულია ივ. გიგინეიშვილის ვრცელ მონოგრაფიაში „გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენისა და ტექსტის კრიტიკის საკითხების შესახებ“ (1975).

ცალკე ტომში მოცემულია ვ. ბერიძის გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის შესახებ („რუსთველოლოგიური ეტიუდები“, 1961).

დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია (ფუტეია და სიტყვაფორმათა ინდექსი)—რედაქტორები მ. ჭაბაშვილი, ალ. ჭინჭარაული (1973).

არაერთი ნაშრომი მიეძღვნა სულხან-საბა ორბელიანის ენისა და ლექსიკოგრაფიული ნაშრომის დახასიათებას (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი...), გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ენას (მ. მიჩხაშვილი), რაფიელ ერისთავის თხზულებათა ენას (ლ. იორდანიშვილი), ნ. ლომოურის შემოქმედების ენას (თ. ბეროზაშვილი), ილია ჭავჭავაძის ენის საკითხებს (არნ. ჩიქობავა, ნ. საყვარელიძე, ივ. ქავთარაძე...), ევ. ნინოშვილის, ალ. ყაზბეგის, ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა ენობრივ თავისებურებებს (ივ. ქავთარაძე...) და სხვ.

XII—XVIII საუკუნეების ქართული ენის საკითხებს განიხილავს ივ. ქავთარაძის მონოგრაფია (1964), ანტ. კიზირიასა და არ. მარტიროსოვის სტატიები და სხვ.

შესწავლის ობიექტი იყო ქართული და სხვა კავკასიელ ხალხთა წარწერები. გრემის სამეოვანი წარწერების შესახებ გამოქვეყნდა აკ. შანიძისა და ვ. ფუთურიძის წერილი (1940); არნ. ჩიქობავამ დაბეჭდა „ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან“ (1940), ტ. გულდავამ გამოაქვეყნა „ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან“ (1954).

უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი იყო კავკასიის ალბანელთა ანბანის აღმოჩენა ილ. აბულაძის მიერ (1938), ამასთან დაკავშირებით კავკასიის ალბანელთა დამწერლობისა და ენის ისტორიის საკითხებს საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა აკ. შანიძემ (1938).

ქართული დიალექტების შესწავლას საფუძველი დაუდო ჯერ კიდევ რევოლუციამდე აკ. შანიძემ („ქართული კილოები მთაში“, 1913). ენათმეცნიერების ინსტიტუტში ქართული დიალექტები შეისწავლება ცალკეული რეგიონების მიხედვით. ქართულურზე მუშაობდნენ ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, სტ. ჩხენკელი, შ. ძიძიგური, პ. ხუბუტია, გრ. იმნაიშვილი, პ. გაჩეჩილაძე, თ. ბეროზაშვილი, ლ. ნოზაძე, მ. მესხიშვილი, ოტ. კახაძე, შ. გაფრინდაშვილი, თ. სარარიძე და სხვ. (შეგროვებულია დიდძალი ტექსტოლოგიური და ლექსიკური მასალა); გამოკვლევა ტექსტებითურთ გამოაქვეყნა გრ. იმნაიშვილმა (1974 წ.). კახურზე მუშაობდნენ არნ. ჩიქობავა, არ. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, პ. ხუბუტია; მონოგრაფია (ტექსტებითა და ლექსიკონით) გამოაქვეყნეს არ. მარტიროსოვმა და გრ. იმნაიშვილმა (1956). ინგილოურს სწავლობდნენ რ. ღამბაშიძე, გრ. იმნაიშვილი, ნ. როსტიაშვილი. გამოქვეყნდა გ. იმნაიშვილის „ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი“ (1966). მთი-



ულურზე მუშაობდნენ არნ. ჩიქობავა („მითუღურის თავისებურებაანი“ 1938), ლ. კაიშაური („მითუღურის დარგობლივი ლექსიკა“, 1967). რაჭულზე დაკვირვებებს აწარმოებდნენ ვ. თოფურია, შ. ძიძიგური, ალ. კობახიძე. თუშურზე მუშაობდნენ პ. ხუბუტია, თ. უთურგაიძე. შეისწავლებოდა იმერული დიალექტი. მას იკვლევდნენ ვლ. ფანჩიძე, ოტ. კახაძე, პ. გაჩეჩილაძე, ლ. ლეჟავა, ივ. ქავთარაძე; გურულ დიალექტს იკვლევდნენ ს. ქლენტი (მიუძღვნა მონოგრაფია 1936), მ. ძიძიშვილი, ლ. ლეჟავა; მესხურ-ჯავახური შეისწავლეს შ. ძიძიგურმა, არ. მარტიროსოვმა; ფშაურზე მუშაობდნენ ივ. გიგინეიშვილი, ალ. ჭინჭარაული, გ. ცოცანიძე (გ. ცოცანიძის მონოგრაფია ფშაურის შესახებ გადაცემულია გამოსაცემად). გამოქვეყნდა თ. უთურგაიძის მონოგრაფია — „ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება“ (1966). ხევსურული დიალექტის შესახებ გამოქვეყნდა ალ. ჭინჭარაულის ვრცელი მონოგრაფია (1960).

ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხებს მიეძღვნა წერილები არნ. ჩიქობავას, შ. ძიძიგურისა, თ. გონიაშვილისა, არ. მარტიროსოვისა, მ. მესხიშვილისა.

დიალექტოლოგიის მდგომარეობის მიმოხილვას იძლევიან ვ. თოფურია, არ. მარტიროსოვი.

ტოპონიმიკის საკითხებს ნაშრომები მიუძღვნეს ვ. თოფურიამ, თ. ზურაბაშვილმა, მ. ქალდანმა, გ. თოფურიამ, გ. ბედოშვილმა.

შედგენილია ქართული დიალექტოლოგიის ბიბლიოგრაფია (გ. იმნაიშვილი, 1969).

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცეოდა ქართულთან ერთად სხვა ქართველური ენების შესწავლას. ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხების განხილვისას საჭირო იყო სხვა ქართველურ ენათა ჩვენების გათვალისწინება და ზემოთ დასახელებულ არაერთ ნაშრომში პოვა კიდევ ამან ასახვა.

ქართველურ ენათა — მეგრულ-ქანურის (ზანურის), სვანურის შესასწავლად — მნიშვნელოვანი სამუშაო იყო ჯერ კიდევ ჩატარებული ნ. მარის, იოსებ ყიფშიძის, აკ. შანიძის, ვ. თოფურიას ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევების შედეგად. საჭირო იყო ამ მხრივ მუშაობის შემდგომი გაღრმავება; მეგრულ-ქანურისა და დიალექტურად მეტად ჭრელი სვანურის ყოველმხრივ შესწავლა, მათი ადგილის გარკვევა და, საერთოდ, ქართველური ენების ფონეტიკისა და გრამატიკული წყობის ძირითადი საკითხების დამუშავება.

გადაუღებელ ამოცანად დაისახა ამ ენებზე საჭირო ენობრივი დოკუმენტაციის მოპოვება და პუბლიკაცია.

შეკრებილ და გამოქვეყნებულ იქნა ტექსტები ქანურისა არნ. ჩიქობავას (1936), ს. ქლენტის (1938), ირ. ასათიანის (1974) და მეგრულისა მ. ხუბუას (1937) და სხვ. მიერ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა აკ. შანიძისა და ვ. თოფურიას ხელმძღვანელობით მოაწყო ექსპედიციები, რის შედეგადაც მოპოვებული და გამოცემულ იქნა სვანური ტექსტების სამი ტომი (აკ. შანიძე, ვ. თოფურია, მ. გუჯეჩიანი, მ. ქალდანი, ალ. დავითიანი). პირველი მათგანი დაეთმო ბალსზემოურს, მეორე — ბალსქვემოურს, მესამეში შევიდა ლენტეხური კილოს მასალა. გამო-





იცა სვანური პოეზიის ტომი, ალ. დავითიანის მიერ შეკრებილი სვანურ ზეზები.

ვ. თოფურიას ხელმძღვანელობითვე შეკრებილი იქნა დიდძალი მასალა დიალექტებისა და კილოკავების მონაცემთა გათვალისწინებით სვანურის ლექსიკონისათვის, რომელსაც ამჟამად ინსტიტუტი ერთტომეული სვანური დოკუმენტარული ლექსიკონის სახით ამზადებს გამოსაცემად (მ. ქალდანი).

ინსტიტუტმა არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით (შემსრულებელი არ. ასათიანი) შეადგინა ჭანურის დოკუმენტარული ლექსიკონი, რომელიც მზადდება გამოსაცემად. ჭანურის დოკუმენტარული ლექსიკონის მნიშვნელობა ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ კილოკავების შესასწავლად ამჟამად არსებული წყაროების სიმცირეს.

ხსენებულ ენებსა და მათ დიალექტებს მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია.

გამოვიდა ზოგადი მიმოხილვა „ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ“ (არნ. ჩიქობავა, 1936). მასში დამტკიცებულია ჭანურის, როგორც დიალექტური ერთეულის, რაობა ზანურის მეგრულ დიალექტთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, წარმოჩენილი და შესწავლილია მისი ფონეტიკისა და გრამატიკული წყობის ძირითადი საკითხები სხვა ქართველურ ენებთან მიმართების თვალსაზრისით, მეორე მხრივ.

ზანურის ფონეტიკის საკითხებს ეხება ს. ჟღენტის მონოგრაფია (1953), ზანურისა და ასევე მისი დიალექტების გრამატიკული წყობის საკითხებს მიეძღვნა სხვა ავტორების არაერთი გამოკვლევა. ზანურის ენობრივი მიმოხილვა (ა. კიზირია) გამოქვეყნდა კრებულში „Языки народов СССР“, IV.

სვანური ენის ფონეტიკა და გრამატიკული წყობა განიხილება მრავალ მონოგრაფიასა და გამოკვლევაში (რომელთა ავტორებია ვ. თოფურია, ს. ჭანაშვილი, ს. ჟღენტი, მ. ქალდანი, თ. შარაძენიძე, გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, თ. გამურელიძე, ალ. ონიანი, ი. ჩანტლაძე და სხვ.).

სვანური ენის ფონეტიკის რთული საკითხი, საკითხი უმლაუტის შესახებ, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეცნიერთა შორის. მას ფუძემდებლური გამოკვლევა მიუძღვნა აკ. შანიძემ. უნდა აღინიშნოს მისი მონოგრაფიული შესწავლა მ. ქალდანის ნაშრომში „სვანური ენის ფონეტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში“ (1969), რომელშიაც დადგენილია სვანურისათვის დამახასიათებელი ახალი სახის—გუტურალური უმლაუტიზაციის კანონზომიერებანი. სვანურის მორფოლოგიის მნიშვნელოვან საკითხს შეისწავლის კ. გაგუა მონოგრაფიაში „დრონაკლი ზმნები სვანურში“ (1976). ვ. თოფურიას სვანურის ზოგადი დახასიათება გამოქვეყნდა კრებულში „Языки народов СССР“, IV. ინსტიტუტის მიერ 1967 წ. გამოქვეყნდა ვ. თოფურიას შრომების I ტომი, რომელშიც შესულია მისი გამოკვლევა „სვანური ენა, I, ზმნა (მეორე გამოცემა)“.

ჩატარდა მუშაობა ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებითი გამოკვლევისა და მათი ამოსავალი საერთო დამახასიათებელი ნიშნების დადგენის მხრივ, ლექსიკის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის მხრივ.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევა დაიწერა ქართველურ ენათა ფონეტიკის, მორფოლოგიისა, სინტაქსისა და ლექსიკის საკითხებზე. გამოქვეყნდა მონოგრა-

<sup>5</sup> ს. ჭანაშვილი წერალები სვანურისა და აგრეთვე სხვა ქართულ-ქართველური, აფხაზურ-ადიღურ ენების შესახებ თანამოყრდელი მისი შრომების III და IV ტომებში, რომლებიც ინტარტუტმა გამოსცა 1959 და 1968 წლებში.

ფიგები: „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1937). „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (არნ. ჩიქობავა, 1938). „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ (არნ. ჩიქობავა, 1941). „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“. II. ერგატიული კონსტრუქციის რაობის თეორიები (არნ. ჩიქობავა, 1961). „სიბილანტა შესატყვისობაში და ქართველურ ენათა უძველესი სტრუქტურის ზოგი საკითხი“ (თ. გამყრელიძე, 1959). „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. I. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში“ (ვ. როგავა, 1962), „ნაცვალსახელი ქართველურ ენებში“ (არ. მარტიროსოვი, 1964) და სხვ.

ამ საკითხებს მიეძღვნა მნიშვნელოვანი სტატიები, რომლებშიც არაერთი საკვანძო პრობლემა გადაწყვეტილი. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ვ. თოფურის ნარკვევთა სერია — „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“, რომელშიაც პირველად არის დადგენილი და გამოყოფილი ე. წ. პარპონიული კომპლექსები ქართველურ ენებში (და საერთოდ კომპლექსთა საკითხი). დამტკიცდა, რომ ფონოლოგიური სისტემის შესატყვისობაში სვანური ეოკალიზმის მიხედვით მიჰყვება ქართულს (არნ. ჩიქობავა). ხოლო თანხმობანთა შესატყვისობის მხრივ ზანურს უდგება; სვანურის სხვაობა აფრიკატთა შესატყვისობაში ზანურთან შედარებით ახალი მოვლენაა, რომელსაც საფუძვლად უდევს აფრიკატთა სპირანტიზაცია (გ. როგავა). ამითვე გადაწყდა აღნიშნულ ენათა შესატყვისობების შედარებითი ქრონოლოგიის საკითხიც.

დასაბუთდა სიბილანტთა ერთი თავისებური შესატყვისობის (ქართული შიშინა — ზანურ-სვანური სისინა), მეორეული, პოზიციური წარმოშობა (თ. გამყრელიძე). გაირკვა სვანურის ბრუნების ორფუძიანობის საკითხი.

არნ. ჩიქობავას მთელი რიგი გამოკვლევების საფუძველზე, რომლებიც მიეძღვნა გრამატიკული კლასების საკითხს ქართველურ ენებში, და ვ. თოფურის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევების („დ-თავსართიანი ზმნები ქართულში“) შედეგად გაირკვა, რომ ქართველურ ენებს ამოსავალში პიროვანი უღვლილება არ ახასიათებდა, რომ მას განვლილი აქვს პიროვან-კლასოვანი უღვლილების საფეხური, რომელსაც საფუძვლად ედო კლასოვანი უღვლილება; დადასტურდა ნაშთის სახით გაქვავებული გრამატიკული კლასიონები შეზღობილი ზმნის (და სახელის) ფუძესთან სწორედ იმ პრინციპით, რა პრინციპიც კლასოვან უღვლილებას ახასიათებდა. ოდინდელი კლასოვანი უღვლილების ნაშთებმა თავი იჩინა ძველი ქართლის (აგრეთვე სვანურის) უღვლილების სისტემაში თავისებური შთანხმების სახით.

ეს დასკვნები დიდი მნიშვნელობისაა ქართველურ ენათა ისტორიის ღრმა წარსულის შესწავლის თვალსაზრისით.

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა ქართულისა და სავითოდ ქართველური ენების, ლექსიკის შეგროვება-შესწავლას და ლექსიკოგრაფიის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.

ქართული დარგობრივი და, აგრეთვე, დიალექტური ლექსიკის შეგროვება-შესწავლის მხრივ ადრევე დიდი მუშაობა ჩაატარა ივ. ჯავახიშვილმა. მან. ჯერ ერთი. თავისი მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით ნიადაგი შეამზადა ქართული ენის ლექსიკის ისტორიის შესასწავლად, მეორე მხრივ, ფართო მუშაობა





გავალა შინამრეწველობის მასალის შეგროვებასთან დაკავშირებით ტურთი დარგობრივი ლექსიკოს მოსაპოვებლად.

1936 წლიდან ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება (მაშინდელი გამგის ვ. თოფურაის ხელმძღვანელობით) შეუდგა დიალექტური ლექსიკონების შედგენას. 1938 წ. გამოვიდა სამი დიალექტის მასალის შემცველი ლექსიკონი (გ. შარაშიძისა — გურული, ბ. წერეთლისა — ზემო იმერული და მ. ალავეჯიძისა — ლეჩხუმური). ამას მოჰყვა სტ. მენთეშაშვილის ვრცელი „ქიზიყური ლექსიკონი“ (1943).

ეს მუშაობა გრძელდება დღესაც. 1976 წ. გამოვიდა პ. გაჩეჩილაძის „იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა“; მიმდინარეობს მუშაობა სხვა დიალექტურ ლექსიკონთა შესადგენად.

ძვირფასი ლექსიკური მასალა შემოგვინახა საბა ორბელიანი თავისი ლექსიკონით, რომელიც ავლენს მისი შემდგენლის დიდ ერუდიციასაც, სიტყვათა განმარტებისას პოეტური გამომახტელობისა და მეცნიერული სიზუსტის გასაოცარ უნარსა და ნიჭს. იგი ქართული ისტორიული ლექსიკოლოგიის განძია. ამავე დროს არსებობდა დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებიც, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულის განვითარება, უდიდესი ცვლილებები მის ლექსიკურ შემადგენლობაში, კანონზომიერად სვამდა დღის წესრიგში ახალი, ვრცელი განმარტებითი ლექსიკონის საჭიროებას.

დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან დაარსდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის კომისია“, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქნა არნ. ჩიქობავა, მოგვიანებით (1949 წ.) მისივე ხელმძღვანელობით შედგა ქეჯალის მთავარი რედაქცია, რომელშიც შევიდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები და მწერლები. პრაქტიკულად ლექსიკონის შედგენა დაევალი ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ამ მიზნით 1945 წ. ახლად დაკომპლექტდა ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილება — 1945 წლიდან 1965 წლამდე არნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობით (გამგე ს. იორდანიშვილი 1948 წლამდე, სტ. მენთეშაშვილი — 1949—1965; 1965 წლიდან — მ. ჰაბაშვილი).

ლექსიკონის შედგენის სამუშაოებში აღნიშნული განყოფილების გარდა მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის სხვა განყოფილებათა თანამშრომლებიც.

შედარებით მოკლე ხანში შეიქმნა ლექსიკონისათვის სრულიად ახალი სადოკუმენტაციო ფონდი (მისი შევსება დღესაც გრძელდება. იგი ამჟამად 3 მილიონამდე ბარათს აღწევს).

განმარტებით ლექსიკონს საფუძვლად დაედო მისი მთავარი რედაქტორის მიერ დამუშავებული შედგენის პრინციპები. ამ პრინციპებით ახლებურად იქნა გადაწყვეტილი ლექსიკონში ზმნური ერთეულების შეტანის საკითხი.

როგორც ცნობილია, ევროპული ენების ლექსიკონებში ზმნები შეაქვთ ინფინიტივის ფორმით. რაკი ქართულს ინფინიტივი არ მოეპოვება, ქართულ ლექსიკონებში ზმნის „წარმომადგენლად“ ჩვეულებრივ შეჰქონდათ (და ზოგჯერ ახლაც შეაქვთ) მასდარი. მასდარი კი ინფინიტივის ეკვივალენტი არ არის. ამასთანავე ბევრი ზმნისაგან საერთოდაც არ ხერხდება მასდარის წარმოება. ამიტომ ქეჯალში ზმნის სალექსიკონო ერთეულად აღებულია ზმნის პირიანი ფორმა (აწმყოს მხოლოდობითი რიცხვის მესამე პირი).

ლექსიკონის დიდი ღირსებაა, რომ იგი დოკუმენტირებულია მე-19-20 საუკუნის ქართველი კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებებიდან, აგრეთვე პოლიტიკური, სამეცნიერო ლიტერატურიდან, თანამედროვე პრესიდან, ხალხური სიტყვიერებიდან შერჩეული ფრაზებით. რვატომეული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის I ტომი გამოქვეყნდა 1950 წ., VIII ტ. — 1964 წ. იგი მოიცავს 113000 სიტყვას.

ამ ლექსიკონის მნიშვნელობა განუზომელია ქართული ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიისათვის, ენათმეცნიერებისათვის და, საერთოდ, ჩვენი კულტურისათვის. 1971 წ., საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავზე მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

რვატომეული ქველ-ის გამოცემამ დიდად შეუწყო ხელი ლექსიკოგრაფიის შემდგომ აღმავლობას ჩვენში. იგი საფუძვლად ედება სხვადასხვა ლექსიკონებს (ორთოგრაფიულს, თარგმნის...).

1967 წ. დაიბეჭდა „ინვერსიული (შებრუნებული) ლექსიკონი“. მის შედგენაში მონაწილეობა მიიღო ინსტიტუტის ბევრმა თანამშრომელმა (ხელმძღვანელი ბ. ფოჩხუა). ხსენებული „ინვერსიული ლექსიკონი“ წარმოადგენს რვატომეულის ინდექსს, რომელშიაც სიტყვები დალაგებულია ანბანზე ფუძის ბოლოკიდური ასოების მიხედვით. იგი მდიდარ მასალას იძლევა ქართული სიტყვის ფონოლოგიური სტრუქტურის, სიტყვაწარმოების საშუალებათა და სიტყვის აგებულების მოდელთა შესწავლისათვის.

სასტამბოდ არის გამზადებული რვატომეულის საფუძველზე შედგენილი, 55 ათასი სიტყვის შემცველი ერთტომეული განმარტებითი ლექსიკონი, ამ ლექსიკონსაც იგივე პრინციპები უდევს საფუძვლად, რაც რვატომეულს.

რვატომეულის დამუშავებასთან დაკავშირებით მწვავედ დაისვა საკითხი სათანადო კვალიფიციური სპეციალისტ-ლექსიკოლოგების მომზადებისა. ამ მხრივაც ბევრი რამ ვაკეთდა. მომზადდა არაერთი სპეციალისტი ქართულ ლექსიკოლოგიაში. მათი საკვალიფიკაციო თემები იყო: „პურეულის ლექსიკა ქართულში“ (ო. კახაძე); „მეცენახეობისა და მეღვინეობის ლექსიკა“ (ლ. ასათიანი), „ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა“ (ბ. საბაშვილი), „ოთარაანთ ქვრივის ლექსიკა“ (ნ. საყვარელიძე), „რუსულ-ქართული ხელნაწერი ლექსიკონები XVIII—XIX საუკუნეებისა“ (მ. კელენჯერიძე, გამოქვეყნდა 1961 წ.), „ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში“ (ი. ქერქაძე, 1974), „ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში“ (ლ. ველენიძე, გამოქვეყნდა 1974 წ.), „სახისა სიტყუაი“-ს ლექსიკა“ (მ. კაბაშვილი), „ლექსიკა «წარტყუნევაი იერუსალემისაი»-სა“ (ლ. ღვალაძე), ლექსიკა «გრიგორ ხანძთელის ცხოვრებისა» (მ. მირზაშვილი) და სხვ.

ინსტიტუტში დაწყებულია მუშაობა ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონზე. ამ მიზნით ყველა გამოცემული ძველი ქართული ძეგლიდან (X—XI სს.) და ზოგი ხელნაწერიდანაც ამოწერილია 1500 000 სიტყვა, რომლებიც დალაგებულია ძირებზე.

ამჟამად დგება ამ მასალიდან გამოვლენილი ფუძეების ლექსიკონი-ინდექსი, რომელიც საფუძველი უნდა გახდეს ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის.

ინსტიტუტში დიდი ნუშაობა მიმდინარეობს სალიტერატურო ენის სადავო ფორმათა შესწავლისა და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა შემუშავების მხრივ.

სადავო ფორმათა მოწესრიგებაზე ნუშაობა განსაკუთრებით გაცხოველდა მის შემდეგ, რაც 1918 წელს თბილისში დაარსდა ქართული უნივერსიტეტი და დასაბამი მიეცა ქართულ ენაზე მეცნიერული აზრის აღორძინებას.

დღეს ამ ნუშაობას ხელმძღვანელობს „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია“ (თავმჯდომარე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე). მასში შედიან მწერლობის, ლიტერატურისა და პრესის მუშაკთა, სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები და ქართული ენის სპეციალისტები.

კომისიის დანიშნულებაა „გაუწიოს ხელმძღვანელობა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესს იმ მხრივ, რომ ქართული სალიტერატურო ენა სრულად იყენებდეს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პროცესში შექმნილ საგანძურს, იყოს მაქსიმალურად მონოლითური, ჭეშმარიტად ხალხური და ჭეროვნად მოემსახუროს ქართველ ხალხს, როგორც სოციალისტური კულტურის წინსვლის იარაღი“.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში შექმნილია ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება (გამგე ივ. გივინიშვილი), რომელსაც ევალება შეისწავლოს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების პროცესში წარმოშობილი სადავო საკითხები და შეიმუშაოს ნორმათა პროექტები ამ საკითხთა მოსაგვარებლად. განყოფილების მიერ შემუშავებულ პროექტებს წინასწარ განიხილავს ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო. საბჭოს მიერ მოწონებული პროექტები გადაეცემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას. სახელმწიფო კომისიის მიერ დამტკიცებული ნორმები სავალდებულოა სახმარებლად.

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა შეისწავლა მოსაგვარებელი საკითხები, გამოიყენა წინა წლებში შემუშავებული ნორმებიც, შეიმუშავა სათანადო პროექტები და წარუდგინა სახელმწიფო კომისიას. კომისიამ განიხილა და დამტკიცა ნორმები თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის პირველ რიგში მოსაგვარებელი საკითხებისა, რაც გამოქვეყნდა ცალკე წიგნად სათაურით: „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული“, თბილისი, 1970. კრებულში სულ წარმოდგენილია 40 სტატია. თითოეულ მათგანში მოცემულია საკითხის წარმოშობისა და განვითარების მიმოხილვა, ენობრივი ანალიზი და, ბოლოს, დასაბუთება მიღებული ნორმისა. სტატიებში დამოწმებულია ნიმუშები საცილობელი ფორმებისა, ამოკრებილი ქართული მწერლობის ძეგლებიდან, პრესიდან, სამეცნიერო ლიტერატურიდან და სახელმძღვანელოებიდან.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაარსებულია პერიოდული კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, რომელშიაც იბეჭდება ამავე რიგის საკითხები, განსაკუთრებით პრაქტიკული სტილისტიკის სფეროდან. პირველი კრებული გამოქვეყნდა 1972 წ. მზადაა გამოსაცემად მეორე და მესამე კრებულები.

მიღებული და დამტკიცებული ნორმების საფუძველზე შედგენილ და განხორციელებულ იქნა ვ. თოფურიას და ივ. გიგინეიშვილის ვრცელი „ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1968 წ.).

ამჟამად წარმოებს მუშაობა სალიტერატურო ენის ნორმათა მეორე კრებულზე, აგრეთვე უცხოურ გეოგრაფიულ და პირთა სახელების ქართულად გადმოცემის საკითხებზე. დგება სტილისტურ დარღვევათა ლექსიკონი.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ფართო მუშაობაა გაშლილი ქართული სალიტერატურო ენის ტერმინოლოგიური ლექსიკით გამდიდრებისათვის.

ოხუთმეტი საუკუნის მდიდარი მხატვრული და მეცნიერული (როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი) ძეგლების მქონე ქართულ ენაზე საკმაოდ იყო განვითარებული სათანადო დარგების ტერმინოლოგია. ამ მხრივ დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული უკვე XI—XII საუკუნეების მოღვაწეებს გიორგი მთაწმინდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს. უკვე ამ ხანიდან შემორჩენილია ქართულ ენაში ისეთი აბსტრაქტული ცნებების გამოხატველი ტერმინები, როგორცაა შემეცნება, არსი, ყოფადი, ნივთიერი, მგრძნობლობა, მსგავსებითი და სხვ. ტერმინოლოგიური ლექსიკის დახვეწას დიდად შეუწყო ხელი ლექსიკოლოგიურ შრომათა შექმნა. XIX საუკუნეში გაცხოველდა ტერმინოლოგიისადმი და დარგობრივი ლექსიკის გამოყოფისადმი ყურადღება. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. ერისთავის, ილია ჭავჭავაძის და სხვა გამოჩენილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ღვაწლი და ზრუნვა. მაგრამ მეოცე საუკუნისათვის დამახასიათებელი მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის ამ მიმართულებით მიღწეული, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს.

ქართული ტერმინოლოგიის დახვეწა-უნიფიკაციის, მისი გამდიდრების საკითხი აუცილებლობით წამოიჭრა ქართული უნივერსიტეტის დაარსებასთან, მის ნიადაგზე წარმოქმნილ სხვადასხვა განხრის უმაღლეს საეციალო ინსტიტუტთა ორგანიზაციასთან დაკავშირებით. განსაკუთრებული სიმწვავეით, ბუნებრივია, ეს საკითხი იდგა ტექნიკური დარგის დისციპლინების წინაშე. და ამის შედეგი იყო, რომ უკვე 1920 წ. საქართველოს ტექნიკურმა საზოგადოებამ დაამუშავა და გამოსცა „რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვანი)“. ამ პირველმა ცდამ ბევრი საჭირო ტერმინი შესძინა ქართულ მეცნიერებას, მაგრამ ისიც ცხადი გახდა, რომ ტერმინოლოგიურ მუშაობას სჭირდება სათანადო დარგისა და ენის სპეციალისტთა მტკიცე მეცნიერულ პრინციპებზე დამყარებული კოლექტიური მუშაობა.

1921 წ. საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყალიბდა „სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო“ ივ. ჭავჭავიშვილის ხელმძღვანელობით. ამ საბჭოსვე დაკისრებული ჰქონდა ტერმინოლოგიური საკითხების მოგვარება. 1925 წ. ეს სამეცნიერო საბჭო გადაკეთდა იმავე სამინისტროს „ცენტრალურ სამეცნიერო ტერმინოლოგიურ კომიტეტად“ (თავმჯდომარე — ფ. მახარაძე, შემდეგ — ვლკოლ ბერიძე). საბოლოოდ მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სატერმინოლოგიო მუშაობა მოქცეულიყო აკადემიის სისტემაში. 1936 წ. ინსტიტუტში დაარსდა კიდევ სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება (გამგე ვ. ბერიძე, შემდეგ — რ. ღამბაშიძე), სადაც წარმოებს სხვადასხვა დარგის ტერმინების უნიფიკაცია. ამ საქმიანობაში ფართოდ არიან ჩაბმული სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომელ-

ბიც ადგენენ შესაბამისი დარგის ტერმინოლოგიას რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული შესატყვისებითურთ. ამ მასალას სწავლობს და განიხილავს ენათმეცნიერების ინსტიტუტში თავის სხდომებზე ავტორიტეტული სარედაქციო კომისია, რომელშიც შედიან, ერთი მხრივ, სათანადო დარგის წამყვანი სპეციალისტები და, მეორე მხრივ, ენის სპეციალისტები (ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლები).

იმ შემთხვევაში, როცა რომელიმე ტერმინი დავას იწვევს, საკითხი განიხილება ენათმეცნიერების ინსტიტუტის საბჭოს საგანგებო სხდომაზე, რომელზედაც მონაწილეობას იღებენ სათანადო დარგის სპეციალისტებიც. თუ საკითხი აქაც გადაუწყვეტელი დარჩა, იგი გამსახილველად საბოლოო დისკენისათვის წარედგინება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენ მუდმივ სახელმწიფო კომისიას“.

ამ წესით დანუშავებული და გამოცემულია სხვადასხვა სამეცნიერო დარგების (როგორცაა, მაგ., მათემატიკა, ფიზიკა, ელექტრონიკა, ნორმალური ანატომია, მედიცინა, გეოლოგია, პალეონტოლოგია, ენტომოლოგია, მემცენარეობა, საავიაციო საქმე, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, რადიოელექტრონიკა, პოლიგრაფიული საქმე და მრ. სხვ.) 40-ზე მეტი ტერმინოლოგიური ლექსიკონი. 1977 წელს გამოვიდა ვრცელი ტექნიკური ტერმინოლოგია, წინა გამოცემასთან შედარებით მნიშვნელოვნად შეესებულებული და დაზუსტებული. (მისი ოდენ რუსულ-ქართული ნაწილი შეიცავს 60000-მდე ტერმინსა და ტერმინოლოგიურ გამოთქმას).

ამჟამად ინსტიტუტში დგება კრებისითი ტერმინოლოგია, რაც დიდად შეუწყობს ხელს სხვადასხვა დარგის ტერმინთა უნიფიკაციის საქმეს.

ტერმინოლოგიის დარგში ასეთი დიდი მუშაობის ჩატარება შედეგიც არის და, თავის მხრივ, დიდი სტიმულიც მეცნიერების მრავალფეროვან მიმართულებათა განვითარებისათვის რესპუბლიკაში და აუცილებელი პირობაც უნივერსალური ხასიათის ეროვნული ენციკლოპედიის შექმნისათვის.

რესპუბლიკაში რუსული ენის ცოდნის მაღალ დონეზე დაყენების მიზნით ინსტიტუტში ფართო მუშაობა გაიშალა თარგმნითი ლექსიკონების (რუსულ-ქართული, ქართულ-რუსული) შესაქმნელად.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა ჯერ დაამუშავეს და გამოსცეს სასკოლო რუსულ-ქართული (1938, 1940 — ვ. თოფურია) და ქართულ-რუსული (1942, 1950 — გ. ახვლედიანი, ვ. თოფურია) ლექსიკონები.

შემდეგში ინსტიტუტი შეუდგა მრავალტომიან რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენას და საკმაოდ მცირე დროის განმავლობაში (1956—1959 წწ.) გამოაქვეყნა სამტომეული (64 683 სიტყვის შემცველი), „რუსულ-ქართული ლექსიკონი“. მასში საჭირო სისრულით არის დახასიათებული გრამატიკული ფორმები; სათარგმნ სიტყვას ახლავს ვრცელი საილუსტრაციო მასალა.

აღნიშნული ლექსიკონის საფუძველზე ინსტიტუტმა შეადგინა ერთტომეული რუსულ-ქართული ლექსიკონი (48000-მდე სიტყვის შემცველი), რომელიც უკვე გადაეცა წარმოებას.

ინსტიტუტში შეიქმნა თარგმნითი ლექსიკონების მდიდარი საილუსტრაციო ფონდი, რომელიც თანდათან ივსება.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება ერთტომეული ქართულ-რუსული ლექსიკონი. დაწყებულია მუშაობა ოთხტომიანი „რუსულ-ქართული ლექსიკონის“ შესაღებად.

ინსტიტუტის პირველი რიგის ამოცანას ამჟამად წარმოადგენს მრავალტომიანი ქართული ენის სისტემატური კურსის შექმნა. მასში უნდა აისახოს ქართული ენის შესწავლის თანამედროვე დონე. აღნიშნულ „კურს“-ში შეჯამებული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი შესწავლის ისტორია, ქართული ენის ფონოლოგიური სტრუქტურა, სახელისა და ზმნის მორფოლოგია, სინტაქსური წყობა, სიტყვაწარმოება და ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, დიალექტოლოგია, ეს უაღრესად რთული და შრომატევადი სამუშაო მოითხოვს ინსტიტუტის მთელი ძალების მობილიზაციას.

როგორც თავშივე აღინიშნა, ქართველ ენათმეცნიერთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ქართულ-ქართველურ ენათა სხვა ენებთან ნათესაური ურთიერთობის გარკვევა. ამ საკითხით დიდი ხანია დაინტერესებულია მეცნიერება. თანდათან გამოიკვეთა დებულება მათი ნათესაური დამოკიდებულების შესახებ წინა აზრის უძველეს მკვლარ ენებთან, ერთი მხრივ, და პალეოკავკასიურ ენებთან (ამასთანავე ბასკურ ენასთან), მეორე მხრივ, ყურადღებას პირველ ყოვლისა იქცევდა აღნიშნულ ენებთან საერთო ტიპოლოგიური ნიშნები.

„ენიშის“ დაარსებისთანავე გაცხოველდა ინტერესი წინა აზრის მკვლარ ენათა სტრუქტურის კვლევისა და ქართველურ და კავკასიის სხვა ძველ მკვიდრთა ენებთან მსგავსების ძიებისა. ამ მიმართულებით წარმოებული მეცნიერული მუშაობა აისახა მთელ რიგ გამოკვლევებში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ შემდეგში ამ ენათა ურთიერთობათა ძიება შესაბამისი ინტენსივობით ვერ იქნა გაშლილი, რამაც თვით პრობლემის მართებულობის მხრივ ერთგვარ ნიჰილიზმსაც კი შეუწყო ხელი.

ჯერ არაფერი გაკეთებულა ჩვენში ქართულ-კავკასიურ ენათა ბასკურთან ურთიერთობის კვლევის მხრივ. მხოლოდ ამ ბოლო წლებში ისახება გეგმები გადაიდგას ნაბიჯი კავკასიოლოგთა რიგებიდან მომზადდეს ბასკური ენის სპეციალისტები და უნდა მოველოდეთ, რომ უახლოეს მომავალში ეს მუშაობა თავის ნაყოფს გამოიღებს.

სხვა მდგომარეობაა კავკასიის ძველ ბინადართა ენების შესწავლისა და ამ ენათა ქართველურ ენებთან გენეტიური ურთიერთობის კვლევის მხრივ. ამ მიმართულებით დიდი მუშაობა გაიშალა როგორც კადრების (ისიც არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის მასშტაბით) მომზადების სფეროში, ისე თვით ენათა შესწავლის თეალსაზრისით.

1933 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიური ენების კათედრის დაარსებამ და 1936 წ. შესაბამისი განყოფილების ორგანიზაციამ ენათმეცნიერების (მაშინდელ „ენიშის“) ინსტიტუტში გეგმაშეწონილად წარმართა მთის იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლის საქმე.

ეს ენები (აფხაზური-ადიღური, ნახური, დაღესტნური), რომელთა რიცხვი სამ ათეულამდე აღწევს, მანამდე მხოლოდ პირველი დაზვერვითი შესწავლის საგანი იყო და ისიც არათანმიმდევრულად.

ამ ორმოცი წლის განმავლობაში ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ შესწავლილია თითქმის ყველა აღნიშნული ენა დიალექტებითურთ. გამოქვეყნდა





ათეულობით ვრცელი მონოგრაფიები ცალკეულ ენათა და მათი სტრუქტურის საკვანძო საკითხთა შესახებ. ესენია: „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (I—1948, II—1961, არნ. ჩიქობავა), „სახელის ფუძის აგებულებისა და გრამატიკული კლასების ისტორიისათვის ადიღურ (ჩერქეზულ) ენებში“ (გ. როგავა, 1956), „ლუზგიური ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები“ (გ. თოფურია, 1956), „ბოთლინური ენა“ (ტ. გუდავა, 1962); „დიდოური ენის ჰინუხური დიალექტი“ (ელ. ლომთაძე, 1969), „დიდოური ენა ჰინუხურ და ხვარშიულ ენებთან მიმართებით“ (დ. იმნაიშვილი, 1963), „კუბაჩური ენა“ (ალ. მაჰომეტოვი, 1963), „ანდიურ ენათა კონსონანტიზმი“ (ტ. გუდავა, 1964), „თაბასარანული ენა“ (ალ. მაჰომეტოვი, 1965), „ანდიური ენა“ (ილ. ცერცვაძე, 1965), „ღარგულელი ენის ფონეტიკა“ (შ. გაფრინდაშვილი, 1966), „ახვასური ენა“ (ზ. მაჰომედბეგოვა, 1967), „კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში“ (ნ. ანდლულაძე, 1968), „ალულური ენა“ (ალ. მაჰომეტოვი, 1970), „ბაგვალური ენა“ (ტ. გუდავა, 1971), „კარატული ენა“ (ზ. მაჰომედბეგოვა, 1971), „უდური ენის გრამატიკული ანალიზი“ (ვლ. ფანჩიძე, 1974), და მრავალი სხვა. გადაცემულია დასაბეჭდად „არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის“ (ო. კახაძე).

დაიწერა რამდენიმე ასეული გამოკვლევა ცალკეული საკითხების შესახებ. დადგენილია ამ მრავალრიცხოვანი ენების ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში განაწილებისა და დიალექტური შედგენილობის საკითხები. გამოკვლეულია თითოეული ენის ფონოლოგიური სისტემა, გრამატიკული წყობისა და ფუძის აგებულების საკითხები. შეძლებისდაგვარად ყველა ცალკეულ შემთხვევაში ვათვალისწინებელია ისტორია ენობრივ მოვლენათა განვითარებისა. ამ მხრივ ფართოდაა გამოყენებული დიალექტური მონაცემები.

ამით უკვე მომწიფდა ნიადაგი ენათა ქვეჯგუფებისა და ჯგუფების განმარტადებელი მიმოხილვებისათვის. ინსტიტუტში უკვე მიმდინარეობს ეს სამუშაო. უახლოეს წლებში მომზადდება ცალკე ჯგუფების (აფხაზურ-ადიღურის, ნახურის) და ქვეჯგუფების (ხუნძურ-ანდიურ-დიდოურის, ლაკურ-ღარგულელის, ლუზგიურის) ფონოლოგიური სისტემებისა და ფონეტიკური პროცესების ამსახველი შემაჯამებელი მონოგრაფიები. ამას მოჰყვება ანალოგიური განმარტადებელი მონოგრაფიები გრამატიკული წყობისა და ლექსიკის შესახებ.

პარალელურად მიმდინარეობს მოპოვებული ფაქტების ისტორიულ-შედარებითი შესწავლა ქართულურ და მთის კავკასიური ენების გენეტური ურთიერთობის ძიების მიმართულებით.

დასახელებულ ენათა აღწერითი მიმოხილვების საფუძველზე ნაჩვენებია მნიშვნელოვანი სხვაობები როგორც ფონეტიკურ სისტემებში, ისე სახელისა და ზმნის გაფორმებასა და წინადადების აგებულებაში. ზოგ ენაში უაღრესად განვითარებულია სახელის ბრუნება, ზოგში იგი სრულებით არ არსებობს; ზოგი ენა მხოლოდ პირის კატეგორიას იცნობს, ზოგმა მხოლოდ გრამატიკული კლასების გარჩევა იცის. ზოგ ენაში ზმნა პოლიპერსონალურია, ზოგში მხოლოდ მონოკლასოვანი. ზოგში გრამატიკული კლასი ორია, ზოგში კი იგი ოთხამდე აღწევს. ზოგში ზმნის ფორმები ერთმანეთს უპირისპირდებიან გვარების მიხედვით, ზოგში კი ასეთი გარჩევა არ არსებობს და მრავალი სხვა.



ჯერ კიდევ პ. უსლარმა მიუთითა ამ ენათა, გასაოცარი სხვადასხვაობის მიუხედავად, ღრმა საერთო ნიშნების არსებობაზე. ეს მისი მოსაზრება გამართლდა. რაც უფრო ღრმად მოხერხდა თითოეული ამ ენობრივი ერთეულის (აქ ქართველური ენებიც შემოდის) ისტორიაში შეჭრა, მით უფრო ახლო აღმოჩნდნენ ისინი ერთმანეთთან.

ზემოთ დასახელებული დიდი სხვაობები დადასტურდა არა მხოლოდ ენათა ჯგუფებს შორის, არამედ სრულიად უდავო ახლომონათესავე (ზოგჯერ მხოლოდ დიალექტურად დამორბეულ) ენობრივ ერთეულთა შორისაც, რაც აშკარად ხდის ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის განვითარებაში მომხდარ დიდ ცვლილებებს (ამ მრავალრიცხოვან ენათა ჯგუფებში).

გაირკვა, რომ მთელი რიგი ბგერები მეორეული წარმონაქმნია და ამოსავალში შედარებით მარტივი საერთო ფონოლოგიური მოდელი უნდა გვექნოდეს. გაირკვა, რომ „ვი“ და „რა“ გრამატიკული კლასები იბერიულ-კავკასიურ ენათა ყველა (ოთხ) ჯგუფს (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ახასიათებდა. იგი იცვლებოდა, ხან სამად, ოთხად იქცეოდა, ხანაც მცირდებოდა, ისევე ორზე დადიოდა, ან სრულადაც მოაშალა.

ზნის პიროვანი უღვლილება (მაგ., ქართველური, ადიღური, ენებისა) შედეგია შერეული კლასოვან-პიროვანი უღვლილებისა, რომელსაც თავის წირივ ამოსავალში კლასოვანი უღვლილება ახასიათებდა.

დაწვრივებული ბრუნება მეორეულია და ისიც კლასოვან ბრუნებას ეყრდნობოდა. ამის ნაშთები შემორჩენილია დღემდე.

გარდამავალი ზნა ნეიტრალური ბუნებისა იყო; ამოსავალში გვარები არ არსებობდა, გვართა დაპირისპირება წარმოიქმნა მოგვიანებით რიგი სხვა ზნურ-კატეგორიების ნიადაგზე.

გარდამავალი ზნა ლაბილური კონსტრუქციისა იყო. ერგატული კონსტრუქცია ერთნაირად ახასიათებდა ყველა ჯგუფს და მრ. სხვა.

გამოვლენილ იქნა მატერიალურად საერთო ელემენტებიც სხვადასხვა ჯგუფის ენებში.

ინსტიტუტის მეცნიერთა სპეციალურ გამოკვლევებში გამოვლენილ და დახასიათებულ იქნა ის სიძნელებები, რაც თავს იჩენს რთული ფონეტიკური სისტემებისა და პროცესების მქონე იბერიულ-კავკასიურ ენებში და რაც დაბრკოლებად ეღობება მათ შორის რეგულარული ხასიათის ბგერათმეცნიერების წარმოჩენას. ამავე დროს იმავე სპეციალისტთა ძიებებმა გაფანტეს აღნიშნულ ენათა ჯგუფებს შორის ბგერათმეცნიერებისა არსებობის თაობაზე შექმნილი ეჭვი. სწორედ ჯგუფთა შორის დადგინდა ბგერათმეცნიერების დიდი სავსებე ის, რომ ბგერათმეცნიერების თაობაზე იქნა მთის იბერიულ-კავკასიური ენების ქართველურ ენებთან. იმ ენათა ჯგუფთან, რომლის ნათესაობა იბერიულ კავკასიურ ენათა ჯგუფებს შორის ყველაზე საცილობლად მიჩნედათ ხოლმე.

უკვე ჩატარებული ფართო და გაღრმავებული კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, რომელიც წარმოადგენს მეცნიერულ სისტემას კავკასიის ძველ ბინადართა ოთხი ენობრივი ჯგუფის (ქართველური, აფხაზურ-ადიღური, ნახური, დაღესტნური) ენობრივი სტრუქტურის, ისტორიისა და ნათესაობის შესახებ.

ბუნებრივია, რომ ჩატარებული მუშაობის წყალობით თბილისი იქცა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის აღიარებულ ცენტრად. ამის შედეგი იყო, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების წინადადებითა და დადგენილებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, კერძოდ, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ბაზაზე, დაარსდა საერთო საკავშირო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადული“, რომლის მთავარი რედაქტორობა დაევალა არნ. ჩიქობავას.

აღნიშნული „წელიწადული“ 1974 წლიდან მოყოლებული სისტემატურად ქვეყნდება. სამი ნომერი უკვე გამოვიდა, მეოთხე იბეჭდება. მასში ჩვენი რესპუბლიკის სპეციალისტთა გარდა მონაწილეობას იღებენ სპეციალისტები იბერიულ-კავკასიური ენების ყველა საკვლევი ცენტრიდან (მოსკოვი, ლენინგრადი, ბაქო, მახაჩყალა, გროზნო, ორჯონიკიძე, ნალჩიკი, მაიკოპი, ჩერკესკი...).

მასში ასახავს პოვნებს ის მასალაც, რაც იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ-შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილ რეგიონალურ სესიებზე განიხილება ხოლმე. ასეთი რეგიონალური სესიები სისტემატურად ყოველ ორ წელიწადში ტარდება სხვადასხვა რესპუბლიკაში.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადულის“ უკვე გამოსულმა სამმა ტომმა მიმდინარე წელს ენისა და ლიტერატურის განყოფილების წლიურ სხდომაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა (ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს მდივნის აკად. მ. ხრაპჩენკოს შემეჯამებულ სიტყვაში).

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დასკვნები მოპოვებული მრავალრიცხოვანი მეტად თავისებური აგებულების ენათა შესწავლის ნიადაგზე უაღრესად ფასეულია ზოგადი ენათმეცნიერების თეორიისათვის და ამდენადვე გასაგებია ის დიდი ინტერესიც, რასაც მის მიმართ იჩენენ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი აღიარებული კერაა ენათმეცნიერების ზემოგანხილულ დარგებში სპეციალისტების მომზადებისა (როგორც რესპუბლიკის მასშტაბით, ისე საერთოდაც). აქ მომზადდა და დაცულ იქნა ათეულობით სადოქტორო და ასეულობით საკანდიდატო დისერტაცია.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერული დონისა და პოტენციალის დასტური ისიც არის, რომ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მას დაუმტკიცა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭო როგორც ქართულ-ქართველური, ისე სხვა კავკასიური ენებისა და ზოგადი ენათმეცნიერების პროფილით.

ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოლექტივს უკვე მიღწეული შედეგები ავალებს კიდევ უფრო ეფექტიანად წარმართოს თავისი მუშაობა მომავალში.

## ილია ჭავჭავაძის დბზდმბის 140 წლისთავი

გურამ კანაშვა

### ილია ჭავჭავაძე და თანამედროვეობა

შრომის მხსნელი ძალა, გონებრივი გარჯისა და მოქმედების დინამიკა ილია ჭავჭავაძეს საუკუნის ძახილად, ისტორიული არსებობის მოსაპოვებელ იმპერატივად აქვს მიჩნეული. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის დონისა და სიცოცხლის მიმცემი!“... მთელი ქართული შემოქმედებითი ნებისყრდნა მოცემული ამ ცნობილ ფორმულაში. გონებრივი ძალების ამოძრავება, შრომის ახსნა და მოქმედების სახალხო გაქანება — მის ცნობიერებაში უმაღლეს ეროვნულ სიქველესთანაა დაკავშირებული.

განსაკუთრებულია ილიას შემოქმედებაში შრომის განმასპეტაკებელი უნარი, რომელმაც მაღლი უნდა სცხოს მაშვრალის მეტყველ ნაკეთებს და შექნას ქართველი კაცის ზნეობრივი სახის იკონოგრაფია. არა მარტო სულიერი შრომა, არამედ საერთოდ შრომა მასთან რელიგიური რიჯის სიწმინდეს, ოფლით განზანო, ზნეობრივად განმწმენდ ნიქს შეიცავს. თავისუფალი შრომა ილიას ზნეობრივ ხედვაში ადამიანის ყოფიერებისთვის აზრის მიმნიჭებელია, დედამიწაზე ქართველი კაცის დაუმარცხებლობის ერთადერთი ალბათობაა.

იგი აღტაცებულია ერთი ძველი, მართლაც უჩვეულო, ქართული ფრესკის ზნეობრივი შინაარსით, რომელზეც ღვთისმშობელს წინ მატყლის ფთილები უდევს, ხელში თითისტარი უპურია და ამ მატყლს ართავს; ფრესკის მეორე მხარეს კი ღვთისმშობელს სიყვარულის ღიმილით შესცქერის ყრმა იესო, ამ განუმეორებელი ფრესკის აღწერილობა, რომელიც ილიას ორ სხვადასხვა წერილში მოაქვს, ეკლთენის XIX საუკუნის ცნობილ მღვდელმთავარს, გაბრიელ ეპისკოპოსს, მისი დასაფლავების დღეს ილიამ წარმოთქვა: „რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დავერჩენოდა, რომელიც მან გვიღადა და ერთს თავის დაუეწყარ ქადაგებაში და სხვა არა-რა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავეარგეთ, „მე თითონ არ მინახავსო, — ამბობს იგი (გაბრიელ ეპისკოპოსი გ. კ.), — ხოლო გამოგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად-ძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმინდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალთ მენახაო!“ — ჰნატრულობს ამ საუტყოვო ხატთ აღტაცებული მღვდელმთავარი: — „მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა (მხარეს) საღმრთოსა მისის ხასიათისასა და უდიდესსა პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემო“

რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ისრეთი ხატი ყოვლად-წმიდისა, რომ ერთ-კერძო მისსა იდგეს და შესცქეროდეს მას სიყვარულის ღიმილითა ღვთაებრივი მისი ყრმა, ხოლო თვით ხელთ ეპყრას მატყლი და ტარი და სახესა ზედა ღვთაებრივსა გამოყვანილი იყოს ის ღვთაებრივი სიწმინდე, სიმშვიდე და სიყვარული, თვალთა



შინა მისთა ბრწყინვიდეს ის უფსკრული გონიერებისა და კრძალულე მსახურისა. მეღნი წარიტაცებენ კაცის გულსაო. ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო!“

საკმაოა, — დასძენს ილია, — ეს მოკლე, მაგრამ ღრმად გაბრძნობილი სიტყვა, მღვდელმთავრის ბავეოვან წარმოთქმული, რომ კაცმა წარმოიდგინოს მთელი სულიერი ახოვანება და სიბრძნე მისი... ბევრი რამ არის ნათქვამი შრომისა და გარჯის გაბატონებისათვის, მაგრამ ამისთანა ქებათა-ქება შრომისა შესაძლოა ნხოლოდ იმისათვის, რომლის ბავითაც თითონ ღმერთი მეტყველებს“.

ამას გარდა, ილია თვლიდა, რომ სარწმუნოება ეროვნული კონსოლიდაციის სკოლაა და მის გარეშე ერს ერთი შენადგენელი ნიშანი დააკლდებოდა, ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ სარწმუნოება ადამიანის ინტიმში იკიდებს ფეხს და იქ მკვიდრდება, რომ რელიგიური გრძნობა — ინტიმური გრძნობაა. მას გავონილი ექნებოდა, რომ ყოველ ვნების კვირას არაერთ ღრმად მორწმუნეს ხელისგულებზე სისხლის წვეთები გამოეყონება.

ილია ჭავჭავაძემ არ დაუტარა ქართველ ხალხს ამ უნიკალური ქართული ფრესკის აღწერილობა, რომელშიც ჩანს, თუ რელიგიური გრძნობა რამდენად მახლობელია უბრალო ქართველი კაცისათვის. რელიგიური განცდა ინტიმურ ჩამწვდომობასთან ერთად, გლეხის კერასთან და წარმოდგენებთან მიახლოებული, აგრეთვე შინაურულ და ყოფით იერსაც იღებს.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებიდან ჩვენ შემოგვყურებს, პირველ ყოვლისა, მისი მძლე ინდივიდუალობა. თვალს გვჭრის მისი განუყოფელი პიროვნება, ამ პიროვნების კლდოვანება „— შენ ხარ პეტრი!“ — მაკზოვარის ეს სიტყვები თანაბრად ეკუთვნის მის უტეხ ნებას, ურღვევ სულს.

მისი ინდივიდუალობა დემიურგის მრისხანე ნაკვებებისგანაა შენჯთვებული. ასეთი ნებით მოზიდული ადამიანები მატერიალებს აღნოსაჩენად მიიწვედნენ ან ახალი ფორმაციის წინამორბედი ხდებოდნენ. ილია ჭავჭავაძემ შუა ახალი ყალიბის საქართველო.

ეს მრისხანე ტალანტი, ამასთანავე, ავადაა; იგი „ავადაა საქართველოთი“ და მისი ადამიანური სიშმაგე არაერთარ დათქმულ ნორმას არ ექვემდებარება. ილია სოციალურ ინსტინქტებზე მალა ეროვნულ გრძნობას აყენებს. მან იცის ინსტინქტის მრბეველი ძალა, მაგრამ მას დიდი გრძნობის შემძვრელ ძალას უპირისპირებს.

ილია ჭავჭავაძე მუდამ აღარმულ ვითარებაში ცხოვრობდა. სავანგაშო ვითარება მისი ბუნებრივი გარემო იყო. იგი ერთპიროვნულად ებრძვის სხვადასხვა თაობას, სხვადასხვა პოლიტიკურ ბანაკს, ეროვნული დროშის გამრუდებლებს, მისსავე წოდების აღლოდაკარგულ შეილებს, რათა საკუთარი ყალიბის საქართველო, რომელიც კულტურის სფეროში მან შვა, სოციალური დემოკრატიზმის სფეროში სრულყოს. ამიტომ მან უნდა იპოვოს საკუთარ თავში შინაგანი ძალა და იგი ზევის დამნთქმელ ენერჯიას გამოიმუშაებს, რათა საშობლო მცდარი გზიდან იხსნას. იგი სტიქიონური ვნებით დააცხრება თავის ურიცხვ მტრებს და მარტვილისა და გმირის ცხოვრებას „კანონიუ-

1 ილია ჭავჭავაძე, საქართველოს მატინე, ტ. VII. ტფილისი, 1928, გვ. 122—123.

რად“ დაასრულებს: საკუთარი სისხლით გააღვივებს საკუთარი ცხოვრების საქმეს და მას ანდერძის ღირსებას მიანიჭებს.

საკუთარი პიროვნების შეუვალობა და ნაქედობა ილია ჭავჭავაძემ ზნეობრივად და ისტორიულად გაუთანაბრა საქართველოს მომავლის ბედის გამოქედვას. ამის შესახებ კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „არის რაღაც საშინელი ბედისწერა იმ გარემოებაში, რომ ათასების ტყვილი ერთმა უნდა გადაიტანოს, ათასების მაგივრად ერთია მლოცველი და ჭვარზე განსჯელის. ათასების ვარამი ერთმა უნდა იგრძნოს. ასე იყო მოსე, ასეთი იყო ბუდა, ასეთი იყო ქრისტე და ქრისტიანული სარწმუნოებაც...“

დღის ღმერთის საკურთხეველის მასთვის ღვივის ცეცხლი ჯუღში,  
 რომ ერისა მომე ვიყო კმუნებასა და სიხარულში...“

თუ ქართული მასშტაბით მივალთ ილიასთან, აქ ყველაზე უწინ მისი პიროვნება გვეცემა თვალში. არც ერთ ქართველ მწერალს დასულ საუკუნეში ისეთი ლოგიკურად გამოიჭნული და მტკიცე მსოფლმხედველობა არა ჰქონია, როგორც ილია ჭავჭავაძეს. გარდა ამისა, ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა ის, რაც მის საუკუნეში არამეტოუ არც ერთ ქართველ მწერალს, არც ერთ ქართველს არა ჰქონია, ეს იყო პიროვნება.

პიროვნება უდიდესი სამკაულია ადამიანისა, პიროვნება — დიდი და ძლიერი ხასიათის მატარებელი. მე მინდა ილია ჭავჭავაძე გამოვარჩიო მთელ ქართულ მწერლობაში სწორედ ამ ხასიათიანი პიროვნებით. ისეთ ქვეყანაში, სადაც ინდივიდუალისტური კულტურა სუსტია. სწორედ ამგვარ ქვეყანაში იშვიათია ხასიათიანი პიროვნება. ხასიათი პიროვნების კულტურის გრადაციან-უკულტურო ერს სწორედ თავის უხასიათობის მიზეზით იმორჩილებს კულტურული.

ხასიათის უდიდეს კრისტალიზაციად მოსე ითვლება ყოველ დროში, მიქელანჯელოს მოსე გრანიტის ბლოკზე მჯდარი. ერთი მისი შემოხედვა ხორც-შესხმული მრისხანებაა. თითქოს უნდა წამოდგეს და უდიდესი მუქარა მის მძლე სახის ნაკეთებზე აღბეჭდილი — ეს არის შიში მისი წამოდგომისა და ამოძრავების მიმართ აღძრული.

ილია ჭავჭავაძემაც იყო უსათუოდ რაღაც დიდი მუქარა, დიდი მრისხანება, დიდი ეთოსი დიდი წინასწარმეტყველისა. ღმერთიც დიდაკაც ირჩევს ყოველთვის თავის ურყევი ნებისყოფის ეგზეკუტორად. როგორ სჯეროდა ამ მართლაც დიდკაცს, რომ ის დიდის ღმერთის საკურთხეველის ცეცხლის მატარებელი იყო!

ამიტომაც ილია ჭავჭავაძის პიროვნება მაღლია საქართველოს გასული საუკუნის გაუხარებელ ისტორიაში“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიული ტრაგედიების ერთი მთავარი პერსონაჟია. მაგრამ ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია გავაშუქოთ იგი, როგორც ისტორიული მოვლენა. ჩვენს წერილში განვიხილავთ ილია ჭავჭავაძის რამდენიმე უმთავრეს მხატვრულ ტილოს, რომლებშიც თავმოყრილია ილიას შემოქმედებითი პრობლემეტიკის ძირითადი ნაწილი.

<sup>2</sup> კ. გამსახურდია, ილია ჭავჭავაძე, რჩეული თხზულებანი, ტ. VII, თბილისი, 1965, გვ. 235.

„აჩრდილი“ პირველი ქართული პოემაა, სადაც მთავარ პერსონაჟად იდეა გამოყვანილი. სადაც პრობლემები ქმნიან უტყუარ დრამატიზმს. სოციალური იდეა პოემაში ქართველი კაცის ბიოგრაფიულ როლს ასრულებს, ხოლო გადმოცემული ისტორიულ-პოლიტიკური სიმწვავე — ბედისწერის ღირსებისაა.

ზოგი თანამედროვე კრიტიკოსის აზრით, „აჩრდილში“ ფოკუსირდება მთელი ეროვნულ-სოციალური შეხედულებების არსენალი ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედებისა. 22 წლის ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილი „აჩრდილში“, რომელიც შემდგომ, ძირითადად, მხატვრულ დამუშავებასა და დახვეწას განიცდის, თანმიმდევრულად და მეთოდურადაა დალაგებული მწერლის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი სამოქმედო პროგრამა. ამ არცთუ დიდ მოცულობის პოემაში, ისე როგორც მისივე ავტორის გონებასა და გულში, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს მთელი ტკივილები და გამძაფრება, ტანჯვა და სასოება ჩაეტია.

„აჩრდილში“ ყურადღებას იქცევს ილია ჭავჭავაძის ერთგვარი სიახლოვე ევროპული რაციონალიზმის პრინციპებთან: გონების ყოვლადმყარობასთან, პროგრესის რწმენასთან, ბუნების შეცნობის რაციონალურ გზებთან. გონივრული იდეალები უნდა განხორციელდეს (მათი გონივრულობის გამო). პოემაში საქართველოს მისი სულიერი მეურვე, აჩრდილი, შემდეგი შეგონებებით მიმართავს: შენი საუკეთესო შვილები ცხოვრების ზოგად (ანუ ობიექტურ) კანონებს უნდა ჩასწვდნენ, უნდა ყოველდღიურობაზე ამაღლდნენ. კერძო-პირადული ცხოვრება ქვეყნის საერთო ვითარების ფონზე განიხილონო.

საზოგადოებრივი ცხოვრების ძარღვი უნდა გამოცოცხლდეს, განაგრძობს დიადი სული, და ქართველმა, „ამაღლებული ჰკვით“ თუ „მცნების ნათლით“ გონებაგასახივოსნებულმა, უნდა გამოიმუშაოს სოციალური იდეალები. უამისოდ კი იგი იმდენად დაკნინდება, რომ საკუთარი კარმიდამოს იქით ვერ იცნობს მშობლიურ ცხოვრებას, ვერ ირწმუნებს სამშობლოს აღდგენის ძალას:

ვიღრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზე-აღზიდულ, ამაღლებული  
ჰკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიბედო, შეწუხებული,  
უქმისა დრტინავით, გულის-წეითა მწარე ცრემლს დაღვრის,  
მგარამ არ ირწმუნს, წამებულო, შენს აღდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმუნობის, ეჭვის და ტანჯვის,  
ჰლადადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა.

პოემის ავტორის აზრით, ისტორიულად — კარჩაკეტილი შრომა და მონობა თითქმის ტოლფასი ცნებებია; ისტორიულად შრომა იყო ადამიანის ჩაგვრის ერთ-ერთი განსაკუთრებული ფორმა: ფეოდალიზმის საღისტური მიდრეკილება მასში მკლავნდებოდა. შრომა აღარ აკეთილშობილებდა ადამიანს და საუკუნეთა მანძილზე მისი დამორგუნველი მარწუხები მხოლოდ აწინებდა. შრომას, ისტორიულად, ილია „ქვეყნის ცოდვას“ უტოლებს:

შრომისა შვილო, მძიმე უღელი  
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად...

პოემის მიხედვით, შრომამ უნდა მოიპოვოს იმგვარი ფორმა, რომ ჩაგვრას აღარ ჰგავდეს; შრომის ცნებაში ზნეობრივი განზომილება უნდა აღსდგეს, და ბოლოს, შრომას ფართო სოციალური ღირებულება უნდა მიენიჭოს.

ფეოდალიზმის არსებითი სულისკვეთება მხვეჭელობა იყო. ილიას მომავალი საზოგადოებრივი სტრუქტურა და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური გადახალისება იმგვარად წარმოედგინა, რომ ადამიანს ძარცვის იმედით კი არ უნდა ეარსება, არამედ ყოველ ადამიანს უნდა შეეცნა თავისი მტაცებლური ინსტიტუტებისთვის, თავი შრომისთვის უნდა დაეთმო, მრბეველი ენერგია საზოგადოებრივად სასარგებლოდ გარდაექმნა, ძარცვა — სოციალურ აქტივობად გადაექცია და შრომა, „...ქვეყნად ტყვედა პერობილი, მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებული“, საკუთარი გონებრივი ძალ-ღონისა და ზნეობრივი არსების მოსაწესრიგებლად წარემართა:

„შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პერობილი,  
 მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,  
 ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
 და დასამხვერეად გამზადებულა.  
 შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
 ძღვეამოსილის ამ საუქუნის...“

ილია ჭავჭავაძეს დემოკრატიულობა ესმოდა არა კლასობრივი, არამედ ზოგადდროვნული გაგებით. ადამიანთა სოციალური გათანასწორება მისთვის, პირველ ყოვლისა, იმას ნიშნავდა, რომ ქვეყნის ყოველ წერტილსა და ნაწილში უნდა ეცხოვრა ფიზიკურად და ზნეობრივად ჯანსაღი, კანონის წინაშე თანასწორი, „ახსნილი შრომით“ გაბედნიერებულ ქართველ კაცს. თავისუფალი საზოგადოება, კანონიერების დაცვა და შრომის გონივრული მოწესრიგება არა მარტო საქართველოს ისტორიას შეუბრუნებდა სიკეთისკენ პირს, არამედ მთელს მეცხრამეტე საუკუნის კულტურულ მსოფლიოს. „მაშინ, მაშვრალთ, შენც განკაცდები, — წარმოთქვამდა აჩრდილი ავტორის სათქმელს, — წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ, სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები, არც ვის ემონვი და არც იმონებ...“

დემოკრატიულობა, რასაკვირველია, ილია ჭავჭავაძეს უმაღლესი სულიერი გაგებითაც ესმოდა, შეიძლება ითქვას, რელიგიური და ქრისტიანული აზრითაც. სულიერი, ზნეობრივი და თვით რელიგიური პოსტულატები მხარს უჭამენ მის მძაფრ სოციალურ თვალთახედვას. გერონტი ქიქოძე ამის თაობაზე წერდა: „თუ ილია ჭავჭავაძე მოწინავე ევროპულ აზროვნებას დაუყავშირდა თავისი ძირითადი იდეებით, სახელდობრ პროგრესის, ანტიასკეტური მორალის, ჰუმანიზმის, საღად გაგებული პატრიოტიზმის იდეებით, მით უმეტეს ის მას დაუყავშირდა იმ იდეით, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს მის მსოფლმხედველობასა და პრაქტიკულ მხლავაწობაში: ესაა იდეა დემოკრატიისა არა ვიწრო კლასობრივი, არამედ ფართო ჰუმანიტური და კულტურულ-ეთიკური გაგებით. მას სწამდა, რომ ჩაგრული ერების განთავისუფლება მოხდებოდა შრომის განთავისუფლებასთან ერთად, ეს რწმენა მან თავის „აჩრდილში“ გამოხატა.“

უმთავრესი საკითხი „აჩრდილისა“ ილიამ პოემის დასასრულისთვის მოიტოვა. ეს, ცხადია, თავისუფალი საქართველოს იდეაა. თუკი სოციალური ბო-

3 გ. ქ. ო. ძე, ქართული კულტურის ტრადიციები და ილია ჭავჭავაძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1958, გვ. 127.



როტებანი დაძლეული და მოწესრიგებულია, მაშინ მათგან ლოგიკური წესით გამომდინარეობს ხალხთა პოლიტიკური სრულფუნქციონირება. ილიას აზრით, ქვეყანაში, სადა პოლიტიკური უფუნქციონირება, საცა ადამიანი კაზემატში გრძობს თავს და პოლიტიკური ამინდი გამოკეთებას არ აპირებს, იქ სოციალური ბოროტებანიც კი მოხიერი ნიადაგზე მომხდარან და ზნეობრივ სიმახინჯეში გადაზრდილან. ამ მხრივ, ილიას პოეტურ მკერმეტყველებას საზღვარი არა აქვს, რადგან გრძობს, რომ რუსეთის იმპერიის ხალხმომრეობა სულიერ, ზნეობრივ და სოციალურ მანკიერებათა თაიგულად შეიკრა და გაერთიანდა. მაგრამ ილია თავისი გაუტეხელი ნებით აქაც პოულობს გამოსავალს; მისი აზრით, ხალხისა და კანონიერების მიმართ მტრული ანუ არაგონიერული კურსი საბოლოოდ განწირულია. მას, როგორც ჭეშმარიტ დემოკრატს, სწამდა ისტორიული პროგრესი, რომლის განმახორციელებლად და განმასახიერებლად ქვეყნის მატერიალური ბაზა კი არა, არამედ თავისუფალი და ბედნიერი ხალხი უნდა გამხდარიყო.

„ვერა, ვერ ჰპართონ ვერსად ერი იმა მმართველთა.  
ვისც არ აქეთ ერის სიყვარული და შეწყნარება...“

პირველად, ვგონებ, სიმონ ჩიქოვანმა შენიშნა, რომ საქართველოს თავისუფლება ილიას ვერ წარმოედგინა კავკასიის სხვა ხალხთა თავისუფლების გარეშე, ქართველი ხალხის ბედის გადაწყვეტა სხვა მეზობელ ხალხთა მიმართ სოლიდარობის გარეშე. თავის მეტად საყურადღებო წერილში „ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა“ სიმონ ჩიქოვანი წერს: „როგორც ვიცით, მოყოლებული „აჩრდილის“ ვარიანტებიდან, ილიამ ამიერკავკასიის ერების ბედნიერებას დაუკავშირა თავისი ხალხის ბედნიერება. როგორც უკრაინელი ხალხის მომღერალმა ტარას შევჩენკომ პოემა „კავკასში“ გამოუცხადა დიდი თანაგრძნობა კავკასიაში მეზობელ მთიელებს, ისე ილია ჭავჭავაძემ „აჩრდილში“ და „ქართველის დედაში“ გამოხატა კავკასიის მოძმე ხალხებისადმი სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობა. პოეტმა მთელი კავკასია წამოაყენა და ამიერკავკასიის ხალხთა ძმობას ბრწყინვალე სტრუქტურები მიუძღვნა“<sup>4</sup>.

კავკასიის ხალხთა ძმობისა და ეთნო-ისტორიული ერთიანობის იდეა არ ახალია, ძველია. იგი ლეონტი მროველის ბრძნულ პოლიტიკურ იდეას ემყარება და ახალი დროის ვითარების ამსახველიცაა: ამდენად, იგი „მარადი“ იდეაა, „მარადმწვანე“ ოცნებაა:

„როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასიისა  
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებოან?  
თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალეობა  
როდის დაადნობს დაეანგებულს დიდ ხნის ბორკილსა,  
და ქართველობა სიქადულად როდის ექნება  
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?“

„აჩრდილმა“ საბოლოო სახე მიიღო 1872 წელს. ხოლო საუკუნის მიწურულს ილია ჭავჭავაძე თავის სოციალურ იდეებსა და მიზანსწრაფვებს ბევრად უფრო იმედგაცრუებული შეჰყურებდა. მეცხრამეტე საუკუნე იწურებოდა, მთავრდებოდა ერთი დიდი ციკლი კაცობრიობის ცხოვრებისა, მაგრამ ადამიანის ბედნიერებამდე ჯერ შორს იყო. პოლიტიკური იმედები, სოციალურ-ზნეობრივი პრინციპები პროექტებად მოჩანდნენ. ამაზე წერს ილია თავის

<sup>4</sup> ს. ჩიქოვანი, ილია ჭავჭავაძის პოეტური მემკვიდრეობა, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1967, გვ. 153.

მშვენიერ სევდიან საახალწლო წერილში — მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ დღეს, უკანასკნელ საათებში (31 დეკემბერი, 1899 წელი): „წარსულმა საუკუნემ თავისი მხრით ბევრი კეთილი შესძინა ადამიანს. ხოლო საკითხავი ეს არის: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ — არა, ამოდენა სიკეთით გარემოცული და ესე წარმატებულის მეცნიერებით გაღონიერებული და გაძლიერებული? არა გვგონია.

მართალია, დღეს ადამიანი ერთობ, ღარიბია თუ მდიდარი, — უფრო უკეთ არის მოწყობილი, უფრო მეტად მოსახერხებელია მისთვის წასვლა-წამოსვლა, ქვეყნიერობასთან გამომხმარება, ქვეყნიერობასთან ურთიერთობის გაწვევა; დღეს ადამიანი უფრო უკეთ იცვანს, იხურავს, უკეთ სკამს და სვანს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მოამაველს საუკუნეს“<sup>3</sup>.

კაცთმოყვარეობის საკითხს ილია ჭავჭავაძე ემოციურ დონეზე არ სწყვეტდა. კაცთმოყვარეობა მას სამართლიან თვალსაზრისად მიაჩნდა. კაცთმოყვარეობის სამართლიან გამოვლენად თვლიდა იგი მტკიცებას, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონი უნდა გაუქმებულიყო. ეს თვალსაზრისი ყველაზე მეტად გატარებულია ილიას ერთ-ერთ მოგვიანებით დაწერილ, მეტად საყურადღებო ფსიქოლოგიურ მოთხრობაში „სარჩობელაზე“.

იმ დროის საზოგადოების უმწიფარობა და არასრულფასოვნება, საზოგადოებრივი სტრუქტურის ეგოისტური არსი ილია ჭავჭავაძემ აძლედა საფუძველს ეფექტს, რომ ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობა მიძინებულია და ყველა ბოროტება აქედან გამომდინარეობდა. ილიას აზრით, ადამიანის „სულის მღვიძარობა“, სოციალური აზრის სიფხიზლე და მოქალაქეობრივი გამბედაობა ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის კრიზისს გამოეღრღნა.

თავის მშვენიერ მოთხრობაში „სარჩობელაზე“ ავტორმა ის თვალსაზრისი გაატარა, რომ მთელი საზოგადოება პასუხისმგებელი ყოველგვარი ანომალიისათვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მის ყოველ წერტილში. ავტორის თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის გრძნობა აერთიანებს საზოგადოებას და აყალიბებს მას სოციალურ და კულტურულ ერთეულად. მაგრამ „საქმე“ ამ დეკლარაციებით არ მთავრდება. მოთხრობის სიუჟეტური ლოგიკა უფრო ღრმად იჭრება მოვლენაში. ილიას შეხედულებას იმის შესახებ, რომ საზოგადოება პასუხისმგებელია ყოველი ცალკეული ადამიანის წინაშე, ამბის განვითარებით მივყავართ იმ აზრამდე, რომ ადამიანი დანაშაუვით ადამიანის წინაშე.

ჩამოხრჩობილის ძმა სწერს მოთხრობის მთავარ გმირს, პეტრეს: „განა შენ კი ამხანავი არა ხარ ჩემის მამინაცვლისა! განა შენ კი არ დამიხრჩე ერთადერთი ძმა! განა შენ კი არ მიიყვანე ის სარჩობელამდე!“

შეილი გაოცდა, მამას ცივმა ოფლმა დაასხა.

— მე რა შუაში ვარო! — დაიძაბა კენესით და თრთოლით შეშინებულმა პეტრემ. პეტრე მთლად ცანცახებდა“.

<sup>3</sup> ილია ჭავჭავაძე, მეცხრამეტე საუკუნე, ტ. VI, ტფილისი, 1927, გვ. 7 - 8.



პეტრე ძველი ყაიდის სოფელი გლენია, მას თავი ჯერ არ უგრძობნია საზოგადოების წევრად, იგი ჯერ ბუნებასთან უფრო მჭიდრო კავშირშია, ვიდრე სოციალურ ღირებულებებთან; პეტრე „საზოგადოების“ ყველაზე პასიურ წევრთა რიცხვშია. ამდენად, მისი „დანაშაული“ თანაცხოვრების კანონებისადმი, ყოველი ცალკეული ადამიანის წინაშე — ასევე მინიმალური და „პასიურია“. მაგრამ მოხუცმა პეტრემ ესეც არ იცის. იგი უდანაშაულოდ გრძნობს თავს, როგორც ბუნება, ბუნების ერთი ნატიეხი.

იღია ჭავჭავაძეც სწორედ ამიტომ ამთავრებს თავის დრამატულ მოთხრობას იუმორისტული ფრაზით, რომელიც ირონიის ზომიერი ულუფითაა გაზავებული: „მართლა, — და ჩვენი ბებერი პეტრე რა შუაში უნდა იყოს...“

მოთხრობას აქვს სხვა (შედარებით სუსტად განვითარებული) ფსიქოლოგიური პლანიც. პეტრე აქ მთლად გაუთოელი გლეხის სულიერი ნიშნადობას არ ააშკარავებს. პეტრე, ამ შემთხვევაში, ერთი ჩვეულებრივი ადამიანია, ჩვეულებრივი ობიექტელია — საკმაოდ განვითარებული ამბიციით.

საქმე ისაა, რომ მოთხრობის ბოლო ორი მესამედი დათმობილი აქვს პეტრეს განსაკუთრებულ სულიერ განცდებს. ტრადიციულად დაკანონებულია, რომ ბეჟანის, უფროსი ძმის, ჩამოხრჩობის ფაქტს პეტრე ვერ იჯერებს თავისი ნაივური გულკეთილობის გამო, თითქოს მას ვერ წარმოედგინა ამგვარი უადამიანობის მოხდენა. ტრადიციული თვალსაზრისით, პეტრეს უცნაური განცდები სწორედ ფაქტის ამ დაუჯერებელი ხასიათითაა გამოწვეული. ჩვენი ფიქრით, ეს შეხედულება ბოლომდე სწორი არაა.

დასაშვებია ვიფიქროთ, რომ ავტორმა ეს მოთხრობა სწორედ ისე განიზრახა და მოიფიქრა, როგორც შემოსხენებული თვალსაზრისი გვეპარნახობს. ასეთ შემთხვევაში, განხორციელების პროცესში ნაწარმოებმა სრულიად ახალი და განსხვავებული ფსიქოლოგიური ნაკეთები შეიძინა და, ამდენად, ახლებური განათება მისცა პეტრეს მხატვრულ სახეს.

მოთხრობის შესაბამისი ადგილები მოწმობენ, რომ პეტრესთვის დაუჯერებელი არაა კაცის ჩამოხრჩობა და „გულიც ძალიან უწევს“ მის სანახავად: „პეტრეც ერთს ამ ჯგუფში გაერია, ერთი შევიტყო რას ყაყანებენო. აქ გაიგო, რომ ზარბაზანი გავარდება თუ არა, მახათაზედ ერთს კაცს ჩამოარჩობენო. პეტრეს თავის დღეში არ ენახა ეს ამბავი. გულმა ძალიან გაუწივა იქით.“

— ბევრი ვაი-ვაგლახი მინახავს ჩემს სიცოცხლეშიო, — სთქვა გულში, — მოდი, ერთი ესეცა ენახოო. სთქვა და გაპყვა ხალხს, მახათაზედ მიმავალს“, მოთხრობის სხვა ადგილას პეტრე თავისებურ ზნეობრივ რესიგნაციას შეუპყრია და თავის თავს ტუქსავს კიდეც იმის გამო, რომ კაცის ჩამოხრჩობის ნახვის ასეთი წადილი აღეძრა: „ჰაი, ჰაი, კაცის გული მალია, მალი ცოდვის საქმეზედ. კაცის დარჩობის სანახავად გამოუქნელ მოზვერისავით კი გამოიჩინა და!... ამ პატარა გულში რამოდენა ცოდვა და მაღლი ტრიალებს“.

ჩამოხრჩობის ადგილას მოსული პეტრე, გარეული ამ ზღვა ხალხში, მეტად მარტოდ და დაბნეულად გრძნობს თავს, სასტიკად გაუცხოებულ და განაპირებულ გრძნობას უნდა შეეპყრო იგი, თუკი მისი განცდების სფერო, არსებობდა, იმითაა შევსებული და დაკავებული, ტყუევდება იგი, თუ — არა, მას აქილიკებენ და თვალთმაქცობა ყოველივე ეს, თუ — არა. ჩამოხრჩობის შემდეგ ამ ფსიქიკურ მდგომარეობას იგი კიდევ უფრო მკრეხელურ დასკვნებამდე მიჰყავს: თუკი, რაც ნახა, მხოლოდ ოინბაზობა იყო, პეტრე ძალიან ითავი-

ლებდა, რომ ეს მართლად მოსჩვენებოდა; მაგრამ თუკი კაცი მართლა ჩამბრახვეს და პეტრეს ეს თვალთმაქცობა ჰგონია, ეგ არაფერია... „გულში დიდი ეპეი ჩაუვარდა. ეხლა მარტო იმის დარდი ჰქონდა, შეეტყო — რაში ტყუილება: იმაში, რომ ეს მართალი თვალთმაქცობაა და ტყუილი ჩამორჩობა თუ მართალი ჩამორჩობაა. სწორედ ვითხრათ, პირველში მოტყუებას უფრო ჰთაკლობდა მისი გული: აბა, თვალთმაქცობამ ტყუილი მართლად როგორ უნდა მაჩვენოს ამ დროულ კაცსაო. და მართალი კი რომ ტყუილი გამომდგარიყო, ეგ არაფერი; მაგას როგორღაც უფრო ადვილად ჰყაბულობდა ჩვენი პეტრე-მანც კი ძაან უნდოდა შეეტყო მართალი“.

ცერემონიის უჩვეულო ვითარება ქალაქად ჩამოსულ მოხუც პეტრეში უკმაობის კომპლექსს ავითარებს. პეტრეს აკვიატებულ აზრად გადაექცევა თქვი — ეს ხალხი იმისთვის ხომ არაა მოცლილი, სოფლელია და გავაბრიყვოთ. ბეჟანის ჩამოხრჩობის მთელ ეპიზოდს პეტრეს ეს აკვიატებული უკმაობის განცდა მეთოდურად გასდევს. ადამიანს ახრჩობენ, პეტრე კი თავის ამბიციას უფრთხილდება — სიმართლე რომ ვიკითხო, ხომ შეიძლება დამცონონო. „ამათ ჩემი გაბრიყვება უნდათ, სოფლელია. ჰა, პეტრე!.. თავს გაუფრთხილდი, არ გაბრიყვდე!.. არ შერცხვე ეს დროული კაცი: ამოდენა ჯარ-ჯამათის სასაცილოდ არ გაიხადო თავი. დასწყევვლოს ღმერთმა ეს ქალაქელები, კაცი თუ ქალი, რა მალე შეგატყობენ ხოლმე სოფელ კაცს, თითქო შუბლზედ გვეწეროს“.

ეს ზნეობრივი ანომალია, ეს ფსიქოლოგიური შეუსაბამობა აღწერილია როგორც გასული საუკუნის დიდ ლიტერატურაში, ისე თანამედროვე მწერლობაშიც. მისი სტრუქტურა დაახლოებით ამგვარია: ადამიანი თავის ქცევაში ადვილად უგულვებელყოფს ზოგადად მნიშვნელოვანს, თუ მას მტკივნეული პირად-კონკრეტული რამ გადაელობება. შეიძლება საუკეთესო ილუსტრაციად ამ კომპლექსისთვის გამოდგეს ტარას ბულბას მიერ ჩიბუხის ძებნა. მაგრამ ჩვენ ნიშნულად გვინდა მოვიტანოთ ლევ ტოლსტოის ცნობილი მოთხრობა „კრეიცერის სონატა“. ეს ნაწარმოები, რომელიც ნარკვევის დარად იწყება და ბოლოს ადამიანის ტრაგიზმის ტოლსტოურ ძალას აღწევს, ზემოხსენებული ფსიქოლოგიური მექანიზმით ერთგვარ ნათესაობაშია ილია ჭავჭავაძის „სარჩობელასთან“ (ეს უკანასკნელი თერთმეტი წლით ადრე გამოქვეყნდა „კრეიცერის სონატაზე“). ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, ლევ ტოლსტოიც წარუხოცელ ზადსა და სისუსტეს ხედავს ადამიანის სულის ამგვარ სტრუქტურაში.

ჩვენ გვინდა რამდენიმე შესაბამისი ადგილი მოვიტანოთ „კრეიცერის სონატადან“. პირველი შემთხვევა ეხება მემამულე პოზდნიშევის მიერ ცოლის მოკელისათვის მზადების სცენას. მომავალი მკვლელი მოგვითხრობს: „—პირველი, რაც მოვიმოქმედე, ჩემებზე გაიძირე და დარჩენილი მალაყელიან წინდებში, მივედი კედელთან — დივნის თავზე, სადაც თოფები და ხანჯლები შეკრია, და ავიღე მრუდე დამასკური ხანჯალი, სულ მთლად უხმარი და საშინლად ბასრი. ამოვიღე ის ქარქაშიდან. ქარქაში, მახსოვს, დივანს უკან გადავარდა და მახსოვს, რომ ჩემ თავს ვუთხარი: „მერე უნდა მოვნახო, თორემ გადაიკარგება“. მერე გავიხადე პალტო, რომელიც აქამდე სულ მეცვა და წინდებში დარჩენილმა რბილი ნაბიჯებით გავსწიე იქითკენ...“

მეორე ეპიზოდშიც ტოლსტოის იგივე ფსიქოლოგიური შეუსაბამობა აქვს ხაზგასმული. პოზდნიშევი ღამით თავს წაადგება საკუთარ ცოლს მუსიკოსის



საზოგადოებაში. „მინდოდა გამოვკიდებოდი მას, მაგრამ მომაგონდა, საცილო იქნებოდა წინდებში გამოვკიდებოდი ჩემი ცოლის საყვარელს, მე კი არ მსურდა სასაცილო ვყოფილიყავი, არამედ მსურდა შემზარავი ვყოფილიყავი. მიუხედავად საშინელი ვაცოფებისა, რომელმაც მე შემიბყრო, სულ სახსოვდა, თუ რა შთაბეჭდილებას ვახდენ სხვებზე და ნაწილობრივ ამ შთაბეჭდილებით ვხელმძღვანელობდი კიდევ“.

კიდევ ერთი მსგავსი ასურათი. მოკლულის და სთბოვს პოზდნიშევს, რომ იგი თავის მომავლად ცოლთან შევიდეს. პოზდნიშევისთვის ცხოვრება რიტუალია. მთავარია ამ რიტუალის სწორი აღსრულება. იგი ამაზე ფიქრობს.

— «Вася, поди к ней. Ах, как это ужасно, — сказала она.

— Пойти к ней? — задал я себе вопрос. И тотчас же ответил, что надо пойти к ней, что, вероятно, всегда так делается, что когда муж, как я убил жену, то непременно надо идти к ней. «Если так делается, то надо идти, — сказал я себе. — Да если нужно будет, всегда успею». — подумал я о своем намерении застрелиться и пошел за нею. «Теперь будут фразы, гримасы, но я не поддамся им», — сказал я себе.

— Постой, — сказал я сестре, — глухо без сапог, дай я надену хоть туфли»...

დავუბრუნდეთ ისევ პეტრეს თემას.

ინდროინდელი გლეხის სპეციფიკური კომპლექსების გარდა პეტრეს გაუხედაობას, ეჭვებით აღსვებასა და სირცხვილით გამსჭვალვას (ე. წ. დანაშაულის კომპლექსს) განაპირობებს მისი ფსიქოლოგიური გაუცხოებაც. ამ იშვიათი „სანახაობის“ შემსწრე პეტრე — აღმართული სახარობელისა და მის ირგვლივ შემორტყმული ჯარის ცერემონილის შემყურე, ხალხის გნისათ და დედაკაცების აღზნებული შეძახილებით გაბრუნებული — საოცრად გაუცხოებული ჩანს. იგი ამხნევეებს თავის თავს სხვადასხვა შეგონებით, მაგრამ რეალობის გრძნობა აქვს დაკარგული და მართლაც ვერ გაურჩევია — ახარობენ ადამიანს. თუ—არა! ამას ზედ ერთვის საკვირველი დარცხვენა ადამიანისადმი მიმართვისა, შეკითხვის მიცემისა და პეტრე მხოლოდ ბეჟანის უმცროსი ძმის წერილით შეიტყობს, რომ დღეს, შუადღისას (ზარბაზნის გასროლის ქამს) იგი შეესწრო სოციალური ბოროტების ერთი რიგითი მსხვერპლის საჭაროდ დასჯას.

მხოლოდ ზემოხსენებული ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პლანი, თავისებური ფსიქოლოგიური „მომოილობა“, ეს უმოწყალო წინააღმდეგობა ადამიანის სულისა, რაც პეტრეს ცნობიერებაში გათამამდა, — გამოტანილი ავტორის მიერ ნაწარმოების წინა მხატვრულ პლანზე, — სამწუხაროდ, არაა ჯერონად მოტივირებული და განსხვავებულ სიტუაციებში ნაჩვენები.

ენის პირველწობილი ზატოვანი ბუნების წედომის თვალსაზრისით „ოთარაანთ ქვრივის“ მსგავსი წიგნი ქართულ ენაზე არ დაწერილა. თუკი საბა ორბელიანის მემკვიდრეობით მიღებულ დიდ პროზაულ წარსულს არ გავითვალისწინებთ, მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობდა ენა ჰემარატი რეალისტური პროზის შესაქმნელად. არ არსებობდა ენობრივი ბაზა მხატვრული რეალისტური ასახვის ბაზის შესამუშავებლად (ერთი შეიშინა გარეშე წარმოუდგენელია). ქართული რეალისტური პროზის ენობრივი ძარღვი ილიას ხელით იქნა მოწახლული. „ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ“... — აღნიშნავს იგი.

„ოთარაანთ ქერივის“ ხალხური ხატოვნება, რომელიც წინ უსწრებს და თვისობრივად განსხვავებულია არტიტული ხატოვნებისაგან — არასტრუქტურულია, ორგანულია და სტიქიური ბუნებისაა. ილია ჭავჭავაძემ, ძირითადად, დიდი სარესტავრაციო სამუშაოები ჩაატარა, რათა „გაუტეხელი“, ლაპიდარული ეროვნული დერიტა ქართული ენისა საკუთარ უფლებებში აღედგინა. მისი პროზის მხატვრულ-ენობრივი სახეიანება, ამიტომ, ნატურალურია, ხალხის „ისტორიული“ მესხიერებიდან ამომავალი, მაგრამ ამას ჩვენ თუ მკვეთრად არა ვგრძნობთ, იმიტომ, რომ ეს ენა ხალხურ მესხიერებასა და ხალხურ მეტყველებაში, როგორც შესაძლებლობა, მუდამ ცხოვრობდა და არსებობდა.

ილიას პროზაში არაერთი მეტაფორა შეინიშნება, რომელიც უწინ ძველი ქართველის წარმოდგენაში ქვეყნიერების მოდელს წარმოადგენდა. განა არ უახლოვდება ძველი ქართველის მითოსურ და ასტროლოგიურ მოდელს ისეთი ხატოვანი წარმოდგენები, რომლებიც ილიას პროზაში „პეიზაჟურ“ მეტაფორებად ქცეულან? ილია „ოთარაანთ ქერივის“ განთიადის სურათს გვიხატავს: „ამოვიდა ალიონიც. დამემ დღეს კარი დაურაკუნა..“

ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიქრავდა. მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დიღამ კარი გაულო დღეს და გამოახედა“.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ ილია ჭავჭავაძეს არა მხოლოდ ჰქონდა ცხოვრების ეროვნული მოდელის საოცარი წვდომის უნარი, არამედ მათი გამომუშავება მისი შეგნებული ცხოვრების უმაღლეს მიზანსაც შეადგენდა. მის მიერ დამუშავებულ ენას, ფუნქციონალური თეალსაზრისით, გააჩნდა, როგორც მზის მანათობელ სხივებს, ყოველმხრივ მიმართული დაუსრულებელი და მრავალფეროვანი განვითარების უნარი. მის მიერ ჩატარებული ენობრივი რეფორმების აუცილებლობას იგი ხედავდა რეფორმამდელი ენის ერთგვარ სიბერწეში: განვითარებადი საწყისები მასში აღარ ჩანდა. მეცნიერების, კულტურისა და მწერლობის ვასავითარებლად იგი უქმარი აღმოჩნდა, რადგან თავად წარმოადგენდა სამწერლო ენის ცალკეობი განვითარების თავისებურ მწვერვალს, დასასრულს, ჰერს, საბოლოო მიჯნას.

ქართული არქაული მეტყველების უსაუნობაზე გერონტი ქიქოძე წერდა: ილია ჭავჭავაძემ „შეურჩივბელი ტერორი გამოუტახა დაძველებულ ორთოგრაფიას და გილიოტინაზე გაგზავნა ყველა ეს დრომოჭმული უბრჯვეილები, ჰიები და ჰოები, ეინიდან მას კარგად ესმოდა, რომ არქაული მეტყველება არქაული აზროვნების საფარი იყო. ძნელია მეორე ქართველი მწერლის დასახელება, რომელსაც ჩვენი სალიტერატურო ენა ასე გაემდიდრებინოს ხალხური გამოთქმებით, ანდაზებით და სიტყვის მასალით, როგორც ეს მან ჰქმნა „ოთარაანთ ქერივის“, „ქეათა ლალადში“ და სხვ“<sup>6</sup>.

ილიასთვის ხელშეისახებად ნათელი იყო, რომ მხატვრულობის თეალსაზრისით არსებობს და შეიძლება უფრო გაინტენსიფიცირდეს „სიძველისა“ და „ისტორიული“ თვისების შემცველი სალიტერატურო ენა ანდა ფსევდოენა, ვიდრე ეს თვისება განიცდება ხალხურ მეტყველებაში და მის ენობრივ ნორმებში. მაგრამ ილია ჭავჭავაძე არქაული ნიღბისა და ენის მისტიფიკაციის შესაქმნელად არ იბრძოდა: არ არსებობდა ეპოქალური ენა, რომელიც ზოგადქართულ და ზოგადეროვნულ მოვლენად ჩაითვლებოდა. არ არსებობდა ენა, რომელიც

<sup>6</sup> გერონტი ქიქოძე, ეტიუდები და პორტრეტები, თბილისი, 1958, გვ. 127.

დემოსს ეროვნული ცნობიერების ზედაპირზე ამოზიდავდა და ერის უმაღლეს სულიერ პროდუქციას აზიარებდა. არ არსებობდა ენა, რომელიც ქართული კულტურის გამოიღო ფრონტზე უფართოეს სამომხმარებლო საგნად იქცეოდა. როგორც ვიცით, ამ საკითხების გადაჭრა ილიამ ითავა.

ზოგადხალხური ენის უნაყოფიერები ბუნების შესახებ მსჯელობა, ცხადია, დღეს ქრესტომათიულ დონეზე ხდება. მაგრამ პავლე ინგოროყვა უფრო შორს მიდის და ენის დიალექტური შიდა სახეობებისა და დიალექტური ნაირსახეობების კეთილისმყოფლობაზე მიგვიითებებს: „ილია პირველია ქართულს მწერლობაში, რომელმაც გაბედა მიემართა თავისი იდეების გადმოსაცემად პროვინციული დიალექტისათვის, და აქ დაძლეულია უბრალო ეთნოგრაფიულობა; ილია, პოეტური სტილის ხაზით, უახლოვდება ქართული ენის პირველსათავეს. „მგზავრის წერილებში“ მოცემულია სრული ადექვატობა პოეტური იდეებისა იმ თავისებურ ძარღვიან ხალხურ ენასთან, რომელშიაც ჭერ კიდევ არ არის მოტეხილი პირველყოფილი სიძლიერე და მხატვრულ-სახეობა“<sup>7</sup>.

რა უბადლოდ სასიამოვნოა, როდესაც დახვეწილი ინტელიგენტი მწერალი ხალხურ სადა მეტყველებას მიმართავს! ილია ჭავჭავაძემ სადა ხალხური მეტყველების ფორმები და ხალხური ჩამწვდომი ინტონაცია მხატვრულ ხარისხში მოაქცია. ილია ჭავჭავაძის მოთხრობები — კულტურული პროზა, ისევე როგორც ეს, არა ნაკლები უფლებით, უნდა ითქვას საბა ორბელიანის პროზაზე.

თუკი ლიტერატურული სტილი და ლიტერატურული ენა, როგორც მხატვრული ნიღაბი და ექსპრესიული საშუალება, ვერ ითმენს უძრავობას, ერთგვაროვნებას და დროთა მდინარებაში უწყვეტ სახეცვლილებებს განიცდის, ხალხური საძირკვლები ენისა მუდმივ და მყარ კონტინუუმს შეადგენს. ეს უკანასკნელი წარუშლელია, ყოვლისმომცველი და მხოლოდ სამწერლო ცხოვრების განვითარებას კი არ მისდევს, არამედ მთლიანად ხალხის ცხოვრების მდინარებას. ერთი ფრანგის თქმისა არ იყოს, საფლავები უძრავია, აკვნები კი ირწყევიან.

ნიშნეულია, რომ ოთარაანთ ქვრივის სახელი მკითხველმა არ იცის. შეიძლება არა ნაკლებ ნიშნეული იყოს ისიც, რომ იგი ქვრივია და „ცალუღელა“.

ოთარაანთ ქვრივი პატრიარქალური საქართველოს ცოცხალი ხატია, სოფლური (ქართული) ისტორიული ცხოვრების მარადი სახეა, „მარადი გლეხია“. ოთარაანთ ქვრივი საქართველოს ისტორიის უსახელო გამირია. იგი ერის ცხოვრების ზნეობრივი ქვაკუთხედი და ერის ბიოლოგიური ძალაცაა.

\* ეს უსახელო პერსონაჟი, ოთარაანთ ქვრივი, თვით ილიას უძირო სიყვარულია ჩვენი პატრიარქალური და მამაპაპური გლეხური საქართველოსადმი. ასეთ საქართველოსთან გრძნობდა და ხედავდა ილია თავის განუყოფლობას. ამიტომ მართებულნი იყვნენ ყველა ისინი, ვინც უჩვენეს, რომ ზნეობრივად ოთარაანთ ქვრივი — ილია ჭავჭავაძეა, ილიას სულიერი პორტრეტია. რა თქმა უნდა, თავისი რკინისებური ნებისყოფით, მძაფრი ვენებიანობით, თავგადასაღებელი მოქმედებით და დაუზარელი შემტევობით ოთარაანთ ქვრივი ილიას სულიერ ავტოპორტრეტს წააგავს.

<sup>7</sup> პავლე ინგოროყვა, მგზავრის წერილები (ილია ჭავჭავაძის თხზულებათა II ტომში), ტფილისი, 1926, გვ. 313.



განა ილიას პიროვნებისა და ბიოგრაფიის ზოგადი დახასიათებისათვის გამოდგება ამგვარი შტრიხები მოთხრობიდან: „ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე“... „ოთარაანთ ქერივს ტყუილ-უბრალო ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა.

იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო“. „კაცი ვერ იტყვის, სძულდათ თუ უყვარდათ ოთარაანთ ქერივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა..“. „აკი ვამბობ, ეგ კაცი ან გიყია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი... დედაც რომ მაგისტანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს...“ ეს უკანასკნელი ფრაზა, მართალია, გიორგი ოთარაშვილზეა ნათქვამი, მაგრამ იგი ხომ თავისი დიდებული დედის ერთი ჭანსალი ნატყნია და ზნეობრივად, მასთან ერთად, ერთ მთლიანს წარმოადგენს. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას, რომ თუკი მართალია ის, რომ ოთარაანთ ქერივი ილია ჭავჭავაძის სულიერ პორტრეტს განასახიერებს, ისიც მართალი უნდა იყოს, რომ არჩილი აეტორის სოციალური იდეების რუპორს წარმოადგენს. მეორე მხრივ, როგორც გიორგი წარმოადგენს თავისი დედის მხატვრული სახის ლიტერატურულ განვრცობასა და გაგრძელებას, ისე კესოც ავსებს და სხვა სიბრტყეში იმეორებს თავის მმას, როგორც სოციალურად ვაზრებულ პერსონაჟს.

ეს თხზულება რომ ათანასი ალექსანდრიელს ეუთვნის, ამის შესახებ ცნობა სხვაგანაც იყო მოცემული. ჯერ კიდევ 1913 წელს ოლივერ უორდროპმა მოიხსენია ეს ფაქტი თავის გამოკვლევაში<sup>3</sup>, მოგვიანებით კი კ. კეკელიძემ „ეტიუდების“ V ტომში რამდენჯერმე აღნიშნა, რომ „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ავტორი ათანასი ალექსანდრიელია<sup>4</sup>.

ა. ხახანაშვილი, ო. უორდროპი და კ. კეკელიძე, ალბათ, ეყრდნობიან „ცხოვრების“ ბოლოში მოთავსებულ ცნობას: „და დაწერა ცხოვრება ესე და დადგა აშბა ათანასი ალექსანდრიელ წმიდამან პატრიარქმან“ (305v). ასევეა A-249 ხელნაწერშიც.

თხზულების მთავარი მოქმედი პირები — სტეფანე და ნიკონი — ათანასი ალექსანდრიელის (295—373 წწ.) თანამედროვენი არიან, ასე რომ, IV საუკუნეში ცხოვრობდნენ. ამ ნაწარმოებშიდანაც კარგად ჩანს, თუ რა დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა ათანასის თავის თანამედროვეებზე, რაკი ალექსანდრიელმა მამებმა სწორედ ის შეარჩიეს სტეფანესა და ნიკონის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

„ცხოვრებაში“ რამდენიმე საყურადღებო ფაქტია დასახელებული, რომლებიც ნაწარმოებში აღწერილი ამბების დროისა და ადგილის განსაზღვრაში დაგვეხმარება. მაგალითად, ნიკონი რომელია, სტეფანეს შესახებ კი ნათქვამია, რომ იგი იყო „სხუსა ქუეყანისა“. ერთმანეთს ისინი იერუსალიმში შეხვდნენ. 47 წელიწადს ცხოვრობდნენ მონაზვნები ერთმანეთის გვერდით. სად? დარწმუნებით ამის თქმა ძნელია, დაახლოებით კი შესაძლებელია მათი ადგილსამყოფელის განსაზღვრა. კერძოდ, სავარაუდოა, რომ ისინი ეგვიპტის ტერიტორიაზე დაემკვიდრნენ, შესაძლოა სინის მთის მახლობლადაც, ამასთან, რაც განსაკუთრებით უნდა გაიხაზოს, ერთი კვირის სავალზე ალექსანდრიიდან: რადგან, ერთი მხრივ, ნიკონმა 21 დღეს იშინიშნა განხეთქილების ჩამოვარდნიდან სტეფანესა და მსაჯულების უკან დაბრუნებამდე, მეორე მხრივ კი, ათანასიმ 6 დღეს გააჩერა თავისთან ალექსანდრიელი მამები. ასე რომ, სტეფანესა და ნიკონის ადგილსამყოფელიდან ალექსანდრიაამდე და უკან დაახლოებით ორი კვირის სავალია, ერთი მიმართულებით კი ერთი კვირის გზა გამოდის. რა თქმა უნდა, ეს ანგარიში მიახლოებითია, მაგრამ მაინც უსათუოდ მხედველობაშია მისაღები.

<sup>1</sup> А. Х а х а н а ш в и л и, Грузинские рукописи Британского музея: Древности Восточные. IV, Москва, 1913, гл. 5—14.

<sup>2</sup> „მამათა ცხოვრებანი“ (ბრიტანეთის მუზეუმის ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა), თბ., 1975, გვ. 256-261.

<sup>3</sup> J. O. Wardrop, A Catalogue of Georgian Manuscripts in the British Museum, წიგნი: A Catalogue of Armenian Manuscripts in the British Museum, by F. C. Conybeare, London, 1913, გვ. 400.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, V, თბ., 1957, გვ. 10, 137.



რატომ მაინცდამაინც ეგვიპტეში? ბრიტანულ ვერსიაში ნათქვამია: „და იყო მამის სიხარული დიდი მამათაჲ, და აღიდგებდეს ღმერთსა და იტყოდეს: არაოდეს ყოფილ არს ქუეყანასა მას ეგვიპტისასა ესევეთარი საკურველი“ (304v). ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს მოქმედება ეგვიპტის ტერიტორიაზე ხდებოდა. ეს სიტყვები ეგვიპტელ მამებს სხვაგანაც შეეძლოთ ეთქვათ, მაგალითად, სირიაში ან პალესტინაში. მაგრამ აქ უნდა მოვიშველიოთ თბილისური ვერსია, რომელშიც შესაბამის ადგილას „ქუეყანასა ამას ეგვიპტისასა“ წერია. ეს კი მდგომარეობას ცვლის და მოქმედების ადგილად სწორედ ეგვიპტეს ასახელებს, სხვა მხარეს გამოირიცხავს. მამასადამე, სტეფანესა და ნიკონის ცხოვრება 47 წლის განმავლობაში ეგვიპტის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

თხზულებაში მოხსენიებულია ანტონი თებაიდელი და აგრეთვე „ანტონის ცხოვრებაც“, რომელიც, როგორც ფიქრობენ, 357 წელს დაიწერა. რაკი თვით ათანასი 373 წელს აღესრულა, ამიტომ „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრებაში“ მოთხრობილი ამბები 357—373 წლებს შუა უნდა მომდარაიყო. 373 წელს ათანასი 78-ე წელში იყო გადამღარი და ძნელი დასაჯერებელია, ასეთ ასაკში უცნობი მონაზვნების კონფლიქტის მოსაგვარებლად ესოდენ შორეულ მოგზაურობაზე დათანხმებულიყო. უფრო სარწმუნო იქნება, თუ ვივარაუდებთ, რომ მოქმედება IV საუკუნის 60-იან წლებში მიმდინარეობს. პერიოდი 360 წლამდე, ალბათ, უნდა გამოირიცხოს, რადგან „ანტონის ცხოვრება“, ფიქრობთ, 2—3 წელიწადში ისეთ პოპულარობას ვერ მოიხვეჭდა, მისგან იმდენი პირი გადაეღოთ, რომ ალექსანდრიიდან მოშორებით, სადღაც უკიდური უდაბნოში აშენებულ სენაკებში, საკითხავ წიგნად გამსდარაიყო. ასეთ აღიარებას ხომ წლები სჭირდებოდა!

ნაწარმოების დათარიღებაში შეიძლებოდა გადამწყვეტი სიტყვა ეთქვა „ბარსენარაქ ბრძენის“ ვინაობის დადგენას. ამგვარი პიროვნება არსად აღინიშნულ წყაროებში მოხსენიებული არაა. ბელგიელი მეკლევერის მ. ესბროკის დახმარებით საბოლოოდ გაირკვა, რომ „ბარსენარაქ“ (ან, თბილისური ვერსიის მიხედვით, ბარსენაქ) მომდინარეობს „ბარ ზირაქ“-ისაგან, რაც სირიული შუაღმერთის საფესურია ძველი აღთქმის წიგნების ცნობილი გმირის სახელისა<sup>5</sup>. სხვათა შორის, აღნიშნული ქართული ფორმები მეტად მნიშვნელოვანი დასაკენის გაკეთების საშუალებას იძლევა, სახელდობრ: ჩანს. ქართული თარგმანი რომელიღაც სემიტური ორიგინალიდან მომდინარეობს. თუ, კერძოდ, რომლიდან, ამ საკითხს ჭეղჭერობით ღიად ვტოვებთ, მაგრამ ალბათ სირიული ან არაბული უნდა ყოფილიყო პირველწყარო.

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი ნათელია და საკამათო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ არის რამდენიმე მომენტი, რომლებიც გარკვეულ დაბრკოლებას ქმნის.

საქმე ისაა, რომ ათანასი ალექსანდრიელის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა გამოწველილგითაა შესწავლილი და არსად, არც ერთ გამოკვლე-

<sup>5</sup> ნავულისხმეია *Σοφία Σιραξ* (წიგნი ისო ზირაქისა). შდრ. ხელნაწერში არსებული „ორნივე სამართალსა ზედა ჰბრძოდეს ერთერთსა, ვითარცა-იგი თქუა ბარსენარაქ ბრძენისა: ჰბრძოდე ქეშმარტებისათჳს ვიდრე სიყვდილმდე, რამეთუ უფალი ჰბრძოდის შენ წილ“ (302v) და „სიკუღლიამდე იღუაჳე ქეშმარტებისათჳს, და უფალმან ღმერთმან ბრძოს შენ წილ“ (ისო ზირაქ 4,32. ბერძნული ბიბლიის მიხედვით კი 4,28).

ვაში ეს თხზულება მის ნაშრომებს შორის მოხსენიებული არაა<sup>6</sup>. უფრო მეტიც, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრებას“ არ იცნობს არც ბერძნული, ლათინური, სირიული, არაბული, სომხური, რუსული... წყაროები. ეს თხზულება, თუ ქართულ ტექსტს არ მივიღებთ მხედველობაში, სრულიად უცნობია მეცნიერებისათვის, ყოველ შემთხვევაში, იგი არსად არაა მოხსენიებული.

ძნელი ასახსნელია, თუ როგორ მოხდა, რომ ათანასის, ასეთი სახელგანთქმული მწერლისა და მოღვაწის, თხზულება, რომელსაც ამასთან ერთად თავისი შინაარსის წყალობით იმ დროისათვის უსათუოდ გარკვეული მნიშვნელობაც ექნებოდა ქრისტიანულ სამყაროსათვის, ასე უკვალოდ დაიკარგა და მეტად თუ ნაკლებად ცნობილ რომელიმე ენაზე მცირეოდენი ცნობაც კი არ შემოგვენახა.

მარტოოდენ ეს არაა ისეთი არგუმენტი, რომელიც ათანასის ავტორობაში ეჭვს შეგვატანინებდა. გასათვალისწინებელია სხვა გარემოებებიც, განვიხილოთ ზოგიერთი.

თხზულება მესამე პირშია დაწერილი. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ათანასი კი არ ლაპარაკობს თავის თავზე, არამედ ვიღაც სხვა გვიამბობს მის შესახებ. მესამე პირში თხრობა რამდენადმე მოულოდნელიცაა, რადგან სტეფანე და ნიკონი ათანასის თანამედროვეები არიან, ათანასი არის უშუალო მხილველი და მონაწილე მათი განსჯისა და მას არაფერი შეუშლიდა ხელს, პირველ პირში დაეწერა თავისი ნაშრომი. ზედმეტი არ იქნება გავისხენოთ, რომ მისი სხვა ცნობილი თანამედროვის, ანტონი თებაიდელის, „ცხოვრებაში“ ათანასი თავის თავზე პირველ პირში ლაპარაკობს. მოვიგონოთ VI საუკუნის გამოჩენილი ჰაგიოგრაფი კირილე სკვითოპოლელიც, რომელიც აგრეთვე პირველ პირში მოგვითხრობს საკუთარი თავის შესახებ (მაგალითად. ევთვიმის, კვირიაკოზისა და საბას ბიოგრაფიებში).

ვფიქრობთ, ათანასის ავტორობას საეჭვოდ უნდა ხდიდეს შემდეგი ფრაზები: „პრქუა ამბა ათანასი ეპისკოპოსმან სტეფანეს“ (302v); „და მესამესა ღამესა გამოეცხადა უფალი წმიდასა ამბა ათანასის და ჰრქუა მას“ (305r); „ხოლო ამბა ათანასი ეპისკოპოსი უთხრობდა მამათა, რომელი-იგი უბრძანა მას ქრისტემან“ (305v); „ხოლო პატრიარქმან დააყენა მის თანა ძმანი იგი და მამანი ვიდრე ექუს ღღემღე“ (302r) და სხვ. ათანასი რომ იყოს ავტორი, იტყუოდა: „გამომეცხადა მე უფალიო“.

თვალშისაცემია ის ფაქტიც, რომ ამბები, რომლებიც ათანასი აღექვანდრიელს უყავშირდება, არაა ჯეროვანი სისრულით, დაწერილებით აღწერილი. თხზულებაში არაა ისეთი დეტალები, რომლებიც ათანასის ავტორობას უცილობელს გახდიდა, არაა გამოწველილვით მოთხრობილი, თუ როგორ მიიღო ათანასიმ აღექვანდრიელი მამები, როგორ შეკრიბა ეგვიპტელი მამები და ეპისკოპოსები, როგორ იმოგზაურეს სტეფანესა და ნიკონის ადგილსამყოფელისაკენ და ა. შ. ეს ცნობები ძალზე ძუნწად და ზედაპირულად არის მოცემული. ჩანს, ავტორს ამ ამბებთან დაკავშირებული მასალები არ გააჩნდა, თორემ უსათუოდ გამოიყენებდა მათ.

<sup>6</sup> იხ. მაგალითად, უკანასკნელი დროის კაპიტალური გამოცემა: M. Geerard, *Clavis patrum Graecorum (Corpus Christianorum)*, II, Brepols-Turnhout, 1974, გვ. 12—60 (№№ 2090—2309).

ნაწარმოების სტილი არ შეეფერება აღრიხდელი „ბიოგრაფიებისათვის“ დამახასიათებელ მკაცრ ტონს. სხვათა შორის, ამ ნაწარმოებს მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს „ბიოგრაფია“; მას უფრო დამრიგებლობითი ამბავი ან გაშლილი ამოფთვება მოუხდებოდა სახელად, როგორც ერთ პირად წერილში აღნიშნა ფ. პალკინმა.

ათანასის მოღვაწეობის დროს ძნელად უთავსდება ის გარემოება, რომ სტეფანე და ნიკონი 47 წელიწადს უდაბნოში განმარტოებით ცხოვრობდნენ. ათანასი 373 წელს გარდაიცვალა, აქედან კი ვამომდინარეობს, რომ ორივე მონაზონი ჯერ კიდევ ქრისტიანობის მდევნელის, ლიციხიუსის, მეფობის პერიოდში (308—324 წწ) უნდა მისულიყო იერუსალიმში და იქ ერთი თვის განმავლობაში უშფოთველად უნდა ეცხოვრათ სენაკებში, რაც ნაკლებად სარწმუნოა.

მგდვლობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ „ანტონის ცხოვრებაში“, რომელიც ნამდვილად ათანასის დაწერილია, ათანასი ორჯერაა მოხსენიებული ასეთნაირად: „ათანასის ეპისკოპოსსა მიეცით“, „აღიწერა ათანასისგან ეპისკოპოსისა ალექსანდრიელისა“. „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრებაში“ კი ათანასის სახელის გვერდით სისტემატურად იხმარება „ამბა“, რამდენჯერმე ათანასი ეპისკოპოსად არის მოხსენიებული, ხოლო ორჯერ პატრიარქად იწოდება. ეს მეტად საყურადღებო მომენტიცაა, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურადან არის ცნობილი, „პატრიარქის“ ტიტული ალექსანდრიელმა ეპისკოპოსებმა პირველად მხოლოდ V საუკუნეში მიიღეს<sup>7</sup>. აქი „ანტონის ცხოვრებაშიც“ ათანასი თავის თავს ეპისკოპოსად ასახელებს! ისიც უნდა გვაითვალისწინოთ, რომ ათანასის დროინდელ წყაროებში იგი თანამედროვეების მიერ მოიხსენიება როგორც *ἐπίσκοπος*, *συνεπίσκοπος*, *συλλειτουργός*, *παπὰς*, *ἀρχιεπίσκοπος*, მაგრამ არასოდეს როგორც *πατριάρχης*. ეს ბუნებრივია, რაკი მაშინ ეს ტიტული ჯერ კიდევ არ იყო შემოდებული მთავარეპისკოპოსთა მიმართ. ათანასის პატრიარქად მოხსენიება აგრეთვე ექვს ქვეშ აყენებს მის ავტორობას და გვაიძულებს, ანონიმი ავტორი უფრო მოგვიანო ხანაში ვეძებოთ.

ფიქრობთ, „ცხოვრების“ ავტორი ეგვიპტის ან პალესტინის უდაბნოთა მონაზვნებში უნდა იქნეს მოძებნილი. რაკი ათანასის მოღვაწეობის პერიოდი ამ თხზულების შექმნის თარიღად გამოიციხულია, შესაძლებლად მიგვაჩნია „ცხოვრების“ შეთხზვის დროდ V—VI საუკუნე წამოვაცენოთ. უცნობმა ავტორმა თავისი თხზულების შემქმნელად ათანასი ალექსანდრიელი იმიტომ დაასახელა, რომ ამ უკანასკნელს მეტად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა და ამით ავტორმა თავის თხზულებას აპრიორი დიდი სახელი და ღირსება მოუპოვა. „ცხოვრების“ სტილიც ახლოს დგას VI საუკუნის მახლობლად შექმნილ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა თხრობის მანერასთან. უფრო გვიანი თარიღი სადავო იქნებოდა თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ ავტორი მოიშველიებდა ისეთი განთქმული ჰაგიოგრაფების სახელს, როგორც იყვნენ, მაგალითად, კირილე სკვითობოლელი, იოანე მოსხი ან ლეონტიოს ნეაპოლელი (resp. ნიკოპოლე-

<sup>7</sup> შტრ. Γ. Κονιδάκη Γενική 'Εκκλησιαστική 'Ιστορία. 'Αθήνα, 1957. გვ. 375; V. Laurent. Le corpus des sources de l'empire byzantin. V. 2, Paris, 1965. გვ. 347; Μητροπολίτου Σάρδεων Μαξίμου, Τὸ Οἰκουμηνικὸν Πατριαρχεῖον ἐν τῇ ἱερουσόλῳ 'Εκκλησίᾳ, Θεσσαλονίκη, 1972. გვ. 50 (№ 3 შენიშვნითურთ).

ლი). როგორც ჰაგიოგრაფი, ათანასი გაცილებით ნაკლები ავტორიტეტი სწორედ კირილე სკვითობოლელთან შედარებით და, ვფიქრობთ, სწორედ ეს უკანასკნელი უნდა მოეშველებინა ანონიმ ავტორს თავისი თხზულებისათვის უფრო მეტი სახელის მოსაპოვებლად. კირილე კი, როგორც ცნობილია, 558 წლის მახლობლად უკვე აღარ ჩანს სამწერლო ასპარეზზე, ყოველ შემთხვევაში, VI საუკუნის 60-იანი წლებისათვის მას არ მიუღწევია. ამდენად, „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ავტორი კირილეს თანამედროვე მაინც უნდა იყოს, თუ უფროსი არა.

შესაძლებლად მიგვაჩნია მეორე ვარაუდის დაშვებაც: თავდაპირველად ავტორმა თავის სახელთან ერთად ათანასის სახელიც მიაწერა თხზულებას. მაგრამ დროთა განმავლობაში სახელგანთქმული მთავარეპისკოპოსის სახელმა დაჩრდილა ნამდვილი ავტორის შედარებით უცნობი სახელი, ჭერ მეორე პლანზე გადაწია, შემდეგ კი საერთოდ ჩამოიცილა გვერდიდან. კოლექტორი ავტორობა კი სრულებითაც არაა უჩვეულო მოვლენა ძველ მწერლობაში. გავიხსენოთ თუნდაც სოფრონიუსი და მისი მეგობარი იოვანე მოსხი, რომლებმაც საერთო ძალით შეთხზეს „იოვანე მოწყალის ცხოვრება“<sup>8</sup>.

საქიროდ ვთვლით ერთი გარემოების აღნიშვნასაც. პარიზის მუზეუმში დაცულ № 1596 ბერძნულ ხელნაწერში, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული და შეიცავს მოკლე ამბებს IV—VII საუკუნეების მეუღაბნოეთა შესახებ, 437-ე ფურცელზე მოთხრობილია ვინმე ნიკონის შესახებ, რომელიც სინის მთაზე ცხოვრობდა. ნიკონს დაბეზღების საფუძველზე ბრალად თავის, თითქოს მან ერთი ერთი ფარანელი ქალიშვილი შეაცდინა. ნიკონს თავი არ უმართლებია, მორჩილად იხსოვებოდა ცოდვის მონანიება. იგი სამი წლის ვადით განდევნეს კრებულისაგან. ამასობაში ქალიშვილის ნამდვილმა შემცდენელმა აღიარა თავისი დანაშაული და ხალხმა გადაწყვიტა ნიკონისთვის მოეხსნა სასჯელი. თუმცა ნიკონს აპატიეს, იგი მაინც გადასახლდა ამ მხარიდან სხვაგან<sup>9</sup>. აღსანიშნავია, რომ ამ სახის გაუმართლებელი ბრალდების მოტივი ძველ მწერლობაში სხვაგანაც გვხვდებოდა<sup>10</sup>.

საფიქრებელია, რომ „სტეფანესა და ნიკონის ცხოვრების“ ავტორმა ერთი ამგვარი ამბავი გამოიყენა თავისი თხზულების წყაროდ. აქ ისიცაა ნიშანდობლივი, რომ ჩვენს „ცხოვრებაში“, ისევე როგორც სინელი ნიკონის ამბავში, ერთობ მცირე კონკრეტული ფაქტია დასახელებული. მარტოოდენ ალექსანდრიისა და იერუსალიმის გაკერით ხსენება ვერაფერს გვაძლევს მონაზონთა ადგილსამყოფელის ზუსტად განსაზღვრისათვის. შესაძლოა, აქაც სინის მთის მიდამოებთან გვეკონდეს საქმე. აშკარაა მხოლოდ ის, რომ მათი საცხოვრებელი ადგილი ალექსანდრიის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. იმ დროისათვის კი სინის მთის მახლობელი მხარე სწორედ ხსენებულ საპატრიარქოს ექვემდებარებოდა. მხოლოდ 451 წლიდან გადავიდა ის ახლად შექმნილი იერუსალიმის საპატრიარქოს განმგებლობაში<sup>11</sup>.

<sup>8</sup> B. Altaner, *Patrologie*, Freiburg, 1958, გვ. 202.

<sup>9</sup> L. Clugnet, *Vies et récits d'anachorètes (IV<sup>e</sup>—VII<sup>e</sup> siècles)*, *Revue de l'Orient Chrétien*, 10, 1905, გვ. 45 (BHG, III, 1448ff App. VI, 8g) შდრ. F. Nau, *Revue de l'Orient Chrétien*, 7, 1902, გვ. 609.

<sup>10</sup> მაგალითად, „სიმეონ სალოსის ცხოვრებაში“.

<sup>11</sup> H. Beck, *Kirche und theologische Literatur im byzantinischen Reich*, München, 1959, გვ. 199; V. Laurent, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 392.

V. И. ИМНАИШВИЛИ

## ВОПРОС ОБ АВТОРСТВЕ «ЖИТИЯ СТЕФАНА И НИКОНА»

## Резюме

Творчество Афанасия Александрийского фундаментально исследовано, и все его сочинения подробно описаны. Но в двух древнегрузинских рукописях помещено неизвестное в научной литературе «Житие Стефана и Никона», которое приписывается ему. Это произведение не упоминается ни на одном из известных языков.

Анализ языка и содержания сочинения позволяет заключить, что Афанасий не может являться автором этого творения. Сведение, содержащееся в заключительной части памятника — «Житие это написал Афанасий, патриарх александрийский», не может принадлежать Афанасию, поскольку он скончался в 373 году, а титул патриарха александрийские епископы впервые получили лишь в V веке. Трудно точно указать автора сочинения, однако, учитывая различные моменты, содержащиеся в памятнике, можно полагать, что это творение было создано уже в середине VI века.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

შოთა რავეიშვილი

ქართული ზღაპრის გერმანული ეპიკვალენტრი იანსენ  
 ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ (XIII ს.)

იანსენ ენიკელმა (Jansen Enikel) მივიწყებულ მწერალთა ბედი გაიზიარა. ისტორიას არ ასსოვს ზუსტად სად და როდის დაიბადა ან როდის გარდაიცვალა იგი. არც მისი საუკუნო განსვენების ადგილია ცნობილი. მასთან დაკავშირებით საბჭოთა ენციკლოპედიებში საერთოდ არაფერია ნათქვამი, ხოლო „ლუდენის დიდი ლექსიკონი“<sup>1</sup> და „ახალი ბროკჰაუზი“<sup>2</sup> გვაწვდიან შემდეგ უაღრესად მკლე ცნობებს:

ფრიად განათლებული და პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იანსენ ენიკელი თავის დროზე ცნობილი და დაფასებული პიროვნება ყოფილა. ეს ავსტრიელი გერმანელი დაიბადა 1230 ან 1240 წელს, ხოლო გარდაიცვალა ვენაში 1280, ზოგიერთის ცნობით 1290<sup>3</sup>, წელს. იგი პოპულარული „მსოფლიო ქრონიკის“ და „ავსტრიელ თავადთა წიგნის“ (Fürst'enbuch für Österreich) ავტორია. მასვე მიაწერენ მეცამეტე საუკუნის ავსტრიის ჰერცოგთა გადაშენებული გვარის „ბაბენბერგების გენეალოგიას“.

იანსენ ენიკელის ქმნილებათაგან ყველაზე მეტად პოპულარულია „მსოფლიოს ქრონიკა“ (Weltchronik), რომელიც განსაკუთრებით ცნობილი გახდა 1891 წლის პუბლიკაციით<sup>4</sup>. ზოგიერთის მოსაზრებით, იგი შექმნილია უმალ 1276 წლის შემდეგ, ზოგის ვარაუდით კი — სწორედ 1280 წელს. ერთი შეხედვით, ეს ნაწარმოებო ისტორიული ქმნილებაა, ხოლო მისი ავტორი — მემბლიანე. ნამდვილად კი „მსოფლიო ქრონიკა“ არ განეკუთვნება ისტორიული ხასიათის თხზულებათა რიცხვს და არც იანსენ ენიკელია უამთააღმწერელი. გერმანული ლიტერატურის მეკლევრები ჰელმუტ დე ბორი და რიხარდ ნეველდი თავიანთი „გერმანული ლიტერატურის ისტორიის“ მესამე ტომში<sup>5</sup> პირდაპირ მიუთითებენ, რომ ენიკელის წიგნი არაა „ქრონიკა“ ჩვეულებრივი გაგებით და არც მისი ავტორია ჩვეულებრივი ისტორიკოსი. თავისთავად ისტორიული ფაქტები ავტორს სრულიადაც არ აინტერესებს, მათ უმეტეს, მაშინ როცა გარდასულ დროთა მოვლენები არ ხასიათდება რაიმე დაძაბულობით. იგი ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებს სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში მცხოვრებ მეფეებს, ლეგენდების შარავანდედით გარემოცულ კარლოს დიდსა და ყოველად პროზაულ თანამედროვე მეფეს. ავტორისათვის უცნობია ისტორიის მთელი რიგი ეპოქები; წაშლილია შტაუფერთა მეუფების დროის ისტორიული მოვლენების ნიშანწყალი; ერთმანეთშია არეული ფრიდრიხ ბარბაროსა და ფრიდრიხ მეორე შტაუფერი.

<sup>1</sup> Das Große Duden-Lexikon, Mannheim, Bd. 4, 1966, 83. 474.

<sup>2</sup> Der Neue-Brockhaus, Wiesbaden, Bd. 3, 1964, 83. 7.

<sup>3</sup> Eduard Engel, Geschichte der deutschen Literatur, Leipzig, Bd. I, 1908, 83. 70.

<sup>4</sup> Monumenta Germaniae historica, Deutsche Chroniken, Abt. 1, Hannover, Bd. III, 1891, 83. 520—532 (Verse: 26677—27356).

<sup>5</sup> Helmut de Boor und Richard Newald, Geschichte der deutschen Literatur, München, Bd. III, 1967, 83. 69.



ისტორიის მისთვის უცნობი პერიოდების შეესებას თავის წიგნში<sup>6</sup> აწარმოებენ. ენიკელი ცდილობს პატარა პროზაული ქრონიკებით ან გალექსილი ამბებით. მოგონილ ფაქტებსა და შეთხზულ საგებს ეეცნობით თვით თანამედროვე მეფე ფრიდრიხ მეორეზე. ამდენად, „მსოფლიო ქრონიკა“ თავისებური კრებულთა მომზადებად მოთხრობებისა, რომელთაც არ გააჩნიათ ერთიანი სიუჟეტი და შინაგანი იდეური კავშირი. ყოველგვარ ისტორიულ ალღოს მოკლებული ენიკელი უხვადაა დაჯერებული პოეტური ნიჭით და ფანტაზიით. იგი მხატვრულად ამუშავებს ისტორიულ მასალას და ნაირგვარ სიუჟეტებს ძველი და ახალი აღთქმიდან. ენიკელის შემოქმედება თავისი დროის გერმანელთა შორის იყო უაღრესად პოპულარული და საკმაოდ ცნობილი თვით ევროპის სხვა ხალხებში.

იასნენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ გაერთიანებულ რომანტიკულ მოთხრობათაგან ამჟერად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ერთი — „რუსთა მეფის ქალიშვილი“ („Des Reussenskönigstochter“). ცალკე ნაწარმოებად იგი დაიბეჭდა ჯერ კიდევ 1850 წელს ფრიდრიხ ჰაინრიხ ფონ დერ ჰაგენის მიერ გამოცემულ „თავგადასავალთა კრებულში“<sup>6</sup>. მეკლევართა ერთი ჯგუფი ამ სიუჟეტს მიაკუთვნებს „მაისა და ბეაფლორის“ ციკლში გაერთიანებულ მოთხრობათა ჯგუფს<sup>7</sup>.

მართლაც, სიუჟეტის ანალოგიური ამბები დამუშავებულია როგორც ენიკელამდე, ასევე მის შემდეგაც. მიუთითებენ, რომ ჯერ კიდევ მეთორმეტ საუკუნის დასასრულს ინგლისში ლათინურ ენაზე შეუქმნიათ „ცხოვრება მეფე ოფი პირველისა“<sup>8</sup>.

დაახლოებით 1270 წელს საფრანგეთში ფილიპე დე ბოჰანუარს დაუწერია „მანეკინი“. სიუჟეტის ენიკელისეული დამუშავება, როგორც ვარაუდობენ, არის რიგით მესამე, რომელსაც მოსდევს 1370 წელს ინგლისელი ჰუმანისტის ჯედრი ჩოსერის იურისტის ნამზობი „ქენტერბერიული მოთხრობებიდან“.

<sup>6</sup> Friedrich Heinrich von der Hagen, Gesamtabenteuer: Hundert altdeutsche Erzählungen, Stuttgart und Tübingen, Bd. I—II, 1850, pag. 591—613.

<sup>7</sup> „მაისა და ბეაფლორის“ მოთხრობილია შემდეგი: ვერაგი მარშალი ამაო ცდილობს ინტიმურად დაუკავშირდეს საფრანგეთის დედოფალს, მან, სურვილებში გაშლილებულმა, პატროსნებაში დასრუმა ცილი სათნო ქალს. მეფის ერთგულ მეუღლეს, ვანრისხებულმა მეფემ კი, სასახლიდან გააძევა ფეხსამე ცოლი. ტყეში მოშობიბრებულმა დედოფალმა თავშესაფარი შენახსირის ქაში პოვა. ბევრი თავგადასავლის შემდეგ უკვე ქალის პატროსნებაში დარწმუნებულ მეფე მონახავს ცილ-შვილს, ბოდის მოუხდის ცილდანამებე ქალს, ხოლო შენახსირეს ავიღოებს მამულებითა და ციხე-კოშკით. ღებლი ვანსაკუთრებით საინტერესოა მარშლის ორთაბრძოლა მის მიერ მოკლული ერთი რაინდის ძალიდან (მარშალი იბრძვის კეტით, ძალი—კიბლით). შერკანებაში დამარცხებულმა მარშალმა აღიარა საკუთარი დანაშაული, რის გამოც იგი მეფემ სიკვდილით დასაჯა. მონაიფ მეფემ საკუთარი ცილ-შვილი მხოლოდ ამის შემდეგ მონახა და დაიბრუნა.

<sup>8</sup> „Vita Offae primi“-ს მოქმედება წარმოებს ინგლისში და იგი დაკავშირებულია დასავლეთ ანგლების მეფე ოფი პირველთან. მას შემდეგ, რაც იორკის მეფემ ამაო სცადა საკუთარი ქალიშვილის ცოლად შერთო, მან ასული გახიზნა და გადაკარგა ტყეში. ქალიშვილი იპოვა ოფი, შეიზღომა და ცოლად შერთო, როცა სამა ქლის შემდეგ მეფე სალაშქროდ იყო, ოფი საკუთარ თანამეცხედრეს ხარაითი აუწყა თავისი გამარჯვების ამბავი. სასახლეში მოკალათებულმა ბოროტმა აღმანამა მეფის წერილი შეცვალა, მისი შინაარსი გააყალბა და ვითარება ისე წარმოადგინა, თითქოს ოფი განიცადა მარცხა და, რაც იგი თავისი წარმეტყულობის მიზნს ხელეის საკუთარ იქამ, ამტომ უბრძანებია — მისი ცოლი და შვილები წაიყვანონ უკაცრიელ ადგილას, დაქრნა მისი და ფეხები. ჯალათებმა შეიბარლეს ცოლი, მხოლოდ ბავშვები დააჩხიწყეს, მაგრამ ქალიშვილი გაინიკურნენ ერთი მეუღლანო ბერის ლოცვის მეოხებით. შინ დაბრუნებულმა მეფემ სიკვდილი დაადგინა, დამნაშავენი დასაჯა, ხოლო ცილ-შვილი იპოვა და დაიბრუნა.





აღნიშნულ მოსაზრებას არ იზიარებენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკის“ მომცემლები: ფ. შტრაუხი, ფ. ჰაგენი და ე. ფრენცელი, აგრეთვე სხვებიც. ამ უკანასკნელთა პოზიციის მართებულება ჩვენს სინამდვილეში დაადასტურა ნ. ბერკოვის გამოკვლევაშიც. ჩვენთვის საინტერესო სიუჟეტს, ბერკოვის აზრით, არაფერი აქვს საერთო „მისა და ბეაფლორის“ ისტორიასთან. იგი რამდენადმე ახლოს დგას მთელი 90 წლით გვიან დაწერილ ჯ. ჩოსერის იურისტის ნაამბობთან. და რაკი იანსენ ენიკელის „რუსთა მეფის ქალიშვილი“ დგას სრულიად განცალკევებით ევროპაში გავრცელებულ თქმულებათა შორის, იბადება კითხვა: ხომ არა აქვს მას ანალოგიები ევროპის გარეშე მცხოვრები ხალხების ზეპირსიტყვაობაში; ან რომელი მთარული სიუჟეტის დამუშავებას წარმოადგენს იგი? ამ კითხვებზე უშუალოდ პასუხის გაცემაზე, გავეცნოთ თვით „რუსთა მეფის ქალიშვილს“. ზღაპრის პირველმა გამოცემულმა ფრიდრიხ ჰაინრიხ ფონ დერ ჰაგენმა ძველი გერმანულიდან შინაარსი ახალ გერმანულ ენაზე შემდეგნაირად გადმოსცა:

რუსეთში მეფობდა ძლიერი ხელმწიფე. მას ჰყავდა ლამაზი ცოლი და კიდევ უფრო ლამაზი ქალიშვილი, რომელიც მხოლოდ იმას მითხოვდებოდა, ვინც მოეწონებოდა. ყველაზე მეტად მამას უხარებდა გულს მისი გამოხედვა. როცა მეფეს ცოლი გარდაეცვალა, მთავრები ჩააცვიდნენ, ხელახლა დაქორწინებულ იყო მეგვიდრის გასაჩენად. მეფე დათანხმდა, მაგრამ ამასთანავე მოისურვა თავისი ქალიშვილივით ლამაზი ქალი შეერთო. აფრინეს მაცნებები რაინის მხარესა და ყველა ქვეყანაში, მაგრამ რაკი ასეთი მშვენიერი ბანოვანი ვერსად მონახეს, მეფემ გადაწყვიტა ისევ ქერივად დარჩენილიყო. მაშინ მთავრებმა მოითათბირეს და რომის პაპისაგან ოქროსა და ვერცხლის საფასურით შეისყიდეს უფლება — მეფეს ცოლად შეერთო თავისი ქალიშვილი. დიდად კმაყოფილმა მეფემ თავისთან მოიწვია თავადები და მხადნაფიცები; აუწყა მათ პაპის თანხმობა და ის, რომ ასეთი საქციელით მისი სული არ წაწყდებოდა.

გახარებულმა ხელმწიფემ ხალხი გაგზავნა შორეულ ქვეყნებში ხავერდისა და აბრეშუმის უძვირფასესი ტანისამოსისათვის. ქალიშვილმა ყოველივე ეს მიიღო სიხარულით, გულუბრყვილოდ დარწმუნებულმა იმაში, თითქოს მისი ცოლად თხოვნა უნდოდა მავან წესიერ ადამიანს. და როცა ქალიშვილმა შეიტყო, რომ მთხოვნელი სწორედ მისი მამა იყო, ღრმად დამწუხრებული განმარტოვდა თავის ოთახში. მან მაკრატლით შეაკრიჭა დალალები, გადაყარა საპატარძლო ტანისამოსი, ჩაიცვა გახუნებული ქვედატანი და სახე იშვინად დაიკაწრა, რომ სისხლი ჩამოსდიოდა. როცა ამ სახით იგი ხელახლა წარსდგა სტუმართა წინაშე, ყველას ისე შეეშინდა, თითქოს ეშმაკი გამოეცხადათო. მამას დარდისაგან გული წაუვიდა და, როცა ისევ გონს მოეგო, სტუმრები დაითხოვა და თანაც გადაწყვიტა ქალიშვილზე ეძია შური. დაღამებისას მოატანივნა კასრი და შარშალს (Marschall) უბრძანა ქალიშვილი მშვენიერი ტანისამოსიანად ჩაესვით მასში. მეფის ასულს ერჩია ყოველზე ეს მოეთმინა, ვიდრე დათანხმებულიყო გაუგონარ ქორწინებაზე. ქალიშვილიანი კასრი ზღვაში გადააგდეს.

ზღვის დინებამ კასრი საბერძნეთში მიიტანა. იქ ნაპირზე იდგა მეფე, რომლის ბრძანებით მეთევზემ მოტივტივე კასრი ნაპირზე გამოიტანა, ხოლო მხლე-

<sup>9</sup> Elisabeth Trenz el, Stoffe der Weltliteratur, Stuttgart, 1962, გვ. 399—400.

5. მაცნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 3



ბელმა ზღვი ახადა. როცა კასრში ნახეს მშვენიერ სამოსში გამოწყობილი ლიშვილი, იგი ხელშეიფეს მიუყვანეს. მეფის კითხვაზე, თუ ვინ ისურვა მისი ამგვარად დასჯა, ქალიშვილმა არაფერი უპასუხა და მხოლოდ მოპყვა ჩივილს საკუთარი უბედურების გამო. მეფის შემდეგ კითხვაზე, არის თუ არა იგი ჭერ კიდევ ქალწული, უბედურმა გოგონამ დაარწმუნა, რომ დღემდე უმწიკვლოა და არც ოდესმე აპირებს გათხოვებას. მეფემ თანატოლად მას გაჭირვებისათვის და აღიარა, რომ ძვირფასი ტანსაცმლის მიხედვით მას დიდებულის ასულად მიიჩნევს. მეფემ ჭერ თავისთან სასახლეში დაიტოვა ქალიშვილი, ხოლო ნახევარი წლის შემდეგ სულაც ცოლად შეირთო და დააფეხმძიმა.

ბერძენთა მეფის დედა მეტად ბოროტი ქალი იყო. და რაკი იგი დღენი-აღაღ ლამობდა თავისი რძლისათვის ყოველგვარი წყენის მიყენებას, მეფემ უბრძანა მარშალს დედა შორეულ ციხეში წაეყვანა და ამგვარად უვნებელიყო იგი. მარშალმა აღასრულა მეუფის ნება-სურვილი.

მალე საბერძენთს თავს დაესხა ერთი მეომარი მეფე; ივარქმნა იგი და გაეკლტა დიდძალი ხელისი. ბერძენთა მეფემ უმალ შეკრიბა ჭარი და შეეცება მტერს. ამასობაში დედოფალმა მშვენიერი ვაჟი (Degenkind) გააჩინა, რაც, მარშალის რჩევით, საგანგებო ბარათით მეფეს შეატყობინა. მალემსარბოლმა გზად მოხუცი დედოფლის ციხეში შეიარა. იქ კარგი ამბის მიტანით გასამარჯვლოს მიღება ეწადა. მოხუცმა დედოფალმა მალემსარბოლს ჭილდო აღუთქვა, ლაზათიანად გამოათრო და, ვიდრე მას ღრმად ეძინა, ამოაცალა ბარათი, რომლის ნაცვლად ჩანთაში ახალი წერილი ჩაუდო.

დილით მალემსარბოლმა განაგრძო გზა თავისი ხელმწიფისაკენ და გადასცა ბარათი. ამ შეცვლილი ბარათიდან მეფემ შეიტყო, თითქოს მისმა თანამეცხედრემ გააჩინა ეშმაკი (Teufel), რომელმაც ყველა შეაძრწუნა. მეფემ ბრძანება გაუგზავნა მარშალს, რომ მახინჯ ბავშვიანად მისი ცოლი ჩაესვათ კასრში და გადაეგდოთ ისევ ზღვაში. ახალგაზრდა დედოფალი იფიცებოდა თავის უღანაშაულობას, სხვები კი ტირილით თანატოლბრძენს მას და პატარა მშვენიერ ბავშვს. ყველას საწყენად მარშალმა ცრემლების დენით აღასრულა მეფის ბრძანება. ტალღებმა კასრი მდინარე ტიბრით რომში ჩაიტანეს. იქ ხილზე იღვა ერთი კეთილშობილი რომაელი, ციებით დასნეულებული, რომელმაც კასრი ნაპირზე გაატანინა. როცა მან იხილა ლამაზი ქალი თავისი ბავშვით, ბედად გადარჩენილები სახლში წაიყვანა და თავის დიასახლისს ჩააბარა.

ბერძენთა მეფემ დაამარცხა წარმართები და დაბრუნდა სახლში, სადაც შეიტყო ბარათების შეცვლის საშინელი სინამდვილე. კაენითა და ტანჯივით აღსაესე მეფე დაემხო მიწაზე. უმალ მოუხმეს მალემსარბოლს და დაადგინეს ბარათის გაყალბების ამბავი. მეფემ უბრძანა მარშალს მუხანათი დედა ციხეში გამოემწყვდია მარადი პატიმრობისათვის; თავად კი, დასევდიანებული, შეუღდა საშაღისის ცოდვითა მოსანანიებლად რომში გამგზავრებისათვის.

ამასობაში რომის პაპს აუწყეს, როგორ მიიყვანა კეთილშობილმა მოქალაქემ სახლში წყლიდან ბავშვიანად ამოყვანილი ქალი. პაპმა გადაწყვიტა მიუტევოს ყოველგვარი ცოდვა ამ ადამიანს უბედური დედა-შვილის შევრდომებისათვის. ეს მოხდა მეხუთე წელს რომში ბერძენთა მეფის ჩასვლიდან, ამავე დროს რომში ჩავიდა რუსთა მეფე საკუთარი ქალიშვილის მიმართ ჩადენილი ცოდვების მოსანანიებლად. როცა პაპმა მოისმინა ორივე მეფის აღსარება, უმალ მიხვდა, რომ რომელი მოქალაქის მიერ გადარჩენილი და შევრდომილი ქალი

იყო ამ ორ მეფეთაგან ერთის ასული და მეორის თანამეცხედრე. მან ორივე მეფე თავისთან მიიწვია სტუმრად და ლხინის დროს მიაყვანილა ზავშვიანი ქალი თავისი ძვირფასი სამოსელით. ბერძენთა მეფეს დაღბრუნა მისი ცოლი და ვაჟიშვილი, ხოლო რუსთა მეფეს — თავისი ასული. განუზომელი იყო მათი სიხარული.

მალე ყველანი კმაყოფილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. მას შემდეგ დედოფალი ცხოვრობდა საკუთარ ქმართან ერთად და დიდად მადლიერი იყო მისდამი მოწყალე ღმერთისა, რომელმაც იგი საოცრად დაიფარა და გადაარჩინა. პომეის დასასრულს ენიკელი გვთავაზობს სენტენციას იმის თაობაზე, რომ ღმერთი გვიმკვიდრებს მარად სასუფეველს (das ewig reiche) და გვანიჭებს განუზომელ წებარებას (mach' uns vröuden reiche, სტრიქ. 679—680).

ამრიგად, იანსენ ენიკელის ზღაპარში „რუსთა მეფის ქალიშვილი“ ურთიერთანაა დაკავშირებული ორი სხვადასხვა სიუჟეტი: ამათგან პირველია სისხლის აღრევის, ანუ Inzest-ის (გერმანულად — Inzucht), მოტივი, რომლის ცენტრში დგას შევიწროებული და დევნილი მზეთუნახავის სახე. საკუთარი მამა სდევნის მას, რაკი ქალიშვილი თავის შემქმნელთან შეუღლების წინააღმდეგია<sup>10</sup>. აარნე-ტომპსონის კლასიფიკაციის მიხედვით ამ სიუჟეტის ნაწარმოებები გავრთიანებულია 510 B ჯგუფში. ამ თემის ლიტერატურული დამუშავების უძველესი ცდა მოცემულია აპოლონიოს ტიანელზე დაწერილ ბერძნულ სათავადასავლო რომანში, რომლის სიუჟეტი უ. შექსპირმა მასალად გამოიყენა „პერიკლესში“. გერმანულ ზღაპართაგან ამ ჯგუფს განეკუთვნება მშათა გრიმების „ველური ქალწული“ (№ 54, „Allerleirau“), რუსულ ზღაპართაგან „მამა და ქალიშვილი“ („Отец и дочь“)<sup>11</sup>; ინცესტის მოტივის თავისებური რეციდივი აღწერილია მ. შოლოხოვის „წყნარ დონში“<sup>12</sup>. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ინცესტის მოტივის ვარიაციებს ვხვდებით ბევრგან, განსაკუთრებით „ცოლ-ქმარში“, რომელიც ჩაწერილია სვანეთის სოფ. ბეჩოში<sup>13</sup>, „ხელმწიფეში“, რომელიც ფიქსირებულია რაჭის სოფ. ზემო ბარში<sup>14</sup>; და სხვ... ანალოგიური ზღაპრები გავრცელებულია აგრეთვე სამეგრელოსა და ქართლში<sup>15</sup>. ინცესტის მოტივის შემცველი ქართული სიუჟეტი ჩვენში დღესაც ზეპირ ბრუნვაშია და იგი წარმოადგენს წმინდა ზღაპრულ ხალხურ მოთხრობას. მისი უშუალო ლიტერატურული წყარო უცნობია. აღრინდელი თარგმანები, ვთქვათ, გერმანული წყაროებისა კი არ არსებობდა.

იანსენ ენიკელის ზღაპრის მეორე სიუჟეტია ცილდანაწამები და გამართლებული ცოლის ამბავი, რომელიც ისევ აარნე-ტომპსონის კლასიფიკაციის

<sup>10</sup> В е с е л о в с к и й А., Историческая поэтика, Л., 1940, გვ. 458. ამ ტიპის ზღაპართა შინაარსი, უძველესის სიტყვით, დაიყვანება შემდეგზე: დაქვრივების შემდეგ მამაკაცი სევდიანობს გარდაცვლილ ცოლზე და არ სურს დაქორწინება სხვაზე, რაკი არ შეუძლია მოძებნოს სილამაზით პირველი ცოლის მსგავსი ქალი. მაგრამ აი, მისი ღვიძლი ქალიშვილი — პირწაყარდნილი დედა და მამას უჩნდება სურვილი — ცოლად შეირთოს საკუთარი პირში. შეშინებული ქალიშვილი, ცხადა, გაურბის მამის ავზორცულ სურვილს.

<sup>11</sup> С м и р н о в А. М., Сборник велико-русских сказок архива русского географического общества, Петроград, вып. II, 1917, გვ. 675—677.

<sup>12</sup> Ш о л о х о в М., Тихий Дон, М., т. I, 1961, გვ. 36.

<sup>13</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი, № 753.

<sup>14</sup> ი კ ვ ე, № 1488.

<sup>15</sup> ეს ცნობა მოგვაწოდა თბილისის უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის თანამშრომელმა სოფიო ჩოხელმა.



მიხედვით წარმოდგენილია ნომერ 707 ჯგუფში. ეს სიუჟეტი გვეჩვენებს უმწიკვლო, ერთგული და უდანაშაულო ცოლი როგორ იყო ჯერ შურაცხყოფილი და გაძევებული, ხოლო, სიმართლის გარკვევის შემდეგ — სრულიად რეაბილიტირებული. რუსულ ზღაპართაგან ამ ჯგუფს განეკუთვნება პუშკინის „მეფე სალტანის ზღაპარი“, ხოლო ქართულ ზღაპართაგან ცილდანაწამები და გამართლებული ცოლის სიუჟეტის ვარიაციები გვხვდება ხშირად, მაგალითად, ივანე ნიჟარაძის მიერ ჩაწერილი სევანური ზღაპარი „კეისარი“<sup>16</sup>; ივანე ცხაკაიას მიერ მონათხრობი მეგრული ზღაპარი „მეფე კოჩიშ ოქროს ბავშვები“<sup>17</sup>, ივანე შახპარუნოვის მიერ ნამუშობი ქართული ზღაპარი „სამი და“<sup>18</sup>, ზღაპარი „მოხუცი ცილ-ქმარი“<sup>19</sup>, „დევის სიყვარული და ამისი შვილი“<sup>20</sup>, „დაძმა“<sup>21</sup>, „სამნი ქალიშვილი“<sup>22</sup>, კახეთში ჩაწერილი „ოქროს-ქოჩრიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“<sup>23</sup>, „ოქროსთმიანი ვაჟი“<sup>24</sup> და სხვ.

იანსენ ენიკელის ზღაპრით ჩვენს სინამდვილეში დანტერესდა რუსი მკვლევარი პ. ბერკოვი<sup>25</sup>. მან სრულიად მართებულად შეიწყნარა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „რუსთა მეფის ქალიშვილის“ სიუჟეტს არაფერი აქვს საერთო „მაისა და ბეაფლორის“ ისტორიასთან, რომ ენიკელის პოემა დგას სრულიად განცალკევებით ევროპაში კავარცელებულ თქმულებათა შორის. პ. ბერკოვმა აღიარა ავრეთვე ენიკელის ზღაპრის ზემოაღნიშნული ორსიუჟეტთანობა. ამასთანავე აღნიშნა, რომ რუსულ ზღაპართა სამყაროში არ მოიძებნება ისეთი არც ერთი ხალხური ნაწარმოები, რომ მასში ორივე სიუჟეტი მოცემული იყოს ერთდროულად („nirgends die beiden motive gleichzeitig vorkommen“, გვ. 308). პირველი სიუჟეტის შესახებ პ. ბერკოვი საერთოდ ვერაფერს გვეუბნება, ხოლო მეორესთან დაკავშირებით უაღრესად ორიგინალურ მოსაზრებას გვთავაზობს.

პ. ბერკოვის აზრით, იანსენ ენიკელის მოთხრობის მეორე სიუჟეტთან („до паразитических подробностей“) ახლო დგას ა. პუშკინის პოემა „მეფე სალტანის ზღაპრის“ სიუჟეტი. ამასთანავე ბერკოვი გამორიცხავს ამ პოემათა ავტორების ურთიერთზე ლიტერატურული ზეგავლენის მოზღენას. იგი უარყოფს იმის შესაძლებლობასაც, თითქოს ორივე, პუშკინისა და ენიკელის, ზღა-

<sup>16</sup> Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. X, Отдел второй, 1890, გვ. 162—175.

<sup>17</sup> იქვე, отдел третий, გვ. 24—32.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 61—66.

<sup>19</sup> სევანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სევანის მიერ, 1893, ქუთაისი, გვ. 11—18.

<sup>20</sup> პ. უ შ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ხალხური სიტყვებები, ტ. III, № 4, 1964, გვ. 38—43.

<sup>21</sup> იქვე, № 27, გვ. 159—165.

<sup>22</sup> იქვე, № 35, გვ. 198—201.

<sup>23</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ, წ. I, 1951, გვ. 87—90.

<sup>24</sup> რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ელენე ვირსალაძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 195—200.

<sup>25</sup> ამ საკითხს ბერკოვმა უძღვნა ორი სტატია: პირველი გერმანულად, მეორე — რუსულად:

1. P. W. Berkow, Puškins «Сказка о царе Салтане» und die Erzählung von der Tochter des russischen Königs in der «Weltchronik» Jans Enikels (1277). კრებულში: Slawisch-deutsche Wechsel-beziehungen in Sprache, Literatur und Kultur, Hrsg. von W. Kraus u. a. Berlin, 1969, გვ. 303—339. II. Н. Б е р к о в, Россия в «Weltchronik» Я. Эни-келя. в сб.: «Россия и Запад», Л., 1973, гв. 7—15.

პარს ჰქონდეთ „საერთო და ჩვენთვის უცნობი წყარო“. ყოველივე ამის შემდეგ პ. ბერკოვი იწყებს ვარაუდს, თითქოს XII—XIII საუკუნეებში არსებობდა რუსული ზღაპარი მეტად მახლობელი სიუჟეტით — შეიძლება ფსკოვის ან ნოვეგოროდის რაიონში. ამ ზღაპარმა სხვადასხვა არხებით შიალწია, ერთი მხრივ, იანსენ ენიკელამდე, მეორე მხრივ, მთელ რიგ თაობებზე გამოვლით, — პუშკინის ძიძამდე, რომლის შონათხრობით დიდმა პოეტმა ბავშვობაში გაიცნო მეფე სალტანის ზღაპარი. ამგვარად, პ. ბერკოვი ყოველნაირად ცდილობს, ენიკელის ზღაპრის მეორე სიუჟეტს მოუხაზოს სწორედ რუსული ნიადაგი.

პ. ბერკოვის ასეთ ვარაუდებში ძირეული და არსებითი კორექტივი შეაქვს ქართულ ზღაპარს „ოქროს თმიანი ვაჟის“<sup>26</sup> შესახებ, რომელშიც მოთხრობილია შემდეგი:

მომავლადეი ქალი ქმარს ეუბნება: „ისეთი ცოლი შეირთე, ვისაც ეს ჩემი ქომები გამოადგესო“. მას შემდეგ, რაც ქმარმა ანდერძისამებრ გამოიგლოვა მიცვალებული, აიღო ქომები და შეუდგა საცოლის ძებნას. ვისაც ჩააცვა, ქომები, არავის მოერგო. ბოლოს თავის ქალიშვილს ჩააცვა და, რაკი კარგად მოუყვია, განუცხადა, რომ უნდა შეასრულოს მისი დედის ანდერძი და შეირთოს იგი ცოლად. შეძრწუნებულ ქალიშვილს ყველაფერს აკეთებს მოსალენდელი შერცხენის თავიდან ასაცილებლად. რაკი მამა არ მოეშვა, ქალი ყასიდად დაეთანხმა, ოღონდ ახალი სახლის აშენება ითხოვა. დაიწყეს მუშაობა ხურო-დურგლებმა. როცა შუაზე დედაბოძს აკეთებდნენ, ქალმა ისინი ფულით მოსიყვია; დედაბოძის შიგნიდან ამოაღებინა გული და გააკეთებინა გარედან შემჩნეველი ჩასაკეტე კარი. ამის შემდეგ ქალი დაიკარგა და, რაკი მამამ მისი ადგილსამყოფელი ვერ აღმოაჩინა, ხურო-დურგლებს სახლი დააშლევინა და მისი ნაწილები, მათ შორის დედაბოძი, წყალში გადააყრევინა.

წყალმა დედაბოძი სხვა სახელმწიფოში გაიტანა და ნაპირზე გარიაყა. წყლისპირას გასართობად დადიოდა შვილი იმ ხელმწიფისა, რომლის ქვეყანაშიც ჩაიტანა დედა-ბოძი დინებამ. მეფის შვილმა თავის მოსამსახურეებს უბრძანა მოტივტივე ხე გამოეტანათ და მისი სახლისათვის დედაბოძად შინ წაეღოთ. ასეც მოიქცნენ. ეს ყმაწვილი იმ ახალ სახლს იძინებდა. ღამით დასუსტებული ქალი დედაბოძიდან გამოდიოდა და ვაჟისათვის განკუთვნილი ტახტიდან ცოტას იღებდა. მესამე ღამეს მიდარაჯებულმა ვაჟმა დაიჭირა ქალი და დაწვრილებით გამოკპითხა, საიდან გაჩნდა იგი აქ. ქალმა მოკლედ უამბო თავგადასავალი. ხელმწიფის შვილს დიდად მოეწონა იგი და მშობლების თანხმობით ცოლად შეირთო. წლის თავზე ოქროსთმიანი ვაჟი ეყოლათ.

ერთ საღამოს ხელმწიფის ვაჟს ვინმე გლახა ეწვია და ღამის გასათევი ბინა თხოვა. ქალმა იცნო თავისი მამა, მაგრამ არაფერი თქვა. ღამით გლახამ ქალის ჯიბიდან დანა ამოიღო, მძინარე ბავშვს ყელი გამოჭრა და სისხლიანი დანა ისევ ქალს ჩაუდო ჯიბეში. დილით გამოღვიძებულებმა ბავშვის მკვლელად მიიჩნიეს სწორედ ქალი, რაკი სისხლიანი დანა მას აღმოუჩინეს ჯიბეში. ქალს

<sup>26</sup> იგი ჩაიწერა ანუსია კარგარეთელმა და ვაჭრული ქალის ფსევდონიმით გამოქვეყნა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების კრებულში „ძველი საქართველო“, ტ. IV, ნ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი, 1914—1915, გვ. 76—82. ზღაპრის შემოკლებული და დამახინჯებული ვარიანტი გამოქვეყნა ვ. ლ. მთათიძემ წიგნში „სამღვდლოება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში“, ტფილისი, 1928 და ს. ყუბანეიშვილმა ბროშურაში — „სამღვდლოება ხალხურ სიტყვიერებაში“, ტფილისი, 1932.



დასთხარეს თვალები, დააჭრეს ძუძუები, გულზე მიაკრეს ყელგამოკრული ბავშვი, გაიყვანეს უდაბურ მინდორზე და ისე მიატოვეს. ქალი უმოწყალოდ ტიროდა; ყელგამოღადრული ბავშვი მაინც იზრდებოდა. როცა მამაუფალმა ეს გაიკო, მტრედის მემწეობით დედას დაუბრუნა თვალსჩინი და შეუხორცა ძუძუები, ხოლო ბავშვი ვააკოცხლა, თანაც დაასაჩუქრა ნაფოტით, რომლის დახმარებითაც ყოველგვარი ნატვრა შეუსრულდებოდა.

გადარჩენისათვის ღმერთს ქალმა მადლობა შესწირა, ხოლო ნაფოტის დახმარებით შივიდა იმ ქალაქის ახლოს, სადაც მისი ქმარი ცხოვრობდა; დაბინავდა ძვირფასად აგებულ სახლში, მოახერხა ქმარს შეხვედროდა, მისთვის თავიანთი ბავშვი ეჩვენებინა, საკუთარი თავიც შეეხსენებინა. თან დასძინა: „აივითანე მამიდანაც და თქვენგანაც ამდენი ტანჯვა და უსამართლობა და ღმერთმა სიმათლისათვის მიიშველა, მეც გამანთავისუფლა და აი, ეს ბავშვიც გამიცოცხლო“. ხელმწიფის შეილს დიდად გაუხარდა. მაშინვე მოეხვია ცოლსა და შვილს. ამასთანავე მიტევება და წარსულის დაიწყება სთხოვა. ორივე და მოხუცი ქალიც თავისთან წაიყვანა, დიდი ღზინი გადაიხადა; იცხოვრა ტკბილად და ბედნიერად.

ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში კათოლიკე ბერმა ბერნარდე ნეაპოლემა შენიშნა, რომ ქართული ზღაპრები „დიდად არ განსხვავდებიან ნეაპოლიტანურ მოთხრობათაგან“. იგივე შეიძლება გვეთქვა სხვა ევროპელი ხალხების ზღაპრების მიმართაც, ქართული ზღაპრების ერთი ჯგუფი აშკარად ატარებს გერმანული ზღაპრების ნიშანდობლივ თვისებებს, თუმცა ლაპარაკი აბსოლუტურ იდენტურობაზე შეუძლებელია. მათ შორის, რა თქმა უნდა, ბევრი რამეა განსხვავებული. ამას ადასტურებს „ოქროსთმიანი ვაჟის“ და „რუსთა მეფის ქალიშვილის“ ურთიერთთან შედარება ანალოგიური და განსხვავებული მომენტების დადგენისა და გაანალიზების მიზნით.

განსხვავება თვალშია საცემი და ადვილად საგრძნობი. ქართული ზღაპარი გამოირჩევა ნაკლები გეოგრაფიული კონკრეტულობით და ტერიტორიული ლოკალურობით, იგი იწყება ცოლ-ქმრის ცხოვრების აღწერით ისე, რომ არაფერი ვიცით მათი სადასტოებისა და ვინაობის შესახებ. მოქმედებაში ჩაერთვება მთავანი „ხელმწიფის შვილი“, მაგრამ გაუგებარია, თუ მისი მამა რომელი ქვეყნის გამგებელია; არაა რაიმე მინიშნება გეოგრაფიულ გარემოზე, ან ეროვნულობაზე.

გერმანულ ზღაპარში, ქართლისაგან განსხვავებით, ყოველთვის ვიცით მოქმედების ადგილი. ამაზე იწყება რუსეთში, გრძელდება საბერძნეთში და მთავრდება რომში, მდინარე ტიბრის ნაპირზე. მოქმედება წარმოებს ჯერ რუსთა მეფის, შემდეგ ბერძენთა მეფის სასახლეში, დაბოლოს რომის პაპის რეზიდენციაში. მოხსენიებულია რომელიღაცა, წარმართებით დასახლებული მხარე თავისი მეფით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეფეებს არა ჰყავთ ისტორიული პროტოტიპები.

განსხვავებამ ორ ზღაპარს შორის თავი იჩინა რელიგიისა და კულტის მსახურებისადმი დამოკიდებულების სურათშიც. კულტის მსახურები ქართულ ზღაპარში არა გვხვდებიან და არც ქრისტიანული რელიგიის უპირატესობაზეა ვაკეთებული რაიმე მინიშნება. აქ მოხსენიებულია მხოლოდ „მამა უფალი“, რომელმაც შეისმინა ქალის აჯა და ტანჯვისაგან დაიხსნა იგი. ღმერთის ხსენება არც გერმანულ ვარიანტშია და თითქოს არცაა ამისი საჭიროება, რადგან-

ნაც ამ ქვეყნად არსებობს რომის პაპი, ღმერთის ნაცვალის მთელს ღუნიაზე. რომის პაპი აღამიანებს არა მხოლოდ მიუტევებს ჩადენილ ცოდვებს, არამედ ოქროსა და ვერცხლის საფასურად წინასწარ აძლევს მომავალში დანაშაულის ჩადენის უფლებას, მათ შორის ისეთი მომავლდინებელი ცოდვისა, როგორცაა სისხლის აღრევა, ინცესტი. თხრობის დასასრულს პაპი მოიგოქმედებს კიდევ ერთ სიკეთეს, ურთიერთს შეახვედრებს ცოლსა და ქმარს, მამასა და ქალიშვილს, აღადგენს დარღვეულ პარმონიას და წარმოთქვამს დამრიგებლურ მოძღვრებას ღმერთის ყოვლისშემძლეობასა და ყოვლადშემწყნარებლობაზე.

განსხვავებულია აგრეთვე დამოკიდებულება ბიბლიური მოტივებისადმი. გერმანულ ზღაპარში რომის პაპის როლი იმდენად გაზვიადებულია, რომ საჭირო აღარაა ბიბლიური მოტივების გახსენება, რასაც ქართულ ზღაპარში სათანადო ადგილი ეთმობა ერთი დეტალის რემინისცენციის სახით. ისევე როგორც ბიბლიურმა ნოემ კიდობნის სარკმლიდან გაგზავნა ხმელეთზე ჭერ ყორანი, შემდეგ — მტრედი<sup>27</sup>, სწორედ ასევე ქართულ ზღაპარშიც მამაუფალმა ქვეყანაზე მომხდარი ამბის გასაგებად გამოგზავნა ჭერ ყვაი, შემდეგ მტრედი. ყვაიმა აუწყა მეუფეს „არაფერი არ არისო“, თუმცა დედამიწაზე ყოფნი-სას გაძღა ქალის „ქძულების სისხლით“; ხოლო მტრედმა ფეხები დაისისხლიანა (აქ ჩართულია ცნობა: მას შემდეგ აქვთ მტრედებს წითელი ფეხები. — შ. რ.) და ზეცაში დაბრუნებულმა მეუფეს აცნობა ქალის საზარელი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ იმავე მტრედს დაეკისრა სათნოებითა და კეთილშობილებით აღსავსე მისია: გაეჯანაღებინა დედა, გაეცოცხლებინა შვილი და მიეცა მათთვის თავისებური ნატერის თვალი — ყოვლისშემძლე ნაფოტი.

სისხლის აღრევის მცდელობის უძველესი მოტივის გვერდით შედარებით ახალი, ბიბლიური მოტივის შემოტანა აღასტურებს უძველესი დანაშრებების გვერდით ახალი პლასტების გაჩენას. გერმანულ ზღაპარში საქმე გვაქვს სულაც ახალ, მონოთეისტურ რელიგიასთან, რომელიც დაკონკრეტებულია ქრისტიანულ, და ისიც კათოლიკურ, სარწმუნოებად.

იანსენ ენიკელის ზღაპარი ჩაწერილია ქართულ ვარიანტთან შედარებით ექვსზე მეტი საუკუნით ადრე. დროითმა და სიერცითმა დაცილებამ წარმოშვა მათ შორის არსებული განსხვავება, მაგრამ არა ისეთი, რომ დაეჩრდილა აშკარა მსგავსება. დიას, განსხვავებაზე მეტად თვალშესადგამია მსგავსება და ანალოგიურობა „რუსთა მეფის ქალიშვილისა“ და „ოქროსთმიან ვაჟს“ შორის.

ქართულსა და გერმანულ ზღაპარში, მაგალითად, ანალოგიურია მამების თაოსნობით სისხლის აღრევის მცდელობა. ი. ენიკელის ვარიანტში დაქვრივებულ მამაკაცს სურს იქორწინოს გარდაცვლილი ცოლის მსგავს ქალზე და ასეთად მას ეგულუბა მხოლოდ საკუთარი ქალიშვილი. იგივეა ი. კარგარეთელის ვარიანტში: მამაკაცს სურს ცოლად შეერთოს ისეთი ქალი, რომელსაც მოერგება გარდაცვლილი თანამეცხედრის ქოშები და ასეთ პიროვნებად აღმოჩნდება მხოლოდ მისივე საკუთარი ქალიშვილი. აქ რუსთა მეფე შეცვლილია „ერთი“ მამაკაცით, ხოლო „გარეგანი მსგავსების“ მოტივი — „ფეხების ერთნაირობის, ქოშების გამოსადგვობის მოტივით.

ამგვარად, ორივე ზღაპარში ინცესტის მოტივით, საერთოდ ჭკუფური ქორწინების გაღმონაშთების ჩვენებით, შემორჩენილია ანარქული საზოგადოების

<sup>27</sup> „დაბადება“, წიგნი 2 მოსესი, თავი 6, სტრიქონი 6—12; ტფილისი, 1884, 33. 14.

განვითარების იმ ეპოქისა, როცა კაცობრიობა ბარბაროსული ხანიდან ცივილიზაციის საფეხურზე გადადიოდა, როცა ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული იყო ქორწინების ისეთი დაბალი ფორმა, როგორიცაა ჯგუფური ქორწინება. შუასაუკუნეობრივი ევროპის ლიტერატურისათვის უცხო არაა მოუწესრიგებელი ქორწინების ნიშნები; „საგაში ვოლსუნგებზე“, მაგალითად, მოთხრობილია ამბავი იმის თაობაზე, თუ ერთ-ერთმა ქალმა — სიგნიამ — როგორ გაუწია ცოლობა თავის ძმას, რათა მისგან გაეჩინა მოდგმა თავისი ქმრის მიერ ამოწყვეტილი გვარის გასაგრძელებლად. ასევე „უფროს ედაში“ მოთხრობილია ამბავი, თუ სიყვარულის ქალღმერთი ფრეია როგორ ნებდებოდა საკუთარ ძმას, რითაც ჩადიოდა სისხლის აღრევის დანაშაულებრივ საქმეს. გერმანული ბაროკოს წყერლის დანიელ კასპარ ფონ ლოენშტაინის ტრაგედია „აგრიპინაში“ დედოფალი აგრიპინა ეკეკლუცება საკუთარ კავიშვილს მისი მოხიბვლისა და შეცდენის სურვილით. ანალოგიურ ამბავს ვხვდებით აღმოსავლურ კანზულ-სიტყვაობაში — „ვისრამიანში“. ვიდრე ვისი გახდებოდეს შაჰ მოაზადის თანამეცხედრე და შემდეგ თავისი მამლის, რამინის საყვარელი, იგი კანონიერ ცოლად მითხოვდება ღვიძლ ძმას, ვიროსს თითქმის დაუძლეველი სიყვარულით.

მართალია იშვიათად, მაგრამ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მაინც არის შემორჩენილი სისხლის აღრევის მცდელობა, მამა-შვილის ან დედა-შვილის ურთიერთთან გაარსიყების მოტივით. ასეთ შემთხვევებში, მაგალითად, დედა ველარა ცნობს ადრე გაძევებულ და შინ დაბრუნებულ შვილს, უარსიყდება მას, მაგრამ ყველაფერი მიდის მხოლოდ „ხონჯრის გახსნამდე“ და მთავრდება მცდელობის ფარგლებში. ასევე მცდელობის ფარგლებში თავსდება „ოქროს-თიანის ბიჭის“ და „რუსთა მეფის ქალიშვილის“ ზღაპრებს შიგნით მამის მოქმედება საკუთარი ქალიშვილის მიმართ.

ორივე, გერმანულსა და ქართულ, ზღაპარში ღვიძლი ქალიშვილები წინააღმდეგობან საკუთარი მამების უღირს საქციელს და უზნეო განზრახვას, ჩაშლიან ქორწინებას, რის გამოც ისჯებიან სწორედ მამების მხრივ. გერმანულ ზღაპარში მამის ბრძანებით ურჩი ქალიშვილი მშვენიერ ტანისამოსთან ერთად მოათავსეს კასრში და გადაადგეს ზღვაში. ქრისტიანთა შორის გაუგონარ ქორწინებას, ინცესტს, მაშ ამჯობინა ასეთი სასჯელის მიღება, ხოლო უფრო ადრე შეიკრიბა თმები და ფრჩხილებით დაიკაწრა ლოყები. ქართულ ზღაპარში, ქალიშვილმა ბევრი იტირა მამის სურვილის ვაგებაზე, მაგრამ რაკი მამა არ მოეშვა, ყასიდად დათანხმდა, ოღონდ ქორწინებამდე მოითხოვა ახალი სახლის აშენება დროის მოგების მიზნით, შენების დროს იგი მოელაპარაკა ხურთ-ღურ-გლებს, რომელთაც ხელი შეუწყვეს დედაბოძში მის დამალვას, რაკი საპატარძლო გადაიკარგა, მეფის ბრძანებით შენება შეწყვიტეს, ხოლო სახლის ნაწილები, მათ შორის დედაბოძი, წყალში ჩაყარეს.

ორივე შემთხვევაში მამათაგან უიმედოდ განწირული ქალიშვილები უცხოეთში თხოვდებიან ბედნიერად. გერმანულ ვარიანტში ზღვაში გადადგებული ქალი წყლის დინებამ საბერძნეთში მიიყვანა, იქ შეახვედრა მეფესთან, რომელმაც შეირთო ცოლად და დააფხმძიმა. ქართული ვარიანტით მორევში გადავლებული დედაბოძი დინებამ ქალიშვილიანად სხვა სახელმწიფოში გაიტანა და ნაპირზე გარიყა. ხელმწიფის შვილმა მოტივტივე ხე შინ წააღებინა და სახლისათვის დედაბოძად შეადგმევინა. რაკი ქალიშვილი დედაბოძიდან





ლაღამობით გამოდიოდა, მიღარაჯებულმა ვაჟმა იგი დაიჭირა, გაიცნო, დაუახლოვდა, ცოლად შეირთო და ოქროსთმიანი ვაჟი გააჩენინა.

ორივე შემთხვევაში ბედნიერ ცოლ-ქმარს შორის აღიმართება შურისმაძიებელი, ბოროტი და უბედურების მომტანი პიროვნება, რომელიც მოახერხებებს სრულიად უდანაშაულო და ყოველად ალაღმართალი ქალის დამნაშავედ გამოცხადებას. ასეთი პიროვნება ენიკელის ზღაპარში ბერძენთა მეფის ბოროტი დედაა, რომელსაც უსაფუძვლოდ სძულს ახალგაზრდა რძალი და რომელიც ბრძოლის ველზე მამასთან კარგი ამბის მაცნედ ვაგზავნილ მალეუმბროლს ბართას შეუტყვის და გაატანს ცუდი ამბის მაუწყებელ წერილს. ასეთივე პიროვნება კარგარეთელის ზღაპარში თვით ქალიშვილის მამაა. შურისძიების მიზნით იგი, გლახის ტანისამოსში გამოწყობილი, გამოეცხადა შვილსა და სიძე მეფეს, სთხოვა მათ თავშესაფარი და ღამის გათევინება. საკუთარი ქალიშვილის ჯიბიდან ამორთმეული დანით მძინარე ბავშვს გამოჭრა ღამით ყელი და შემდეგ სისხლიანი დანა ისევ ჯიბეში ჩაუდო უდანაშაულო დედას. მეორე დღით, მკვლელის ძებნისას, იმავე ბოროტმოქმედმა მამამ დანაშაული თავის ქალიშვილს გადააბრალა რაკი სისხლიანი დანა სწორედ მას აღმოაჩნდა ჯიბეში.

ორივე შემთხვევაში ცილდანაწამებ დედას, მეფის ცოლს, იმეტებენ სასიკვდილოდ და გამოუტანენ სასჯელს, რომლის სისრულეში მოყვანა ჩვეულებრივ ადამიანის განწირვას ნიშნავს. გერმანულ ვერსიაში ბერძენთა მეფემ ბრძანა, ვითომც ეშმაკის გამჩენი, და ამდენად, დამნაშავე, დედა ჩავსვით კასრში და თავის პირმშოსთან ერთად გადაეგდოთ ზღვაში. წინდაუხედავმა და ბრმადმორჩილმა მარშალმა ეს საბედისწერო ბრძანება დაუყოვნებლივ შეასრულა. ქართულ ვერსიაშიც იგივეა: დანაშაულში ეჭვმიტანილ დედას დაუყოვნებლივ და ანგარიშმიუცემლად სჯიან, ვითომც პირმშოსათვის ყელის გამოჭრის გამო. ცილდანაწამებ დედას დასთხარეს თვალები, დააჭრეს ძუძუები, ყელგამოღარულთა ბავშვი მიაკრეს გულზე და მიატოვეს ტრიალსა და უდაბურ მინდორზე.

ორივე შემთხვევაში ღმერთის ნება-სურვილით განმეორდა სასწაული, რომლის შედეგადაც სიკვდილს გადაურჩება მოყვანისაგან განწირული ადამიანი. ენიკელის ზღაპარში დედა-შვილიანი კასრი ზღვის ტალღებმა ტიბრით რომში ჩაიტანეს. ვილაცა, კეთილშობილმა რომაელმა კასრი მეთევზეს ხმელეთზე გამოატანინა და დედა-შვილი თავისთან შეივრდომა. კარგარეთელის ზღაპარში სასიკვდილოდ განწირულ დედას მხსნელად მოველინა თვით მამაუფალი. როცა ღმერთს ზეცაში შეესმა მინდორზე მიტოვებული ქალის გოდება, მტრედის მეოხებით დედას აღხილა დაბრმავებული თვალები, გაუმრთელა დაჭრილი ძუძუები, ხოლო ბავშვი — სულაც გააცოცხლა; მეტიც: დედას უბოძა პატარა ნაფოტი, რომლითაც იგი შეისრულებდა საკუთარი გულის ყოველგვარ საწაღელს.

ორივე შემთხვევაში უბედურებისაგან თავის დაღწევისა და ბედნიერებასთან ზიარებაში ცილდანაწამებ ქალს ეხმარება მესამე, სრულიად შემთხვევითი, მაგრამ კეთილი პიროვნება. ასეთი პიროვნება გერმანულ ვარიანტში არის მავანი რომაელი, რომელმაც კასრიდან ამოყვანილი დედა-შვილი თავისთან შეივრდომა, ხოლო ქართულ ვარიანტში — „ერთი ბებერი“ ქალი. ღვთის წყალობით ვადარჩენილი ბავშვიანი ქალი ჯადოსნური ნაფოტის დახმარებით იმ ქალაქის ახლოს მივიდა, სადაც მისი მეუღლე ბინადრობდა, დედაბრის ბინაში დაესახლა და შემდეგ ამავე მოხუცი ბანოვანის შემწეობით თავისი ქმრის ამ-

ბავი შეიტყო; მისივე დახმარებით მოახერხა მეუღლესთან შეხვედრა და შემდეგ მასთან დაბრუნება.

ორივე შემთხვევაში ბედად გადარჩენილი დედა-შვილი უბრუნდება თავის კანონიერ კერას: ქალი — ქმარს, ვაჟი — მამას. ენიეკლის ზღაპარში რუსთა ხელნაწიფის ქალიშვილი თავისი პირმშოთი უბრუნდება ცოდვებისაგან გაწმენდილ ორ მამაკაცს, რომელთაგან ერთია მამა — რუსთა მეფე, მეორე — ქმარი, ბერძენთა მეფე. ქართულ ვარიანტში მოთხრობილია იგივე: მონახულ ცოლ-შვილთან ერთად ხელნაწიფის გახარებულმა შვილმა მიაშურა მამისეულ სახლს, გადაიხადა დიდი ლხინი და იცხოვრა ტკბილად და ბედნიერად.

ორივე შემთხვევაში ბოროტება დაუსჯელი რჩება სიკეთის ზვიმის მიუხედავად. იანსენ ენიეკლის ზღაპარში სიმაართლის გაგების შემდეგ ბერძენთა მეფემ ბრძანა მისი ბოროტი დედა დღენიდაგი პატიმრობისთვის გამოემწყვდია ციხეში, რათა ტანჯვით მთელი სიცოცხლის განმავლობაში გამოეხსყიდა თავისი დანაშაული. მაგრამ შეძლო თუ არა ვერაგმა დედამთილმა ცოდვათა მონანიება, ეს უკვე ზღაპარში აღარა ჩანს. ა. კარგარეთელის პუბლიცაციაში ასევე არაფერია ნათქვამი, რა მოუვიდა გაბოროტებულ მამას. მას შერჩა სისხლის აღრევის მცდელობა, შვილიშვილისათვის ყელის გამოჭრა, დაბოლოს შერჩა ცილისწამება — დედისათვის დანაშაულის გადაბრალება. შურისძიებელი მამა სცენიდან დაუსჯელი ვადის ისე, თითქოს რაიმე დანაშაული მას არ ჩაედინოს.

ქართული ზღაპრის საბოლოოდ ფორმირების თარიღების დადგენა შეუძლებელია, თუმცა იგი ჩაწერილია პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში. მდგომარეობა უკეთესია ენიეკლის ზღაპართან დაკავშირებით: იგი ჩაიწერა XIII საუკუნეში, ხოლო თუ როდის დამთავრდა მისი ფორმირება, ამის დადგენაში გვეხმარება ტექსტის ერთი ადგილი. ზღაპარში ნათქვამია, რომ მთავრებმა „erkauften vom Papste mit Gold und Silber zu Erlaubnis, das der König seine Tochter heiraten könne“<sup>28</sup>. ტექსტში არსადაა ნახმარი სიტყვა ინდულიგენცია, მაგრამ უკვე ლაპარაკია „ცოდვათა მიტევების“ პრაქტიკაზე. თანაც საუბარია ჩასადენად განზრახულ ცოდვათა წინასწარ მიტევებაზე. ასეთი, რამე კი ცხოვრებაში პრაქტიკულად დაინერგა XI საუკუნის დასასრულს, კერძოდ 1095 წელს, როცა რომის პაპმა ურბანუს მეორემ პირველი ჭვაროსნული ლაშქრობის მონაწილეებს აღუთქვა ინდულიგენციათა მეოხებით ცოდვათა მიტევების პირობა. ასეთივე პირობით დაამედეს აგრეთვე XIII საუკუნის დასაწყისში ალბიგოელთა წინააღმდეგ მოწყობილი ჭვაროსანთა ლაშქრობის მონაწილენი. ამ ფაქტების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ი. ენიეკლის ზღაპრის საბოლოო გაფორმება დამთავრდა მხოლოდ 1095 წლის შემდეგ და ამდენად „რუსთა მეფის ქალიშვილი“ ბევრად ახალგაზრდაა ქართულ ვერსიასთან შედარებით.

ამგვარად, იანსენ ენიეკლის „რუსთა მეფის ქალიშვილი“ საინტერესოა თავისთავად, როგორც გერმანული ხალხური სიტყვიერების ღირსშესანიშნავი დოკუმენტი, როგორც უცხოეთში რუსული თემის დამუშავების მნიშვნელოვანი ფაქტი. საინტერესოა იგი აგრეთვე ქართულ ზღაპართან დიდი სიახლოვის თვალსაზრისით. იმისდა მიუხედავად, რომ შემორჩენილი უძველესი პლასტე-

<sup>28</sup> F. H. von der Hagen, დასახ. შრომა, Bd. III, გვ. 591.

ბის მეოხებით ქართული ვარიანტი გერმანულზე ადრინდელია და ზოგადი, მაინც ენიკელის ზღაპარში, ისევე, როგორც „ოქროსთმიანი ვაჟის“ სიუჟეტში, ერთნაირადაა წარმოდგენილი როგორც სისხლის აღრევის მცდელობის, ინცესტის, ასევე შეურაცხყოფილი და გამართლებული ცოლის მოტივი. ანალოგიები თავს იჩენენ მოვლენათა მსგელობის მიზეზ-შედეგობრივ კავშირში; სიუჟეტის განვითარების და თვით დეტალების თავისებურებაში. ანალოგიურობის ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს მიგრაციის თეორიის გარკვეულ საფუძვლიანობას; კიდევ ერთხელ ნათელსა ხდის საქართველოს ადგილს და ქართველი ხალხის როლს მოარული სიუჟეტების მიმოქცევის პროცესში.

„რუსთა მეფის ქალიშვილის“ ზღაპრის მეორე სიუჟეტი, — ცილდანაწამები და გამართლებული მეუღლის მოტივი — შეუძლებელია იყოს წარმოშობილი პსკოვის ან ნოვგოროდის რაიონში და მისული სხვადასხვა არხით ავსტრიაში იანსენ ენიკელამდე. ან თაობებზე გავლით ა. პუშკინის ძიძამდე, როგორც დიდი პოეტის ინფორმატორამდე. შეურაცხყოფილი და რეაბილიტირებული. ცოლის სიუჟეტი თავისი წარმოშობით მსოფლიო მთარული სიუჟეტი, რომელსაც განეკუთვნება „მამისა და ბეაფლორის“ ციკლში თავმოყრილ რომანტიკულ მოთხრობათა ჯგუფს. ეს მოარული სიუჟეტი რუსმა ხალხმა ისე ორგანულად აითვისა და შემოქმედებითად გადაამუშავა, რომ თავისი სასიკადალო შვილის ა. პუშკინის ხელით შექმნა სრულიად ორიგინალური და ქვეყნარტად ეროვნული ნაწარმოები — „მეფე სალტანის ზღაპარი“.

„ოქროსთმიან ვაჟს“ მოეპოვება ანალოგიები რუსულ ზღაპარში „მამა და ქალიშვილი“. ამ უკანასკნელში ყოველგვარი მოტივის გარეშე მამამ მოიწადინა საკუთარი ქალიშვილის ცოლად შერთვა მას შემდეგ, რაც გარდაეცვალა კანონიერი თანამეცხედრე. ქალიშვილმა რამდენჯერმე უთხრა უარი მამას და როცა ვერაფერს ვახდა, თანხმობა განაცხადა ერთი პირობით — საქორწინო ბეჭედთან ერთად მამამ დურგლებს გააკეთებინოს „საიდუმლო ბოძი ფართული კარით“. და როცა გააკეთეს ასეთი ბოძი, ქალიშვილმა იგი სახლში მიატანინა, ბეჭდიანად უჩუმრად შიგ შევიდა და „ჩაიკეტა“. როცა ქალიშვილი ველარ იხილა, გაწბილებულმა მამამ საიდუმლო ბოძი „წყალში გადაადგინა“ წყლის ღინებამ ბოძი სხვა სამფლობელოში ჩაიტანა. ივან კარალევიჩმა, ნადირობიდან რომ ბრუნდებოდა, მდინარიდან ბოძი გამოატანინა და შინ წააღებინა. დამძინების წინ ნავახშმები ივან კარალევიჩი თეფშებზე ტოვებდა საჭმელს, რომელსაც ბოძიდან გამოსული ქალიშვილი ღამლამობით მიირთმევდა და შემდეგ კოცნიდა ივან კარალევიჩს. როცა ასეთი რამ რამდენჯერმე განმეორდა, სახლის პატრონმა ეჭვი აიღო, რომ ბოძში ვიღაც უნდა ყოფილიყო. ერთხელ როცა დაპურებულ ქალიშვილს უნდა ეკოცნა ვაჟისათვის, ივან კარალევიჩმა იგი დაიჭირა, მისი ამბავი გამოიკითხა, თანდათან დაიხლოვა და შემდეგ ცოლადაც შეირთო.

მსგავსება რუსულსა და ქართულ თქმულებათა შორის ამით არ მთავრდება. „მამისა და ქალიშვილის“ ამბავს ანალოგიური დეტალები მოეძებნა სხვა ქართულ ზღაპრებში, მაგალითად ზღაპარში „სამნი ქალიშვილი“. ცილდანაწამები ცოლის მტრებად აქ გამოდიან დები, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რუსულ ზღაპარში ეს ბოროტი ქალები ივან კარალევიჩის დები არიან, ხოლო ქართულ ზღაპარში — თვით ცილდანაწამები ქალის ღვიძლი, მაგრამ ბოროტი დები.

როცა ქალმა შობა შეილი, ნათქვამია ქართულ ვარიანტში, ის აიყვანეს მშობიარე ქალის დემა და წყალში ჩააგდეს. ძალის ლეკვი მიიყვანეს დღე-ღამეებს დედის ლოგინში, ხოლო ხელნაწიფის შვილს აცნობეს, შენმა ცოლმა ლეკვი დაბადა<sup>29</sup>. ანალოგიურია ვითარება ზღაპრებში: „მოხუცი ცოლ-ქმარი“<sup>30</sup>, „ოქროსქოჩრანი ვაჟი“<sup>31</sup> და „ოქროსთმიანი ქალ-ვაჟის ზღაპარი“<sup>32</sup>.

ჩვენ ერთხელ გვქონდა საშუალება გველაპარაკა ქართულსა და გერმანულ ზღაპართა შორის, კერძოდ სანართიასა და ზიგურის თქმულებათა შორის, არსებულ ანალოგიებზე<sup>33</sup>. იანსენ ენიკელის ზღაპრის სახით ამჯერად მივკვლევთ ლია კიდევ ერთი, ახალი ანალოგია, მაგრამ იანსენ ენიკელის „მსოფლიო ქრონიკაში“ წარმოდგენილია სხვა ზღაპრებიც და მათი შესწავლა-გაანალიზება მომავალი ძიების საგანი უნდა გახდეს.

### Ш. И. РЕВИШВИЛИ

## НЕМЕЦКИЙ ЭКВИВАЛЕНТ ГРУЗИНСКОЙ СКАЗКИ ВО «ВСЕМИРНОЙ ХРОНИКЕ» ЯНСЕНА ЭНИКЕЛЯ (XIII В.)

### Резюме

Среди рассказов, входящих во «Всемирную хронику» («Weltchronik») немецкого писателя Янсена Эникеля, «История дочери русского короля» («Des Reussenkönigstochter»), особенно привлекает внимание как выдающийся образец немецкой народной словесности и как интересный факт обработки за рубежом русской темы. Кроме того, этот рассказ интересен с точки зрения своей эквивалентной близости к одной грузинской сказке.

В сказке из сборника Эникеля сочетаются два различных сюжета: в первом из них разработан мотив кровосмешения, инцеста (Inzest): рисуется образ молодой красавицы, которая подвергается преследованию за то, что отказалась стать женой собственного отца (по классификации Аарне-Томпсона № 510, группа В); во второй сюжетной линии дана история оклеветанной, но, после установления истины, реабилитированной жены (по той же классификации группа № 707).

По мнению П. Н. Беркова, среди русских сказок нет ни одной, где одновременно были бы представлены оба вышеназванные сюжета „nirgends die beiden motive gleichzeitig vorkommen“, стр. 308). Стисительно первого сюжета Берков не пишет ничего, но в отношении второго он высказывает чрезвычайно оригинальные соображения и считает, что этот сюжет «до поразительных подробностей» близко подходит к «Сказке о царе Салтане» А. С. Пушкина. Исключая возможность непосредственных литературных взаимовлияний, П. Н. Берков в то же время старается связать возникновение второго сюжета

<sup>29</sup> შ. რევიშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. III, გვ. 199.

<sup>30</sup> სვანური ზღაპრები, შეკრებილი თავისუფალი სვანის მიერ, ქუთაისი, 1893, გვ. 11—18.

<sup>31</sup> რჩეული ქართული ხალხური ზღაპრები, ე. ვირსალაძის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 195—200.

<sup>32</sup> ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი თედო რაზიყაშვილის მიერ, წ. I, 1951, გვ. 87—90.

<sup>33</sup> შ. რევიშვილი, გერმანული გამოხმაურებანი ერთი ქართული ზღაპრის გამო, წიგნი-ში: „ქართულ-გერმანული ლიტერატურული ურთიერთობიდან“, თბილისი, 1969, გვ. 50—59.

немецкой сказки с русской почвой, в частности, с районами Пскова или Новгорода.

В это предположение П. Н. Беркова существенный корректив вносит грузинская сказка о «Золотокудром мальчишке» (впервые опубликована в 1914 г.). По сравнению с грузинской сказкой, немецкий вариант записан более, чем на шесть веков раньше. Различие мест возникновения и времени записи сказок объясняет определенные отклонения в развитии сюжетов, которые, однако, явно аналогичны друг другу в последовательности и причинноследственной связи явлений, в главной линии действия и даже в особенностях некоторых деталей.

В «Истории дочери русского короля» и в «Золотокудром мальчишке» идентичны темы виновности отцов, пытавшихся совершить кровосмешение; в обоих случаях их порочные стремления сталкиваются с резким протестом дочерей, которых за это отцы жестоко наказывают. Изгнанные девушки попадают в чужие страны, где счастливо выходят замуж. Однако на этом превратности их судеб не кончаются. Появление мстительного, жестокого человека вносит разлад в семейное счастье и приводит к тому, что оклеветанную мать приговаривают к смерти. Но по воле бога она остается жива; при этом в обоих случаях выпадает и восстанавливает свое доброе имя ей помогает неизвестный благородный человек. В конце сказки мать и сын возвращаются в свой дом к мужу и отцу. При этом в обеих сказках зло остается ненаказанным, несмотря на то, что добро торжествует.

Мотивы, аналогичные теме «Золотокудрого мальчишка», встречаются и в русской сказке «Отец и дочь». В ней проходят обе сюжетные линии, но большее внимание уделено теме инцеста и сравнительно меньше разработана история оклеветанной жены.

Аналогии, обнаруженные в грузинской, немецкой и русской сказках, еще раз подтверждают обоснованность теории миграции. Проведенные сопоставления подтверждают роль грузинского фольклора в процессе многовекового передвижения сюжетов.

Из всего сказанного ясно, что происхождение второй сюжетной линии в «Сказке о дочери русского короля» нельзя связывать с районом Пскова или Новгорода. Мотив оклеветанной и реабилитированной жены является мировым бродячим сюжетом: он представлен в группе романтических рассказов в цикле «Май и Беафлог» («Mai und Beaflog»), и он же был своеобразно отражен и разработан в русском народном творчестве.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

Л. П. СМЕРНОВА

ГЕОГРАФИЧЕСКОЕ СОЧИНЕНИЕ ПОЭТА Х В.  
 АБУ-Л-МУ'АЙЙАДА БАЛХИ

(К вопросу идентификации)

Имя Абу-л-Му'аййада Балхи, известного ученого, поэта и прозаика саманидского времени хорошо знакомо многим иранистам. Почти ни одно его произведение не дошло до нас, однако их значение подтверждается многочисленными письменными свидетельствами. Абу-л-Му'аййада упоминает в числе поэтов саманидского круга 'Ауфи в Лубаб ал-Баб, толковые персидские словари цитируют под его именем около 20 двустиший. Источники приписывают Абу-л-Му'аййаду несколько больших работ, в том числе прозаическое «Шахнаме», цитируемое в персидском переводе анналов Табари, в Та'рих-и Систан, в Кабуснаме, Муджмал ат-таварих и в Та'рих-и Табаристан. Та'рих-и Систан упоминает и цитирует также географическое сочинение Абу-л-Му'аййада<sup>1</sup>. Названо оно здесь 'Аджа'иб-и барр-у бахр — «Диковинки морей и суши». Это сочинение считается единственным дошедшим до нас трудом Абу-л-Му'аййада.

В предисловии к тексту Та'рих-и Систан на стр. 3 в сноске 1 Бахар пишет:

«У меня есть книга Абу-л-Му'аййада, названная 'Аджа'иб ал-Булдан «Диковинки стран». По-видимому, существуют только два списка (нусхе) этого сочинения. Один находится у меня».

В примечании 1 к странице 21 Та'рих-и Систан из упомянутой выше рукописи приведен небольшой отрывок о песках в Систане и ветряных мельницах, позволяющий провести некоторые параллели с текстом Та'рих-и Систан. Более подробно Бахар говорит об имеющейся у него рукописи географического сочинения, приписываемого Абу-л-Му'аййаду Балхи, во втором томе Сабкшйнаси<sup>2</sup>:

«... к сожалению, все его (Абу-л-Му'аййада. — Л. С.) сочинения исчезли. Сохранились лишь их названия. Исключение составляет сочинение, дефектная рукопись которого находится у пишущего сии строки. Называется оно 'Аджа'иб ал-Булдан и несомненно принадлежит Абу-л-Му'аййаду Балхи. Однако в дальнейшем другие авторы приложили к нему руку, в тексте упоминаются события 562/1166-67 и ша'бана 606/1210 гг. Совершенно ясно, что уроженец Азербайджана, скорее всего, Мераги, сделал в это сочинение вставки и сократил число имевшихся в нем старых оборотов и лексик».

Далее Бахар приводит начало рукописи:

«Бисмиллахи рахману рахим. Чунин гуяад Абу-л-Му'аййад-и Балхи, рахмат-уллахи алайхи...».

Точно такое начало мы находим в кембриджской рукописи географического сочинения 'Аджа'иб ал-Ашйа (или 'Аджа'иб ад-Дуния)<sup>3</sup>. Только после куны Абу-л-Му'аййад там добавлена еще одна — Абу Мути' (этим последним именем начинается первый рассказ книги).



Так же, как и в рукописи из коллекции Бахара, первым следует рассказ об удивительном дереве в Индии: агаз-и китаб. Чунин гуйад Абу Мути'-и Балхи ки дар Хиндустан дирахти-ст... Сходство текстов этих двух рукописей было в свое время замечено С. Нафиси. В комментариях к тексту Кабуснаме<sup>4</sup> на стр. 195 он пишет:

«Из прозаических сочинений [Абу-л-Му'аййада] до нас дошла книга под названием 'Аджа'иб ал-Ашйа или 'Аджа' иб ад-Дунйа, содержащая [описание] чудес [разных] стран, оригинал которой (асл-и ан) принадлежит перу Абу-л-Му'аййада. В 613/1215 г. другой автор сделал в нее вставки, дополнив текст более поздними событиями. Однако повсюду в тексте сохранились слова (суханан) Абу-л-Му'аййада, характерные для стиля 4 в. х. Один список этого сочинения находится в Восточной библиотеке Кембриджского университета в Англии, другой — у Малик аш-Шу'ара Бахара в Тегеране».

Со времени выхода в свет работ Нафиси и Бахара утверждение о том, что географическое сочинение Абу-л-Му'аййада Балхи дошло до нас и что его рукопись находится (или находилась) в частной коллекции Бахара (о рукописи из Кембриджа при этом порой забывают) можно встретить во многих специальных и неспециальных работах<sup>5</sup>. Между тем, единственным аргументом (предисловие мы пока не рассматриваем) для суждения о том, что перед нами сочинение Абу-л-Му'аййада Балхи, служит то, что в тексте имеются «слова и выражения, характерные для стиля 4 в. х.». Принимая, однако, во внимание компилятивный характер данного сочинения, о чем будет сказано ниже, вряд ли можно считать этот аргумент достаточно надежным.

Еще один список рассматриваемого сочинения, причем наиболее полный сравнительно с кембриджским (фототекст этой рукописи мы имели возможность тщательно исследовать) и, очевидно, с тегеранским (о чем мы можем судить, правда, только по опубликованному Бахаром отрывкам)<sup>6</sup> имеется в рукописной коллекции ЛО ИВ АН СССР<sup>7</sup>. Первая страница в ленинградской рукописи утеряна и, следовательно, предисловие и указание на автора сочинения отсутствуют. Рукопись 'Аджа'иб ад-Дунйа из собрания ЛО ИВ была предметом исследования Н. Д. Миклухо-Маклая<sup>8</sup>, который (на основе упоминаемых в тексте дат и косвенных данных) характеризовал ее как сочинение, относящееся к 20-м гг. XIII в. Из работы Миклухо-Маклая мы знаем также, что первая часть сочинения (а в кембриджской рукописи представлена только она) является сводом рассказов о разного рода диковинках в мусульманских и немусульманских странах, дополненных личными наблюдениями автора, а также сведениями, полученными путем расспросов. Приведенные Миклухо-Маклаем доводы в пользу предложенной им датировки представляются убедительными. Датировка эта принята Ч. А. Стори<sup>9</sup>. Более того, если даже согласиться с Бахаром и Нафиси и исключить из рассмотрения все события конца XII — начала XIII вв., считая их позднейшими вставками, то и в этом случае из текста не будет следовать авторство Абу-л-Му'аййада. И вот почему. Еще Миклухо-Маклай установил (на основе имеющихся в тексте ссылок), что 'Аджа' иб ад-Дунйа в значительной мере носит компилятивный характер. Основным источником для него было сочинение Наджиба Хамадани 'Аджа' иб ал-Махлукат. Имеется в виду космографическое и географическое сочинение XII в., авторство которого в науке обычно приписывается Мухаммаду Туси Салмани<sup>10</sup>. Текст этого сочинения в настоящее время опубликован в Иране<sup>11</sup>, издание снабжено подробным оглавлением и разнообразными указателями, что значительно облегчило сопоставление этих двух текстов. Оказалось, что автор 'Аджа' иб



ад-Дунйа заимствовал из текста Наджиба Хамадани более половины рассказов (ссылки даны при этом только в пяти случаях). Источники 'Аджа' иб ал-Махлука установлены, труда Абу-л-Му'айяда среди них нет.

Есть в 'Аджа' иб ад-Дунйа ссылки и на другие источники, также более поздние по времени, нежели сочинение Абу-л-Му'айяда. Примером может служить Та'рих-и султан Махмуд (л. 140 б).

Имя самого Абу-л-Му'айяда Балхи кроме краткого, в 3,5 строки, приведенного выше предисловия, встречается в тексте еще трижды: на л. 91а (ленинградская рукопись, в кембриджской этот рассказ пропущен) ссылкой на Абу-л-Му'айяда заключен рассказ о роднике на дороге [Н]ахриван:

دیگر. در راه هروان عقبه ایست که آنرا... خوانند و زیر عقبه چشمه‌ایست روشن هر که رکوئی بلید در وی افکند تا چیزی بیند در حال جوش گیرد و از آن جوش بخاری پیدا شود و اگر چه تابستان بود باران صعب آید. ابو الموید گوید که من چند بار این مقام را دیده ام بدین صفت.

Вторая ссылка на Абу-л-Му'айяда на л. 116а (К, л. 52а) заключает рассказ о диковинках в церквах и храмах Рума:

در کلیسیا و دیرهای روم عجایب بسیار است که حکیمان ساخته اند و از آن وقت که رومیان بیت المقدس را خراب کردند تا آن تاریخ که کتاب اصل ساخته اند ابو الموید گوید هر سال از روم اسیران بغارت میبرند و ایشان بدان مستحق اند تا ابد چنین باد.

При этом сам рассказ восходит к тексту Наджиба Хамадани, однако приведенная выше цитата и ссылка на Абу-л-Му'айяда у Наджиба Хамадани отсутствуют. Третья ссылка на л. 98а. Совершенно очевидно, что во всех случаях мы имеем дело с цитатами из географического труда Абу-л-Му'айяда, но не с текстом его сочинения.

Аналогично, то есть от первого лица, цитируются в сочинении и другие авторы. В качестве примера приведем ссылку автора на уже упоминавшегося Наджиба Хамадани, л. 143 а:

و نجیب همدانی رحمه الله علیه گوید که من آهو دیدم که زبان نداشت. سبب آن از صیادی پرسیدم گفت آهو را چون بچه او صید کنند نوحه بسیار کند و زبانش بخاید پس خشک شود و بریزد.

Все сказанное позволяет сделать следующие выводы:

1. географическое сочинение, известное в науке под названием 'Аджа' иб ал-Ашйа или же 'Аджа' иб ад-Дунйа и представленное в настоящее время тремя списками, не принадлежит перу Абу-л-Му'айяда Балхи;

2. Абу-л-Му'айяд Балхи был лишь одним из источников рассматриваемого сочинения, из него автор 'Аджа' иб ад-Дунйа заимствовал некоторые свои рассказы;

3. краткое предисловие, которое предваряет основной текст 'Аджа' иб ад-Дунйа в кембриджской и тегеранской рукописях и в котором автором сочинения назван Абу-л-Му'айяд Балхи и имеется посвящение Саманиду Нуху б. Мансуру (976—997), не может относиться к данному сочинению, так как эти данные не согласуются с фактами, изложенными в самом сочинении. На подложность предисловия указал Ч. А. Стори в своем обзоре<sup>12</sup>.



4. географическое сочинение Абу-л-Му'айяда Балхи постигла та же участь, что и все его другие произведения: оно до нас не дошло или же пока не найдено. Мы знаем о нем только по упоминаниям и цитатам в «Та'рих-и Систан» и в «'Аджа'иб ад-Дунйа».

### Примечания

- <sup>1</sup> تاريخ سيستان بتصحيح ملك الشعرا بهار چاب دوم تهران [۱۳۳۹] ص ۱۳
- <sup>2</sup> سبکشناسی یا تاریخ تطور نثر فارسی تالیف محمد تقی ملک الشعرا بهار — تهران جلد دوم ۱۳۲۱ ص ۱۸ — ۱۹
- <sup>3</sup> G. H. (12). л. 44b; о рукописи см.: A Descriptive Catalogue of the Oriental MSS, belonging to the late E. G. Browne. Completed edited with a memoir of the author and a bibliography of his writings by R. A. Nicholson, Cambridge, at the University Press, 1932, стр. 93—94; C. A. Storey, Persian Literature of bio-bibliographical Survey, vol. II, pt. I, London, 1958, стр. 123—124.
- <sup>4</sup> کتاب نصیحت نامه معروف به قابوس نامه تالیف امیر عنصر المعالی کیکاوس بن اسکندر بن قابوس بن وشمگیر بن زیار با مقدمه و حواشی سعید نفیسی تهران ۱۳۱۲، ص ۱۹۵
- <sup>5</sup> ذبح الله صفا — تاریخ ادبیات در ایران جلد اول تهران ۱۳۳۵ ص ۴۲۱
- <sup>6</sup> ۴۲۲: دهخدا، علی اکبر لغت نامه [ابوسعید اثبات] تهران ۱۳۲۵ ص ۸۷۷; G. Lazard, Abu-l-Mu'ayyad-e Balkhi, — Yadname-ye Yal Ryrka, Prague, 1967, стр. 95;
- <sup>6</sup> После смерти Малек ош-шо'ара Бахара рукопись 'Аджа'иб ал-Буддан, насколько мне известно, была куплена у родственников покойного библиотекой Малжлса и ныне находится там;
- <sup>7</sup> О. Ф. Акимущин и другие, Персидские и таджикские рукописи Института народов Азии АН СССР (Краткий алфавитный каталог), М., 1964, стр. 380. Соотношение текстов этих двух рукописей подробно рассмотрено в статье: Л. П. Смирнова, Кембриджская рукопись 'Аджа'иб ал-Ашйа, в сб.: Письменные памятники и проблемы истории культуры народов Востока. XI годичная научная сессия ЛО ИВ АН СССР (краткие сообщения и автоаннотации), I, М., 1975, стр. 127—132;
- <sup>8</sup> Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на персидском языке (исный источник по исторической географии Азербайджана и Армении) — Ученые записки Института востоковедения АН СССР, 1. IX, 1954, стр. 175—210;
- <sup>9</sup> C. A. Storey, II, pt 1, стр. 123;
- <sup>10</sup> Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение, стр. 186—187;
- <sup>11</sup> ۲۲: عجائب المخلوقات تالیف محمد بن محمود بن احمد طوسی — باهتمام منوچهر ستوده، تهران — ۱۳۴۵
- <sup>12</sup> C. A. Storey, II, pt I. st. 123.

Ленинградское отделение Института востоковедения АН СССР

Представил член-корреспондент АН Грузинской ССР В. Н. Габашвили

## უშია აზრიდონიძე

## რთული ტოპონიმების კომპონენტთა შეხამებითი უნარისათვის

ტერმინში „რთული ტოპონიმი“ ნაგულისხმევეა ლექსემებად დაშლადი ტოპონიმიური ერთეული. დაშლის საფუძველია ტოპონიმა სტრუქტურა-სემანტიკა აპელატიური ლექსიკის დონეზე.

განხილვის საგანია მსაზღვრელ-საზღვრულის სტრუქტურის მქონე მრდელი. მასალად აღებულია ზემო იმერეთის ტოპონიმა, უპირატესად — მიკროტოპონიმა. გასარკვევია საანალიზო მოდელის შემადგენელ ნაწილთა კომბინატორული შესაძლებლობები. ლექსემებისა თუ ფორმანტების არჩევითობა საერთოდ და განსაკუთრებით დამახასიათებელია არა მარტო ტოპონიმიისათვის, არამედ მთელი ონომასტიკონისათვის.

განსახილველ მოდელში მსაზღვრელი შეიძლება იყოს ატრიბუტულიც და მართულიც; ატრიბუტული მსაზღვრელი, თავის მხრივ, გამოხატულია გეოგრაფიული ტერმინით (ვაკემთა), ზედსართავი სახელით (ახალსოფელი, ზედა ბერეთისა), რიცხვითი სახელით (სამგორი, პირველი სვირი), მართული მსაზღვრელი კი — არსებითი სახელით — როგორც საზოგადო (ქალისუბანი), ისე საკუთარი სახელით (კიცხის იგორეთი, ალექსანდრეს წყარო, მეზვრიანთყარი) და რიცხვითი სახელით (სამთაწყარო). რაც შეეხება საზღვრულს, იგი შეიძლება გამოხატული იყოს როგორც აპელატივით (ახალსოფელი), ისე ტოპონიმით (ზედა საქარა, კიცხის იგორეთი).

წარმოდგენილ მოდელთაგან ზოგიერთი შედარებით ტრივიალურია და საგანგებო შესწავლას არ საჭიროებს. მხედველობაში გვაქვს რაოდენობითი რიცხვითი სახელისა და გეოგრაფიული ტერმინის — ინდიკატორის — შემცველი შეხამება (ორდელეს ტიბისა). სინტაქსური თვალსაზრისით ეს მოდელი მყარია და ვარიანტების საშუალებას არ იძლევა: ინვერსიული წყობა არა გვაქვს. რაც შეეხება ლექსემების არჩევას, შეიძლება დაგვამყოფილებულიყავით იმის აღნიშვნით, რომ მსაზღვრელებად გამოიყენება რიცხვითი სახელები ორიდან ხუთამდე, რომლებიც კონკრეტულ რეალიებს ასახავს, სიმრავლის ტრადიციულ სიმბოლოებად კი—ცხრა, იშვიათად — თორმეტი, რომლებშიც ტრადიციულადვე საკრალური მნიშვნელობაც ივარაუდება.

უფრო საინტერესოა ზედსართავ სახელთა ვითარება. საზღვრულებთან შეხამების თვალსაზრისით გამოიყოფა მსაზღვრელთა ორი ჯგუფი, რომელთაც პირობითად ვუწოდებთ „წყვილეულებს“ და „ცალეულებს“. პირველი ჯგუფი შეიცავს ანტონიმურ წყვილებს, რომლებიც ტოპონიმებთან შეხამებისას ძირითადად გვაძლევენ ოიკონიმებს (დასახლებულ პუნქტთა სახელებს): დიდი სახლარი — პატარი სახლარი, ზედა ითხვისი — ქვედა ითხვისი. აქვე უნდა ვთქვათ, რომ წყვილის ცალად ნულოვანი მსაზღვრელიც შეიძლება ივარაუდებოდეს. მაგ.: ზედა ბერეთისა — ბერეთისა... მეორე ჯგუფის ერთეულებს ანტონიმები ტოპონიმაში არ მოეპოვებათ. მაგ., მრგვალი — ტოპ. რგვალი ყანა, გრძელი — ტოპ. გრძელველი და ა. შ. ამას როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ, რომ ერთსა და იმავე საზღვრულს ერთსა და იმავე რეგიონში არ შეიძლება ახლდეს ანტონიმური მსაზღვრელები (განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან): გრძელველ-ის გვერდით არ შეიძლება არსებობდეს \*მოკლე ველი.

განსხვავება გამოყოფილი ჯგუფების ერთეულთა შორის თავს იჩენს მათი შეხამებითი უნარის სხვადასხვაობაშიც. განაწილება ასეთია: წყვილული მსაზღვრელები შეეწყობიან ტოპონიმით გამოხატულ საზღვრულს, ცალეულები კი — აპელატივით გამოხატულ საზღვრულს, რომელსაც ტოპონიმიკაში გეოგრაფიულ ტერმინს, ან, უფრო სპეციფიკურად, საზღვრულ ინდიკატორს უწოდებენ (სვერდლოვსკის ტოპონიმიკური სკოლა ამჯობინებს ტერმინ „დეტერმინატის“). ცალეულ მსაზღვრელთა შეუხამებლობა საზღვრულ ტოპონიმებთან იმის მაჩვენებელია, რომ ასეთ მსაზღვრელებში უფრო ძლიერია ატრიბუტული, მახასიათებელი ნიშანი, განსხვავებით წყვილულთაგან, რომლებშიც დომინირებს მათი ინტენტივური თვისება. მათში პოზიტიური ინფორმაცია არ არის მოცემული. ასეთებია: დიდი — პატარა, ზედა (ზემო) — ქვედა (ქვემო), მარჯვენა—მარცხენა, გაღმა—გამოღმა და ა. შ. ისინი შეუაღედური ხასიათისანი არიან და შეიძლება შეესაბამებოდნენ კიდევ სათანადო რეალებს.

ინდიკატორს შეიძლება შეეწყოს წყვილულის წარმომადგენელიც (დიდი, ძველი...), თუკი მას მოცემულ რეგიონში იმავე საზღვრულთან საპირისპირო ცალი არ მოეპოვება (მაგ., დიდახო, დიდელე, დიდყანა). მაშასადამე, ამ შემთხვევაში წყვილული ცალეულის თვისებით აღიჭურვება. იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სიტუაციური“ ან „პოტენციური ცალეულია“ (განსხვავებით „რეალური ცალეულისაგან“);

ზემოაქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული ორი ჯგუფის მსაზღვრელთაგან უფრო ფართო, პრაქტიკულად უსაზღვრო კომბინატორული შესაძლებლობები აქვთ წყვილულებს, რამდენადაც მათ საზღვრული ტოპონიმების მადიდურენციურებელი, მათი ინტენტივური როლი აკისრიათ, ტოპონიმთა რაოდენობა კი პრაქტიკულად უსაზღვროა. ცალეულების ჯგუფის კომბინატორული შესაძლებლობები შედარებით ვიწრო არეში რეალობდება, რამდენადაც ამ ჯგუფის ზედსართავებთან შეხამებულია მხოლოდ ინდიკატორები—გეოგრაფიული ტერმინები, რომელთა რიცხვი ზღვრულია. აქედან გამომდინარე, ტოპონიმის საზღვრულად გამოყენება შეაპირობებს მასთან შეხამებული მსაზღვრელის სახეს: ეს იქნება წყვილულთა ჯგუფის წარმომადგენელი. აპელატივის საზღვრულად გამოყენებისას შეხამებულ მსაზღვრელთა ტიპები უფრო მრავალფეროვანია: დასტურდება როგორც ცალეულები, ასევე ცალეულად ნახმარი წყვილულები.

მაშასადამე: რაც უფრო განუსაზღვრელია საზღვრულთა რიცხვი (ე. ი. რაც უფრო ტოპონიმიკურია საზღვრული), მით უფრო შემოფარგლულია მსაზღვრელთა რაოდენობა, და პირუკუ: რაც უფრო შეზღუდულია საზღვრულთა რიცხვი (ე. ი. რაც უფრო აპელატიურია საზღვრული), მით უფრო მრავალფეროვანია მსაზღვრელი.

**დასკვნა პირველი: რთული ტოპონიმის შინაგანი წონასწორობა ლექსებმათა დონეზე აიკვება მსაზღვრელ-საზღვრულის შეხამებითი უნარის უკუპროპორციულობაზე.**

კომპონენტთა შეხამებითს უნარზე მსჯელობისას გასათვალისწინებელია მსაზღვრელთა მონაწილეობა ტოპონიმიზაციაში. მათი ფუნქციის დადგენა აუცილებელია ტოპონიმიკური წარმოების მთელი რიგი საკითხების და, კერძოდ, ტოპონიმიზაციის რთული პროცესის შესწავლისათვის.

როცა საზღვრულად ტოპონიმია გამოყენებული, მსაზღვრელის მონაწილეობა ტოპონიმიზაციის პროცესში მინიმალურია, ვინაიდან ტოპონიმიკური

ფუნქციის შესრულება მთლიანად და მხოლოდ საზღვრულს აკისრია. მსაზღვრელის დართვა არაფერს კმატებს საზღვრულს ტოპონიმიკური თვალსაზრისით. ამგვარი ურთიერთდამოუკიდებლობა გარეგნულად იმაში ვლინდება, რომ, საზღვრულის მსგავსად, მსაზღვრელიც ინარჩუნებს ფორმიანობას (ჩვენს შემთხვევაში—ბრუნებადობას, განსაკუთრებით, თუ საუბარი თანხმომავნუქიან სახელებს ეხება. მაგ., დიდი კაცხი, მაგრამ: დიდ კაცხში წავედი).

სრულიად განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს საზღვრულად გეოგრაფიული ტერმინის გამოყენება (დიდი ტბა, დიდი ყანა და ა. შ.). ასეთი შეხამება თავისუფალ შესიტყვებად აღიქმება. საზოგადო სახელის სემანტიკური გამჭვირვალეობა აფერხებს ტოპონიმიზაციის პროცესს. სპეციალურ ლიტერატურაში ამის თაობაზე ვკითხულობთ, რომ საკუთარ სახელთა „ასემანტიკურობა“ საფუძველია საზოგადო სახელთაგან მათს გასამიჯნავად<sup>1</sup>. ცხადია, ამგვარი განსაზღვრა სინქრონიულ სიბრტყეს ვარაუდობს, თორემ ამ სიბრტყიდან და მოცემული ენის ფარგლებიდან გასვლა ყოველ ტოპონიმს დაიყვანდა აპელატივზე. მაშასადამე, საზოგადო სახელის საზღვრულად გამოყენებისას, როგორც ზემოთ ითქვა, მიიღება ფორმალურად თავისუფალი შესიტყვება, რომლის ორივე წევრი ფორმიანია — რეალურად ან პოტენციურად (უკანასკნელ შემთხვევაში ხმოვანფუძიანი მსაზღვრელები გვაქვს მხედველობაში: ზედა/ქვედა/შუა, ზემო/ქვემო, პატარა...). იმისათვის, რომ ამგვარი შესიტყვება ერთ ობიექტს მიეჯავოს და, ამრიგად, გამოიწიოს იგი სხვა, მსგავსი ობიექტებისაგან (ეს კი საკუთარი სახელის უპირველესი დანიშნულებაა), საჭიროა მან დაკარგოს ჩვეულებრივ ხმარებულ ფორმა და რამდენადმე მაინც უჩვეულო იერი მიიღოს. როცა თქმული ცალკე ხმარებულ ინდიკატორებს ეხება, მათი გაუჩვეულება სხვადასხვა გზით ხდება: სიტყვაწარმოებითი აფიქსების დართვით, სახელის მრავლობით რიცხვში დასმით და სხვ. (ველი—ველა—ველები); ერთგვნიან შეხამებაში კი ამგვარ საშუალებად კომპოზიცია გვევლინება, რაც გამოიხატება მსაზღვრელის მიერ ფორმის დაკარგვაში (შდრ, ერთი მხრივ, ზედა წმანი, ზედა ქალოვანი, და ზედუბანი, წინსოფელი, მეორე მხრივ).

დასკვნა მეორე: რთული ტოპონიმის გარეგანი წონასწორობა აფიქსთა დონეზე აიკება მსაზღვრელ-საზღვრულის ფორმობრივ დაპირისპირებაზე.

ცხადია, კომპოზიციის დროსაც არ გამოირიცხება არც მრავლობითი რიცხვის ნიშნის, არც სხვა აფიქსების დართვა და, რაც უფრო მეტია მატოპონიმიზებული საშუალებები, მით უფრო მაღალია ტოპონიმიკურობის ხარისხიც. მაგ., განვიხილოთ ტოპონიმები: ველი, ველა, ველები, გრძელველი, გრძელველა, გრძელველები. ცხადი უნდა იყოს, რომ ყველაზე დაბალი, ფაქტიურად, ნულგანი ტოპონიმიკური ხარისხისაა ველი, უმაღლესისა კი — გრძელველა და გრძელველები; დანარჩენებს შუალედური მდგომარეობა უჭირავთ. ფორმა „ველის“ დაბალ ტოპონიმიკურ ხარისხს განაპირობებს მისი ორპლანიანობა—ორმნიშვნელობა: საკუთარი და საზოგადო. სხვა საქმეა, თუ ეს ერთეული ისეთ რეგიონში აღმოჩნდება, სადაც სიტყვა ველი არ იხმარება საზოგადო მნიშვნელობით, ან იშვიათად იხმარება, როგორც ნასესხობა ან არქაიზმი. მაშასადამე, სემანტიკური ბუნდოვანება ერთგვარი კატალიზატორია ტოპონიმიზაციის პროცესისა. მეორე პირობა ტოპონიმიკურობისათვის არის სახელის აპელატიური მნიშვნელობის შეუსაბამობა აღსანიშნ ობიექტთან (ეს პირობა არ გამოირიცხავს პირველს, თუმცა ყოველთვის არ გულისხმობს მას), ე. ი. ჩვენს მაგალითში ი-



ტყვა ველი არ უნდა მიემართებოდეს ამ სიტყვით აღნიშნულ ობიექტს. იგულისხმება, რომ შესაბამისობა ტოპონიმადელ ეპოქაშია საგულეებელი. ამ თხვევაში „ტოპონიმოზაციის“ დიქტონიულ ასპექტთან გვაქვს საქმე?

ჩვენ განვიხილეთ რთულ ტოპონიმებში მსაზღვრელ-საზღვრულის შინაგანი და გარეგანი (სემანტიკური და გრამატიკული) შეხამების ზოგადი პრინციპები. ახლა შევხებით ზოგიერთ კერძო კანონზომიერებას.

საინტერესოა, რომ ანტონიმურ წყვილთაგან **დიდი** — **პატარა** პირველ მეორესთან შედარებით უფრო ძლიერი შეხამებითი უნარი აქვს (დიდი) აღმართი, ახო, ეწერი, ვაკე, ველი, ვენახი, მინდორი, მიწა, მუხა, ტბა, ღლე, ცაცხვი, წვერი, წიფელა, წყალი...), როგორც ჩანს, მიკროტოპონიმიაში სახელდებისას გამორჩევა უფრო სიღრმის მიხედვით ხდება, ვიდრე სიმცირისა. რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ **პატარა** ძალზე იშვიათია, ისიც, თუ დიდის საპირისპიროდაა გამოყენებული (**პატარა ვენახი, პაწია დღემაური**). უთუოდ ამიტომევა, რომ მიკროტოპონიმიაში (და, საერთოდ, ტოპონიმიაში) მსაზღვრელად თითქმის არ გვხვდება **მოკლე**, მაშინ როცა მისი ანტონიმი **გრძელი** ძალზე ხშირია (**გრძელი ტყე, გრძელი ყანა, გრძელი ველი...**) ასევე: გვაქვს **მაღალი**, ხოლო **დაბალი** ჩვენს მასალაში საერთოდ არ შეგვხვედრია (**შდრ. ხემალაი, გორმაღალი**). სამაგიეროდ, **მაღლა-ს საპირისპიროდ** ხშირია **დაბლა**, მაგრამ ისინი **ზედა/ ქვედა-ს** სინონიმებად გაიზარება.

ზოგიერთი მსაზღვრელის სხვადასხვა ფუნქცია განასხევეებს მათს ფორმასა და პოზიციას. ასეთია ზემოხსენებული **მაღალი**. თუ იგი მორიგენტირებელ-მადიდერენციურებელი ფუნქციისაა, წინ უძღვის საზღვრულს, და ზმნიზედის ფორმისაა (**მაღლავაკე**), თუკი თვისობრივი მახასიათებელია საზღვრულისა, მოსდევს ამ უკანასკნელს (**ხემალაი, სვეტმაღალი, გორმაღალი**). სხვა შემთხვევაში მსაზღვრელი შიდატოპონიმოკურ ფუნქციას ასრულებს. საუბარე ეხება ზედსართავ სახელს „წმინდა“. ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, იგი წინ უძღვის საზღვრულ ანტროპონიმს: **წმინდა გიორგი, წმინდა ნინო და ა. შ.** პართული ეკლესიები ხშირად ატარებენ ამ სახელებს, განსაკუთრებით, პირველს. უნდა ვივარაუდოთ, რომ დროთა განმავლობაში, როცა მსგავსი სახელწოდებები გასცდა აღსანიშნ ობიექტებს — ეკლესიებს და დასახლებულ პუნქტზე ან მის ერთ რომელიმე უბანზე იქნა გადატანილი, გაჩნდა მოთხოვნილება ეკლესიისა და სოფლის სახელთა დიდფერენციურებისა. სამისოდ მოინახა სინტაქსური საშუალება — ინვერსია. ეს პროცესი რომ ასე უნდა წარმართულიყო, ამას ადასტურებს ეკლესია-საყდართა დღევანდელი სახელწოდებები, რომელთაგან განსაკუთრებით ხშირია წმინდა გიორგის სახელობისა. მსაზღვრელი აქ პრეპოზიციულია. მაშასადამე, შეხამების — „წმინდა+ ანტროპონიმი“ — აღსანიშნ ობიექტია: 1. წმინდანი, 2. საკულტო ობიექტი — ეკლესია-საყდარი. რაც შეეხება შეხამებას — „ანტროპონიმი+წმინდა“, მისი აღსანიშნ ობიექტია სოციალური ერთეული — სოფელი ან მისი უბანი, რომელსაც აქვს პერსპექტივა იქცეს უფრო დიდ ერთეულად.

იმის ნიმუშად, რომ ტოპონიმებთან მხოლოდ ზოგიერთი ზედსართავი შეიძლება შეგვხვდეს, ფ. შაკალათიას მოყვანილი აქვს მსაზღვრელი ძველი (ძველი აბაშა, ძველი ანაგა), რომელიც საზოგადო სახელით გამოხატულ საზღვრულთან არ დასტურდება. არ არის, ვთქვათ, \*ძველი მთა, \*ძველი ხევი, ზედსართავები თეთრი, წითელი კი მხოლოდ საზოგადოსთან იხმარება (წითელგორი, წითელმთა, წითელწყარო, თეთრი წყარო), ტოპონიმთან მისი ხმარება



(წითელი ანაგა) ძნელი დასაშვებია. თავისთავად სწორი დაკვირვება მოითხოვს დაზუსტებას და ახსნას. მსაზღვრელი ძველი ყველა აპელატივს კი არ გაურბის, არამედ ბუნებრივი ობიექტების სახელებს; \*ძველი მთა, \*ძველი ქედი, \*ძველი ხევი ისევე ძნელი საგარაუდებელია, როგორც წინა ვითარების ნაპირფეხით ნაწარმოები სახელები — \*ნამთარი (ან \*ნამთევი), \*ნაგორალი, \*ნაქედარი, \*ნახევარი (←ხევი). სამაგიეროდ, გვაქვს ძველი ვენახი, ძველსაყდარი, დაბაძველი, რომელთაც მარტივი ნაწარმოები სინონიმები მოეპოვებათ: ნავენახარი, ნახახარი, ნადაბური; ამ ტიპის ტოპონიმები ქმნის ე. წ. სამეურნეო ტოპონიმის ძირითად მასას. ესენი უპირატესად ადამიანის ჩარევის შედეგად მიღებული ობიექტების სახელებია ან ისეთი სახელები, რომლებშიც ასახულია ადამიანის ნამოქმედარი (ნატყეური, ნაწყაროვალი).

რაც შეეხება ფერების აღმნიშვნელ სახელებს, მათგან ქართულ ტოპონიმში დომინირებს სამი ფერის აღმნიშვნელი სახელები: თეთრი, შავი, წითელი. განსხვავებით აზიის ზოგიერთი ქვეყნის ტოპონიმისაგან (მაგ., ყაზახეთში დასტურდება ყვითელი, ყვავიფერი, ნაცრისფერი, მწვანე, ლურჯი...). ამ შედსართავენს სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ: ბუნებრივი ობიექტების სახელებთან ისინი ან ნიადაგის სახეს აღნიშნავენ (წითელმიწა, წითელტალახი), ან მხარეთა სიმბოლოებად გვევლინებიან: გავიხსენოთ აზიის ქვეყნების, კერძოდ, თურქულენოვანი ხალხების ტოპონიმია, სადაც წითელი და თეთრი შესაბამისად სამხრეთისა და ჩრდილოეთის სიმბოლური აღმნიშვნელებია. მსგავსი დაპირისპირებისათვის იხ. იმერეთის ტოპონიმიაში დადასტურებული ზო (მზიანი მხარე) და ბრილი (ჩრდილი). შდრ. ბრილმთა და წითელგორი.

თუკი წითელი დასტურდება დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელ ტერმინებთან (ქალაქი, დაბა, სოფელი), იგი სოციალურ-პოლიტიკური ორიენტაციის გამოხატულებად უნდა ვიგულოვოთ. ნიშანდობლივია, რომ ბუნებრივი ობიექტების სახელებთან თეთრი დასტურდება, ზემოხსენებულ ტერმინებთან კი — არა (თეთრახევა, თეთრღელე, მაგრამ არა: \*თეთროფელი, \*თეთრუბანი, \*თეთრქალაქი), თუმცა, შესაძლოა, სხვა მასალამ სხვა სურათი მოგვცეს.

საინტერესოა არსებითი სახელების შემცველი ტოპონიმები. პირველ ყოვლისა, გასაანალიზებელია ის ერთეულები, რომლებიც საერთოა მსაზღვრელისა და საზღვრულისათვის. გასარკვევია, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ერთი და იგივე აპელატივი მსაზღვრელად, და რა შემთხვევაში — საზღვრულად. კვლევების, ცხადია, კრიტერიუმში სემანტიკური უნდა იყოს, ხოლო მისი მომარკვება და საკითხის დასაშავადაჭრა ფუნქციურ პლანში უნდა ხდებოდეს. სანიმუშოდ აქ მხოლოდ ზოგიერთი ტიპის შეხამებებს მოვიყვანოთ. განვიხილავთ ერთგვარადი წარმოების ტოპონიმებს, ე. ი. მხოლოდ ორი ფუძისაგან წარმოქმნილ ტოპონიმურ ერთეულებს.

ცნობილია, რომ ქართულ რთულ ტოპონიმებში, ისევე როგორც სხვა, ანალოგიური აგებულების ერთეულებში, მსაზღვრელ-საზღვრულის პირდაპირი წყობის მაგალითები დიდად აღემატება ინვერსიულს. ამიტომ თითოეული კომპონენტის სემანტიკაში უნდა ვეძიოთ აუცილებელი და საკმაო საფუძველი იმისა, რომ იგი კვალიფიცირებულ იქნეს ატრიბუტულ ან სუბსტანტიურ ლექსემად. ამის მიხედვით გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი: 1. ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელი სახელები და 2. ხელოვნური ობიექტების აღმნიშვნელი სახელები. ამ ჯგუფში ძირითადად სამეურნეო ტოპონიმია ივარაუდება.

კომპოზიტებში პირველი ჯგუფის, სახელები უსწრებს მეორისას. მაგ.: გვერდოვნახი, გორაყანა, ეწერიყანა, ტყენაურმალა, ჭალანაყანები, ჭალაყანა და ა. შ. როგორც ჩანს, ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ სახელებს შეუძლია ატრიბუტის თვისების შექმნა და ხელოვნური ობიექტის დახასიათება, მაგრამ არა პირუტყუ: სამეურნეო ტოპოობიექტების გამოყენებით-დანაშნულებრივი ხასიათი მათ გამონათქვამის მიზნად აქცევს, რაც გამორიცხავს მათს ატრიბუტულ ხასიათს.

თვით ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელი სახელების შიგნით რელიეფის აღმნიშვნელი სახელები უსწრებს დანარჩენებს: ვაკეწერი, ვაკემათა, ვაკე-რცხინალი, ვაკეტყე, ჭალატყე, მთაწყარო... შდრ. იგივე ვაკე საზღვრულს როლში: სხლისვაკე, წიფლავაკე და ა. შ.

ბუნებრივი ობიექტების აღმნიშვნელ სახელთაგან ყურადღებას იქცევს ერთი რიგი სახელებისა, რომელთა პირველადი დანიშნულებაა სხეთლის ნაწილთა აღნიშვნა. გეოგრაფიულ ტერმინებად ისინი მოგვიანებით, მეტონიმის გზით იქცნენ. ეს სახელებია: თავი, ყელი, ყური, ზურგი, გული, ფერდი, გვერდი, ბირი, ფეხი, მხარი და მისთ. მათ ორგვარი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ: რელიეფისა და მთელის ნაწილისა. პირველ შემთხვევაში ისინი ატრიბუტულ მსაზღვრელებად გვევლინებიან და უსწრებენ საზღვრულს (გვერდამათა), მეორეში კი მოსდევენ მართულ მსაზღვრელს, რომელიც მთელს აღნიშნავს. მაშასადამე, გვაქვს ასეთი თანამიმდევრობა: მთელიდან ნაწილისკენ (მაგ., ჭალითავი, ვენახისთავი, კლდისთავი, რუსთავი, ხართვალა, კდისძირი, ციხისგვერდი, ციხისწერი, ტბისძირი, წყლისძირი და მისთ.). სხვა შემთხვევებში წონასწორობა მართულ მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის აიგება სახელთა შემდეგ თანამიმდევრობაზე: კონკრეტულიდან ზოგადისკენ. კონკრეტულ სახელთა ჯგუფში, უწინარეს ყოვლისა, საგულეებელია საკუთარი სახელები — ტოპონიმი და ანთროპონიმი. სემანტიკური მახვილი კონკრეტულ სახელზეა, რადგან მას მადიდებრენციობელი როლი ეკისრება: მან საგანთა კლასიდან უნდა გამოყოს ერთი და დაუპირისპიროს იგი სხვებს, ე. ი. უნდა დააკონკრეტოს ზოგადი. ამის მაგალითები ტოპონიმიაში უამრავია, შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაზე ხშირი ტიპია მსაზღვრელ-საზღვრულისა (გულდათუხანი, ბეჯათუხანი, მეკენჩხლის წყარო, ტბიზინაურის წყარო, სახტრის გარემო, საჯვაროს ვენახი, ჭალიახო, სამცხის გზა, ჭვარის ყანა, ჭვრის ტყე და ა. შ.). როცა პირველი კომპონენტი სემანტიკურად ნათელია, ე. ი. ცხადია მისი აპელატიური მნიშვნელობა, ძნელი სათქმელია, ტოპონიმთან გვაქვს საქმე, თუ საზოგადო სახელთან; ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული თანხმონის ჩივარდნა, აქ, რა თქმა უნდა, არაფრისმთქმელია, რადგან სათანადო დიალექტებში იგი თავისუფალ შესიტყვებაშიც იკარგება. ეს კია, რომ კომპოზიციისადმი სწრაფვა აჩქარებს ტოპონომიზაციის პროცესს და დროთა განმავლობაში თეორიულად მოსალოდნელია მსგავსი შეხამებების კომპონენტთა კიდევ უფრო შემკვიდროება.

პოსტოპონიციურია დასახლებული ადგილის აღმნიშვნელი ტერმინები: ქალაქი, უბანი, დაბა და მისთ.; ჰიდროტერმინები: წყალი, წყარო, ღელე და მისთ., თუ მათ მთელის ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვა არ შეეწყობა (წყლიობირი, ლაშისძირი, ყვრილისძირი, ტბისძირი და ა. შ.).

ფაუნის, ფლორის, ნიადაგის აღმნიშვნელი სახელები გეოგრაფიული ტერმინების მიმართ პრეპოზიციულია, რამდენადაც მადიდებრენციობელი ფუნქცი-

ით არიან აღჭურვილნი (ვაშლიდელე, ნაძვიდელე, ცარციდელე, ცხენისწყარო, ყვავის წყარო და ა. შ.)

ანალოგიური და სხვა წესების გამოყვანა შეიძლებოდა სხვა ტიპის შეხამებებისთვისაც, მაგრამ ამყადად მათზე აღარ შევჩერდებით. ნათელია, რომ თითოეული მოდელის შიგნით კომპონენტა შეხამებითი უნარის დეტალური შესწავლა საშუალებას მოგვცემს ჩაეწვდეთ ნომინაციისა და ტოპონიმიკური წარმოების პრინციპებს და ამის საფუძველზე დაეადგინოთ მყარი ტოპონიმიკური მოდელები. ეს კი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს უცნობი კომპონენტის სტრუქტურა-სემანტიკის გარკვევას ნაცნობის მეშვეობით, რაც აუცილებელი საფეხურია ტოპონიმთა სანდო ეტიმოლოგიზებისათვის.

1. В. М. Мокиенко, Закон «относительной негативности» и региональная топонимика, Уч. зап. УрГУ, № 114, Серия филологическая, вып. 18, Вопросы топониматики, № 5, Свердловск, 1971, стр. 79.
2. Т. В. Марадудина, Некоторые особенности употребления географических терминов в топонимике, Вопросы топониматики, вып. 3, Уч. зап. УрГУ, 49, Серия филологическая, 1967, стр. 13—16.
3. ფ. მაკალათია, კომენტარები თეონიმთა ინტერსიული ლექსიკონისათვის, 1973. (ხელნაწერი), გვ. 46.

### Ш. Т. АПРИДОНИДЗЕ

## О СОЧЕТАТЕЛЬНОЙ СПОСОБНОСТИ КОМПОНЕНТОВ СЛОЖНЫХ ТОПОНИМОВ

### Резюме

В статье проанализированы комбинаторные возможности компонентов сложных топонимов модели «определяющее + определяемое» на топонимическом материале Имерети.

Выделяются две группы определяющих: а) парные и б) одиночные. В первую группу входят антонимы с ориентировочной направленностью (верхний — нижний, большой — малый...), которые преимущественно сочетаются с топонимами и образуют ойконимы (didi saxvlari — raqara saxvlari); вторую же группу составляют одиарные адъективы, сочетающиеся с апеллятивами (cinsopeli). Такая комбинация затрудняет проведение линии разграничения между составными топонимами и свободными словосочетаниями. Необходимость топонимизации заставляет компоненты подвергнуться видоизменению путем композиции (ср. zeda çalovani и zedubani), либо присоединения словообразовательных или других аффиксов (напр., grzelvel-a, grzelvel-eb-i).

Выделение групп индикаторов (определяемых), обозначающих (на уровне апеллятивной лексики) естественные и искусственные объекты, объясняет синтаксическую структуру сложных топонимов: названия первой группы предшествуют названиям второй группы. В таких случаях препозиционные географические термины приобретают функцию атрибута (gverdovenaxi, goraqana).

В связи с этим в статье приведен ряд других ограничений.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიურმა.



## გიორგი როგავა

## წ ა მ და წ უ თ სიტყვათა ამოსავალი სემანტიკა

ქართულში დ რ ო ის მცირე მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვები წ ა მ-ი და წ უ თ -ი, ცხადია, თავიდანვე უფრო კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელი უნდა ყოფილიყვნენ.

ქართ. წამ სახელური ფუძის მეგრულ ვარიანტად აღ. ცაგარელს ნაჩვენები აქვს წუნ-ი<sup>1</sup>, ხოლო ი. ყიფშიძეს წუმ-ი. არც წუნ-ი და არც წუმ-ი მეგრულში ცალკე სიტყვად არ იხმარება. ორსავე მკვლევარს წარმოდგენილი აქვთ, ცხადია, მათ მიერ აღდგენილი სახეობა. მართლაც, ი. ყიფშიძემ ქართ. წამ ფუძესთან შედარების საფუძველზე მეგრ. აკაწუნ-ს („ცოტა ხანს“, „ერთ წუთს“) ზმნისართში შემავალი წუნ-ს კომპონენტის ამოსავალ სახეობად აღადგინა წუმ-ი<sup>2</sup>, აღ. ცაგარელმა კი გამოჰყო პირდაპირ წუნ-ი.

ქართ. წამ ფუძის ზანურ შესატყვისად კ. შმიდტმა მიიჩნია მეგრ. წუმ-ი, უნდა ვიფიქროთ, ი. ყიფშიძის მიერ აღდგენილი სახეობის მიხედვით<sup>3</sup>.

ისევე, როგორც აღ. ცაგარელსა და ი. ყიფშიძეს, გ. კლიმოვსაც ნაჩვენები აქვს ზანურში წუმ-ი/წუნ-ი ქართ. წამ-ის კანონზომიერ შესატყვისად<sup>4</sup>.

არაა სარწმუნო ქართ. წამ ფუძის შესატყვისად ჩავთვალოთ ი. ყიფშიძის მიერ მეგრ. აკაწუნ-ს ზმნისართში აღდგენილი წ უ მ -ი თუ წ უ ნ -ი. აკაწუნ-ს კომპოზიტ-ზმნისართის მეორე კომპონენტი წ უ ნ -ი არის ქართულიდან შეთვისებული სახელი წ უ თ ი ნ სონანტის ჩართვით—წ უ ნ თ -ი<sup>5</sup>. მეგრ. აკაწუნ-ს მიღებულია \*აკაწუნ-ს („ერთ წუთს“) ამოსავალი სახეობისაგან, სადაც ფუძის ბოლოკიდურ თ-სა და ბრუნვისეული -ს სპირანტის შერწყმით მივიღებთ აკაწუნ-ც. ბოლოსართი -ც (-თ-ს) ბგერობრივ გაუტოლდა მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავის მიცემითის ც (-ს) ნიშანს, ხოლო სენაკურ კილოკავში მას ცვლის მიცემითის -ს სუფიქსი—აკაწუნ-ს, შდრ. ანალოგიური შემთხვევა — მეგრ. ღორონთ-ს—ღორონ-ც, (ზუგდიდ-სამურ. კილოკ.), ღორონთ-ს—ღორონ-ც—ღორონ-ს (სენაკ. კილოკ.) „ღმერთს“...

ამგვარად, ქართ. წამ ფუძე და მეგრულის აკაწუნ-ს კომპოზიტ-ზმნისართში აღ. ცაგარლისა და ი. ყიფშიძის მიერ გამოყოფილი წუნ/წუმ ლექსიკურად სხვადასხვა მონაცემებია.

რა უნდა იყოს სინამდვილეში ქართ. წამ ფუძის შესატყვისის სხვა ქართველურ ენებში?

<sup>1</sup> აღ. ცაგარელი, Мингрельские этюды, вып. II, Опыт фонетики мингрельского языка, СПб, 1880, გვ. 60.

<sup>2</sup> И. Кишндзе, Грамматика мингрельского (иверского) языка, СПб., 1914, გვ. 382.

<sup>3</sup> К. Н. Schmidt, Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Wiesbaden, 1962, გვ. 154.

<sup>4</sup> Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

<sup>5</sup> წუნთი წ უ თ ი ს მნიშვნელობით წარმოდგენილი აქვთ როგორც აღ. ცაგარელს (დასახ. ნაშრ., გვ. 60), ისევე ი. ყიფშიძეს (დასახ. ნაშრ., გვ. 392).

ზანურის დიალექტებში ზმნისართი ხვალ და დილა სახელი ერთი და იმავე **ქუმ** ფუძით არის წარმოდგენილი: ჰან. **ქუმ-ანი** „დილა“, **ო-ქუმ-ე-//** „ხვალ“, მეგრ. **ქუმ-ა ნ//ქუმ-ე** „ხვალ“ **ო-ქუმ-ა რ-ე** „დილა“.

ზანურის ამ **ქუმ** ფუძის კანონზომიერი სვანური კორელატია **ჰამ** „დილა“, როგორც ეს კ. შმიდტს აქვს გარკვეული<sup>7</sup>. ქართულ-ზანურ ყრუ აფრიკატა და სვანურის **ჰ** სპირანტის კანონზომიერი მიმართება დადგენილი აქვს ე. თოფუ-რიას<sup>8</sup>.

ზან. **ქუმ** და სვან. **ჰამ** ფუძის კანონზომიერი შესატყვისია დროის მცირე მონაკვეთის აღმნიშვნელი ქართ. **წამ** ფუძე. ასე რომ ქართველურ ენებში ერთი და იმავე ფუძით არის წარმოდგენილი დროის სხვადასხვა მონაკვეთის აღმნიშვნელი სიტყვები: წამი — ქართულში, დილა და ხვალ — ზანურში და დილა — სვანურში.

რომელი მნიშვნელობა შეიძლება აფილიყო ამოსავალი ამ საერთო-ქართველური წარმომავლობის ფუძისათვის?

თანამედროვე ქართულ ენაში წამი აღნიშნავს დროის უმცირეს მონაკვეთს — სეკუნდს, ხოლო წუთი — მინუტს. საბას მიხედვით კი, პირიქით, წამი — მინუტია, ხოლო წუთი — სეკუნდი: „აქუს ქამსა ერთსა წამი სამოცი, წამსა ერთსა წუთი სამოცი“ (საბა).

წამი მცირე დროის მონაკვეთის აღმნიშვნელად ძველ ძეგლებშიც არის დადასტურებული: „ნუმცა განეშორების, ნუცა დღისი და ნუცა ღამე. ნუცა ქამ ერთ და ნუცა წამ“ (მამათა სწავლანი, 210, 29)...

როგორც ჩანს, წამ ფუძეს ძველს ქართულშივე მიუღია საათის (ჟამის) მცირე ნაწილის მნიშვნელობა. ამავე დროს ძველს ქართულშივე ეგვივე წამი პარალელურად წამწამის მნიშვნელობითაც გვხვდება: წამი „წამწამი“, „დახამხამება“<sup>9</sup>; წამის-ყოფა „თვალის ქნა“ (საბა), „თვალით ნიშნება“, შდრ. ოთხთავიდან: „წამს-ყოფდეს, რომელნი იყვნეს ერთსა მას ნაესა“ (ლ. 5, 7).

წამ ფუძისაგანა ნაწარმოები, როგორც ცნობილია, ძე. ქართული წამება — ჩვენება, თვალით ნიშნება<sup>10</sup>. წამ ფუძის რედუბლიცირებული სახეობაა წამწამი „ქუთუთოს ბეწვი“ (საბა)...

წამ ფუძის ამ ორი მნიშვნელობიდან — ა) დროის მცირე მონაკვეთი (სეკუნდი თუ მინუტი) და ბ) წამწამი, დახამხამება, ბუნებრივია მივიჩნიოთ ამოსავალ მნიშვნელობად მეორე — წამწამი, უფრო კონკრეტული საგნის თუ მოვლენის აღმნიშვნელი და გადატანით მნიშვნელობად ჩავთვალოთ პირველი — დროის მცირე მონაკვეთის აღნიშვნა (თუმცა არაა გამორიცხული, უფრო ზოგადი ცნების გამომხატველი სიტყვა გახდეს შედარებით უფრო კონკრეტული საგნისა თუ მოვლენის აღმნიშვნელი).

<sup>6</sup> არს. ჩიქობავა. ჰანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, გვ. 197.

<sup>7</sup> K. H. Schmidt, Sibilanten und Affrikatenkorrespondenzen in den Kartwelsprachen — Bedi Karthlisa, Revue de Karthvéologie (études géorgiennes et caucasiennes), vol. XI—XII, № 36—7, Paris, 1961, გვ. 151.

<sup>8</sup> ე. თოფური, ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის ზოგიერთი საკითხი, იკვ. ტ. XII, 1960, გვ. 150—159.

<sup>9</sup> ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1977.

<sup>10</sup> იქვე.

თუ მართლაც ქართ. წამ (მინუტი, სეკუნდი) სიტყვის ამოსავალი მნიშვნელობა იყო წამი — წამ წამი, თვალის დახამხამება, ჩანს, განხილულ საერთო-ქართველური—ქართ. წამ, ზან. ჭუმ-ს, სვან. ჰამ ვარიანტებიდან უფრო ძველი მნიშვნელობა შემორჩენია ქართ. წამ ვარიანტს.

როგორია დროის უმცირესი მონაკვეთის აღმნიშვნელი მეორე სიტყვის — ქართ. წუთის წარმომავლობა და სხვა ქართველურ ენებთან მისი მიმართება?

ქართ. წუთი უნდა იყოს წვეთ ფუძის ფონეტიკურად შეცვლილი სახეობა წვეთ→წოთ→წუთ. ამოსავალ წვეთ ფუძის წუთ ფონეტიკურ ვარიანტს მიუღია დროის უმცირესი მონაკვეთის — სეკუნდისა თუ მინუტის მნიშვნელობა. სემანტიკური გადასვლა — წვეთი→წუთი —სავსებით შესაძლებელია: წვეთავს, ე. ი. წვეთ-წვეთად, წუთ-წუთობით გადის (დრო).

ამ შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, წუთის, უფრო ზოგადი ცნების, დროის მცირე მონაკვეთის გამოხატველი სიტყვისათვის ამოსავალი ჩანს კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი სახელი წვეთი.

ქართ. წვეთ ფუძეს ზანურში აქვს კანონზომიერი შესატყვისი — მეგრ. ჭვათ-ი (→ქვეთი) „წვეთი“, ოლონდ მას არ მიუღია წუთის მნიშვნელობა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეგრული წუნთი ქართულიდან შეთვისებული წუთია.

Г. В. РОГАВА

СЕМАНТИКА ГРУЗИНСКИХ ОСНОВ წამ წამ „СЕКУНДА“ и წუთ წუთ „МИНУТА“

Резюме

В специальной литературе занским коррелятом грузинской именной основы წამ წამ „секунда“ считается წუთ წუთ//წუმ წუმ в результате анализа композита-наречия мегр. აკა-წუნს აკაწუნს „в одну минуту“ (А. Цагарели, И. Кипшидзе и др.). В действительности же в наречии აკა-წუნს აკა-წუნს в качестве второй основы выступает усвоенное из грузинского языка წუთ წუთ с наращением сонанта ბ პ—мегр. წუნთ-ი წუნთ-ი „минута“, а коррелятом груз. წამ წამ „секунда“ в занском языке является ჭუმ წუმ—чанსკ. ჭუმანი წუმანი „утро“, ო-ჭუმე ოჭუმე „завтра“, მეგრ. ჭუმანი წუმანი „завтра“, ოჭუმარე ოჭუმარე „утро“.

Грузинская основа წუთ წუთ „минута“ является фонетическим и семантическим видоизменением основы წვეთ წვეთ „капля“, которой соответствует в занском ჭვათ წვათ „капля“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიური ენების კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

კ. კვალაშვილი

დიალექტური სიტყვაწარმოებიდან

-ი ა ნ, -ო ვ ა ნ, -ი ე რ სუფიქსები ქვემოიმერულში

სტატია მიზნად ისახავს წარმოადგინოს სიტყვაწარმოებითს მექანიზმთან დაკავშირებული ზოგი თავისებურება ქვემოიმერულში. საანალიზოდ აღებულია წულუკიძის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ვანის რაიონებში შეკრებილი საკუთარი დიალექტური მასალა.

В данной работе остаются пробелы, устранение которых предполагает общее теоретическое описание ИС. Еще недостаточно подробно описаны ИС с именной частью — причастием. Для того, чтобы решить вопрос о наречии или прилагательном в трансформативе, нужны еще примеры разных лексем в разных типах конструкций. Во многих из примеров, приведенных здесь, фигурируют существительные, обозначающие профессию или этап жизни, что может скрывать существенные сложности. Круг информантов необходимо расширить. Не только семантические различия в конкретных примерах, но и роль пресуппозиции и импликации недостаточно подробно описать, к приведенным примерам нужно добавить примеры из текстов. Вопрос согласования ИС с antecedентом выходит за рамки данной работы; однако ряд приведенных примеров показывает, что согласование в числе присуще в большей степени одной подгруппе ИС, чем падежное согласование.

## Примечания

<sup>1</sup> Считаю своим приятным «долгом» поблагодарить иностранный отдел, кафедру новогрузинского языка во главе с акад. Ш. Дзидзигури Тбилисского государственного университета, и, особенно, Н. Абесадзе, за исчерпывающее ознакомление меня с грамматикой грузинского языка, и Л. Гоксадзе за толкование и объяснение приведенных здесь примеров.

<sup>2</sup> Глаголы приведены в масдаре, а если его нет — в форме, употребленной в словарях.

<sup>3</sup> Ср. связанные (условные) свободные синтаксические формы Г. А. Золотовой 1973).

<sup>4</sup> Если важно единство глагола *mišobbs* как лексемы, то ИС при нем нельзя рассматривать как сильноуправляемое, а надо отнести к следующему, конструкционно-связанному типу.

<sup>5</sup> Трудно отличать конструкционно-связанные от свободных типов преимущественно потому, что даже свободный тип обычно представляет собой коммуникативный фокус, или функциональный предикат высказывания. Можно считать, что на уровне функционального анализа или коммуникативной структуры все ИС конструкционно связаны (5, cont). В дальнейшем мы почти не будем касаться коммуникативных или функциональных факторов.

<sup>6</sup> Этот термин отражает сходство ИС с оппозицией по внутренней структуре. Они отличаются только коммуникативной функцией и отношением к главному глаголу.

<sup>7</sup> В самом деле, придаточный глагол может не подвергаться редукции и выступать в виде нефинитной формы — см. (25). Синтаксическая структура (25) резко отличается от структуры остальных примеров с глаголом дорпа «быть». Явное синтаксическое различие между (25) и другими примерами с глаголом «быть» не отражено в нашей, преимущественно лексической, классификации конструкций.

<sup>8</sup> Ср. близкие по семантике обстоятельства формы: (42<sup>1</sup>), (42<sup>11</sup>).

<sup>9</sup> Это обосновывается лишь наличием подобных деривационных моделей и не зависит от отдельных случаев определенной направленности морфологических дериваций. Так, в случае *gazda* «выращивать» интранзитивная парадигма морфологически маркирована. (Важно, однако, помнить, что применение падежа в виде исключения не соответствовало интранзитивной модели; если это не случайность, то можно говорить о наличии регулярных соответствий между определенными морфологическими деривациями и синтаксическим поведением).

<sup>10</sup> Только указание на определенное время отличает эту presupпозицию от универсальных, нелингвистических presupпозиций: каждый был ребенком.

<sup>11</sup> В техническом смысле термина импликация: см. Картунен, 1971.

<sup>12</sup> В грузинском существительное *mač'vlebeli* «учитель» обозначает должность, а не функцию, и поэтому придаточное в этом примере нельзя считать точным синонимом (101). Абстрактный «быть» в этом случае представляет собой подмысел «быть» (занимать должность). Интересно, что отмеченный глагол *mač'vlebloba* «учительствовать» соответствует составному сказуемому (связка+ИС) придаточного в (3).

<sup>13</sup> Таким образом, с функциональной точки зрения любой ИС — предикат, а связка служит только носителем морфологического времени, вида, наклонения и т. д. Следовательно, ИС в глубинной структуре — не актант, ему не присуща информация о семантической функции (ср. агенс, адресат и т. д.). Соответственно, все ИС — нереференты и обладают другими предикатоподобными свойствами.

<sup>14</sup> В этих примерах различие относительное, скорее стилистического порядка.

### Цитированная литература

- ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1973.  
 ა. ჩ ი ქ ბ ა ე ა, მიმართულებებით (ვარდაჭევეით) ბრუნვის მნიშვნელობისა, წარმოებისა და ისტორიისათვის (სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, ტ. I, თბილისი, 1956).  
 Золотова Г. А., Очерк функционального синтаксиса русского языка, М., 1973.  
 Руденко Б. Т., Грамматика грузинского языка, М.-Л., 1940.  
 Чернов В. И., «Он был веселый человек... веселым человеком», Русская речь, I, 1969.  
 Чернов В. И., Предикативное упогребление прилагательных со связкой «был» в современном русском языке, Вопросы теории и методики изучения русского языка, 3—17, Смоленский гос. пед. ин-т. им. Карла Маркса, Учен. зап. 22, Смоленск, 1970.  
 Чхаидзе М., Вопросы глагольного управления в некоторых финноугорских языках в сравнительно-типологическом освещении, Congressus tertius internationalis fenno-ugristarum, Pars I: Acta linguistica, 160—66, Tallin, 1975.  
 Шведова Н. Ю., О понятии синтаксического ряда, в кн.: Историко-филологические исследования, Сб. статей к 75-летию акад. Н. И. Копрада, М., 1967, 209—213.  
 Chafe W. L., Meaning and the structure of language, Chicago, 1970.  
 Jakobson R., Beitrag zur allgemeinen Kasuslehre, TCLP, 1936, 240—88.  
 Karttunen L., Implicative verbs, Lg. 1971, 47: 2, 340—58.  
 Keenan E. and Comrie, B., Noun phrase accessibility and universal grammar, LSA annual meeting, 1972.  
 Kurylowicz J., Le problème du classement des cas. Esquisses linguistiques, 131—50, Wrocław-Krakow, (1940), 1960.

Факультет славянских языков и литературы, Калифорнийский университет. Беркли, США

Представил академик АН Грузинской ССР Т. В. ГамкRELИДзе

ზუზამ თოფურია

მოკვამდეგითი ბრუნვის ისტორიისათვის სვანურში\*

სვანური მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტს თავისებური, განცალკევებული ადგილი უკავია ქართველურ ენათა ბრუნვების საერთო მორფოლოგიურ ინვენტარში: ქართ. -(ი)თ, მეგრ. -(ი)თ(ი), ჰან. -(ი)თ(ენ), სვან. -შტ// -შშ (მოხიციით შეპირობებული -ოშ// -უშ).

როგორც ვხედავთ, სვანური მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი ფონეტიკურად ფრიად განსხვავებულია ქართულ-ზანურისაგან, რამაც საფუძველი მისცა გ. კლიმოვის აღნიშვნას, რომ ქართულ-ზანური -(ი)თ და სვან. -შტ ერთმანეთზე არ დაიყვანება, ისტორიულ-შედარებითი ძიებით არ ხერხდება გამოიყოს რაიმე ფორმანტი მოქმედებითი ბრუნვისათვის საერთო-ქართველურ დონეზე<sup>1</sup>, მაგრამ ის ფაქტი, რომ მოქმედებითი ბრუნვა დღეს სამივე ქართველურ ენაში გვაქვს, აღნიშნავს გ. კლიმოვი, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ საერთო-ქართველურში ამ ბრუნვას მინც უნდა ჰქონოდა რალაც თავისი მორფოლოგიურად გამოხატულება; ამიტომაც, ალბათ, რომ შემაჯამებელ ტაბულაში საერთო-ქართველურისათვის მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტად მას -ით აქვს ნაჩვენები კითხვის ნიშნით<sup>2</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოქმედებითი ბრუნვა უკავშირდება ნათესაობით ბრუნვას, საერთო ელემენტია -შ. -შს ახსნა ძნელი არ უნდა იყოსო (მოქმედებითი მეორეულია), მიუთითებს ვ. თოფურია<sup>3</sup>. ეს აზრი დაზუსტებული და განვითარებული აქვს თ. შარაძენიძეს: -შ მას მიცემითი ბრუნვის ნიშნად მიაჩნია, და ამდენად, მოქმედებითი ბრუნვის სუფიქსის ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო -შშ, რომელმაც შემდგომში მეტათეზისით მოგვცა -შტ<sup>4</sup>. მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტი უ ელემენტის გამოყოფა ექვს არ იწვევს. ეს მართლაც იგივე -შ-აა, რომელიც ვასდევს ყველა ბრუნვას (სახელობითის გარდა) უძველესი ე. წ. -შ-ნიანი ბრუნვების ტიპში:

ბალსზ.

ბალსქე.

|       |        |     |          |                       |
|-------|--------|-----|----------|-----------------------|
| სახ.  | გან    | გან | „ხარი“   | გან                   |
| მიც.  | გან-ს  |     | გან-შ    | გან-შ                 |
| მოთხ. | გან-დ  |     | გან-შ-ემ | გან-შ-ემ              |
| ით.   | გან-დ  |     |          | გან-შ-დ               |
| ნათ.  | გან-იშ |     | გან-მიშ  | გან-შ-ემ              |
| მოქმ. | გან-შტ |     | გან-შტ   | გან-შ-შტ <sup>5</sup> |

\* წაკითხულია მოხსენებდა 1973 წლის 28 მარტს. იხ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIX-სიმეცნ. სესიის მასალები, გვ. 12—13.

<sup>1</sup> Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962, გვ. 103. -

<sup>2</sup> იქვე, გვ. 103—104, 146.

<sup>3</sup> ვ. თოფურია, ბრუნვის სისტემისათვის სვანურში სხვა ქართველურ ენათა ბრუნვებთან შედარებით (წინასწარი ცნობა), საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, 1944, ტ. V, № 3, გვ. 344.

<sup>4</sup> თ. შარაძენიძე, ორფუნიანობის ერთი ტიპის შესახებ სვანურ სახელთა ბრუნვებში, „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, ტ. II, თბ., 1961, გვ. 222.

<sup>5</sup> ვ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 342.



უ ელემენტი დღეს აშკარად მიცემითი ბრუნვის ნიშანია, ოღონდ შემთხვევა გვეჩინდა აღგვეჩინა, რომ ასეთი მიცემითი ისტორიული თვალსაზრისით (ტიპოლოგიურად და სტრუქტურულად, ასევე ამოსავალი ოდინდელი სინტაქსური ფუნქციით) იგივე მორფოლოგიური ოდენობაა, რაც მისი იბერიულ-კავკასიურ ენათა ერატივი, რომელსაც ემყარება ბრუნების სისტემა, მაგრამ ამ საკითხზე აქ ვერ შევიჩერდებით. ამჟამად არსებითია მხოლოდ ის, რომ ეს -**უ**- (რომლის შემცველ ფორმასაც ემყარება სახელთა ერთი ჯგუფის ბრუნება სვანურში) წარმოადგენს მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს. დაშვება -**უშ**>-**შ** სრულიად ბუნებრივია სვანურისათვის. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ეს ორი ვარიანტი თითქმის ერთნაირი სიხშირით გვხვდება სვანურში, ერთსა და იმავე ფუძეებთან ხშირად დასტურდება პარალელური წარმოებაც: **ქ გ შ ხ შ უ** (ბზ. 146<sub>1a</sub>)/**ქ გ შ ხ უ შ** (ბზ. 129<sub>2</sub>). მა ა ლ ა ტ შ უ (ბზ. 115<sub>14</sub>)/**მა ა ლ ა ტ შ უ** (ბზ. 73<sub>2</sub>), და სხვა მრავალი. საყურადღებოა ამ თვალსაზრისით ისეთი ფორმები, რომლებიც დადასტურებული აქვს ვ. თოფურიას: ბქვ. **კან-უ-შუ**, **ქალ-უ-შუ** და სხვ.<sup>6</sup> **უ**-ს გამოვრება ამ ფორმებში კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მოქმედებითი ბრუნვის შემადგენლობაში მართლაც შედის დღევანდელი მიცემითის ბრუნვის ელემენტი, თუმცა, ცხადია, ეს უკანასკნელი ფორმები ახალია—შედგება ბრუნვის პარადიგმატული გასწორებისა, მაგრამ ამ გასწორებას რეალური ისტორიული საფუძველი აქვს.

ამგვარად, ვარაუდი, რომ -**უშ**/**-შ** ფორმანტში შედის მიცემითის ბრუნვის ელემენტი -**უ**- ელემენტი, დავას არ იწვევს. სირთულეები აქვს ამ ფორმანტში ნათესაობითისეული **შ** მორფემის გამოყოფას. მოქმედებითის ნათესაობითთან დაკავშირებას სვანურში ქართულ-ზანურის მონაცემი უდევს საფუძვლად. მარათლაც, ქართულში (და ზანურშიც) საკითხი დგას ნათესაობითისა და მოქმედებითის (ისევე როგორც მიცემითისა და ვითარებითის) ერთიანი გენეზისისა. მაგრამ ეს ისტორიული ერთიანობა აქ არსებითად ემყარება **ხ მ ო ვ ნ ე ბ ს** (ნათ. ქართ. -ის, ზან. -იშ; მოქმ. ით)<sup>7</sup>. ქართულ-ზანურისაგან გასხვავებით, სვანურში გვიხდება არა ხმოვნების იდენტიფიკაცია, არამედ **თ ა ნ ხ მ ო ვ ნ ე ბ ი ს ა**, ამასთან სვანურის მოქმედებითში ხმოვანი საერთოდ არ ჩანს. ესაა ერთი სირთულე. სირთულე მეორე: ანგარიშგასაწევია გ. კლიმოვის შენიშვნაც, რომ სვანურში მოქმედებითის ისეთ ფორმებთან, როგორიცაა **ამ-შუ** „ამითა“, **დ უ ი ნ ა ლ-შ უ** „დღევინთ“ და სხვ. არ იმეორებენ ნათესაობითის ფუძეს — ნათესაობითში გვაქვს **ამ ი შ**, **დ უ ი ნ ლ ი შ**<sup>8</sup>. სირთულე მესამე: თუ გავიზიარებთ ვარაუდს, რომ მოქმედებითი ბრუნვის ფორმანტის სტრუქტურაში შედის მიცემითის -**უ** და ნათესაობითის **შ**, უნდა დავასკვნათ, რომ ამ ბრუნვის (მოქმედებითის) წარმოშობა დაკავშირებულია ორი დამოუკიდებელი ბრუნვის შერწყმასთან, რაც ფრიად უჩვეულოა (და ძნელად სარწმუნო) არა მარტო ქართულურ, არამედ საერთოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა არეალისათვის.

<sup>6</sup> გ. თოფურია, ბრუნვის ისტორიის ზოგი საკითხი სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნ. სესია, 1972. მოხსენებათა თეზისები, გვ. 13—15.

<sup>7</sup> ამ მხრივ შემოწმებული გვაქვს ბალსზემოური დილაქტის მასალა: სვანური პროზაული ტექსტები, I, ბალსზემოური კილო. ტექსტები შეკრბეს ა. შანიძემ, ვ. თოფურიამ, თბ., 1939.

<sup>8</sup> გ. თოფურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 342—343.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 341, 347.

<sup>10</sup> იხ. გ. კლიმოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.







უტის შედეგია, როგორც ეს არა ერთ მაგალითზე ნაჩვენებია აქვს მ. ქალღმერთი ბზ. მიც. ბაჩუ//ბაჩუ > ლმზ. ბეჩ; იგივე შეიძლება ითქვას გწჩ-ის შესახებ, მაგრამ ასეთ პროცესს ვერ ვივარაუდებთ კან-ტ//კან-ტ, ხამ-ტ//ხამ-ტ სიტყვების მიმართ, სადაც შესაბამისი ე-ხმოვნის დიალექტური ვარიანტი არ დასტურდება. მაგრამ უმლაუტიანი და უუმლაუტო ფორმების მონაცვლეობით სხვა ფუძეებიც იქცევის ყურადღებას: თხუ მ შუ (ბზ. 100<sub>26</sub>)//თხუ ი მ შუ (ბზ. 177<sub>33</sub>) და სხვ. აქვე შემოვა — ლ ი ც შუ (ბზ. 163<sub>9</sub>)//ლ გ ც შუ (ბზ. 33<sub>9</sub>) და სხვ. ყველა ასეთ შემთხვევას ცალკე ანალიზი სჭირდება.

ამგვარად, სვანური მასალა არ იძლევა საშუალებას ხმოვანი აღვადგინოთ მოქმედებითში. უმლაუტიანი ხმოვნების შემცველი ფუძეები, როგორც წესი, მოქმედებითში უმლაუტის გარეშე დასტურდება. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ მოქმედებითი ბრუნვის შემადგენლობაში შედის მიცემითის -ჟ, რამდენადაც -ჟ-ნიან ბრუნებაში ყველა ბრუნვის ფორმა უმლაუტის გარეშეა (ეს ფაქტი შენიშნული აქვს თ. შარაძენიძეს) და სადაც ასეთ შემთხვევაში უმლაუტი რჩება მიცემითში, მას ახსნა მოეძებნება (ა-სათვის ამოსავალია ე). რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როგორცაა ხ მ მ ლ შუ „ხმლით“, თ გ რ კ წ ლ შუ „მაკრატლით“ და სხვ., სადაც მოქმედებითში უმლაუტი დაცულია, ეს ახალი პროცესია და აქ იგივე ვითარება გვაქვს, როგორც მიცემითში სიტყვა-სთან კ წ ნ-ს: უმლაუტს საფუძველი არა აქვს და მინც არის.

Г. В. ТОПУРИА

## К ИСТОРИИ ТВОРИТЕЛЬНОГО ПАДЕЖА В СВАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Формант творительного падежа в сванском языке занимает особенное место в системе морфологического инвентаря падежей картвельских языков: груз.  $-(i)t$ , мегр.  $-(i)t(i)$ , чан.  $-(i)te(n)$ , сван.  $-šw//-\wš$ .

Суффикс  $-šw//-\wš$  сложного строения. В нем выделяется тот же элемент  $-w$ , который иналичествует во всех падежах (начиная с дательного) древнейшего типа склонения с формантом  $-w$ :  $qāp$  „бык“ — дат.  $qāp-w$ , эрг.  $qāp-w-em$ , твор.  $qāp-šw$  (В. Т. Топуриа, Т. С. Шарадзенидзе). Что же касается элемента  $-š$ , то он связан не с родительным падежом (как это указано в специальной литературе), а является частью комплекса  $šd$ , стоящего на месте  $t$  в системе грузинско-сванских звукосоответствий  $(txil-:šdix$  „мелкий орех“,  $tagw-:šdugw$  „мышь“...). Следовательно:  $*w-šd > -wš$  (упрощение комплекса)  $> -šw$  (метатезис, Т. С. Шарадзенидзе). Напр.:  $bāc$  „камень“ —  $*bač-w-šd > bač-w-š > bač-šw$ .

<sup>13</sup> მ. ქალღმერთი, სვანური ენის ლონტიკა, I, უმლაუტის სისტემა სვანურში, თბ., 1959, გვ. 69—107.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შთის აზრობით-კავისიურ ენათა განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

## ელენე დოჩანაშვილი

 ქართული „ბუსნო“||„ბუსნარი“ და მისი პარალელები კამპანის  
 სხვა ენებში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ეხვდებით სიტყვას „ბუსნარი“ „კორდი მაღალბალახოვანი“<sup>1</sup>: ეს სიტყვა დღესაც გვხვდება აღმოსავლურ ქართულ დიალექტებში. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც არის იგი ასახული: ბ უ ს ნ ა რ-ი (ბუსნარისა) „კორდი მაღალბალახოვანი“ (საბა)<sup>2</sup>. ამავე განმარტებით ლექსიკონში წარმოდგენილია აგრეთვე ბ უ ს ნ ო (ბუსნოსი) „ამწვანებული კორდის მონაკვეთა“. „კლდის თავზე ერთგან პატარა ბუსნო იყო“ (თ. რაზიკაშვილი)<sup>3</sup>.

ეს სიტყვა წარმოდგენილია აგრეთვე ა. ლონტის „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ — ბ უ ს ნ ა თ-ი, ბ უ ს ნ ო, ბ უ ს ნ ა რ-ი (მთიულ., გუდამაყრ., ფშ.). სხვა ავტორთა განმარტებებზე დაყრდნობით: „ამაღლებული ბეჭობი მინდორზე, დაფარული ახალი ბალახით“ (ე. ვირსალ.). „ამწვანებული ველი, მდუღლო“ (ი. ქეშევი.); ბ უ ს ნ ა რ-ი „კორდი მაღალბალახოვანი“ (საბა)<sup>4</sup>.

სიტყვა „ბუსნარი“ ასე უნდა დაიშალოს: ბუს-ნარი, სადაც -ნარ იმავე რიგის მაწარმოებელია, რომელსაც ვპოულობთ სხვადასხვა მცენარეულით დაფარული ადგილის სახელწოდებებში: ჯაგნარი, თხილნარი, წიფუნარა, მუხნარი და ა. შ. ეს აფიქსი მცენარეებში გამოხატავს კრებითობას<sup>5</sup>. სიტყვა „ბუსნარი“ იგი გამოხატავს ბალახის სიმრავლეს, კრებითობას, „ბუსნო“ კი მივჩივნი „ბუსნარის“ მეორეულ ფორმად.

ამ სიტყვის წარმომავლობის ძიებისას ჩვენ, ერთი მხრივ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ძველი სომხური ენის მასალას. აქ ჩვენ გვხვდება სიტყვა *բոս*, რაც ნიშნავს „ბალახს“, „მცენარეს“<sup>6</sup>. სპეციალისტებს ეს სომხური სიტყვა ინდოევროპული წარმომავლობისად მიაჩნიათ. მას უკავშირებენ „ზრდა-აღმოცენებისა“ და „აარსებობის“ გამომხატველ ინდოევროპულ ძირს *bheu, bheue-*, რომელიც მრავალ ინდოევროპულ ენაში არის დადასტურებული (ძვ. სლავური *бѣти* ლიტ. *būt*. ძვ.ინდ. *bhūtis*, ბერძნ. *φύσσει*, ლათ *bui*, გოთ. *bauan* და სხვ.). სომხურში *բոս* მრავალი კომპოზიტის შემადგენელ ნა-

1 სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1928, გვ. 47.

2 ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი, ტ. I, თბილისი, 1950, გვ. 1190.

3 იბ. იქვე.

4 ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, შეადგინა ალ. დ ლ ო ნ ტ შ ა, თბილისი, 1974, გვ. 96.

5 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953, გვ. 145—146.

6 *Առնին բառարան ნայկողեան լեզուի, Վենիսի, 1865.*



აღნიშნავს მცენარეს, რომლის ძირს მხოლოდ ძაღლის საწამლავად ხმარობენ (აქ „რ“, მისი აზრით, ფონეტიკური ჩანართია: ამოსავალი შეიძლება ყოფილიყო ფორმა „დღჩე“, სადაც „უ“ ხმოვანი მეგრულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესის საფუძველზე r ხმოვანში გადასულა, ხოლო შემდეგ ეს უკანასკნელი „ი ხმოვნით შეცვლილა; თავიდან „დ“ კი გააფრიკატებულა („ჯ“-შია გადასული) მეზობელი „ჩ“-ს გავლენით და „ი“-ს მახლობლობის გამო)⁹.

ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშეა ამ ძირის მეტად ფართოდ გავრცელება კავკასიურ ენებში. ეს გარემოება აძნელებს ნახური ენების „ბუც“-ის, რომელიც აგრეთვე ქართული „ბუსნო“//„ბუსნარი“ პროტოტიპი შეიძლება იყოს, სომხურ ინდოევროპული წარმომავლობის ვარაუდს. მეორე მხრივ, სათანადო ძირის ფართო გავრცელება და ინდოევროპული წარმომავლობა სომხურში თითქოს გამორიცხავს აგრეთვე სომხურში ამ ძირის კავკასიური (იბერიულ-კავკასიური). ენებიდან ნასესხობის აზრს.

რაც შეეხება საკუთრივ ქართულ „ბუსნო“//„ბუსნარს“, ჩვენ მიიჩნევთ ნახური ენებიდან მისი ნასესხობის აზრს მივეცემდით უპირატესობას. ქართულში ამ სიტყვის გავრცელების არეალის საკმაოდ შეზღუდულობა შეიძლება ამაზე დაბარდებდეს: იგი აქ საკმაოდ იშვიათი ხმარების სიტყვაა, დასავლურ კილოებში საერთოდ არ ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოში კი ჩანს ძირითადად მთის კილოებში და კახეთში. საერთოდ ცნობილია, რომ აღმოსავლურ-ქართულ დიალექტებში მრავლად იგრძნობა ნახური სუბსტრატის არსებობა და ვეინახურმა ლექსიკამ გარკვეული რაოდენობით გაიკვლია გზა ქართული ენის ლექსიკაში. შეიძლება ამ რიგის ერთ-ერთ ფაქტთან გვექონდეს საქმე ჩვენთვის ამჟამად საინტერესო სიტყვის (ბუსნო||ბუსნარი) შემთხვევაშიც.

Е. И. ДОЧАНШВИЛИ

### ГРУЗИНСКОЕ СЛОВО БУСНО//БУСНАРИ И ЕГО ПАРАЛЛЕЛИ В ДРУГИХ ЯЗЫКАХ КAVKAZA

Резюме

В статье обращается внимание на наличие (главным образом, в горских говорах Восточной Грузии) слова «бусно//буснари» «зеленеющий холмик» и указывается на его возможные параллели в других языках Кавказа: в армянск. «буйс» — «трава, растение», в нахских (чечено-ингушском, бацбийском) языках «буц» — «трава» и т. д. Рассматривается также вопрос об этимологии этих слов. Предполагается, что грузинское «бусно»//«буснари» все же является заимствованием из нахских языков.

⁹ გ. რ. ვ. ა. ვ. ა., მცენარის აღნიშვნელი ერთი საერთო იბერიულ-კავკასიურ ფუძისათვის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. XI, 1959.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაძენიმე

მ ა მ ა ლ ა მ ი ჯ ე ლ ა მ

### ხმოვანთა რედუქცია გაცხოვრებულ ენაში

ბაცხური ენის სიტყვათა ფლექსიისა და დერივაციის სისტემებს ორგანულად უკავშირდება ხმოვანთა რედუქცია: ორ- და მეტმარცვლიანი თანხმოვანზე დაბოლოებული სახელების ბრუნებისას, როცა ფლექსიის დერივაციის ხმოვანზე შემცველი სუფიქსი, მოქმედებას იწყებს რედუქცია. ასეა მაშინაც, როცა ხდება ახალი ლექსემის წარმოქმნა ორი და მეტი მარცვლის შემცველი ძირითადი სიტყვისაგან, და მაშინაც, როცა უღლებიანის ზმნის ძირს, რომელიც ყოველთვის ერთმარცვლიანია, დერივაციის ხმოვანის შემცველი მაწარმოებელი.

რედუქცია ბაცხურში ხორციელდება ორი გზით: (1) პირველ შემთხვევაში საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანი უკვალოდ ამოვარდება მომდევნო ხმოვანი მორფემის ან ხმოვანი მორფემის გაკლებით (\*ბადერ-ი>ბადრი „ბავშვები“, \*ბადერ-ევ>ბადრევ „ბავშვი“; შდრ. ბ ა დ ე რ „ბავშვი“); (2) მეორე შემთხვევაში რედუქცია ხორციელდება ეპენტეზისის გზით: ხდება საწარმოებელი ფუძის ბოლო ხმოვანის გაუმარცვლოება და გადასმა (ეპენტეზისი) წინამავალ ხმოვანთან, რის შედეგადაც ვიღებთ დამავალ დიფთონგს (\*დავირ-ი>დავირი „დაიკარგა“ შდრ. დავირ — „დაიკარგა“).

პირველს (1) ვუწოდებთ მარტივი რედუქცია, ხოლო მეორე (2) სახეობას — რედუქცია ეპენტეზისის გზით.

ბაცხურ ენაში მიმდინარე ეს ბგერითი პროცესები სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული და განხილულია<sup>1</sup>.

რედუქციის აღნიშნულ ორ სახეობასთან დაკავშირებით დგება რამდენიმე კითხვა:

1. რა მიმართებაა ბაცხური ენის ფლექსიისა და დერივაციის სისტემებში მოქმედი რედუქციის ამ ორ სახეობას შორის?

2. რა იწვევს ამ პროცესებს და როგორია მათი მექანიზმი?

ჩვენ გვაინტერესებს რედუქციის თითქმის ყველა შემთხვევა საკუთრივ ბაცხურსა თუ ნასესხებ სიტყვებში. აღმოჩნდა, რომ: (1) თუ ამოსავალი ფუძე ორხმოვანი და მას ერთგვარ ხმოვანი მორფემა, ან ხმოვანი მორფემა, რედუქციის გზით ვიღებთ ორმარცვლიან სიტყვას; რედუქციის განხორციელებისათვის მნიშვნელობა არა აქვს მარედუქციური ხმოვანის რაგვარობას; (2) ფუძის პირველი ხმოვანი (მარცხნიდან მარჯვნივ), რომელიც ყოველთვის ძირითადი მორფემისაა, არ იცვლება; (3) ბოლო, მესამე (მარედუქციური), ხმოვანის გაკლებით რედუქციას განიცდის მეორე ხმოვანი; (4) მოსალოდნელი ცვლილებების ხასიათს — მარტივი რედუქცია თუ რედუქცია ეპენტეზისის გზით — განსაზღვრავს საწარმოებელი ფუძის პირველი და მეორე ხმოვანის მიმართება ლიაობის მიხედვით.

<sup>1</sup> A. Schiefner, Versuch über die Thusch-Sprache oder in die Khistische Mundart in Thuschetien, Petersburg, 1856, გვ. 11—16. რ. გ ა გ უ ა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცხური ენის ხმოვანებში, იკვ. VIII, ტ., 1956, გვ. 469—476. რ. გ ა გ უ ა, სესხების ზოგადი შესები ბაცხურში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესიის თეზისები, 1972, გვ. 20.



ორი ხმოვნის უშუალო პეტეროსილაბიკური შიმდეერობა საკუთრივ ბაცებურ სიტყვებში არ ვგვხვდება. ასეთ მიმდევრობას ეს ენა შეძლებს დაგვარად ნასესხებ სიტყვებშიც შლის, მიმართავს რა ამისათვის სხვადასხვა საშუალებას (ბგერის ჩართვა, რედუქცია, დიფთონგიზაცია...). ამჯერად როგორც საკუთრივ ბაცებური, ისე ნასესხები მასალის განხილვისას ევებით ხმოვანთა ისეთ თანამიმდევრობას, როდესაც ხმოვნებს შორის ღვას ერთი ან რამდენიმე თანხმოვანი. ხმოვანთა ასეთი სინტაგმატური ურთიერთობისათვის შემოგვაქვს ტერმინი — ხმოვანთა დისტანციური მიმდევრობა, ან კომბინაცია (CVCVC ან CVCVCVC, CVCCVC და ა. შ.).

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ბაცებურ ენაში პირდაპირი რედუქციისა და ეპენტეზისის გზით რედუქციის განხორციელებისათვის რელევანტურია ხმოვანთა ლიაობის სამი ხარისხი:



ისრის მიმართულებით ლიაობის ხარისხი იზრდება?

რედუქციის ორივე სახეობა ბაცებურში შეიძლება აღიწეროს მოცემული სქემის ტერმინებში: თუ პირველი ხმოვანი ლიაობით აღემატება მეორეს, რედუქცია ხორციელდება მეორე ხმოვნის დასუსტებისა და ეპენტეზისის გზით; ხოლო როცა გვაქვს შებრუნებული მიმდევრობა, ან თანაბარი ლიაობის ხმოვნები იყრის თავს, რედუქცია ხორციელდება მარტივად, (ხმოვნებს ვითვლით მარცხნიდან მარჯვნივ).

თუ ხმოვანთა ლიაობის ხარისხს გამოვხატავთ I, II, III ინდექსებით, ხმოვანთა ადგილს ფუძეში 1, 2, 3 ინდექსებით, ხმოვანს კი V სიმბოლოთი, მაშინ:  $V^I = /o/-ს$ , ხოლო  $V^I = /i/-ს$ , რომელიც პირველ ადგილზეა;  $V^II = /e/-ს$ , რომელიც მეორე ადგილზეა, ხოლო  $V^III = /a/-ს$ , რომელიც მესამე ადგილზეა.  $V^{III}$  იქნება უ-ს სიმბოლო,  $V^{III}$  კი — ა, ე, ო ხმოვნების სიმბოლო. V გამოხატავს ნებისმიერ ხმოვანს, ხოლო  $\hat{V}$  — უმარცვლო ხმოვანს.

პირდაპირი და ეპენტეზისის გზით რედუქციის ზოგადი ფორმულები მიიღებს ასეთ სახეს:

პირდაპირი რედუქცია: I.  $[V^I + V^II] + V \rightarrow [V^I] + V$   
 II.  $[V^II + V^III] + V \rightarrow [V^II] + V$   
 III.  $[V^I/V^II/V^III + V^III] + V \rightarrow [V^I/V^II/V^III] + V$

რედუქცია ეპენტეზისის გზით: I.  $[V^III/V^II + V^III] + V \rightarrow [V^III/V^II + \hat{V}^III] + V$   
 II.  $[V^III + V^III] + V \rightarrow [V^III + \hat{V}^III] + V$

აღნიშნული ფორმულები იძლევა შემდეგ კონკრეტულ რეალობაციებს:

პ ი რ დ ა პ ი რ ი რ ე დ უ ქ ც ი ა

I.  $[V^I + V^II] + V \rightarrow [V^I] + V$

1.  $[o + i] + V \rightarrow [o] + V$

დღირბ „ტანადი“ — დღირბეს „ტანადმა“ (←\*დღირბ-ეს)†.

† როგორც სქემიდან ჩანს, ა, ე, ო ფონემებს შორის ლიაობის მიხედვით სხვაობა რედუქციის პროცედურისათვის რელევანტური არ არის (იხ. ქვემოთ).

‡ ევლარტულ ფრჩხილებში მოვაქციეთ საწარმოებელი ფუძე.

§ მრავალ ფრჩხილებში ნაჩვენებია გვაქვს ის ლაქრონიული გზა, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენ მიერ აღწერილ სინქრონიულ კანონზომიერებას.

- II.  $[V_1'' + V_2''] + V \rightarrow [V_1'] + V$
2.  $[\text{უ} + \text{უ}] + V \rightarrow [\text{უ}] + V$ :  
 ნუჩურ „დინგი“ — ნუჩრეე „დინგმა“ (←\*ნუჩურ-ეე);  
 ბუბუე „ყვივილი“ — ბუბუეე „ყვივილიმა“ (←\*ბუბუე-ეე);  
 ძუძრუე „ქალაიხნა“ — ძუძრუეე „ქალაიხნამ“ (←\*ძუძრუე-ეს);  
 ნუთურ „კაცის საკ. სახ.“ — ნუთრეე „ნუთურმა“ (←\*ნუთურ-ეს);  
 ბუბულ „ქალის საკ. სახ.“ — ბუბულეე „ბუბულამ“ (←\*ბუბულ-ეს);  
 ლულურ „დაბდურა“ — ლულრეე „დაბდურამ“ (←\*ლულურ-ეს)...
- III.  $[V_1'/V_1''/V_1''' + V_2'''] + V \rightarrow [V_1'/V_1''/V_1'''] + V$
3.  $[\text{ა} + \text{ა}] + V \rightarrow [\text{ა}] + V$ :  
 მაქაწ „კაეი“ — მაქაწეე „კაემა“ (←\*მაქაწ-ეე);  
 ლაგაზ „მოციე“ — ლაგაზეე „მოციემა“ (←\*ლაგაზ-ეე);  
 კაჯან „ტყაეი“ — კაჯანეე „ტყაემა“ (←\*კაჯან-ეე);  
 ლაწარ „ტყვილი“ — ლაწარეე „ტყვილიმა“ (←\*ლაწარ-ეე);  
 დახარ „წასვლა“ — დახარეე „წასვლამ“ (←\*დახარ-ეე);  
 დათხარ „ტირილი“ — დათხარეე „ტირილიმა“ (←\*დათხარ-ეე)...
4.  $[\text{ე} + \text{ე}] + V \rightarrow [\text{ე}] + V$ :  
 ეეპერ „საწოვარა“ — ეეპრეე „საწოვარამ“ (←\*ეეპერ-ეე);  
 ცენეზ „წელს“ — ცენეზეე „წელსემა“ (←\*ცენეზ-ეე);  
 თეშერ „ენდობოდა“ — თეშერი „ენდობოდა?“ (←\*თეშერ-ი);  
 თეყერ „ეხვეწებოდა“ — თეყერი „ეხვეწებოდა?“ (←\*თეყერ-ი);  
 ხეშერ „იცილა“ — ხეშერი „იცილა?“ (←\*ხეშერ-ი);  
 ლეშერ „უნდოდა“ — ლეშერი „უნდოდა?“ (←\*ლეშერ-ი)...
5.  $[\text{ო} + \text{ო}] + V \rightarrow [\text{ო}] + V$ :  
 მოსოლ „სიაეე“ — მოსოლეე „სიაეემა“ (←\*მოსოლ-ეე);  
 შოროლ „სიგანე“ — შოროლეე „სიგანემა“ (←\*შოროლ-ეე);  
 ყონოლ „ახალგაზრდობა“ — ყონოლეე „ახალგაზრდობამ“ (←\*ყონოლ-ეე);  
 თოჰორო „ეძინა“ — თოჰორო „ეძინა?“ (←\*თოჰორო-ი);  
 ხოყორო „გაიგებდა“ — ხოყორი „გაიგებდა?“ (←\*ხოყორო-ი)...
6.  $[\text{ა} + \text{ე}] + V \rightarrow [\text{ა}] + V$ :  
 საკერ „კისერი“ — საკრეე „კისერმა“ (←\*საკერ-ეე);  
 ფხანერ „ბეჰი“ — ფხანრეე „ბეჰმა“ (←\*ფხანერ-ეე);  
 დადერ „იფიცებოდა“ — დადრი „იფიცებოდა?“ (←\*დადერ-ი);  
 ლალერ „იარა“ — ლალრი „იარა?“ (←\*ლალერ-ი);  
 ახერ „ყეფდა“ — ახრი „ყეფდა?“ (←\*ახერ-ი)...
7.  $[\text{ა} + \text{ო}] + V \rightarrow [\text{ა}] + V$ :  
 ხაკოლ „წყურვილი“ — ხაკოლეე „წყურვილიმა“ (←\*ხაკოლ-ეე);  
 მაკოლ „შიმშილი“ — მაკოლეე „შიმშილიმა“ (←\*მაკოლ-ეე);  
 მალოლ „სიზარმაცე“ — მალოლეე „სიზარმაცემა“ (←\*მალოლ-ეე);  
 ახრობ „თოხლი“ — ახრბეე „თოხლიმა“ (←\*ახრობ-ეე);  
 დალორ „მოჰყავდა“ — დალრი „მოჰყავდა?“ (←\*დალორ-ი)...
8.  $[\text{ე} + \text{ა}] + V \rightarrow [\text{ე}] + V$ :  
 ფეშკარ „ბიჰი“ — ფეშკარი „ბიჰეზი“ (←\*ფეშკარ-ი);  
 ლეხარ „ძებნა“ — ლეხრეე „ძებნამ“ (←\*ლეხარ-ეე);  
 თეგარ „მორიგება“ — თეგრეე „მორიგებამ“ (←\*თეგარ-ეე);  
 დეწარ „სიყვარული“ — დეწრეე „სიყვარულიმა“ (←\*დეწარ-ეე);



- დებსარ „თხოვნა“ — დებსრევ „თხოვნამ“ (←\*დებსარ-ევ)...
9. [ე+ო]+V→[ე]+V:  
 დელლო „სისუსტე“ — დელლევ „სისუსტემ“ (←\*დელლოლ-ევ);  
 კერლომ „შიშიანობა“ — კერლმევ „შიშიანობამ“ (←\*კერლომ-ევ);  
 ბერლომ „წაყა“ — ბერლმევ „წაყამ“ (←\*ბერლომ-ევ);  
 დებსორ „სთხოვდა“ — დებსრი „სთხოვდა?“ (←\*დებსორ-ი);  
 გეჰორ „მოჰქონდა“ — გეჰორი „მოჰქონდა?“ (←\*გეჰორ-ი)...
  10. [ო+ა]+V→[ო]+V:  
 დოჰარ „გაბედა“ — დოჰარევ „გაბედვამ“ (\*დოჰარ-ევ);  
 თოხარ „დარტყმა“ — თოხრევ „დარტყმამ“ (←\*თოხარ-ევ);  
 თოჰარ „ძილი“ — თოჰარევ „ძილამ“ (←\*თოჰარ-ევ);  
 დოწარ „გამობმა“ — დოწარევ „გამობმამ“ (←\*დოწარ-ევ);  
 დოხკარ „ჩაყრა“ — დოხკრევ „ჩაყრამ“ (←\*დოხკარ-ევ)...
  11. [ო+ე]+V→[ო]+V:  
 ოთთერ „დადგა“ — ოთთრი „დადგა?“ (←\*ოთთერ-ი);  
 მოთთერ „ეგონა“ — მოთთრი „ეგონა?“ (←\*მოთთერ-ი);  
 თოყერ „ეყო“ — თოყრი „ეყო?“ (←\*თოყერ-ი);  
 ხოყერ „მოერგო“ — ხოყრი „მოერგო?“ (←\*ხოყერ-ი);  
 დოყერ „წაიქცა“ — დოყრი „წაიქცა“, (←\*დოყერ-ი);  
 დოხერ „გაცვდა“ — დოხრი „გაცვდა?“ (←\*დოხერ-ი)...
  12. [ი+ა]+V→[ი]+V:  
 დიკარ „წაყვანა“ — დიკრევ — „წაყვანამ“ (←\*დიკარ-ევ);  
 დისარ „დარჩენა“ — დისრევ „დისრევ“ (←\*დისარ-ევ);  
 დივარ „დათესვა“ — დივრევ „დათესვამ“ (←\*დივარ-ევ);  
 დილოარ „დადგა“ — დილორევ „დადგამ“ (←\*დილოარ-ევ);  
 წიწყ „ჰუტურუტანა“ — წიწყი „ჰუტურუტანები“ (←\*წიწყ-ი)...
  13. [ი+ე]+V→[ი]+V:  
 დივერ „დათესა“ — დივრი „დათესა?“ (←\*დივერ-ი);  
 დიკერ „წაიყვანა“ — დიკრი „წაიყვანა?“ (←\*დიკერ-ი);  
 თიტერ „გაპრა“ — თიტრი „გაპრა?“ (←\*თიტერ-ი);  
 ხიტერ „გაწყდა“ — ხიტრი „გაწყდა?“ (←\*ხიტერ-ი);  
 დითთერ „გარეცხა“ — დითთრი „გარეცხა?“ (←\*დითთერ-ი);  
 იხერ „იარა“ — იხრი „იარა?“ (←\*იხერ-ი)...
  14. [ი+ო]+V→[ი]+V:  
 ნიფსორ „ტოლი“ — ნიფსრევ „ტოლმა“ (←\*ნიფსორ-ევ);  
 შიროლ „სიძველე“ — შირლევ „სიძველემ“ (←\*შიროლ-ევ);  
 დითორ „დატოვება“ — დითრი „დატოვებდა?“ (←\*დითორ-ი);  
 იხორ „დადიოდა“ — იხრი „დადიოდა?“ (←\*იხორ-ი);  
 დიკორ „მიძყავდა“ — დიკრი „მიძყავდა?“ (←\*დიკორ-ი)...
  15. [ი+უ]+V→[ი]+V:  
 დიშორ „იწვა“ — დიშრი „იწვა?“ (←\*დიშორ-ი);  
 თივურ „ისვენებდა“ — თივრი „ისვენებდა?“ (←\*თივურ-ი);  
 ხილურ „იქნებოდა“ — ხილრი „იქნებოდა?“ (←\*ხილურ-ი);  
 თილურ „ასცდებოდა“ — თილრი „ასცდებოდა?“ (←\*თილურ-ი);
  16. [უ+ა]+V→[უ]+V:  
 დულარ „ყვირილი“ — დულრევ „ყვირილმა“ (←\*დულარ-ევ);



დუსტარ „გაზომვა“ — დუსტრეე „გაზომვამ“ (←\*დუსტარ-ეე);  
 დუწარ „აესება“ — დუწრეე „აესებამ“ (←\*დუწარ-ეე);  
 ზუსარ „ზოგვა“ — ზუსრეე „დაზოგვამ“ (←\*ზუსარ-ეე)...

17. [უ+ე]+V→[უ]+V:

დუღერ „ყვიროდა“ — დუღრი „ყვიროდა?“ (\*დუღერ-ი)

19. [უ+ო]+V→[უ]+V:

მუსტოლ „სიძეავე“ — მუსტლეე „სიძეავემ“ (←\*მუსტოლ-ეე);  
 დუროლ „სიძლაშე“ — დურლეე „სიძლაშემ“ (←\*დუროლ-ეე);  
 ყუროლ „სიყრუე“ — ყურლეე „სიყრუემ“ (←\*ყუროლ-ეე);  
 დუსტორ „ზომავდა“ — დუსტრი „ზომავდა?“ (←\*დუსტორ-ი)...

რე დუქცი ა ე პ ე ნ თ ე ზ ი ს ი ს გ ზ ი თ

I. [V<sub>1</sub>''' / V<sub>1</sub>'' + V<sub>2</sub>] + V → [V<sub>1</sub>''' / V<sub>1</sub>'' + V<sub>1</sub>'] + V

1. [ა+ი]+V→[აე]+V:

ცჰაბიკ „კოვზი“ — ცჰაბბეე „კოვზმა“ (←ცჰაბიკ-ეე)  
 ქანიზ „ყურძენი“ — ქანზეე „ყურძენმა“ (←ქანიზ-ეე);  
 დაწირ „სღია“ — დაწრი „სღია?“ (←დაწირ-ი);  
 თასირ „ჩაავლო“ — თაღსრი „ჩაავლო?“ (←თასირ-ი);  
 დაღირ „მისცა“ — დაღლრ „მისცა?“ (←დაღირ-ი);  
 ხაყირ „გაიგო“ — გაყყრი „გაიგო?“ (←ხაყირ-ი)...

2. [ე+ი]+V→[ეჲ]+V→[იჲ]+V→[ი]-V<sup>5</sup>:

ღეხირ „სთხოვა“ — ღეხირი „სთხოვა?“ (←ღეხირი←ღეხირი←\*ღეხირ-ი);  
 თეშირ „დაიჯრა“ — თეშირი „დაიჯრა?“ (←თეშირი←თეშირი←\*თეშირ-ი);  
 ღეხკირ „დააბა“ — ღეხკირი „დააბა?“ (←ღეხკირი←ღეხკირი←\*ღეხკირ-ი);  
 ღეფცირ „იაშბო“ — ღეფცირი „იაშბო?“ (←ღეფცირი←ღეფცირი←\*ღეფცირ-ი);  
 ლეხირ „ეძება“ — ლეხირი „ეძება?“ (←ლეხირი←ლეხირი←\*ლეხირ-ი)...

3. [ო+ი]+V→[ოჲ]+V→[ოჲ]+V:

კოწირ „აჰკიდა“ — კლჲწირი „აჰკიდა?“ (←კოჲწირი←\*კოწირ-ი);  
 დოწირ „შეაბა“ — დლჲწირი „შეაბა?“ (←დოჲწირი←დოწირ-ი);  
 დოხკირ „ჩაყარა“ — დლჲხკირი „ჩაყარა?“ (დოჲხკირი←\*დოხკირ-ი);  
 დოხკირ „აასხა“ — დლჲხკირი „აასხა?“ (დოჲხკირი←\*დოხკირ-ი);  
 დოთთირ „ჩაასხა“ — დლჲთთირი „ჩაასხა?“ (←დოჲთთირი←\*დოთთირ-ი)...

4. [უ+ი]+V→[უჲ]+V:

დუღირ „იყვირა“ — დუღლრი „იყვირა?“ (←\*დუღირ-ი);  
 დუსტირ „გაზომვა“ — დუსტლრი „გაზომვა?“ (←\*დუსტირ-ი);  
 დუწირ „აიესო“ — დუღლწირი „აიესო?“ (←\*დუწირ-ი)...

II. [V<sub>1</sub>''' + V<sub>2</sub>'] + V → [V<sub>1</sub>''' + V<sub>1</sub>'] + V

5. [ა+უ]+V→[აუ]+V→[აჲ /ოუ]+V<sup>7</sup>:

ხაბურ „ობი“ — ხაბბრეე „ობმა“ (←ხაბბრეე←\*ხაბურ-ეე);  
 დათხურ „ხაეიწი“ — დათხბრეე „ხაეიწმა“ (←დათხბრეე←\*დათხურ-ეე);  
 ჰააწუე „ჩიტ“ — ჰააწუეე „ჩიტმა“ (←ჰააწუეე←\*ჰააწუე-ეე);

<sup>5</sup> უმარცვლო ი, რომელიც ვადაწველებს შემდეგ უშუალო მუზომლობაში აღმოჩნდება წინამდებელ ხმოვანთან, ხშირად იწვევს მის ნაწილობრივ ასმილაციას.

<sup>6</sup> ასმილაციის ეს საუბურები ზოგ შემთხვევაში პარალელურად დასტურდება ბაცბთა მეტყველებაში, ამიტომ მათ: დასახელებული მიმდევრობები ყოველთვის არ იყარაღებება რეკონსტრუქციის დონეზე.

დახკურ „დამპალი“ — დამხკრეე „დამპალმა“ (←დატხკრეე←\*დახკურ-ი);  
პაბურ „ესვა“ — პაოტქრი „ესვა?“ (←პაატქრი←პაპურ-ი)...

6. [e+უ]+V→[ეუ]+V→[ეა]+V→[იე]+V→[ი]+V:

პაეურ „უყურება“ — პაიჭრი „უყურება?“ (←პაიჭრი←პაეჭრი←პაეტქრი  
←\*პაეჭურ-ი);

ეშურ „აქლდა — იშრი „აქლდა?“ (←\*ეშურ-ი);

თებურ „ამბობდა“ — თიბრი „ამბობდა?“ (←\*თებურ-ი);

ხელურ „ქრებოდა“ — ხილრი „ქრებოდა?“ (←\*ხელურ-ი)...

7. [o+უ]+V→[ოუ]+V→[ოა]+V→[ოა]+V:

ბოლურ „პალო“ — ბუმღრეე „პალომ“ (→ბომღრეე←ბოტღრეე.  
←ბულღურ-ეე);

თოყურ „ეყოფოდა“ — თუმყრი „ეყოფოდა?“ (←\*თოყურ-ი);

ხოყურ „ჩაეტოდა“ — ხუმყრი „ჩაეტოდა?“ (←\*ხოყურ-ი);

დოხურ „გაცედებოდა“ — დუმხრი „გაცედებოდა?“ (←\*დოხურ-ი);

დოტურ „მიდიოდა“ — დუმხრი „მიდიოდა?“ (←\*დოტურ-ი)...

ენაში ხმარებული ხუთი ძირითადი ხმოვნის 25 თეორიულად შესაძლებელი ორწევრიანი დისტანციური კომბინაციიდან ბაცბურ სიტყვებში რეალურად შეხვედრის საშუალება არაა. მათგან ზოგიერთი მიმდევრობა ტიპობრივია და ფართოდაა გავრცელებული, ზოგი კი შედარებით ნაკლებად გვხვდება.

როგორც ვხედავთ, რედუქციას პირდაპირი გზით ექვემდებარება ხუთივე ხმოვანი, ხოლო რედუქციას ეპენტეზისის გზით — მხოლოდ ორი. ხმოვანთა დამოწმებული 25 ორწევრიანი დისტანციური მიმდევრობიდან პირდაპირი რედუქციის საშუალებაა 18, ხოლო ეპენტეზისის გზით რედუქციისა — დანარჩენი 7.

ამრიგად, პირდაპირ რედუქციასა და ეპენტეზისის გზით რედუქციას შორის ზუსტად არის დანაწილებული ენაში არსებულ ხმოვანთა დისტანციური ორწევრიანი მიმდევრობები და შედეგად ორივე მათგანს მოსდევს მარცვალთა რაოდენობის კლება ბაცბური ენის გრამატიკულ-ლექსიკურ სიტყვაწარმოებაში. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ დასახელებულ პროცესთა სხვაობის გამოც ხდება ადგილობრივი და იმავდროულად ერთი და იმავე ფონეტიკური ტენდენციის სხვადასხვა გვარგამოვლინება ასეთად.

მხოლოდ საკუთრივ ბაცბური სიტყვების ანალიზით რომ შემოვფარგლულიყავით, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ლექსებათა ფლექსიისა და დერიაციის დროს მოქმედი აღნიშნული რედუქციის პროცესები წმინდა ფონეტიკური ხასიათისაა და შეპირობებულაა სუფიქსისეული ხმოვნის ზეგავლენით.

რედუქციის მექანიზმი ნათლად გამოიკვეთება სიტყვათა სესხებისას, როცა აფიქსის დართვის გარეშე რედუქცირდება მრავალი სამმარცვლიანი სიტყვა. ქვემოთ ჩვენ ცალკე განვიხილავთ სიტყვათა სესხებისას მოქმედ მარცვალდაკლების პროცესს.

როგორც ცნობილია, ბაცბურ ენაში ნასესხებ სიტყვებს ყოველთვის ჩამოსცილდება სახელობითი ბრუნვის ფორმანტი ი; ასევე სცილდება ფუძეს, ან სუსტდება და კარგავს მარცვლიანობას აუსლაუტში მოქმედი ყველა ხმოვა-

<sup>7</sup> ლოც. რ. გავუს ვარკვეული აქვს, რომ „ბაცბურ ენაში უს-დამოკლებისა და ვილადავილების შემდეგ ხმირ შემთხვევაში ხდება მისი შეცვლა მოკლე ი-დ“. იხ.: რ. გ ა გ უ ა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, ივე, ტ. VIII, 1956, გვ. 472.



ნობ. ამიტომ ნასესხები სიტყვების მარცვალთა რაოდენობაზე მსჯელობისას ამაჯერად მათ მიხედვლობაში არ მივიღებთ. ასე მაგალითად, სიტყვებს: ანგელოზ-ი, ხიზილა-ა, ეშმაკობ-ა... თანაბრად განვიხილავთ, როგორც სამმარცველიანებს.

სინტერესოა ის გზა, რასაც ბაცბური ენა მიმართავს სამ- და მეტმარცველიანი სიტყვების სესხებისას. ორიენტაცია სამი მარცვლის ფარგლებში ამ ენისათვის ბუნებრივია: ნასესხებ სამმარცველიან სიტყვებს ბაცბური ექცევა ისე, როგორც საკუთარ ორმარცველიან საწარმოებელ ფუძეს ექცეოდა მესამე მარცვლის (მარედუცირებელი ელემენტის) დართვისას; კერძოდ, ადგილი აქვს რედუქციას და რედუქციის სახეობაც (მარტივი, ეპენტეზისის გზით) იმავე წესებით ხორციელდება, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ:

მარტივი რედუქცია: ალაზან-ი-ალზან

რედუქცია ეპენტეზისის გზით: პაპიროს-ი-პაპროს

ოთხ- და მეტმარცველიანი პოზიცია ბაცბური ენისათვის უჩვეულო და ძნელად მოსაველეა, ამიტომ აღნიშნული ტიპის მრავალმარცველიან ნასესხებ სიტყვებს მახვილი უკეთდება ბოლოდან მესამე მარცვალზე, რითაც ლექსიკური ერთეულის შედგენილობაში გამოიკვეთება ბოლო სამი მარცვალი. თითქოს სიტყვიდან გამოითიშაო — უყურადღებოდ რჩება მახვილიანის წინამარცვლები, გამორჩეული სამი მარცვლის მიმართ კი ენა განახორციელებს ისეთსავე კანონზომიერებებს, როგორსაც სხვა სამმარცველიანი სიტყვების მიმართ; მაგალითად: მოუხბრხებელ-ი → მოუხბრხებლ; გაუნბთლებელი-ი → გაუნბთლებლ...

დავასახელებთ ნასესხებ სიტყვათა მაგალითებს, სადაც მარცვალდაკლება მოხდა ახალი სუფიქსის დაურთველად:

ა) პ ი რ დ ა პ ი რ ი რ ე დ უ ქ ც ი ა :

1. ი+ი+V→ი+V: ირიბათ—ირიბათ, ხიზილა-ა—ხიზლალ...
2. უ+უ+V→უ+V: მუგუზალ-ი—ნუგზურ, მუგულუგუნ-ი—მუგუგან...
3. ა+ა+V→ა+V: ალაზან-ი—ალზან, ქარავან-ი—ქარვან, ყარამან-ი—ყარამან, ფალავან-ი—ფალვან, ვალავან-ი—ვალვან, კალაპოტ-ი—კალპოტ, მარგალიტ-ი—მარგლიტ, ბარაქალ-ა—ბარქალ, გასაქან-ი—გასქან...
4. ე+ე+V→ე+V: გენერალ-ი—ლერნალ, ზექუმურ-ი—ზექუმურ, გამეტებით—გამეტებით, მოფერებით—მოფერებით...
5. ო+ო+V→ო+V: სოლომონ-ი—სოლომონ...
6. ა+ე+V→ა+V: ანგელოზ-ი—ანგლოზ, დარჯან-ი—დარჯან, მატარებელი-ი—მატარებლ, აუარებელი-ი—აუარებელ, გაუზარებელი-ი—გაუზარებელ, დაუფასებელი-ი—დაუფასებელ, საემველი-ი—სარკმელ...
7. ა+ო+V→ა+V: მადლობელი-ი—მადლბელ, მახარობელი-ი—მახარებელ, მანათობელი-ი—მანათბელ...
8. ე+ა+V→ე+V: ეშმაკობ-ა—ეშმკობ, დეკანოზ-ი—დეკნოზ, დეკანოზ-ი—დეკნოზ...
9. ე+ო+V→ე+V: ხელოსან-ი—ხელსან, ერბოკვერცხ-ი—ერკვერცხ...
10. ო+ა+V→ო+V: ორაგულ-ი—ორგულ, მონაზონ-ი—მოლზონ...

\* რ. გ ა გ უ ა, ზოგიერთი ფონეტიკური პროცესი ბაცბური ენის ხმოვნებში, იყ. ტ. VIII, 1956, გვ. 467.



11.  $o + e + V \rightarrow o + V$ : დაუზოგებელ-ი—დაუზოგებელ, ცხონებულ-ი—ცხონებულ, მოგონებულ-ი—მოგონებულ, მოუშორებელ-ი—მოუშორებელ, დაღონებით—დაღონებით, მოშორებით—მოშორებით...

12.  $o + a + V \rightarrow i + V$ : ბიძაშვილ-ი—ბიძაშვილ, თიბათურ-ი—თიბათურ...

13.  $o + e + V \rightarrow i + V$ : დაუფიქრებელ-ი დაუფიქრებელ, აუცილებელ-ი—აუცილებელ, დაუქვირვებელ-ი—დაუქვირვებელ, მოურადებელ-ი—მოურიდებელ, განცვიფრებით—განცვიფრებით...

14.  $o + a + V \rightarrow i + V$ : ნიკოლოზ-ი—ნიკოლოზ, კიღობან-ი კიღობან...

15.  $o + u + V \rightarrow i + V$ : დიდურათ—დიდურათ ჩინურათ—ჩინურათ, გიჟურათ—გიჟურათ...

16.  $u + a + V \rightarrow u + V$ :

17.  $u + e + V \rightarrow u + V$ :

18.  $u + o + V \rightarrow u + V$ :

რედუქცია ეპენთეზისის გზით:

1.  $a + i + V \rightarrow a + V$ : გაბრიელ-ი—გაბარალ, მარიამ-ი—მარამ, ხასიათ-ი—ხაასათ, ყალიონ-ი—ყალონ, პაპიროს-ი—პაპროზ, ხარტონ-ი—ხარტონ...

2.  $e + i + V \rightarrow e + V \rightarrow ia + V \rightarrow i + V$ : ბედნიერ-ი—ბიდნერ (←ბიედნერ ←ბეადნერ)... ბნედიან-ი—ბნიდენ...

3.  $o + i + V \rightarrow oa + V \rightarrow ue + V$ : გოზინაყ-ი—გუჟანაყ (←\*გოჟანაყ), მორიელ-ი—მურარელ, მოციქულ-ი—მუჟექულ, კორციელ-ი—კურკელ...

4.  $u + i + V \rightarrow ue + V$ : სულიერ-ი—სურარელ, კუდიან-ი—კუადენ, კუზიან-ი—კუჟანენ, ბრუტიან-ი—ბრუტენ.

5.  $a + u + V \rightarrow au + V \rightarrow aa + V$ : აკმაზლობ-ა—აკმაზლობ (←აკმაჟლობ), გამართლობ-ა—გამართლობ, გაფანტულათ—გაფანტლათ, გერმანულათ—გერმანლათ, სვანურათ—სვანრათ...

6.  $e + u + V \rightarrow eu + V \rightarrow ea + V \rightarrow i + V$ : უგემურათ—უგიმრათ (←\*უგიმრათ←უგიემრათ←უგიჟმრათ), მხეცურათ—მხიცრათ, უბედურათ—უბიდრათ, უხერხულობ-ა—უხირხლობ...

7.  $o + u + V \rightarrow ou + V \rightarrow oa + V \rightarrow ue + V$ : დოხტურობ-ა—დუჟტრობ (←\*დოჟტრობ←\*დოტტრობ) ოსურათ—უჟსრათ...

ისეთი სამ- და მეტმარცვლიანი ნასესხები სიტყვა, სადაც ბოლო სამმარცვლიანი პოზიციის პირველ ორ მარცვალში გვექნებოდა ხმოვანთა დისტანციური უ+ა, უ+ე, უ+ო მიმდევრობა, ბაცბურ ენაში ვერ დავადასტურეთ.

იმ ვითარების მიხედვით, რაც ნასესხებ მრავალმარცვლიან სიტყვათა სახელობითის ფორმებში წარმოგვიდგება, შეუძლებელია ვისაუბროთ ბაცბური აფიქსების ხმოვანთა მარედუქციებელ როლზე. როგორც ცნობილია, სახელობითი ბრუნვა ამ ენაში უნიშნოა, გაუფორმებელი. ამ შემთხვევაში, გამორიცხულია რა სუფიქსთა ყოველგვარი გავლენა ფუძისეულ ხმოვნებზე. ვასკვნით, რომ რედუქცია იის გზით ბაცბურში რეგულირდება მარცვალთა რაოდენობა ცალკეულ ფორმათა ფარგლებში; შეიმჩნევა ენის სწრაფვა სიტყვათა გაორმარცვლიანებისაკენ; სუფიქსის რეგულირების რედუქციაში, მონაწილეობენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ზრდიან სიტყვაში მარცვალთა რაოდენობას.

ასეთ დასკვნას მხარს უჭერს ის გარემოება, რომ სამმარცვლიანი სიტყვები, რომელთაც სესხებისას ზემოაღნიშნული გზით უკვე დაკარგეს თითო ხმო-



ვანი და გაორმარცვლიანდნენ, როცა ჩაერთვიან ამ ენის ბრუნების სისტემაში. კარგავენ ვიდრე ერთ ფუძისეულ ხმოვანს, თუ ჩნდება ხელახალი გასაშვარცვლიანების შესაძლებლობა. იქ, სადაც ბრუნვის ფორმანტი ხმოვანს შეიცავს, სესხებისას გაორმარცვლიანებული ფუძე ამჭერად უკვე ერთმარცვლიანი ხდება, რის შედეგადაც მთლიანი სიტყვა კვლავ ორმარცვლიანობას ინარჩუნებს, მაგალითად:

1. სახ. მოლზონ „მონაზონი“—ერგ. მოლზნეს (←\*მოლზონ-ეს);
2. სახ. ალზან „ალაზანი“—ერგ. ალზნეს (←\*ალზან-ეს);
3. სახ. სოლომონ „სოლომონი“—ერგ. სოლომნეს (←\*სოლომონ-ეს);
4. სახ. მაჰრამ „მარიამი“—ერგ. მაჰრმეს (\*მაჰრამ-ეს);
5. სახ. სუჰარელ „სულიერი“—ერგ. სუჰრლეს (←\*სუჰარელ-ეს)...

ბრუნებისას რედუქციის შესავსი პროცედურა ხორციელდება აგრეთვე ნასესხები მრავალმარცვლიანი სიტყვების ბოლო ორი მარცვლის ფარგლებში. მაგალითად:

1. სახ. საყერბელ „საყერბელი“ — ერგ. საყერბლევ ((←\*საყერბელ-ევ);
2. სახ. საფარბელ „საფარბელი“ — ერგ. საფარბლევ (←\*საფარბელ-ევ).

მისათვის, რომ რედუქციის განხილული პროცესები აიხსნას როგორც სიტყვის სიგრძით შეპირობებული, უნდა გაირკვეს, რატომ ხდება ზოგჯერ რედუქცია ორმარცვლიან პოზიციაში. როგორც აქამდე ჩვენს მიერ განხილული მაგალითებიდან ჩანდა, სარედუქციო პოზიცია ბაცბურში მხოლოდ სამმარცვლიანია.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ აქაც გარკვეული კანონზომიერება მოქმედებს, კერძოდ: ორმარცვლიანი პოზიცია ხმოვნებისა რედუქციას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლო მარცვლი სიტყვისა ღიაა. ამ დროს სუსტდება ან მთლიანად იკარგება აუსლაუტის ხმოვანი. ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ როგორც საყუთრივ ბაცბური, ისე ნასესხები სიტყვები. გვაქვს ქართულში ყოჩი—ბაცბურში ყუჩაჩ, ქორი—ქუჩარ, წაბლი—წაბლ, შარა—შარ, ფარა—ფარ, ვაზა—ვან, მოლა—მრლ, ღელე—ღელე, მოსე—მოსე, ფორე—ფორე, წყარო—წყარო, მარო—მარო... ამ დროს დასუსტებული ი და უ ხმოვნები წინა ხმოვანთან გადაინაცვლებენ, თუ ის ღიაობის ხარისხით აღემატება ამ უკანასკნელთ, დასუსტებული ა, ე და ო კი იწვევენ წინამავალი ხმოვნის საკომპენსაციო დაგრძელებას<sup>9</sup>.

ორმარცვლიან სიტყვებში სუფიქსის დაუროველად მიმდინარე ხმოვანთა რედუქციის აღნიშნული პროცესები შეუძლებელია კვლავ მარცვალთა რაოდენობის შემცირების ტენდენციით ახსნათ. ვფიქრობთ, რომ მაშინ, როცა ორთუ მეტმარცვლიან სიტყვათა აუსლაუტში ხმოვანი რედუქცირდება, თავს იჩენენის მისწრაფება ღიამარცვლიანი სტრუქტურის ფორმები გარდაქმნას დახურულმარცვლიანი სტრუქტურის ფორმებად. წინააღმდეგ შემთხვევაში რედუქცია (ხმოვნიანი სუფიქსის დაუროველად) უნდა განხორციელდებულყოფიერ თანხმონი დაბოლოებულ ორმარცვლიან სიტყვებში, რაც ვერცერთ მაგალითში ვერ დავადასტურებთ. ფაქტის ასეთ ახსნას მხარს უჭერს ქართველურ

<sup>9</sup> ბოლო ღია მარცვალში ხმოვნის რედუქცია ხდება მაშინაც, როცა სიტყვა მრავალმარცვლიანია.

ენებში: ქართულსა და სვანურში — მოქმედი სიტყვის ბოლო მარცვლის დახურვის ანალოგიური ტენდენცია<sup>10</sup>.

М. Г. МИКЕЛАДЗЕ

## РЕДУКЦИЯ ГЛАСНЫХ В БАЦБИЙСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В бацбийском языке, когда в процессе флексии и деривации к двум сложным исходным основам прибавляется суффикс с вокальным сегментом, почти всегда наблюдается редукция. При этом первый гласный, который обычно принадлежит корню, изменениям не подвергается. Под влиянием последующего гласного (гласного нового аффикса), редуцируется гласный второго слога.

В бацбийских словах не встречается непосредственная гетеросиллабическая комбинация двух полных гласных. Поэтому, говоря о редукции, мы имеем в виду только те случаи, когда между гласными стоит согласный звук.

Редукция осуществляется двумя способами:

1. В первом случае имеет место полная редукция второго гласного основы (\*bad<sup>er</sup>-ol>badrol „детство“, ср. bader „дитё“).

2. Во втором случае указанный гласный становится неслоговым и происходит его перестановка (эпентеза) с предыдущим полным гласным, в результате чего получаем нисходящий дифтонг (\*davir-i<dajvri „потерялся?“ ср. davir „потерялся“).

В связи с указанными видами редукции в статье рассмотрены следующие вопросы:

1. Каковы взаимоотношения данных видов редукции, наблюдаемых в процессе флексии и деривации бацбийского языка?

2. Какие причины вызывают интересующие нас процессы?

Наблюдение показывает, что если первый гласный основы превышает второй гласный по степени открытости, то редукция последнего осуществляется путем эпентезы, а в остальных случаях происходит простая редукция. Это обстоятельство свидетельствует о том, что оба вида редукции представляют собой разные реализации одной и той же фонематической тенденции.

С точки зрения редукции в бацбийском языке релевантны три степени открытости:

- ↓ I. o i  
II. u u  
III. a, e, o a, e, o

Введем следующие обозначения: степень открытости — I, II, III; место гласного в основе — 1, 2, 3; гласный — V, неслоговой гласный — V̇. В этом случае установленное правило редукции можно записать при помощи предлагаемых формул:<sup>1</sup>

Простая редукция<sup>2</sup>

- I. [V<sub>1</sub>+V<sub>2</sub>]+V→[V<sub>1</sub>]+V.  
II. [V<sub>1</sub>/V<sub>1</sub>'+V<sub>2</sub>]+V→[V<sub>1</sub>/V<sub>1</sub>']+V  
III. [V<sub>1</sub>/V<sub>1</sub>'/V<sub>1</sub>''+V<sub>2</sub>]+V→[V<sub>1</sub>/V<sub>1</sub>''/V<sub>1</sub>''']+V

<sup>10</sup> თ. გამყრელიძე, გ. შაქავერიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1955, გვ. 114, 349; თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიური სტრუქტურა, თბილისი, 1976, გვ. 134.

<sup>1</sup> Позиция гласного отсчитывается с начала слова, слева направо.

<sup>2</sup> В квадратных скобках стоит основа, к которой добавляется суффикс, содержащий гласный элемент.

### Редукция, осложненная эпентезой

IV.  $[V_1'''/V_1'' + V_2'] + V \rightarrow [V_1'''/V_1'' + V_1^{\Delta}] + V$

V.  $[V_1''' + V_2''] + V \rightarrow [V_1''' + V_1^{\Delta}] + V$

#### Примеры

- I. *dγirib* „крупный“ — *dγirbes* „крупный“ эрг. п. ( $\leftarrow^*dγirib-es$ )  
 II. *bubuk* „цветок“ — *bubkev* „цветок“ эрг. п. ( $\leftarrow^*bubuk-ev$ )  
*dišur* „лежал“ — *dišri* „лежал?“ ( $\leftarrow^*dišur-i$ )  
 III. *diver* „посеял“ — *divri* „посеял?“ ( $\leftarrow^*diver-i$ )  
*duγer* „кричал“ — *duγri* „кричал?“ ( $\leftarrow^*duγer-i$ )  
*bader* „дите“ — *badrol* „детство“ ( $\leftarrow^*bader-ol$ )  
 IV. *kanis* „виноград“ — *kansev* „виноград“ ( $\leftarrow^*kanis-ev$ )  
*dustir* „измерял“ — *dujstri* „измерил?“ ( $\leftarrow^*dustir-i$ )  
 V. *akur* „горел“ — *oukri* „горел?“ ( $\leftarrow^*aukri \leftarrow^*akur-i$ )

Данная закономерность не имеет исключений, и формулы изображают все возможные случаи редукции гласных.

В исконно бацбийских словах редукция неизменно связана с присоединением морфемы, содержащей вокальный сегмент, однако в большом числе заимствованных основ, состоящих из трех и более слогов, указанный процесс реализуется и без присоединения нового аффикса. В частности, груз. *iribat*—бацб. *irbat* „косо“; груз. *alazan-i*—бацб. *alzan* „Алазань“; груз. *solomon-i*—бацб. *solmon* „Соломон“; груз. *madlobel-i*—бацб. *madbel* „благодарный“; груз. *ogagul-i*—бацб. *ogul* „форель“; груз. *gozinaq-i*—бацб. *goiznaq* (национальное лакомство); груз. *sulier-i*—бацб. *suǰrel* „человек“<sup>3</sup>.

Следовательно: 1. Редукция в бацбийском языке является средством регуляции числа слогов в пределах отдельной формы. Наблюдается стремление к унификации слов по двусложной модели. 2. Суффиксальный гласный в процессе редукции имеет значение лишь постольку, поскольку он приводит к увеличению числа слогов в слове.

Данный вывод подтверждается тем фактом, что заимствованные трехсложные слова, уже утратившие один гласный, включаясь в систему склонения языка, утрачивают еще один гласный основы, если возникает возможность добавить новый слог в виде суффикса.

<sup>3</sup> Показатель именительного падежа в грузинских заимствованиях в бацбийском языке обычно усеквляется.

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგორმა



## გამბა ჩანტლაში

ბასკური დიალექტური ლექსიკის იზომორფული და  
ალომორფული ანალიზი

ბასკური ენა მრავალფეროვანია დიალექტებითა და კილო-თქმებით, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტერიტორია ძლივს აღწევს ოცდაათიოდე ათას კვადრატულ კილომეტრს სადაც, 2200 000 მცხოვრებიდან 750 000 ბასკია. არსებობს ბასკური ენის დიალექტებად დაყოფის ორი კლასიფიკაცია.

პირველი ეკლეთენის ცნობილ ფრანგ დიალექტოლოგს, ლუი-ლუსიენ ბონაპარტს. იგი არის ბასკეთის ლინგვისტური რუკის ავტორი. ბონაპარტის მიხედვით ბასკეთის ქვეყნის შვიდ პროვინციაში გავრცელებულია რვა დიალექტი: ბისკაიური, გიპუსკოური, ჩრდილო ზემონავარული, სამხრულ ზემონავარული, ლაბურდული, აღმოსავლურ ზემონავარული, დასავლურ ზემონავარული. სულეტური.

ცნობილი ბასკი დიალექტოლოგის, ბასკეთის აკადემიის პირველი პრეზიდენტის, მარია დე ასკუესს მიხედვით ბასკურში გამოიყოფა შვიდი დიალექტი: ბისკაიური, (B) გიპუსკოური (G) ზემო ნავარული (AN), სულეტური (S), ლაბურდული (L) და ქვემო ნავარული (BN), ბონაპარტისგან განსხვავებით ასკუე მუშაობდა დიალექტად გამოყოფის რონკალურს (R). მისი აზრით, რონკალის ხეობის 18-იოდე სოფელში იმდენად განსხვავებული კილოთი ლაპარაკობენ, რომ იგი შეიძლება ცალკე დიალექტად გამოიყოს (დღეს ამ დიალექტზე ხუთიოდე მოხუცი ლაპარაკობს).

ზემოთ აღნიშნული დიალექტებად დაყოფის ორი კლასიფიკაციიდან ჩვენ ვემყარებით ასკუეს კლასიფიკაციას, რადგანაც ხელთა გვაქვს მისი ტრილინგვური ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ორტომიანი ლექსიკონის ორივე გამოცემა (1905 წლის და 1969 წლის მიჩელენას რედაქციით გამოსული შევსებული გამოცემა, სადაც შესულია ყველა ის სიტყვა, რომლებიც ასკუემ მოიპოვა ამ წიგნის გამოსვლიდან სიკვდილამდე), აგრეთვე მისი ტექსტები. ბასკეთის აკადემიაც, რომელთანაც არსებობს ბასკური სალიტერატურო ენის გრამატიკის შემდგენელი კომისია, ეყრდნობა ასკუეს კლასიფიკაციას.

ამ მოკლე ექსკურსის შემდეგ გადავიდეთ ძირითად ნაწილზე — დიალექტური მასალის იზომორფულ და ალომორფულ ანალიზზე.

დიალექტური მასალის შესწავლის ძირითად პრინციპად მიჩნეულია ლინგვისტური გეოგრაფიის მეთოდი, ე. ი. კარტოგრაფია (ატლასებისა და რუკების შედგენა). არეალური ლინგვისტიკა<sup>3</sup>. ბასკური დიალექტური ლექსიკის შესწავლის შემდეგ მივიდით იმ დასკვნამდე, რომ ლექსიკის შესწავლა შეიძლება არა მხოლოდ ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებით. ჩვენ ვიყენებთ ისეთ მეთოდებს, რომლებიც არ გამოირცხავს ზემოთ აღნიშნულ ლინგვისტური გეოგრაფიის პრინციპებს. არამედ ზედმიწევნით ავსებს მას. ეს არის ბასკური დიალექტური ლექსიკის იზომორფულ ტიპებად დაყოფის პრინციპი.

მარია დე ასკუეს დიალექტური მასალის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბასკური დიალექტური ლექსიკა ძალზე დანაწევრებულია არამეტუ ინდო-



ევროპულ ენებთან შედარებით, არამედ ქართულთანაც, რომელიც, განსაკუთრებით მსგავსად, მთავარიან რელიეფშია გავრცელებული. ბასკური ლექსიკა რომ ძალზე განიცდის ვარიაციას დიალექტების მიხედვით, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანო „მთვარის“ მაგალითს, რომელიც რამდენიმე ლექსიკურ ვარიანტს გვაძლევს დიალექტების მიხედვით. მაგალითად *ilargi* (AN, B, G, L), *goiko* (R), *argizari* (B), *il* (c), „*irargi* (B), *ilberri* (AN, BN, G, L, R). „ახალი მთვარე“, *ilzaar* (B) „სავე მთვარე“. შედარებისთვის მოვიყვანოთ „მთვარე“ სლავური ენებისათვის, სადაც თითქმის ყველგან გვაქვს ძირი *sol* და სუფიქსი *-ce*. ეგვევ ძირი გვაქვს ზოგიერთ ინდო-ევროპული ენებისთვის. მაგალითად, ფრანგული *le lune*, გერმანული *zonne*, ლათინური *luna*. ავიღოთ სხვა ლექსიკური ერთეული. მაგალითად „მუხა“: *artz, aritz* (AN, BN, B, G), *arizkando, tapar, uraritz, xinitza, ipinibar, tarte, ametz, sarats, arizketa, ezkanda, arixkanda*. ამათვან უმრავლესობა ძალიან ძველია, განსაკუთრებით კი *artz, aritz*, რადგანაც, ერთი მხრივ, ამ სიტყვას ბევრი ბასკოლოგი უდარებს (h) *ari* „ქვას“, მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ნიკო მარი *aritz*-ს უდარებდა სიმხურ ტომონიმს „არიცა-ვანქ“-ს (*arhysa-ქანქ*), სადაც არიც „მუხა“ უნდა იყოს, ხოლო ვანქ „მონასტერია“, რაც მთლიანად უნდა ნიშნავდეს „მუხის მონასტერს“.

ამგვარად, „მუხისა“ და „მთვარისა“ სხვადასხვა ტერმინთა დანაწილება დიალექტების მიხედვით ისტორიულად არ გამორიცხავს იმას, რომ ბასკურის ლექსიკისთვის არ იყო დამახასიათებელი იზომორფიზმი. (ე. ი. ამა თუ იმ სიტყვის ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულით გადმოცემა სხვადასხვა დიალექტში). პირიქით, ეს უკანასკნელი უფრო დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ბასკურისათვის. ლექსიკური მასალის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ალომორფიზმი (ლექსიკურ ერთეულთა სხვადასხვაობა დიალექტების მიხედვით) უფრო ზედაპირული, მეორეული ჩანს იზომორფიზმთან შედარებით.

ბუნებრივია, იზომორფული და ალომორფული ლექსიკა სხვადასხვა ლექსიკურ სფეროში სხვადასხვაა.

ავიღოთ ლექსიკის ერთ-ერთი გამძლე სფერო — ადამიანთა სხეულის ნაწილები, რომლებიც თითქმის ყველა ენაში ნაკლებად განიცდის სხვა ენათა გავლენას. უფრო მეტად მდგრადი სფეროა ენათა ნათესაობის დასადგენად სხვა უძველეს ლექსიკურ ჯგუფებთან ერთად იყენებენ ადამიანის სხეულის აღმნიშვნელ სახელებსაც. ამ ჯგუფის სახელების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ მთელი ჯგუფი შეიძლება დავყოთ ექვს იზომორფულ ტიპად:

1. სრული იზომორფიზმი (როცა ამ თუ იმ ენებს ერთი და იგივე ლექსიკური ერთეული შეესაბამება ყველა დიალექტში). მაგალითად, *buru* „თავი“, *esko* „ხელი“, *sabel* „მუცელი“, *biotz* „გული“, *bare* „ელენთა“, *bular* „მკერდი“, *gibel* „ღვიძლი“, *oin* „ფეხი“, *beso* „მკლავი“.

2. ფონეტიკური იზომორფიზმი (როცა რომელიმე დიალექტში ფონეტიკური გადახრა გვაქვს). მაგალითად, *ezur* „ძვალი“ (AN, BN, G, L, R), *hezur* (BN, L, S), *esür* (S), *azur* (B).

3. ლექსიკური იზომორფიზმი (როცა რომელსამე დიალექტში განსხვავებული ლექსიკური ერთეულია წარმოდგენილი), მაგალითად,



lepo (AN, BN, G, S), „კისერი“, sama (B), urdail „კლჭი“, (B, AN, G, L), zake (B, G), estomaka (S) ნასესხებია.

4. ფონეტიკურ-ლექსიკური იზომორფიზმი (როცა ერთდროულად ფონეტიკური გადახრაც გვაქვს და ლექსიკურიც რომელსამე დიალექტში), მაგალითად, b'rika „ფილტი“ (AN, B, BN, G, R), biri (B, L.), bire kats (B), biriki (B), auspo (AN, B, G), hauspo (S), alsar (R).

5. ზეიზომორფიზმი (როცა სრული იზომორფიზმის გვერდით გვაქვს პარალელური ფორმები), მაგალითად, oin (c) „ფეხი“, anka (AN, B, G), zangō (AN, B, L).

6. ეტიმოლოგიური იზომორფიზმი (ასეთ შემთხვევას გვაძლევს ძირითადად კომპოზიტები, როცა ერთ-ერთი კომპონენტი სრულ იზომორფიზმს გვიჩვენებს, ხოლო მეორე ალომორფულია), მაგალითად, aosapai „სასა“ ao || aho „პირი“ (c) sapai || sabai „სხენი“, „ზედა ნაწილი“, ე. ი. „პირის სხენი ანუ ზედა ნაწილი“; besagain „მხარი“; lesa (c) „მკლავი“, gain „წვერი“, ე. ი. „მკლავის წვერი“ (ამ კომპოზიტების მეორე ნაწილი სხვადასხვა დიალექტის მიხედვით ალომორფულ სურათს გვიჩვენებს).

როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, ბასკური დიალექტური ლექსიკა იზომორფული და ალომორფული ანალიზის თვალსაზრისით არავის შეუსწავლია. ისმის კითხვა, როგორ სწავლობდნენ აქამდე ბასკურ დიალექტურ ლექსიკას? პირველ რიგში დიალექტურ მასალას აგროვებდნენ ძირითადად დიალექტური ლექსიკონების ავტორები: ასკუე, ლანდი, მუხიკა, ლაფიტი, ენებერია, მენდისაბალია და სხვები. შემდეგ ახდენდნენ კარტოგრაფირებას (ბასკური ენის აკადემია ფრანგი ბასკოლოგის, ეაკ ალიერის ხელმძღვანელობით ადგენს ბასკური დიალექტების ლინგვისტურ ატლასს); ლექსიკური იზოგლოსების საფუძველზე აკეთებდნენ დასკვნებს ამა თუ იმ სიტყვის ისტორიაზე.

მართალია, ასკუეს ლექსიკონში ჩანასახს სახით ჩანს სრული იზომორფიზმი, მან ყველა დიალექტისთვის საერთო ლექსიკურ ერთეულებს გვერდით მიუწერა (c) რაც ნიშნავს comun „საერთოს“. ასკუეს სხვა შრომების გაცნობისას ირკვევა, რომ მას არც კი უცდია დაეყო ბასკური დიალექტური ლექსიკა ტიპების მიხედვით.

დიალექტური ლექსიკის ასეთი ანალიზის მოშველიებით შეიძლება მივიღოთ ისეთი შედეგები, რომლებსაც ვერ მოგვეცემს იმავე მასალის დეტალური კარტოგრაფირება. მართალია, ჩვენ მიერ გამოყოფილი ტიპების მიხედვით მამასალის აღწერის შედეგები მიახლოებითი იქნება, მაგრამ ჩვენი ასეთი ანალიზის შემდეგ შეიძლება გადაწყვიტოთ ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი მოცემული ლექსიკური მასალიდან (ვთქვათ, ადამიანის სხეულის აღმნიშვნელი ლექსიკიდან) — რომელია უფრო მეტად იზომორფული და რომელი ალომორფული. რატომ მაინცადამაინც buru „თავი“, esko „ხელი“, sabel „მუცელი“ და სხვები გვიჩვენებს სრულ იზომორფიზმს და არა რომელიმე begi „თვალი“? რატომ არის „სახის“, „წარბის“ (და სხვა) აღმნიშვნელი სიტყვები ასეთი ალომორფული? bekain „წარბი“ (AN, B, BN, G, L), bekan (B), bekhan (BN, S), bepuru (AN), bepuru (S), bephuru (BN, S), bezintza (B, G), betagun (AN, G), betzurda (B), betoskol (R), ამა თუ იმ სიტყვისათვის რა-

ტომ არის იზომორფული ბასკურის დასავლური დიალექტები, ხოლო სხვა სიტყვებისათვის აღმოსავლური დიალექტები? და ბოლოს რამდენად გამართლებული იქნება ასეთი ანალიზი მიუყუენით ბასკური ენის ლექსიკის სხვა სფეროს ან სხვა ენებს, კერძოდ, ქართულ ენას, სადაც ბასკურთან შედარებით ლექსიკურ ერთეულთა ვარიაცია შედარებით ნაკლებია დიალექტების მიხედვით. როცა ამა თუ იმ სიტყვის ლექსიკონის სახესხვაობა მეტია დიალექტების მიხედვით, მაშინ ლექსიკოგრაფიული ანალიზი უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა, ხოლო როცა ნაკლებია, მაშინ მიმართავენ კარტოგრაფიულ მეთოდებს.

ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი საკითხი, ჩვენი აზრით, მოგვანიშნებს იმაზე, რომ ბასკური დიალექტური ლექსიკის იზომორფული და ალომორფული ანალიზი, მისი ტიპებად დაყოფა ზედმიწევნით აუხერხებლად დიალექტოლოგიაში დღემდე არსებულ მეთოდებს.

#### ლიტერატურა

1. Prence Luis-Lusien Bonaparte. Cart de sept provinces Basques. Lo cre. 1803.
2. R. M. Askue. Diccioario vasco-espanol-francces. Bilbao. 1969.
3. Placido Mugika. Diccioario castelano-vasco. Bilbao. 1973.
4. В. М. Жирмунский. О некоторых проблемах лингвистической географии. „Вопросы языкознания“, № 4, 1956. М. А. Бородино. Проблемы лингвистической географии. М.-Л., 1966.

ЧАНТЛАДЗЕ Г. И.

### ИЗОМОРФНЫЙ И АЛЛОМОРФНЫЙ АНАЛИЗ БАСКСКОЙ ДИАЛЕКТНОЙ ЛЕКСИКИ

Резюме

Диалектная вариативность является важнейшей чертой баскского языка.

После изучения баскской диалектной лексики мы установили, что в баскской лексике можно выделить шесть типов изоморфизма: полный, фонетический, лексическо-фонетический, сверхизоморфный и этимологический.

Крайне распространенный алломорфизм в современном баскском языке в значительной мере не имеет глубоких исторических корней, являясь поэтому вторичным.

Анализ баскского изоморфизма позволит нам дать глубокое описание своеобразия баскского языка, без чего не может быть раскрыто его прошлое и определено его место среди других языков.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

## ბაიანო თუშაალიშვილი

 გარდაბნულ აზერბაიჯანულთა მიტყველების  
 ზოგიერთი ლექსიკური თავისებურება

გარდაბნულ აზერბაიჯანულთა მეტყველების ენობრივი მასალა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საკუთრივ დიალექტური ერთეულები, რომლებიც სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ან საერთოდ არ დასტურდება, ან გვხვდება ტრანსფორმირებული სახით. ქვემოთ მოგვყავს ზოგიერთი ნიმუში.

ალაჰლაмах —საკვლევ მეტყველებაში ნიშნავს ნახშირის გაღვივებას, ცეცხლის გაჩაღებას. ეს სიტყვა აღინიშნება აგრეთვე აზერბაიჯანული ენის ნუხას დიალექტში. შეტანილია აგრეთვე აზერბაიჯანული ენის განმარტებით ლექსიკონში მინაწერით *mihəli söz* 'ავგილობრივი', 'ტერიტორიული სიტყვა', სალიტერატურო აზერბაიჯანული ენის ლექსიკონში არაა შეტანილი, ეტყობა სწორედ *mihəli söz*-ის დამოწმებით. სალიტერატურო ენაში იხმარება *ođ jan-dıymag, alyşdyrmaq, ođlamağ*, 'დანთება' (ცეცხლის), აღსანიშნავია რომ *elaz-lamağ* 'დანთება' სიტყვა დაიძებნა რედპაუზის ლექსიკონში<sup>1</sup>, თურქულ დიალექტებიდან — თოქათის დიალექტში<sup>2</sup>. ხოლო ზმნის ძირი *alaz* 'ალი' დასტურდება თულაჯის<sup>3</sup> ლექსიკონში და აგრეთვე თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში *alaz, alev* 'ცეცხლი'.

ამგვარად *amazlamağ* ნაწარმოებია *alaz* სიტყვიდან -ლა სუფიქსის მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ ე. სევორთიანის თურქულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მოტანილია შემდეგი მოსაზრება: „Алас из иранских языков, ср. *س آ* 'горящий уголь' (Ягелло, Steingass)“<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, *alazlamağ* სიტყვას დაეძებნა პარალელები თურქულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში.

*бархаламах* — 'დაბარგება'. აზერბაიჯანული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ზმნა არაა ფიქსირებული, არ ვხვდებით მას არც აზერბაიჯანული ენის დიალექტებში. აზერბაიჯანული ენის განმარტებით ლექსიკონში შეტანილია არს. სახელი *бархана*, რომელიც ნიშნავს 1. საოჯახო ნივთებს; 2. ტვირთს, ამასთან ლექსიკონში მითითებულია, რომ სიტყვა წარმომავლობით სპარსულია და არქაული<sup>5</sup>. იგივე სიტყვა იდენტური მნიშვნელობით დასტურდება ყაზახის დიალექტსა და დმანურ კილოში<sup>6</sup>. თურქულ განმარტებითს ლექ-

<sup>1</sup> W. Redhouse. A Turkish and English Lexicon. Constantinople, 1921.

<sup>2</sup> *Türkiyede Halk Ağzından Söz Derleme Dergisi*, c. I, Istarbul, 1939.

<sup>3</sup> P. Tuğlacı. *Büyük Türkçe-Fransızca sözlük*, Istarbul, 1968.

<sup>4</sup> Э. В. Севортян, *Этимологический словарь тюркских языков*, М., 1974.

<sup>5</sup> *Азәрбајҹан дилинин изаһлы луғәти*, I ҟилд. Б., 1966.

<sup>6</sup> В. Т. Джангидзе, *Дманисский говор казахского диалекта азербайджанского языка*, Баку, 1965.



სიკონში გამოტანილია სიტყვა bark,<sup>7</sup> ev bark 'საოჯახო ნივთები'. თურქულ-რუსულ ლექსიკონში აღნიშნულია აგრეთვე ზმნა barklanmak—обзавестись домом, семьей, жениться<sup>8</sup>, 'დაოჯახება'.

ბყ დყ.—'სულეირი', 'სულდგმული!' სალიტერატურო აზერბაიჯანულსა და დიალექტებში ეს სიტყვა არ დასტურდება. თურქული ენის დიალექტებში bidî ნიშნავს 1. deve yavrusu 'კოზაქი'; 2. kaz yavrusu 'ბატის ქუქი'; 3. ördek yavrusu 'იხვის ქუქი'<sup>9</sup> (Muğla, Çanakkale, Bursa), სხვა ლექსიკონებში ეს სიტყვები არ დაიძებნა.

дәмирши — 'შამფურის ფორმის რკინის ბრტყელი ჯოხი, ცხობის დროს ლავამის გადასაბრუნებელი'. ერთი შეზღვევით дәмирши ფორმით дәмирчи 'შეღველი', სიტყვას წააგავს. სემანტიკურად კი ისინი ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდებიან. дәмирши შედგენილი უნდა იყოს, ორი სიტყვისაგან дәмир+шиш 'რკინის შამფური', განსხვავებით ჩვეულებრივი ხის შამფურისაგან. ორი სიტყვის შერწყმის შედეგად და ბოლოკიდური ш თანხმუნის მოკვეცილი მიღებულია ფორმა дәмирши.

эмликт — 'მოხარული ბატკნის ხორცი' (სტუმარს ცხლად მიერთმევთ) — შედგენილი სიტყვაა. эмлик (кормленный молоком ягненок), 'რძითანაკვები ბატკანი', ат 'ხორცი'. როგორც ვხედავთ, ეს სიტყვა მიღებულია ორი ელემენტისაგან. რომელთაც განიცადეს სათანადო ცვლილება: эмлик სიტყვაში დაკარგულია ბოლოკიდური к; გარდა ამისა მოსალოდნელი იყო მეორე სახის იზაფეტი, რაც არ გვაქვს.

әппәх, чаласы — 'პურის საცხობი ადგილი' (ასე იწოდება ოდნავ ამოღრმავებული ორმო, რომელშიც იდგმება ზედადგარი და ქვეშ უნთებენ ცეცხლს).

ასეთი კომპოზიტი არაა ფიქსირებული ჩვენს ხელთ არსებულ არც ერთ ლექსიკონში. კომპოზიტის შემადგენელი ნაწილებია სიტყვა әппәх, რომელიც 'პურს' ნიშნავს, ხოლო чала (ახალ სპარსულში) چالا ნიშნავს 'ორმოს, ღრმულს, დაბლობს, ჩადრმავებულ ადგილს', შდრ. ახ. ქართ. ჭალა<sup>10</sup>.

кулун кишниш — 'მინდვრის ქინძი, ველური ქინძი'. ვ. რადლოვთან *وغى قولان قورقو* *ослиный хвост (растение)*<sup>11</sup>—ველური მცენარის სახელწოდებაა. თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში kişniş, 1. jaban papatyasi, jaban majdanczu<sup>12</sup> მინდვრის გვირილა', 'მინდვრის ოხრახუში; ენციკლოპედიურ ლექსიკონში: kişniş — maydanoz gillerden yaprakları maydanozu andıran ve kuru yemişi bahar alarak kullanılan bir bitki (nebat)<sup>13</sup> (ქოლგოსანთა ოჯახის მცენარე, რომელსაც ოხრახუმის მსგავსი ფოთლები აქვს და იხმარება როგორც საკახში). სალიტერატურო აზერბაიჯანულში — кешниш<sup>14</sup> кинза (огородная зе-

<sup>7</sup> Mehmet Ali Ağcakey, Türkçe sözlük, Ankara, 1959.

<sup>8</sup> Д. А. Магазаник, Турецко-русский словарь, М., 1931.

<sup>9</sup> Söz Derleme Dergisi, c. I, İstanbul, 1939.

<sup>10</sup> იხ. შხია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობისა, თბ., 1966, გვ. 407.

<sup>11</sup> В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, Спб, 1911.

<sup>12</sup> Söz Derleme Dergisi, c. III, İstanbul, 1947.

<sup>13</sup> Resimli yeni lûgat ve ansiklopedisi, c. III.

<sup>14</sup> Азербайджанча-русча лугат, Б., 1965.

лень) 'ქინძი'. ამგვარად შესიტყვების კულун кишниш პირდაპირი თარგმანი იქნება 'ვირის ქინძი', ანუ 'ველური, მინდვრის ქინძი', ბალის ქინძის საპირისპიროდ. ხსენებულ შესიტყვებაში кулан სიტყვა გვაქვს კულун ფორმით. გარდა ამისა, იმის გამო, რომ ორივე შემადგენელი სახელია, მოსალოდნელი იყო მეორე სახის იზაფეტი, მაგრამ აქ არაა გაფორმებული.

өлчән — 'საწყაოდ გამოყენებული თასი. ამ სიტყვის ამოსავალი өлчмәк ზმნა. ამ ზმნიდან ნაწარმოები სიტყვა өлчү 'საზომი', 'ზომა', 'ოდენობა' 'საწყაო'. ნათელია, რომ ჩვენთვის საინტერესო მეტყველებაში იხმარება өлчмәк ზმნის მიმღობა—өлчән 'საწყაო', ანუ 'თასი, რომელიც გამოიყენებოდა საწყაოდ. თურქულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნულია, რომ өлч-, өлчә<sup>15</sup>, ძირიდან ნაწარმოები ყველა არსებითი სახელი ძირითადად აღნიშნავს 'საზომს', 'საწყაოს'.

өрү — 'კედელი'. ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არც აზერბაიჯანულ სალიტერატურო ენაში და არც დიალექტებში არ დაიძებნა. örü სიტყვა გვხვდება თურქული ენის ლექსიკონებში<sup>16</sup>, სადაც აქვს მნიშვნელობები 'კედელი', 'ნაგებობა', 'შენობა'. თურქულ დიალექტოლოგიურ ლექსიკონში ფიქსირებულია örüntü სიტყვა, რომელსაც შემდეგი მნიშვნელობა აქვს — უკეროდ ნაგები კედელი<sup>17</sup>. ხოლო ე. სევორთიანთან örü—стена сухой кладки<sup>18</sup>, örü სიტყვა არქაულია და დასტურდება უკვე მე-16 ს-ში<sup>19</sup>, (შამსედდინ სამისთან).

сарымсах дөјән — 'ფილი' (ნივრის სანაყი), სიტყვა сарымсах дојән ორი კომპონენტისაგან შედგენილი კომპოზიტია. сарымсах 'ნიორი' და дөјәмәк 'ნაყა' ზმნის მიმღობა дөјән. ფილისათვის сарымсах дөјән-ის შერქმევა დაკავშირებული უნდა იყოს იმასთან, რომ ადგილობრივ მოსახლეობის ყოფაში, კერძოდ კულნარიაში ფართო გამოყენება აქვს დანაყილ ნიორს.

сасы үјнә — 'მახათი'. სალიტერატურო აზერბაიჯანულსა და დიალექტებში აღნიშნული შესიტყვება არ დაიძებნა; არ დაიძებნა იგი არც თურქულში. ვ. რადლოვის ლექსიკონში აღნიშნულია ზმნის ფუძე—сас—шаш—'колоть', 'пронзать', 'пробуравить'<sup>20</sup> (ჩხვლეტა, გაბურღვა). ცხადია, რომ ხსენებული კომპოზიტის პირველი კომპონენტია ვ. რადლოვის მიერ მითითებული ძირი.—ы—ზმნიდან სახელის მაწარმოებელი აფიქსია<sup>21</sup>, ხოლო үјнә 'ნემსი'.

сах сун — 'სადილის თეფში', 'მათლაფა'. აღნიშნული ფორმით ეს სიტყვა არ დასტურდება აზერბაიჯანულ ენასა და დიალექტებში. სალიტერატურო აზერბაიჯანულში შეტანილია სიტყვა сахсы—фаянс, фаянсовый<sup>22</sup>.

ვ. რადლოვის ლექსიკონში სიტყვა ساقسى — сахсы (osm.) [aus dem deut-

15 Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, М., 1974.

16 P. Tuğ a l, Büyük Türkçe-Fransızca sözlük, İstanbul, 1968.

17 Söz Derleme Dergisi, с. III. İstanbul, 1947.

18 Э. В. Севортян, дасახ. ნაშრომი.

19 ش ساقسى . قاموس تروكى در سعادت ۱۳۱۸ اورو اورى

20 В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV.

21 Азәрбајҹан дилинин грамматикасы, I hissə, Б., 1951, გვ. 112.

22 Азәрбајҹанча-русча аүғәт. Б., 1965.

schen „sachsen“]—ссуд из фарфора и глины<sup>23</sup>. თურქული ენის ლექსიკონში saksu სიტყვას აქვს მნიშვნელობა 'ყვავილის ქოთანის', ხოლო თურქულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში შეტანილია სიტყვები saksonya, saksunya ნიშნავს: saksonyada yapılan g zel porselana tabak ve  anak  omlek cinsinden kaplara verilen sifat<sup>24</sup>, ე. ი. საქსონიაში, დამზადებული ფაიფურის ლამაზი თევში ან ჯამი (ჭურჭელი) მოხატული'. საკვლევ მეტყველებაში მნიშვნელობა დავიწროვდა და იხმარება ყოველგვარი (ქაშანური, ფაიფურის) ღრმა თევშის, ანუ მთლადის აღსანიშნავად.

сива — 'ზღურბლი' აზერბაიჯანული ენის ლექსიკონებში ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა არაა ფიქსირებული. ამ სიტყვას ვხვდებით თურქული ენის დიალექტოლოგიურ ლექსიკონში: sivi—duvar veya dam sa ağı<sup>25</sup> 'კედლის ან სახურავის კიდე, კარნიზი. როგორც ვხედავთ, აქაც ადგილი აქვს აზერბაიჯანული და თურქული დიალექტოლოგიური ფორმების დამთხვევას.

талатын 'კარავი' (ტყავით გადახურული კარავი). ეს სიტყვაც არ დიდებნა არც სალიტერატურო აზერბაიჯანულში და არც მის დიალექტებში. ვ. რადლოვის მიხედვით талатин تالاتين (osm.) ნიშნავს i tovedya ko a<sup>26</sup>. Юфть — кожа рсского быка или коровы, выделанная по русскому способу<sup>27</sup>. თურქულ ენციკლოპედიურ ლექსიკონსა<sup>28</sup> და მაგაზანიკს<sup>29</sup> ლექსიკონში telat'ın მიხედვითაა რუსულ ნასესხობად და ნიშნავს: юфть, 2. юфтяной. ახლახან გამოცემულ დიდ თურქულ ლექსიკონში ვკითხულობთ: telatin:—eskiden beri Rusya-da yapılan bir cins sa lam ve yumu ak deri ki, kendine mahsus bir kokusu vardı<sup>30</sup>. 'რბილი, მოქნილი ტყავი, რომელსაც რუსეთში ამუშავებდნენ ოღითგან, აქვს თავისებური სენი'.

სიტყვა 'თალათინი' დასტურდება ქართულშიც, საბასთან 'თალათინი' სხვათა ენაა, ქართულად ნატა — მოქნილი ტყავი<sup>31</sup>. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში 'თალათინი' მიხედვითაა სპარსული წარმომავლობის სიტყვად (რბილი ტყავი): 1. ძვირფასი ტყავი, რბილი და მოქნილი ნატა (საბა), ტყავის თასმა (ქალამნის ამოსასხმელი: დანის, სამართებლისა და მისთ. პირის ასაწყობი)<sup>32</sup>.

რაც შეეხება 'თალათინ' სიტყვის სპარსულობას, სპარსული ენის ლექსიკონებში تالاتين (телатин)—русская кожа (сорт кожи) (მილერთან)<sup>33</sup>, ხოლო შტაინგასის ლექსიკონში تالاتين—Perfumed or Russia leather<sup>34</sup> 'სურნელების მქონე რუსულად დამუშავებული ტყავი'. ქართულ-რუსულ ლექსიკონში 'თალათინი'

<sup>23</sup> В. В. Радлов, Опыт словаря..., т. IV, ч. 2.

<sup>24</sup> Resimli yeni l gat ve ansiklopedi, с. V.

<sup>25</sup> S z Derleme Dergisi..., с. 3, 1937.

<sup>26</sup> В. В. Радлов, Опыт словаря..., т. III, ч. 2.

<sup>27</sup> В. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. IV, М., 1882.

<sup>28</sup> Resimli yeni l gat..., с. V.

<sup>29</sup> D. Ma azanic, Турецко-русский словарь, 1945.

<sup>30</sup> Hayat-B y k T rk S zln , Istanbul.

<sup>31</sup> ს. ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ლექსიკონი ქართული, წ. I, თბ., 1966.

<sup>32</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.

<sup>33</sup> Б. В. Миллер. Персидско-русский словарь, М., 1953.

<sup>34</sup> A comprehensive Persian-English Dictionary by F. Steingass, London.



(ტყავი) — огоек<sup>35</sup>, ხოლო опойки — кожа (молочных) телят<sup>36</sup>. ვ. დალის რუსული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: теля, телятко... огоек вят. гриз лод от коровы, неогределенного гола. აგრეთვე — телятин, теляткин, телков, телкин, телушкин — все что их; телячий, теленочий, телочий и телушачий — к ним относящийся<sup>37</sup>, აქ ყურადღებას იქცევს დიალექტოლოგიური ფორმა телятин და მინაწერი все что их, ე. ი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ телятин ტყავსაც ეტყობინებ. გარდა ამისა, შეიძლება ასეთი პარალელიც გავავლოთ: ვ. დალთან აღნიშნული огоек სიტყვა ვიატკის გუბერნიის მეტყველებაში ნიშნავდა гриз лод от коровы, неогределенного гола. სიტყვა შეტანილია теля ლექსების ბუდეში. ამავე ლექსიკონში ცალკე სალექსიკონო ერთეულად ვატანილია სიტყვა опсек, — опойка, тонкая кожа, выделанная из шкур х лослдых телят<sup>38</sup>. ასეთია телятын სიტყვის ფიქსაციითა არალი და სემანტიკური გადახვევა.

ფიტლახ — 'უქნარა', 'ზარმაცი კაცი'. თოფუზის დიალექტში ნიშნავს 'დაფლეთილს, დაძენილს'<sup>39</sup>, სალიტერატურო აზერბაიჯანულში — 'ინტრიგა, ხრიკი', 'ფანდი'. თურქულში fit ნიშნავს 'წაქეზებას', 'გაძევრობას', 'ვერაგობას', 'მისიევას'. fitçi 'ენატანია', 'ინტრიგანი'<sup>40</sup>. ფიტლახ სიტყვა შემდგარია ორი ნაწილისაგან, ფიტ ფუძესა და — лых აფიქსისაგან, რომელიც აწარმოებს ამ შემთხვევაში კონკრეტულ არსებით სახელს. როგორც ვხედავთ, ზემოაღნიშნულ სიტყვებს აქვთ საერთო ნიუანსური ელფერი. შდრ. ქართულ ქალაქურ სასაუბრო ენაში 'ფითლიხი' — 'უქნარა', 'არაფრის მაქნისი'.

хамры — дујах — ცომის გასაბრტყელებელი ფიცარი: ორდუბადის დიალექტში дувах სიტყვა გეხვეება და ნიშნავს крышка глиняной посуды 'თიხის ქურჭლის სასურავი'. ამ შესიტყვების შემადგენელი ნაწილებია хамры < hamur არაბული წარმომავლობის სიტყვაა, ნიშნავს 'ცომი' და дујах < дајаг (подгорка, поджара) 'ბრჭენი, საბრჭენი, საყრდენი'. ამგვარად, хамры дујах შესიტყვების პირდაპირი თარგმანია 'ცომის დასადები'.

х а н и — 'სა' სალიტერატურო აზერბაიჯანულში патәк, ары патәји, ары сабәти. აღსანიშნავია, რომ патәк როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში ეწოდება ჩვეულებრივ ფიცრისაგან შეკრულ სქას, ხოლო გულამოთლილ მორს, გეჯას х а н и ეწოდება. ეს სიტყვა არც თურქულ ლექსიკონებში არ დაიძებნება.

ч о ф ч у — 'ჩამბერავი'. სალიტერატურო აზერბაიჯანულშია და დიალექტების ლექსიკონებში ეს სიტყვა არ დასტურდება. მაგრამ ფართოდ არის გავრცელებული ზემორმეტყველებაში. შედგენილი სიტყვაა. სალიტერატურო აზერბაიჯანულში არსებობს სიტყვა ч о н 'ჩხირი', 'ჩალის ღერი'; -ч у ხელობის, პროფესიის აღმნიშვნელი აფიქსია. ჩვენი მეტყველების სინამდვილეში ч о ф ч у < ч о ф ч у სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობა უკავშირდება ქართულში, კერძოდ აღმოსავლეთ საქართველოში, ზემორმეტყველებაში ცნობილ ჩამბერავის საქმიანობას, რაც შემდეგში მდგომარეობს: აღმოსავლეთ საქართვე-

35 ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1959.

36 Русско-грузинский словарь, თბ., 1959.

37 Вл. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, М., 1882.

38 В. Даль, Толковый словарь...

39 Азербайчан дилинин диалектоложи лугәти, Б., 1964.

40 Д. Магазаник, Турецко-русский словарь.



ლოში, კახეთის ზოგიერთ სოფელში დღემდე შემორჩა რწმენა, თითქოს ჩამბერავს — ექიმბაშ ქალს შეუძლია განკურნოს ავადმყოფი ბავშვი. ჩამბერავის საქმიანობა შემდეგში მდგომარეობს: ბავშვს, რომელსაც თითქოსდა რაღაც აქვს დაკრული ცხვირ-ხახის არეში, მიიყვანენ ჩამბერავთან. ჩამბერავი ცხვირში ჩამბერავს ბავშვს და ბავშვი განიკურნება. ამგვარად, **чѳчы** და 'ჩამბერავი' აღნიშნავს ერთსა და იმავე საქმიანობის ადამიანს—ქალს, რადგანაც ჩამბერავად მხოლოდ ქალები თუ არიან. **чѳчы** სემანტიკურად და ეტიმოლოგიურად არაა დაკავშირებული **чѳп** სიტყვასთან. ქართულში ჩამბერავის საქმიანობა ეტიმოლოგიურად და სემანტიკურად დაკავშირებულია ჩამბერვა' ზმნასთან. თურქული **üfürmek** სიტყვაც ქართული 'ჩამბერავი' სიტყვის ეკვივალენტია (**üfürmek** — ჩამბერვა.)<sup>41</sup>.

თურქულ ენებში **чѳпчы** სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია. ზოგიერთ მათგანში იგი იხმარება მნიშვნელობით 'ქუჩის დამგველი', 'დამსუფთავებელი'. აზერბაიჯანულში მისი ძირითადი მნიშვნელობა იყო ქალი-ექიმბაში: „женщина знахарка, которая избавляет детей от застрявших в горле инородных предметов. Подобных знахарок до последнего времени можно было встретить в деревнях Азербайджана“<sup>42</sup>.

**чугун тава**-საკვლევე მეტყველებაში ისევე, როგორც სალიტერატურო ენაში, სიტყვა **тава** ცალკე აღებული ნიშნავს საერთოდ 'ტაფას', ხოლო შესიტყვებაში **чугун тава** მნიშვნელობა შეცვლილია და ნიშნავს საერთოდ 'ალუმინის ქვაბს'. საინტერესო ჩანს ალუმინის ქურქლისათვის **чугун** (რუს. **чугун**. 'თუჯი')-ის დარქმევა.

Г. В. ТУШМАЛИШВИЛИ

## О НЕКОТОРЫХ ЛЕКСИЧЕСКИХ ОСОБЕННОСТЯХ ГОВОРА АЗЕРБАЙДЖАНЦЕВ ГАРДАБАНСКОГО РАЙОНА ГССР

Резюме

Для лексики говора азербайджанцев Гардабанского района Грузинской ССР характерно определенное своеобразие. Диалектный материал позволил выделить местную лексику, часть которой не встречается в азербайджанском литературном языке и его диалектах: **демирши**, **хэби**, **өлчэн** и др.

Местная лексика интересующего нас говора в ряде случаев имеет параллели в турецком языке и его диалектах и характеризуется некоторыми семантическими сдвигами (**талатын**, **быды**, **бархаламах**, **сахсун** и др.).

<sup>41</sup> Д. Магазаник, Турецко-русский словарь.

<sup>42</sup> В. Гукасян, Тюркизмы в «Истории албан» Моисея Утийского, Структура и история тюркских языков, М., 1971, гл. 240—242.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმომადგენელი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

## შალვა ბაბისკირია

## ძველი თურქული ლექსიკონის შესახებ იუნუს ემრეს ნაწარმოებებში

XIII—XIV საუკუნეების თურქული სუფიური პოეზიის დიდი წარმომადგენლის იუნუს ემრეს ნაწარმოებები (დივანი და დიდაქტიკური პოემა „სამომღერებო წერილი“) ანატოლიური თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი აღრეული და მნიშვნელოვანი ძეგლებია. იუნუს ემრეს ლექსიკური ფონდის დიდ ნაწილს ძველი თურქული ლექსიკა შეადგენს. მისი ერთი ჯგუფი განხილული გვაქვს წერილში „იუნუს ემრეს თურქული წარმომავლობის ლექსიკა“ („მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, 1974, გვ. 147—161).

წინამდებარე წერილში გაანალიზებულია ძველი თურქული ლექსიკური ელემენტების ის ნაწილი, რომელიც ძველ ანატოლიურ თურქულზე შექმნილ სხვა ძეგლებშიც დასტურდება. ესარგებლობდით რამდენიმე გამოცემით, ძირითადად კი ვეყრდნობოდით ა. გოლფინარლის 1943 წლის გამოცემას (A. G ö l p i n a r l ı, Yunus Emre Divanı, Metinler, Sözlük, Açılımlar, ტ. 1—2, İstanbul, 1943).

aja „იანი, მქონე, პატრონი“: fida şanum sana ij sabr ajası 24<sup>აა</sup> „შენ შეგეწიროს ჩემი სული მომთმენ (მოთმინების პატრონი)“, aja მხოლოდ პოემაში გვხვდება. ამგვარი განმოყვანების საფუძველი ა. გოლფინარლის, ჩანს, ბეთის მეორე სტრიქონში aja-სთან ვარიანტულმა fida -მ მისცა. ეს სიტყვა ვრცლად არის განხილული სხვადასხვა ეტიმოლოგიურ ლექსიკონსა (Räs. Vers. 169, EDT 41, ЭТЯ 234—41) თუ ცალკეულ გამოკვლევაში. კ. მენგესი ამ სიტყვას სამართლიანად უკავშირებს ძვ. თურქ. idi-ს<sup>1</sup>, ორბ. idi (idi), უილ. idä (idä). ზემოთ ჩამოთვლილები და i'ä, iä, igä ფორმები არის მოცემული გაბ. 309—10, აგრეთვე ijä, igä DTC 204—205, äjā „პატრონი, მფლობელი“ თეფს. 70, aja „id“ აპ 3, კ. მენგესი ამ სიტყვის შემდეგ მნიშვნელობებს გამოყოფს: 1. მფლობელი, 2. პატრონი, 3. უფალი. მისი აზრით, äjā//ijä და issi, რომელსაც ი. ემრეც ხმარობს, ეტიმოლოგიური დუბლეტებია<sup>2</sup>. კ. მენგესის დაკვირვებით, idi-სგან განსხვავებით, რომლის DTC-ში დადასტურებული მნიშვნელობები ზემოთაა მოცემული და რომელიც თეფსიბში „ბატონს, მფლობელს, ღმერთს“ ნიშნავს, äjā-საც აქვს იგივე მნიშვნელობები, მაგრამ „ღმერთის“ გავებით არ იხმარება. ეს სემანტიკური განსხვავება ოსმალურში სრულიად წარბოცილი იყო უკვე XV საუკუნეში და იქვე ავტორი დასძენს, რომ „იბნ ქაბირის ისტორიაში“ (XVI ს.) issi და äjā სინონიმებად იხმარება. რაც შეეხება äjā სიტყვას, იგი Tsö-ში eje (ije) ფორმებით არის წარმოდგენილი, რომელიც XIV—XVI სს. თხზულებებში დასტურდება. „დღევ ქორქუთში“ მას „პატრონის, მფლობელის, ბატონის“ მნიშვნელობები აქვს (Tsö III 1578—79); eje (ije) ხშირად ქონების მაწარმოებელი -li აფიქსის ტოლი ფუნქციისაა. სალიტ. ენაში გამჭრალი ეს სიტყვა სხვადასხვა ფორმით (eje,

<sup>1</sup> К. Г. Менгес, Тюркское іді 'госпадин' некоторые его рефлексы в тюркских языках и т.д. аллели в других языковых семьях, კრ. შე: «Turcologica», к семидесятилетию академика А. Н. Ковшова, Л., 1976.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 104.



eje, aja, ije) დაცულია ბევრ თანამედროვე თურქ. დიალექტში: eje I „ბეჭეტი“ (თოქათი, მალათია, სივასი); 2. „ოჯახის ყველაზე პატრონული ქალი“; ელაზილის რაიონში eje-ს „პატრონის, მფლობელის“ მნიშვნელობა აქვს (SDD II 563). ije 1. „პატრონი“ (ვანი, სტამბოლი, გუმუშანე). 2. „სახლის პატრონი“, (ანკარა) (SDD II 803), eje (I) [eye (I)—1, ejje] „პატრონი, მფარველი“ (თოქათი, მალათია, გუმუშანე, სივასი). [eye (I)—1] (სტამბოლი, ტრაპიზონი, ბითლისი, მალათია, გაზიანთეფი, კონია), eje (ელაზილი) (DS V 1819).

ajaq „ფიალა, თასი, სასმისი“: ta ezeli sarıcaşım ben içmişem ajayım anda 51<sub>16</sub> „საუკუნოდ მივრალი ვარ, იქ ჩემი თასი შემისვამს“. ajaq „ფეხის“ ომონიმი „ფიალა“ მხოლოდ ლაზურულ რაიონებში იხმარება, მესხეთში კი ამ მნიშვნელობით გვხვდება არაბ. qadeh. ძვ. თ. სიტყვა ajaq ნიშნავს „თასს, ფიალას“ (DTC 27), მაღ. 356, გაბ. 297, აკრეთვე ბევრ საშუალო თურქ. პერიოდის ძეგლში: ქაშლ. 53, თეფს. 45, აფ 076, იბნ.-მ. 13, ბლ 14, დქ 27. ძირითადად იგივე მნიშვნელობით არის ბევრ თანამედროვე ენასა თუ დიალექტში (Dœrier II 629, EDT 270, ЭСТЯ 105). ajay//ajaq Tsö-ში ი. ემრეთი იწყება და უმთავრესად XVII ს-მდე დასტურდება. განსაკუთრებულ სიტყვას თურქ. ძეგლებში ძველი მნიშვნელობა დაუცავს (Tsö I 289—91); მოგვიანო საუკუნეებში ენაში მის ნაკვალავს ძირითადად არაბ. qadeh (შდრ. ქართ. კახა) დამკვიდრდა. იგი ი. ემრეთთანაც დასტურდება და, ჩანს, აღრეული ნასესხობაა თურქ. ენებში (DTC 27). სალიტ. თურქულში დაკარგული ajaq ამჟამად დიალექტების კუთვნილებას, სადაც იგი ფიქსირებულია შემდეგი მნიშვნელობებით: „თასი, ფიალა, გრძელტარაიანი ჯამი, ჭიქა, ჩაის ჭიქა“ (ბურსის, სამსუნის რაიონები) (SDD I 132), აფიონის, კონიის, სტამბოლის, თოქათის, სივასის რაიონები (DS I 339).

ajraq „სხვა“: şeker ajraya sunup sen ayı judamîdun 261<sub>18</sub> „შაქარი სხვას მიაწოდე, შენ შხამი მიიღე“ ძვ. თ. სიტყვაა, მ. ქაშლარის „დივანში“ ოღუზურად არის მიჩნეული (გვ. 55). მ. რესენენი ამ სიტყვას განიხილავს ალთაური ენების ღონეზე: უილ. adru-k- „სხვადასხვანაირი“, თურქ. ajr-uk, ჩუვ. ur-âx „სხვა“. ნაწარმოებია ზმნისგან, რომელიც სხვადასხვა ფორმით თურქულ ენებში „განსხვავებას, გარჩევას“ ნიშნავს (შდრ. თურქ. ajr- „განცალკევება, ჩამოშორება“). მ. რესენენი ამოსავლად მიიჩნევს \*abr/\*hadr- (Vers. 6). XI-ს. უილტურულ ვერსიაში და ტურფანის ტექსტებში ეს სიტყვა adruq ფორმით დასტურდება (DTC 13). d-იანი ფორმა ამოსავლური არეალისთვის ჩანს დამახასიათებელი; ამ სიტყვაში თურქ. ენებისათვის დამახასიათებელ d~j მონაცვლეობასთან გვაქვს საქმე; მონაცვლეობა არის ზმნურ ფუძეებშიც. ყვით. უილ. azîr- „განცალკევება“, სალ., შორ. äzîr-, იაკ. atîr- „შერჩევა, ამორჩევა“. მ. ქაშლარისთან ეს სიტყვა adhruc ფორმითაც გვხვდება (გვ. 8). ვ. რადლოვის ლექსიკონი ajraq-ს უთითებს ალთ., ლებედ., ყაზახ., ყირგ.-სთვის (I 27). ajrîq, ajruz, ajruz, ajraq ფორმებით ეს სიტყვა თურქულში იხმარებოდა XVII ს.-მდე (Tsö I 330—35). სამწერლობო ძეგლებში ajraq-ის შემდეგი მნიშვნელობები დგინდება: 1. „უცხო, სხვა“, 2. „სხვა“, 3. „უკვე, ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ“<sup>3</sup>. თანამედროვე თურქულში ეს სიტყვა ნეოლოგიზმად აღადგინეს. ajraq სხვადასხვა მნიშვნელობით ფიქსირებულია დიალექტებშიც: 1. „უკვე“, 2. „სხვა“ (ქასთამონუ), 3. „საწინააღმდეგობა“ (იზმირი, გაზიანთეფი) SDD I 141).

<sup>3</sup> A. S. Levend. Tü:kkiye tü kç:sinin t:rihsel sözlüğü, örnekt, Ankara, 1972, გვ. 169.

ajruqsı „სხვანაირი, განსხვავებული“: anda bulasun visal ajruqsı hıner gerek 162<sup>22</sup> „იქ ჰპოვებ შეხვედრას, სხვანაირი ნიჭია საჭირო“. ეს სიტყვა ძვ. თ. ტექსტებში არ დასტურდება. იგი, მსგავსად hepsi-ისა, ვფიქრობთ, მე-3 პირის კუთვნილებითი აფიქსის დართვითაა მიღებული: ajruq + i + sı > ajruqsı. განსახილველი სიტყვა ajrqsı, ajruysı, ajruqsı ფორმებით სამწერლობო ძეგლებში დასტურდება XVII ს. ჩათვლით (Tsñ I 336—338), სადაც მას „სხვა, სხვანაირი, განსხვავებულის“ მნიშვნელობები აქვს. სიტყვა ბევრ დიალექტში არის დაცული შემდეგი მნიშვნელობებით: 1. „ყველასაგან განსხვავებული, ორიგინალური, უცხო“ (შესაბამისი ზნინზედური მნიშვნელობებით), 2. „მორცხვი“, 3. „ეგოსტი“ (SDD I 141). თანამედროვე ენაში ცდილობენ ეს სიტყვა აღადგინონ „ექსცენტრულის“ მნიშვნელობით (აღ. 68).

ajiq „ფიზიკა“: içqun ilâ bulanıyam gâh esrügâm gâh ajigam 205<sup>17</sup> „შენი სიყვარულით ამღვრეული ვარ, ხან მთერალი ვარ, ხან ფიზიკელი (ვარ)“. ი. ემრე ajiq-ს ხმარობს, როგორც დამოუკიდებლად, ასევე შედგენილი ზმნის ajiq ol- „ფიზიკობა, ფიზიკად ყოფნა“ (ანტ. esri- „თრობა“) სახელად ნაწილად. ძვ. თ. ლექსიკონში ამიუ მხოლოდ ქაშლარით არის დადასტურებული, სადაც მას „ფიზიკის“ მნიშვნელობა აქვს (გვ. 14); აზფთ 165, აფ 078, იბნ.-მ. 14, ამ ძეგლებში განსახილველ სიტყვას ძირითადად „ფიზიკისა“ და გონიერის“ მნიშვნელობები აქვს; დასტურდება რიგ თანამედროვე ენასა და დიალექტში: ყაზახ., ყარაყაღვ., თათრ., ბაშკ., უზბ. (დიალ.) (ЭТЯ 113). არის აზერბაიჯანულშიც — ajig. Tsñ-ის მიხედვით, ajiq (ajiy) XIII — XVI სს. თხზულებებში გვხვდება (ერთი მაგალითია XVI ს.-ის ძეგლიდან) და „ფიზიკის, სალად მოაზროვნის“ მნიშვნელობები აქვს (I 318). სალიტ. თურქულში ეს სიტყვა თანდათან ნაკლებ აქტიურად იქცა, თუმცა ბევრ ლექსიკონშია ფიქსირებული. ajiq-ს სპეციალურ ლიტერატურაში უკავშირებენ \*aj- ზმნას (მდრ. თურქმ. ajil-, თურქ. ajil- „გონს მოსვლა, გამოფხიზლება“) (ЭТЯ 113). სალიტ. ენაში თითქმის ხმარებიდან გამოსული ajiq კვლავ აქტიური სიტყვაა ფართო არეალის მომცველ თურქ. დიალექტებში: ajiq (ajiq, ajux, ajux) (DS I 427). დიალექტებშიც მას ძირითადად „ფიზიკის, გონიერის“ მნიშვნელობები აქვს დაცული.

bengi suju „უკვდავების წყალი“: bengi sujun içmiş'ken hiç görünmez ölmü üñi 201<sup>19</sup> „უკვდავების წყალს რომ სვამს (აღამიანი), სრულიად აღარ ჩანს სიკვდილის ბოლო“. bengi suju ერთხელ გვხვდება დივანში და იგი არაბ.-სპარს. ab-î hayat-ის სინონიმია. იგი სიტყვასიტყვით ნიშნავს „მარადიულობის, უკვდავების წყალს“. bengi suju მეორე იზაფეთის წესით არის მიღებული. თავკიდური b/m-ს მონაცვლეობით იგი ძვ. თურქულში სხვადასხვა ფორმით არის რეპრზენტირებული: beğün, beğün, beğün, meğün, meğün, რომელთაც შემდეგი მნიშვნელობები აქვთ: 1. „მარადიულობა, უსასრულობა“, 2. „მარადიული, უსასრულო, მუდმივი“. meğün ađun „მარადიული ქვეყანა (სამყარო)“ (DTC 341), მალ. 400, mençün ქაშლ. 411, „მარადიული, უკვდავი“, „მარადიულობა, უკვდავება“; mängün და mängün suvi „უკვდავების წყალი“ თეფს 233; bängün, mängün, mängün და სხვა ფორმები თურქ. ენათა ყველა ჯგუფში დასტურდება, გარდა სამხრეთ-დასავლურისა (რადლ. IV 2082, EDT 351). თანამედროვე ენებში ჰმარობს თავკიდური m-იანი ფორმები. ზოგიერთ თურქოლოგიურ ნაშრომში იგი ჩინური წარმომავლობის სიტყვადაა მიჩნეული (Räs. Vers. 334). ძვ. ან. თურქულზე დაწერილი XIV ს. ორ ნაწარმოებში ეს სიტყვა mängün suju და mengü suvu ფორმებითაა



დადასტურებული (Tsö IV 2304). შემდგომ საუკუნეებში *bengu suju*-ს სიტყვა-კაზმული მწერლობის ნიმუშებში ვერ ვხვდებით. დიალექტურ მეტყველებაში *bengu* როგორც დამოუკიდებლად, აგრეთვე ლეტერმინატული კომპოზიტის წევრად „ძეგლს“ ნიშნავს. *bengutaš* (ქოჯელი), *bekgutaš* (იზმირი) (შდრ. ძვ. თ. *bengü taš* „წარწერიანი ქვის ფირფიტა“), აგრეთვე *bengü* ყირიმიდან გადმოსახლებულთა ენაში (DS II 628).

*bitüri* „მოლიანად, ერთნაირად“: *šöjle bitüri baqduq jirmedük am-u xasï* 136<sup>15</sup> „ასე ერთნაირად შევხედეთ, არ გავეციკცხავს მდაბიო და დიდებული“. *bitüri* გერუნდოვია *bitür-* ზმნისაგან, რომელიც ნიშნავს: „ამთავრებს, ათავებს“. VIII ს. უილტურულ ტექსტში *bitürü* ისევე, როგორც „ქუთაღლუ ბილიგში“ (XI ს.) *bütrü*, ნიშნავს— „მოლიანად“ (EDT 309); *bütrü* (? *budru*) „მოლიანად“ მალ. 375. *bitüri*-ს მნიშვნელობა Tsö-ში XIV—XV სს.-ებით დათარიღებული ძეგლის მაგალითითაა ჩაჩვენები (I 623). როგორც შემდგომი საუკუნეების ტექსტებში, ასევე სალიტ. თურქულში იგი უცნობია. ამ აბსოლუტივის მნიშვნელობით ენაში ძირითადად არაბ. *tamamen* დამკვიდრდა. ანატოლიის დაალექტებში ამ სემანტიკას იგივე ზმნიდან ნაწარმოები ბევრი სიტყვა გადმოსცემს; კონიის რაიონში *bitürev* ნიშნავს: „ყველაფერი, მოლიანად“: *b'itürev sattiq* „მოლიანად გავეყოფო“ (SDD I 212), *bütürem*, *bütürüm*, *bitürev*, *bitürevi* (DS I 709).

*buš-* „ბრაზობს, წყრება“: *qaqir söyer bušar bana ajdur ki ij Hakk'î* *ğörmez* 341<sup>26</sup>. „ბრაზობს, მლანძღავს, მიკავრდება მე, აზბობს, რომ ჭეშმარიტებას ვერ ხედავს“. ძვ. თ. სიტყვა: *buš-* 1. „ნაღვლობს, წუხს, გუნება უფუჭდება“, 2. „ბრაზობს, ჯავრობს“ (DTC 127), *puš-* „ჯავრობს, ღელავს“ მალ. 409, *buš-* „დარდობს, წუხს“ ქაშლ. 119; „იგზნება, ჯავრობს“ თეფს. 112, ჩად. XV ს. ამჟამად ცოცხლობს თურქ. ენების სამხრეთ-აღმოსავლეთ ჯგუფში (EDT 377). (XV ს. ძეგლში გვხვდება თავიკლური ყრუ *puš-*). „გაბრაზების, განრისხების“ მნიშვნელობით XIII—XVI სს. ტექსტებშია დამოწმებული. *buš-* საფუძვლად უღვესსხვადასხვა სახელის წარმოქმნას. *bošu* „რისხვა, წყრომა, გაბრაზება“. მესნევის ერთ-ერთ დასთანს ჰქვია *Dastan-î bošu jani ʔazab* „რისხვის ანუ გაბრაზების დასთანს“. არაბ. *ʔazab*-ის სინონიმად *bošu* გვევლინება. ამ დასთანში მხოლოდ *bošu* იხმარება რისხვის აღსანიშნავად, რომელიც მოთმინებამ უნდა დათრგუნოს. *bušu* (ამგვარი განხილვანება, ვფიქრობთ, უფრო სწორია) ნაწარმოები არსებითია ზმნა *buš-* ისგან „ბრაზდება, ჯავრდება“, ამავე ზმნურ ძირს უკავშირდება ზოგიერთ ლექსიკონში დადასტურებული ზედსართავი *bušaq* „დამწუხრებული, დარდიანი“ — ქაშლ. 119, ავ 24. Tsö-ის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, *bušu* ი. ემრეს გარდა მხოლოდ XIV ს. ძეგლში „ქილილა და დამანაში“ გვხვდება (I 720). *bušu* ძველსა და საშუალო პერიოდის ძეგლებში ნაკლებ გავრცელებული სიტყვა ჩანს. ქაშლარის დივანში არის *bušuy* ფორმა: „მოწყენილობა, დარდი“ (გვ. 119), რაც გვაფიქრებინებს, რომ *bušu* ბოლოკიდური თანხმოვნის მოკვეცილობა მიღებული. *buš-* და *bušu*-ს როგორც სალიტ. ენაში, ასევე დიალექტებში აღარ ვხვდებით.

*čayada* „მოუფიქრებლად, ნადრევად, ნაჩქარევად, ბავშვივით“: *söz'in usıla düšürgil dimegil čayada bir söz* 345<sup>26</sup>— „შენი სიტყვა გონებათ წარმოსთქვი, მოუფიქრებლად სიტყვად ნუ იტყვი“. ეს სიტყვა, ვფიქრობთ -*daq* სუფიქსის დართვით მიღებულია *čayā-* დან, რომელიც ბავშვს ნიშნავს, *čayadaq* „ბავშვივით, მოუფიქრებლად“. ჩად. *čayā* „ბავშვი“, ავ<sup>27</sup> „მცირეწლოვანი ბავშვი“. ვ. რაღ-



ლოვის ლექსიკონის მიხედვით ზაყა-ს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. (თურქ.) პატარა ბიჭი, ბავშვი, 2. წიწილა, ბარტყი, 3. დათვის ბელი (თუჯ.), 4. ბავშვი, 5. (ჩად.) ბავშვი, წიწილა, 6. ყივჩაღურში და იქიდან ძველ რუსულში შესულ ამ სიტყვას „ქალიშვილის, ტყვე ქალის“ მნიშვნელობები აქვს (III 1842—43). ზაყა აზერბაიჯანულში „ბავშვს“, ხოლო თურქმენულში ზაყა ადამიანის და ცხოველის მცირეწლოვან შვილს ნიშნავს. თურქ. სამწერლობო ძეგლების მიხედვით (როგორც წესი კომპოზიტის ზაყა javru „მცირეწლოვანი ბავშვის“ წევრი) XIV—XV სს. დასტურდება (Tsö II 786). ბ. ჯერესთეჯიანი აღნიშნავდა, რომ bala ზაყა შესასტყვისება ზისუღ ზეჯაღს „წვირღვიღს“<sup>4</sup>. საღიტ. თურქ.-ში ხმარებიდან გასული ეს სიტყვა სხვადასხვა ფორმით ფართოდ არის გავრცელებული დიალექტებში, სადაც მისი მთავარი მნიშვნელობაა „ბავშვი“ (SDD I 291, DS III 1033).

ზაღის- „ბრძვიან, ომობენ“: ზაღისდუკ იკ'არადან... 163<sub>14</sub> „ვბრძოლეთ ორივე მხრიდან...“ ზაღის-, რომელიც დივანში ერთხელ გვხვდება, ძვ. თ. ზმნაა: საურთიერთო გვარის ფორმაა ზაღ- „დარტყმა, ცემა“ ზმნისა და შემდეგი მნიშვნელობები აქვს: „ბრძოლა, ხელჩართული ბრძოლა“ (DTC 137), „ჭიდაობა“ ქაშლ. 133. თანამედროვე ენებში ამ ზმნას სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს, რომელთაგან უმთავრესია „ერთმანეთთან ბრძოლა, მცდელობა“ (EDT 421). ძვ. ოსმალურში ზაღის- ზმნა „ბრძოლის, ომის“ მნიშვნელობით XIV—XVI სს. ძეგლებში გვხვდება (Tsö III 811—12). XIV—XV სს. ტექსტებში არსებითი სახელი ზაღის „ბრძოლას, ომს“ ნიშნავს<sup>5</sup>. თანამედროვე თურქ. ენათგან მხოლოდ თურქულსა და აზერბ.-ში განუფიქრებელი ამ ზმნას „მუშაობის“ მნიშვნელობა: „ბრძოლა, დავა“ > „მცდელობა“ > „მუშაობა“. თურქულსა და აზერბ.-ში განსაზღვრულ ზმნას სწორედ ეს ორი მნიშვნელობა აქვს ძირითადად. ოსმალურში საუკუნეების განმავლობაში „ომის“ მნიშვნელობით არაბ. harb, u uharebe, ხოლო ზმნა „ბრძოლის, ომის“ მნიშვნელობას ძირითადად არაბულ სახელად ნაწილებზე თურქ. დამხმარე ზმნა et- დართული harb et და muharebe et- გადმოსცემდა.

ზავ „სახელი, დიდება“: alenre çiqdi çavı ubudijjet içinde 97<sub>18</sub> „ღვთისმსახურებაში მისი სახელი ქვეყანას მოედო“. ძვ. თ. სიტყვა. ძვ. თ. ტექსტებში ზავ-ის (სპორადულად ზახ და ზაჲ ფორმებით დასტურდება) ძირითადი მნიშვნელობებია: „სახელი, დიდება, ხმა“ (DTC 142), მაღ. 375, ქაშლ. 138. თურქ. ენათა თუ დიალექტთაგან იგივე მნიშვნელობით და ზაჲ, ზავ, ზახ ფორმებით სიტყვა დაიცულია უღლ., ალთ., თელ., ლებ., თობ.-ში (რადლ. III 1915, ბულ. I 451). ოღუზური ჯგუფის ენათგან ეს სიტყვა მხოლოდ თურქმ.-ში არის დაცული: ზავ „დიდება“. თურქ. სამწერლობო ძეგლებში ზავ (XIV ს. ორ ნაწარმოებში მკვლეი ჯ-თი, ზავ ფორმითაც დასტურდება) პირველად სულთან ველეთთან გვხვდება და უმთავრესად XIV—XVI სს. ნაწარმოებებისთვის არის დამახასიათებელი (Tsö II 838—41). ადრეულ ძეგლებში ამ სიტყვას ძვ. თ. მნიშვნელობები აქვს შენარჩუნებული: 1. ძლიერი ხმა, 2. ამბავი, ცნობა, 3. სახელი, დიდება. ზავ-ის ძირითადი მნიშვნელობა სწორედ ეს უკანასკნელია. „სახელის, დიდების“ მნიშვნელობით თურქულში დამკვიდრდა არაბ. šöhret და სპარს. nam, რომელ-

<sup>4</sup> B. Kerestedjan, Dictionnaire Etymologique de la Langue Turque. Londres, 1912, გვ. 169.

<sup>5</sup> იგივე სიტყვა ქართული „ჩალიჩი“, ჩალიჩობს“. ამ სიტყვას უნდა უკავშირდებოდეს „ქართლს ცხოვრების“ ვარიანტული ფორმები: ჩლისად, ჩალისად, ჩალისობა, ჩლისი. <z> გადდასჯლა დამახასიათებელია ყივჩაღური ჯგუფის ენებისათვის. რაც შეეხება ბანიან ფორმებს (ჩალიბად, ჩალიბობა), ვფიქრობთ, ეს ბ და შ-ს გრაფიკული აღწერის შედეგია.



თაც სალიტ. ენიდან საბოლოოდ განდევნეს ძვ. თ. ჯავ. ჯავ „სახელის, დამწველი მნიშვნელობით ისფართის, ჩანჭირის, ნიიდეს რაიონებშია ფიქსირებული (SDD I 310, DS IV 1093).

degme „ყველა“: degme k'iš 106<sub>8</sub> „ყველა კაცი“, degme aql 245<sub>1</sub> „ყველა გონება“. საკმაოდ ხშირია მრ. რიცხვის ფორმები: degmeler „ყველანი“. მსაზღვრულ degme-სთან საზღვრული შეთანხმებულია მრ. რიცხვშიც: degme alimler 107<sub>15</sub> „ყველა სწავლული“. ძვ. თ. სიტყვა tegmā „ყველას“ ნიშნავს DTC 548, tāgmā მალ. 428, tegme ქაშლ. 594, tāgmā თეფს. 294, dāgmā 44 იბნ-მ., tegme CC<sub>37</sub>, tājmā აპ, tāgmā „ყველა“; უილ., ჩალ., ყუმან., რაღლ. III 1040—41. degme მიჩნეულია ნაზმნარ სახელად /deg- „მიღწევა+რე“ (Räs. 469). Tsö-ში შეტანილ degme-ს ძირითადად შემდეგი მნიშვნელობები აქვს: „ყველა, თითოეული, შემთხვევითად“ (II 1044—47). degme უმთავრესად XIII—XVII სს. ნაწარმოებებისთვის იყო დამახასიათებელი. მისი ერთ-ერთი, კერძოდ განსაზღვრებითი ნაცვალსახელის, მნიშვნელობით სალიტ. ენაში სპარს. her დამკვიდრდა. ი. ემრე ხმარობს her-ს და სპარს.-თურქ. her bir-საც. Tsö-ში განსახილველ სიტყვას ადგილობით ბრუნვაში შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. ყველგან, ყველა ადგილას, 2. ადვილად, ყოველთვის, 3. როდესაც არ (II, 1047). ანატოლიის დიალექტებში ჩაწერილ damede, demede, demede, dejmede, dimede, dijmede-ს შემდეგ მნიშვნელობებს გამოყოფენ დიალექტოლოგები: 1. „მოულოდნელი“, 2. „შეიძლება“, 3. „თითქოს, ვგონებ“ (DS IV 1403), demede „არა მგონია“ (Kayseri, გვ. 27).

dek otur- „წყნარად ჯდება, ჩუმდება, ყოჩდება“: Yunus imdi var dek otur jüzini hazrete çötür 53<sub>21</sub> „ოღნუს, აწ განვიდ, წყნარად დაჯექ, სახე წმინდანს მიაპყარ!“. dek, როგორც წესი, otur- ან tur- ზმნასთან იხმარება. მ. ქაშლარის დივანში ოღუზურის აღნიშვნა ახლავს—tek otur-, (გვ. 595), თეფს. 296, tāk tur- CC 240. ჩალ. tāk. თანამედროვე ენათა და დიალექტთაგან არის ყირგ., უზბ., ყარაყალღ., ნოღ., თათრ., ბაშკ., თურქმ. ალთ., ლებელ., ჩულ.-ში (რაღლ. III 1015, EDT 475). ოღუზური გვლფის ენათაგან დაცულია თურქმენულში, სადაც dek „მშვიდს, წყნარს“ ნიშნავს. dek otur- (~tek otur-) „წყნარად ყოფნას“ ნიშნავს და უმთავრესად XIII—XIV სს-ების ანატ. თურქ. სამწერლობო ძეგლების ნიმუშებითაა დამოწმებული, შემდგომ კი სპორადულად გვხვდება (Tsö III 1065—66). ძირითადად XIV—XVI სს. ტექსტებში დადასტურებული dek dur- (~dek tur-, tek dur-, tek tur-) ასევე „გაჩუმებას, ჩუმად ყოფნას“ ნიშნავს (Tsö III 1063—64). ეს უკანასკნელი იგივე მნიშვნელობით და dek dur-, dek tur-, denk dur- ფორმებით ფართო დიალექტოლოგიურ არეალშია ფიქსირებული (SD IV 1406, SDD I 413).

dirlik „ცხოვრება, სიცოცხლე“: çanlar çanun bulasun işbu dirlik içinde 79<sub>10</sub> „ამ ცხოვრებაში სულთა სულს ჰპოვებ“. ძვ. თ. სიტყვა tiriglik მიღებულია აბსტრაქტულობის მაწარმოებელი -I'k აფიქსის დართვით ზედსართავ tirig-ზე „ცოცხალი“ და „ცხოვრებას, სიცოცხლეს“ ნიშნავს (DTC 562). tirig-ისაგან ბოლოკიდური ველარული გ-ს და შემდეგ ხმოვნის ჩამოკვევით მიღებულია tir//dir. ეს სიტყვა არის უმეტეს თანამედროვე თურქ. ენებში (EDT 546), არის აზერბ. ენაშიც: diril'k „ცხოვრება, არსებობა“. dirlik//dirlik ძირითადად „ცხოვრებას, სიცოცხლეს“ ნიშნავს და თითქმის ყველა საუკუნის მაგალითით არის დამოწმებული

\* M. Mansuroğlu, Sultan Vele'd'in türkçe manzumeleri, İstanbul, 1958, გვ. 92.





ბული. უფრო ნაკლებ გავრცელებულია „გადასახადის“ მნიშვნელობით (Tsö 1175—79). ამჟამად დიალექტებში dirlik-ის შემდეგ ერთმანეთთან ახლომდგომ მნიშვნელობებს გამოყოფენ: 1. „ხელეასი“, 2. „მოსვენება“, 3. „ცხოვრება“ (გაზინათფის, მარაშის, ვანის, ქაისერის რაიონები), 4. „ჯანმრთელობა“, 5. „საკვები“, 6. „სიმიდღრე“, 7. „ზამთრისთვის საჭირო საკმელ-სასმელი, ტანსაცმელი და სხვა რამ“ (SDD I 446, DS IV 1518). ამ უკანასკნელში, მსგავსად თარაქამულ მეტყველებაში დაღასტურებული dirr'k-ისა „ცხოვრება, სიცოცხლე“<sup>7</sup>, dirlik-ის პარალელურად ასიმილაციით მიღებული (r|<rr) dirrijh ფორმაცაა დაღასტურებული. dirlik ხშირად ხმარებული სიტყვაა აგრეთვე ხალხურ პოეზიაშიც.

esri- „თერება, ბრუღება, გონებას კარგავს“, და esrit- „თრობს“; Ben oruñ namaz icün süñi icdüm esridum 347, „მე მარხვისა და ნამაზისთვის შარბათი შევსვი, დათვერი“. გარდამ. esrüt-ის სინონიმი დივანში სპარს.-თურქ. sarxōš ejle- არის, ძვ. თ. ზნა esür-//ösür- ნიშნავს „თრობას“ (თერება) (DTC 184, 391), esür-, isür- გაბ. 299, აფ 068, იზნ-მ. 030, აზფთ 170, ყაზახ. რადლ. I 876, ყარაიმ., ყუმბიხ., ყარაი.-ბალყ., ყირგ., ნოლ., ყარაყალღ., ყაზახ., უზბ., (დიალ.), თათრ., ბაშკ., itir- იაკ., ezir- ალთ., თუჯ., თელ., ლენბ., შორ., სალ., ყობ., izir- ხაკ. (ЭЦЯ 309—310, EDT 251, Räs. Vers. 50). თურქ. სამწერლობო ძეგლებში esir- (esri-) ზმნის შემდეგი მნიშვნელობები გამოიყოფა: 1. „დათრობა, გონების დაკარგვა, გაგიჟება“; ეს მნიშვნელობა ძირითადად და XIII—XVI სს. ტექსტებში დასტურდება. 2. სხვადასხვა საუკუნის რამდენიმე ძეგლში ამ ზმნას „ძალზე გაბრაზების, განრისხების“ მნიშვნელობა აქვს (Tsö III 1540—43). მისი გარდამ. ფორმა esrit-(es'rt-, esrüt-) XIV—XVI სს-ების მაგალითებითაა დამოწმებული (Tsö III 1552—53). შემდგომ საუკუნეებში ენის ლსს-ში esir- და მისი გარდამ. esrit-ის მნიშვნელობით სპარსული sarxōš-ის და თურქ. დამხმარე ზმნებით მიღებული sarxōš ol- და sarxōš et- ლექსემები დამკვიდრდა. სალიტ. ენაში დაკარგული ეს ზნა შემორჩენილია დიალექტებში: esir- „თრობა“ (ესკი-შეპირი, ბოლუ, ანკარა) (DS V 1788), esre- (სტამბოლი). esir-ს გარდა „თრობისა“ აგრეთვე 1. „გაგიჟების“, 2. „გაბრაზების“, 3. „ყვირილის“, 4. „გაიცივის“ მნიშვნელობებიც აქვს (იქვე).

günil- „მიემართება, მიდის“: gel didüler vardum anda günildüm... 209<sup>22</sup> „მოდი(ო), მითბრეს, წავედი იქ, გავმართე“. ძვ. თ. ზნა kön- ნიშნავს „სწორებას“ (სწორდება) პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით (DTC 314), ხოლო მისი უკუქცევითი გვარის ფორმა könül-. ჩვენი აზრით, სწორედ იმავე ზმნასთან გვაქვს საქმე, რომელიც თავიკიდური მეღერი ფორმებით (gönel-, gönül-, gönül- XIII—XVI სს. ნაწარმოებებში „წასვლას, გზის აღებას“ ნიშნავს (Tsö III 1752—55). ამ ზნაში, ვფიქრობთ, შემდეგ სემანტიკურ განვითარებასთან გვაქვს საქმე: „გასწორება, გამართვა > რაიმესკენ მიმართება“.

evren „გველემავი, ურჩხული“: ölm evreni bir gün juda seni 12, „სიკვდილის გველემავი ერთ დღეს შენ გადაყლაპავს“. ძვ. თ. სიტყვა: „ცის სფერო, კამარა“ (DTC 190). ჯ. კლოსონი ვარაუდობს, რომ evren ნაზმნარი სახელია evir- „აბრუნებს, ატრიალებს“ ზმნიდან, ხოლო „ცის სფერო“ გაიაზრებოდა როგორც „მბრუნავი გუმბათი“. გველს ეს სახელი შეიძლება ეწოდა იმის გამო, რომ მისი სახელი რკალად იგრავნება. (EDT 13). evren-ს თურქ. ძეგლებ-

<sup>7</sup> A. Caferoğlu, Sivas ve Tokat İleri / çizlerinden Toplamalar, İstanbul, 1944, 23. 228.

<sup>20</sup> მ ა ც ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 3



ში „გველუშაპის, დიდი გველის“ მნიშვნელობა აქვს (Tsö III 1574—75) თანდათან მისი მნიშვნელობით სპარს. *ejderha* დამკვიდრდა. სალიტ. ენაში გამქრალი ეს სიტყვა დიალექტებში ფართოდაა გავრცელებული: 1. „ურჩხული, დიდი გველი“, 2. „დიდი, მაღალი“, 3. „ვაკეცი“, 4. „ახოენი“, 5. „ბატონი“, 6. „დრო“ (SDD II 561)<sup>8</sup>. ასევე ბევრ რაიონში *evran* ფორმით „ურჩხულის, გველის“ მნიშვნელობა აქვს. დიალექტურის მითითებით არის ცდა ამ სიტყვის აღდგენისა (აღ. 255).

iv- „ჩქარობს, ისწრაფვის“: *xajirdan šerri čk sever işlemeje beğid iver* 275<sub>25</sub> „სიკეთეზე მეტად ბოროტება უყვარს, მის ჩასადენად ძალზე ისწრაფვის“. ძვ. თ. სიტყვა: *ev-* „ჩქარობს“ DTC 189, მალ. 366, ქაშლ. 206, აფ. 072, თეფს. 66; *äv-* ყირიმ.-თათრ., ოსმ., უღლ. (რადლ. I 940). მ. რუსენენის ეტიმოლ. ლექსიკონში iv- მხოლოდ თურქული სიტყვის არის მითითებული (გვ. 175). ჯ. კლოსონი აღნიშნავს, რომ შემონახულია მხოლოდ სამხ.-დასავლურში? (გვ. 4). iv- (ev-) Tsö-ში თითქმის ყველა საუკუნის ნაწარმოებების მაგალითებით არის ილუსტრირებული, რომლებშიც მას ძვ. თ. მნიშვნელობა აქვს შენარჩუნებული: „ჩქარობს, ისწრაფის“. გვხვდება ამ ზმნის სხვადასხვა გვარის ფორმები: იძულებითი *ivdir-* (*evdir-*), საურთიერო *iviš-* (*eviš-*) და სხვ. (III 2130—35). სალიტ. ენაში თანდათან ამ მნიშვნელობით არაბ.-თურქ. *ağele et-* დამკვიდრდა. სალიტ. თურქულში დაკარგული ეს ზმნა ფართოდ არის დაკული ანატოლიის დიალექტებში. დასტურდება როგორც ვიწრო, ასევე ფართო ხმოვნით. ეს უკანასკნელი ვარიანტი უფრო გავრცელებულია (DS V 1811)<sup>9</sup>.

*irkil-* გროვდება: *mal irkil-* 330<sub>10</sub> „ქონება გროვდება“. ვნებ. გვარის ფორმა *irk-* ზმნისა „აგროვებს“, *irkil-* ძვ. თ. ზმნა: „გროვდება, იკრიბება“ DTC 212, ქაშლ. 235, აპ 40, ბულ. I 189, რადლ. I 1467, ყირგ., უზბ. (დიალ.), (ЭТЯ 378—79). ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლებსა და ენებში *irkil-* ი. ემრესთან დადასტურებული მნიშვნელობით გვხვდება. როგორც გარდამავალი *irk-*, ასევე *irkil-*ც XIV—XVI სს. ნაწარმოებებში დასტურდება (Tsö III 2092—95). დიალექტებში ფიქსირებული რამდენიმე სიტყვა *irk-* და *irkil-* ზმნებს უკავშირდება: *irkille-* და *irkit-* „შეგროვება“ (გრდმ), აგრეთვე *irkilti* „კრება“ და *irkim//rkin* „განძი, საუნჯე“ (ეტიმოლოგიურად—„შეგროვებული“) (SDD II 796). განმარტებით ლექსიკონში დიალექტურის აღნიშვნით გვხვდება *irkil-*საც (აღ. 76).

*süñi* „ღვინო, შარბათი“: *ben oruñ namaz iñün süñi içdüm esridüm* 347, „მე მარხვისა (და) ნამაზისთვის ღვინო დაელიე (და) დაფთვერი“. *süñi-*ს ი. ემრე დიენაში ხმარობს, სადაც მისი სინონიმა არაბ. *šarab*. *süñi*, ისევე, როგორც *šarab*, იხმარება გადატანითი მნიშვნელობით, იგი ღმერთისადმი სიყვარულის აღმნიშვნელი სიმბოლოა. ძვ. თ. სიტყვა *süñig-*ს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. „ტკბილი; 2. ღვინო“ (DTC 516), ვაბ. 335, *süñig* „ტკბილი“, *süñik* „ტკბილი ღვინო“ მალ. 435, ქაშლ. 547, თეფს. 279, აფ 097, ვაშბ. 208. თანამედროვე ენათაგან ეს სიტყვა „ტკბილის“ მნიშვნელობით დაცულია უზბეკურსა (*suñuq/šuñuq*) და თურქმ.-ში—*süñi*. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგი ეტიმოლოგიურად უკავშირდება *süt-*ს „რძე“; *süñi* (*sütsig*)<sup>10</sup>, \**süñi* < *süt* „რძე“ + *-si* (Räs. 434). *süñi* (*süñü*) თურქეთში შექმნილ ნაწარმოებებში „ღვინოს“ ნიშნავდა და XIX ს.

<sup>8</sup> O. A. Aksoy, *Gaziantep Ağzı*, III, Istanbul, 1946, გვ. 267.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 266—267.

<sup>10</sup> M. Mansuroğlu, *Das Altosmanische*, PhTF, I, Wiesbaden, 1959, გვ. 167.

ჩათვლით სხვადასხვა ნაწარმოების მაგალითითაა ილუსტრირებული (Tsö V 3605—11). დროთა განმავლობაში ენაში ამ მნიშვნელობით სხვადასხვა არაბ-სპარს. სიტყვა შემოდიოდა. ასეთებია: სპარს. *ḫāde*, არაბ. *ḫar*, *ṣarab*. ამგვარად ენაში *s:ḫi*-ს მნიშვნელობით ყველაზე მეტად ეს უკანასკნელია ხმარებული.

*ubrul-* „ინძრევა, ტოკავა“: *günler g'ze jil čevr.le ištüre s'nlem ubrula* 137<sub>1a</sub> „დღეები გაივლის, წელი მოიქცევა, ჩემს ზემოთ საფლავი შეინძრევა“. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სხვა ძეგლებსა თუ ენებში თავიკიდური *o* არის, ვფიქრობთ, უფრო მართებულია ამ ზმნის *e*-თი გახმოვანება. *obrul-*//*öprül-* ენებითი გვარის ფორმაა *öpr-* ზმნისა (EDT 15) და აქვე მოტანილია მაგალითი *öprül-*-ის ხმარებისა XI ს. ნაწარმოებიდან. *ყ. კლოსონის ლექსიკონში* ამ ზმნისთვის მხოლოდ თურქულია მითითებული. *Tsñ-*ში ზმნის 4 ნიმუშია მოყვანილი; „იწვევს, ჯდება, აღვლილდან იძვრის, ინძრევა“ (V 2096—7). მისგანაა მიღებული *obrug*, რომელიც XVI და XVIII—XIX სს. ნაწარმოებებში „ორზოს“ ნიშნავს. დამახასიათებელია *črul-*-ის ხმარება *jer-*-თან „მიწა, დეღამიწა“: *jer obrul-* „დეღამიწა იძვრის, ინძრევა“. ეს ზმნა თანამედროვე ენათაგან დაცული აქვს თურქმენულს: *šburil-* „ვარდება, იქცევა, (ჩამო) ირეცხება, წვევა“. სალიტ. ენაში გამჭრალი *obrul-* სინთაზში „მიწის ჩამოწოლას, მეწყერს“ ნიშნავს, *obrug-*-ს იმავე სინთაზისა და ისფარათის რაიონებში „ჩამოშლილი მიწის“ მნიშვნელობა აქვს, ხოლო სტამბოლის რაიონში იგი ნიშნავს „ჩამოწოლილ რაიმეს, რომელიც სადაცაა ჩამოიქცევა“ (SDD III 1081).

*ud* „სირცხვილი, აღვი“; *utlu* „შერცხვენილი“; *ki sultanun öñ'nde ud ölümdür* 23 „რამეთუ აუღი მეფის წინაშე სიკვდილი არის“. *ud* „სირცხვილის“ მნიშვნელობით არის აბუ ჰაიანის (1313 წ.) ყიფჩაყურ ლექსიკონში. ამ არსებით სახელს უკავშირდება რამდენიმე ენაში დადასტურებული ზმნა *utan-* „რცხვენია“, რომელთა კავშირის შესახებ მიუთითა ჟერ კიდევ ლ. ბუდაგოვა (I 118), რაც გაიზიარეს ე. რაღლოვა (I 1710), რესენენმა (Vers. 517) და სხვებმა<sup>11</sup>. ძე. ოსმალურში ეს სიტყვა XIV—XVI სს. ძეგლებშია ფიქსირებული. სალიტ. თურქულში *ut* და *utlu* აღარ იხმარება. დ. მაგაზანიკის ლექსიკონში *ut-*-ს ნეოლოგიზმის მითითება ახლავს (გვ. 639). *ut* „ზრდილობის, სირცხვილის, თავმდაბლობის“ მნიშვნელობით ანატოლიის დიალექტებში საკმოდ გავრცელებული სიტყვაა (SDD III 1422). *ud* ფორმითა და იგივე მნიშვნელობით ეს სიტყვა გაზიანთფესა და ურფაშია<sup>12</sup> ფიქსირებული.

*jaraq* „მომზადება, სარგებელი. სარგებლობა“: *Yunus var jaraqun ejlen jol qorquludur kej e'şlen* 84 „იუნუს, წადი, განმზადე, გზა საშიშია, კარგად იზიარულე“. *ğel gidelüm qalma İraq dost İcün qılalum jaraq* 176<sub>1a</sub> „მოდი, წავიდეთ, განზე (შორს) წუ დარჩები, მეგობრისათვის გავაკეთოთ სასარგებლო“. ძე. თ. სიტყვა *jaraq* „ხელსაყრელი შემთხვევა, მომენტი, საშუალება“ (DTC 239), „ვარგისი, გამოსადეგი“ მალ. 385, „შემთხვევა, შესაძლებლობა“ ქაშლ. 747, თფს. 142, უილ., ჩალ., თურქ. *jaraq*—1. „ვარგისიანობა, შესაძლებლობა, აუცილებელი საშუაღისი“, 2. „შესაფერისი, აუცილებელი“ (რადლ. III 106—7);

<sup>11</sup> *ყ. კლოსონი utan-*ს *ut-*-ისგან დამოუკიდებლად განიხილავს (EDT 7) ე. სევოროთიანის აზრით, *utan* ~ *utun* შეიძლება მიღებული იყოს ნაზმნარი აფიქსის დართვით როგორც *uta* ~ *utu-*, ასევე *ut-*-ისგან (SCTЯ 609).

<sup>12</sup> O. A. Aksoy, Gaziantep Ağza, გვ. 700—01; K. Edip, Urfa Ağza, Istanbul, 1945, გვ. 139.



აზერბ., თურქმ. *jarag* „იარალი“. Tsö-ში *jarag*-ის ორი მნიშვნელობაა მოცემული: 1. „მომზადება, თადარიგი, აღჭურვილობა“, 2. „იარალი“. ვფიქრობთ, *jarag* არის ნაზმნარა სახელი *jarā-* „გამოდგომა“ ზმნიდან. „გამოსადეგი, საჭირო რამ“ → „ბრძოლაში, საჭირო რამ“ → „იარალი“. ძეგლებში „იარალის“ მნიშვნელობით XV საუკუნიდან გვხვდება. *jarag*-მა თანდათან მიიღო ის დაეწრობული მნიშვნელობა, რომელიც მას ამჟამად აქვს—*penis*. ენის ლსს-ში იგი შესვალა არაბ. *silāh*-მა. მისი დღევანდელი მნიშვნელობა, ჩანს, ყარგონს ლკავშირდება. ამგვარი სემანტიკური გადასვლა სტამბოლის ყარგონში უნდა მომხდარიყო.

ju- 289<sub>1</sub> „ბანს, რეცხავს“, jun- 289<sub>2</sub> „იბანება, ირეცხება“; ძვ. თ. ზმნა: ju- „ბანს, რეცხავს“ (DTC 277), ju- მალ. 390<sup>13</sup>, ju- ქაშლ. 806, juv- თეფს. 263, აპ 114 „id“. საკმაოდ გავრცელებული ზმნა თანამედროვე თურქულ ენებში (Räs. 209). „დაბანვის, გარეცხვის“ მნიშვნელობით დაცული არის მეზობელ ოღუზურ ენებშიც, აზერბ. ju-, თურქმ. juv-. ეს ზმნა ju-, juj-, ju- ფორმებით ძირითადად XVIII ს.-მდეა (Tsö VI 4008—12), თურქულში ამ მნიშვნელობით იხმარება *jūqa-*; სალიტ. ენაში დაკარგული ju- ძალზე გავრცელებულია დიალექტებში (SDD III 1550), გაზიანთფესა და მარაში<sup>14</sup>, სივასში, თოქათსა და თარაქამულ მეტყველებაში<sup>15</sup>. ეს ზმნა იშვიათად სხვა ფორმებითაც დასტურდება—juj- (სეიჰანის), juv- (ანკარის, კონიის, ნიიდეს, ბურსის, მანისის, სინოპის, ჩორუმის რაიონებში) (SDD III 1555—6). ყველა დიალექტში ძირითადად ძვ. თურქ. მნიშვნელობაა დაცული.

განხილულმა მაგალითებმა გვიჩვენა, რომ ი. ემრესთან დადასტურებული ძვ. თურქული ლექსიკური ერთეულები უმთავრესად XIII—XVI სს. ძეგლებისთვისაა დამახასიათებელი, ხშირ შემთხვევაში დამოწმებულია საშუალო საუკუნეების ლექსიკოგრაფიულ ნაშრომებსა და ბევრ თურქულ ენაში. მათი უმრავლესობა სალიტ. თურქულში არაბ.-სპარსულმა სიტყვებმა განდევნა, ნაწილი კი ნაკლებ აქტიურ სიტყვებად იქცა. ზოგიერთმა მათგანმა მნიშვნელობა შეიცვალა. გაანალიზებული ძველი თურქული ლექსიკა თითქმის უცვლელადაა დაცული ანატოლიის დიალექტებსა და კილოკავებში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ ანატოლიის არეალისთვისაა დამახასიათებელი.

#### შ მ მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

|        |                                   |
|--------|-----------------------------------|
| აღთ.   | — აღთაური.                        |
| ბარ.   | — თათრული ენის ბარაბული დიალექტი. |
| ბაშკ.  | — ბაშკირული.                      |
| თელ.   | — აღთაური ენის თელეთური დიალექტი. |
| თობ.   | — თობოლულ თათართა ენა.            |
| თუგ.   | — თუგური.                         |
| იაკ.   | — იაკუტური.                       |
| ლუბედ. | — აღთაური ენის ლუბედური დიალექტი. |
| ნოღ.   | — ნოღური.                         |

<sup>13</sup> ს. მალოვი უღარებს ჩუვაშ. ux-ს (გვ. 390), რაც გამართლებული არ არის. მართალია, ამ ზმნას „დაბანის, გარეცხვის“ მნიშვნელობები აქვს, მაგრამ იგი მეორეულია. ჩუვ. ux-ს შეესაბამება თურქ. *oç*-ს რუსა, *შენდა*“, ju-ს კი ჩუვ. *ж*-ი (იხ. ეგოროვი, 216).

<sup>14</sup> A. Caferoğlu, Güney-doğru İllerimiz Ağzılarından Toplamalar, İstanbul, 1943, გვ. 314, Gaziantep Ağzı, III, გვ. 772—73.

<sup>15</sup> A. Caferoğlu, Sivas ve Tokat İleri..., გვ. 270.

- საღ. — ხაკასური ენის საღაური დიალექტი.  
 უილ. — ვილურული.  
 ყოიზ. — ხაკასური ენის ყოიზალური დიალექტი.  
 ყუმბ. — ყუმბური.  
 ყუმბან. — ყუმბანური.  
 შორ. — შორული.  
 ჩალ. — ჩალათაური.  
 ჩუგ. — ჩუგაშური.  
 აზუთ. — Аттухфатуз закяту филлуғатит туркия. Ташкент, 1968.  
 აფ. — П. М. Мелиоранский, Араб филолог о турецком языке, СПб., 1900.  
 აღ. — М. А. Агъакау, Turkçe Sözlük. Ankara, 1969.  
 აბ. — А. Сафегоглу, Abu Hayan. Kitab al-idrak li-lisan al-Atrak, Istanbul, 1931.  
 ბლ. — А. К. Боровков, Бада'и ал-луғат, М., 1962.  
 ბუღ. — Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб., 1869; т. II., 1871.  
 გაბ. — Gabaïn A. von. Alttürkische Grammatik. Leipzig, 1950.  
 გორი. — В. Г. Егоров, Этимологический словарь Чувашского языка, Чебоксары, 1964.  
 ვამბ. — H. Vámbéry, Alt-osmanische Sprachstudien. Leiden, 1901.  
 თეს. — А. К. Боровков, Лексика среднеазиатского тefsира XII—XIII веков, М., 1963.  
 იბნ. -მ. — А. Battal, İbnü-Mühenna luğatı, Istanbul, 1934.  
 მალ. — С. Е. Малов, Памятники древнетюркской письменности, тексты и исследования, М.-Л., 1951.  
 რადლ. — В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, I—IV, СПб., 1893—1913.  
 ჭამლ. — В. Atalay, Divanü lüğat-it-Türk dizini, Ankara, 1943.  
 DTC — Древнетюркский словарь, Л., 1969.  
 DS — Türkiyede Halk Ağzından Derleme Sözlüğü, I—VI, Ankara, 1963—1972.  
 EDT — G. Clauson, An etymological dictionary of prethirteenth century Turkish, Oxford, 1972.  
 Räs. (Vers.)—M. Räsänen, Versuch eines etymologischen Wörterbuchs der Türk-sprachen, Helsinki, 1969.  
 SDD — Türkiyede halk ağzından söz derleme dergisi, t. 1—3, Istanbul, 1934—1947.  
 Tsö — Tanıklarıyle Tarama Sözlüğü, I—IV, Ankara, 1963—1972.

### Ш. В. ГАБЕСКИРИЯ

## О ДРЕВНЕТЮРКСКОЙ ЛЕКСИКЕ В ПРОИЗВЕДЕНИЯХ ЮНУСА ЭМРЕ

### Резюме

Значительную часть лексического фонда произведений турецкого поэта XIII—XIV веков Юнуса Эмре составляет древнетюркская лексика. В данной статье рассматривается часть такой лексики. Проанализированные нами древнетюркские лексические элементы характерны для языка турецких памятников XIII—XVI веков. Древнетюркская лексика почти без изменения сохранилась в диалектах и говорах Турции, особенно в ареале восточной Анатолии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიჭიამ

ნ ა ნ ა კ ი ლ ა მ ი

## როგორ ვითარბმნომთ მუჰაკიქუნა

არაბული სიტყვა **محققون** არაბულენოვანი სქოლასტიკური ლიტერატურის უმნიშვნელოვანეს ნაწარმოებში, კერძოდ იზნ რუშდის ძირითად ტრაქტატში, რამდენჯერმე გვხვდება<sup>1</sup>. რამდენადაც ტერმინის ზუსტი მნიშვნელობა მკვლევართათვის გაუგებარია, თარგმნისას იგი სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული შესატყვისებით გადმოიცემა. მაგალითად, ინგლისურ ენაზე ტერმინის მნიშვნელობა გატოლებულია მოგვიანო ხანის, ან უბრალოდ დიად მოაზროვნეებთან, განმაახლებელ ფილოსოფოსებთან, შემცნობ, ე. ი. რაიმეს შეცნობის შემდეგ დასკვნების გამომტან, ფილოსოფოსებთან, ან მოაზროვნეებთან და სხვ.<sup>2</sup> გერმანულ ენაზე ეკვივალენტის წარმოდგენისას გათვალისწინებულია ტერმინის კავშირი ჭეშმარიტებასთან და ექვევეშ არის დაყენებული ლათინური თარგმანის მიხედვით მისი ნატურალისტებთან გაიგივების შესაძლებლობა<sup>3</sup>. ამ შემთხვევაში გერმანული თარგმანი ახლოს არის შმიდტის მიერ მოცემულ შესატყვისთან. XVI საუკუნის არაბი მოაზროვნის ტექსტის მიხედვით შმიდტი თვლის, რომ **محققون** ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტ მიმდევრებს<sup>4</sup>.

ტერმინის ჭეშმარიტებასთან კავშირი უდავოა, ამას მისი **حق** ძირისაგან მომდინარეობაც ადასტურებს. ფაქტია ისიც, რომ ამ ძირთან დაკავშირებული ყველა ტერმინი ისლამის ენციკლოპედიაში ძირითადად განიხილება როგორც ჭეშმარიტების ცნების მომცველი სიტყვები. მაგრამ იქვე ხაზგასმულია ისიც, რომ არსებობს ჭეშმარიტების სხვადასხვა გაგება, მაგალითად, როგორცაა ჭეშმარიტება — ტრანსცედენტური სინამდვილე და ჭეშმარიტება — დამტკიცებული ფაქტი<sup>5</sup>.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნება, რომ იზნ რუშდმა ღია კარები დატოვა ორმაგი ჭეშმარიტებისათვის რეპრესიების შიშით<sup>6</sup>. მაგრამ ბოლო დროს ვარაუდობენ, რომ რეპრესიებისაგან თავდაცვა იზნ რუშდმა მოახერხა ბერძნული ფილოსოფიისა და ყურანის ჭეშმარიტების თანადამთხვევით. ამ გაიგივებამ იზნ რუშდი ბერძნული ფილოსოფიის ცოდნის შარიათით დაკანონებულ აუცილებლობად გამოცხადებამდე მიიყვანა<sup>7</sup>. ამიტომ დღეს ვარაუდობენ,

<sup>1</sup> Bibliotheca Arabica Scholasticum, Serie Arabie, Tome III, Averroes, Tahâfot at-Tahâfot ou «Incoherence de l'Incoherence, établi par M., Bouyges, Beirut, 1930, გვ. 652.

<sup>2</sup> Averroes A b u-l-W a l i d M. Tahafut al-Tahafut, Transl. with introduction and notes by S. v. Den Bergh, London, 1954, v. I—II, გვ. 344, 350, 401, 500.

<sup>3</sup> De Boer J. Widersprüche der philosophie nach al-Gazzah und ihr Ausgleich durch Ibn R e š i. Strassburg, 1894, გვ. 75.

<sup>4</sup> А. Э. Ш м и д т. 'Абъ Ал-Вакъа'5-ам-Иш-р'а'иин, Перебъвр, 1914, გვ. 217.

<sup>5</sup> Encyclopaedia of Islam (new edition), Leiden, 1953, ტ. III, გვ. 72.

<sup>6</sup> შ. გოგინბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1941, გვ. 254.

<sup>7</sup> ابن رشد النظر في كتب القداما  
 واجب بالشروع  
 1986, გვ. 33.

რომ იბნ რუშდი აღიარებდა სხვადასხვა სახით გამოხატულ ერთ ჭეშმარიტებას. ტერმინოლოგიის მიხედვით იბნ რუშდის ძირითად ტრაქტატში ზემოვამოთქმული აზრი ერთი ჭეშმარიტების შესახებ დასტურდება იმით, რომ ჭეშმარიტებად მიჩნეულია მხოლოდ დასაბუთებადი. ტექნიკურ ტერმინთა ინდექსი და ტრაქტატის კომენტარები **برهان** და **حقائق**-ის ვატოლებით და უკანასკნელის **عناقا**-თან დაპირისპირებით გამოთქმულ აზრს აზუსტებენ<sup>8</sup>. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხაზი გაესმის იმას რომ, იბნ რუშდის აზრით, დასაბუთებადი და დამტკიცებადი ცოდნა არის ერთადერთი ჭეშმარიტება, როგორც არ უნდა იყოს იგი გამოხატული.

იბნ რუშდისა და შუა საუკუნეების დიდი ქართველი მოაზროვნის პეტრიწის აზრი შეიძლება არ იყოს ერთსა და იმავე ჭეშმარიტებასთან დაკავშირებით გამოთქმული, მაგრამ ამ შემთხვევაში საინტერესოა ტერმინების ერთბუნოვანება. კერძოდ ის, რომ ბერძნული **απαρθεξις**-ის შესატყვისი იოანე პეტრიწთან არის „აღმოჩენა“, „აღმოსაჩენელი“, „აღმოჩინებული“ და ნიშნავს დამტკიცებულ-დაჭეშმარიტებულს<sup>9</sup>. ასევე იბნ რუშდთან ბერძნული **απαρθεξις** შესატყვისი არის **برهان**. როგორც თანდართვითი, ანუ ბუნებრივი და ლოგიკური კანონების, ჭეშმარიტი შესაბამისობის, გამომხატველი, დამტკიცებადი აპოდიქტურობა, ამიტომ მათი დაწყვილება საეგზეთ ბუნებრივია, თუ **απαρθεξις** **برهان**<sup>10</sup> || **تصديق تحقيقي** × **عناقا** || პეტრიწის მიხედვით იქნება აღმოჩენა, **عناقا** გადითარგმნება, როგორც აღმოჩენელი.

Н. В. КИЛАДЗЕ

КАК ПЕРЕВОДИТЬ *Муҳакиқуна*

Резюме

Значение термина **عناقا** не уточнено, что особенно чувствуется при его переводе на другие языки. Исходящее из терминологии Петрици грузинское соответствие „აღმოჩენელი“ вносит в его содержание определенную ясность.

<sup>8</sup> Averroes, Incoherence d'I Incoherence, 1930, გვ. 321. Averroes, Tahafut al-Tahafut, Transl. with notes... by s. v. Den Bergh, v. II, გვ. 131.

<sup>9</sup> იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, თბილისი, 1940, გვ. 177. ნემესისი ეგეელი, ბუნებისათვის კაცისა, თბილისი, 1914, გვ. 179.

<sup>10</sup> A Philosophical Lexicon in Persian and Arabic by Soheil M., Afnan, Beirut, 1968, გვ. 27—28.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სემიოლოგიის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ჭიჭიამ

## ცნობები და შენიშვნები

რედაქცია მიხიანაშვილი

### პარტიველთა კვალნი სირიაში

საქართველოსა და სირიის კულტურულ ურთიერთობას ძველი ტრადიციები აქვს. წმიდა ადგილთა მოსალოცავად იერუსალიმში მიმავალ ქართველებს გზა სირიაზე ედოთ, ამიტომაც კავშირი სირიასა და პალესტინასთან მათ მეტად შორეულ წარსულში დაუწყიათ. ჟუანშერის ცნობით, ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალს უმოგზაურია იერუსალიმში და მონასტრის ასაგებად ადგილი შეუსყიდა, სადაც მოგვიანებით ჯერის ქართველთა მონასტერი ააგეს. მოყოლებული იმ დროიდან ვიდრე XIX საუკუნემდე ქართველ პილიგრიმთა მიმოსვლა წმიდა ადგილებში არ დამცხრალა, თუმცა პოლიტიკური თუ სხვა რაიმე მიზეზით ურთიერთობა ხან ნელდებოდა, ხელსაყრელ დროს კი კვლავ ახლდებოდა ხოლმე.

მეექვსე საუკუნეში სირიიდან საქართველოში ჩამოვიდა ცამეტი ასურელი მოღვაწე. საქართველოში იმხანად აგებული ეკლესია-მონასტრები — დავით-გარეჯა, ზედაზენი, იყალთო, ნეკრესი, ალავერდი, წილკანი და სხვა — მათ სახელს უკავშირდება. ქართველი მოღვაწენი სირიასა და პალესტინაშიც აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, აარსებდნენ კულტურისა და მწიგნობრობის კერებს. ძნელია ზუსტად დადგინდეს, თუ როდის აშენდა კალიპოს ღვთისმშობლის ქართული საგანე შეე მთაზე ანტიოქიაში. XI საუკუნეში ეს მონასტერი ცნობილი იყო, როგორც ერთ-ერთი მდიდარი და მძლავრი ცენტრი. „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების“ ცნობით, ამ დროისათვის აქ სამოცი ქართველი ბერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, რომელთაგან თვალსაჩინოებით გიორგი დაყუდებულნი გამოირჩეოდა.

აქ მოღვაწე მწიგნობრები აქტიურსა და ნაყოფიერ სალიტერატურო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდნენ. გიორგი მთაწმიდელი სამი წელი (1039—1042 წ.) ცხოვრობდა აქ; შეე მთასთანა დაკავშირებული ეფრემ მცირის სახელიც. იშვიათი და ძვირფასი ხელნაწერები იწერებოდა აქ, ითარგმნებოდა ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ტრაქტატები, ბიბლიური და პაგიოგრაფიული თხზულებანი; ერთი სიტყვით, დღედა სამონასტრო ცხოვრება. კირილე ბერმა, საბა თუხარელმა, ეფრემ ოშკელმა, იოანე მთავარაიხძემ, ანტონ ტბელმა, გაბრიელ ჭულეველმა, იოანე ფარაკელმა, საბა მღვდელმა, არსენ იყალთოელმა, კალიპოსის წინამძღვარმა ბასილიმ შექმნეს აქ ძლიერი ფილოლოგიური და ფილოსოფიური სკოლა, დაამკვიდრეს ქართულ მწერლობაში მოწინავე ფილოლოგიური მეთოდები<sup>1</sup>.

VII საუკუნემდე ანტიოქია ბიზანტიის იმპერიის პროვინცია იყო და ქართველებიც თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ, ხოლო არაბების მიერ მცირე აზიის დაპყრობამ ანტიოქიასთან კავშირი გააძნელა, თუმცა 969—1084 წლებში

<sup>1</sup>ე. მეტრეველი, შეე მთის მწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI ს-ის პირველ ნახევარში, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XX-B, თბ., 1959, გვ. 87.





იგი კვლავ ბერძენ იმპერატორთა გავლენის ქვეშ მოექცა. რამაც კვლავ განაზღვრა სირიაში ქართული სამონასტრო ცხოვრების განახლება შავ მთაზე.

როგორც ირკვევა, შავ მთაზე რამდენიმე მონასტერი ყოფილა: 1. რომანა წმიდა. სადაც სამი წელი ცხოვრობდა გიორგი მთაწმიდელი; 2. წარჩინებული, დიდი კალიპოსი; 3. ქართველთა სავანე შავ მთაზე, უდაბნოსა ლერწმის ხევისას; 4. სვიმონ წმიდის მონასტერი და 5. სვიმონ წმიდის მონასტრის მახლობლად გიორგი დაყუდებულის მარტოდსამყოფელი. ამას გარდა XI ს-ში შატბერდის ცნობილმა მწიგნობარ-გადამწერლებმა დავით და ივანე ჯიბისძეებმა შავ მთაზე ააგეს ძელი ცხოველის სახელობის ეკლესია და შეუდგნენ ამ ეკლესიისთვის წიგნების შექმნასა და გადაწერას<sup>2</sup>.

XII საუკუნეში ანტიოქია ჯვაროსნების ხელში გადავიდა. XIII საუკუნის შუაში კიდევ არსებობდა კალიპოსის ღვთისმშობლის ქართული მონასტერი, ხოლო მონგოლთა, მოგვიანებით კი ზვარაზმელთა შემოსევის გამო ანტიოქია დაინგრა და დაკარგა ძელი დიდება. 1268 წელს იგი ეგვიპტელმა სულთანმა ბიბარმა დაიპყრო და ამიერიდან დღემდე არაბები მას „ანტაკიად“ უხმობენ. ამის შემდეგ არაერთხელ დალაშქრეს და დაარბიეს მუსლიმანებმა ანტიოქია, რომლის დროსაც, რასაკვირველია, დიდ ზიანსა და ნგრევას განიცდიდნენ ქრისტიანული საეანენი, მათ შორის ქართული ეკლესია-მონასტრებიც.

საინტერესოა ალ. ცაგარელის ჩანაწერი, სადაც იგი გულისტყვივლს გამოთქვამს იმის გამო, რომ ვერ მოუხერხდა ანტიოქიაში გამგზავრება... „მე არ შემიძლო, — წერს იგი, — შევსულიყავი და მომენახულებინა, თუ რა შემორჩა დღის ანტიოქიაში, ვინაიდან კონსტანტინოპოლში მიმავალი გემი აღექსანდრედში (აღექსანდრუნში. — რ. მ.) რამდენიმე საათით შეჩერდა, ანტიოქიამდე მგზავრობას კი რვა საათი მაინც უნდა ნავსადგურიდან. გამოდის, რომ ამ მგზავრობას სამი დღე დასჭირდებოდა, რომელთაგან მარტო ერთი დღე ანტიოქიისა და მისი სანახების დათვალიერებას დასჭირდებოდა. ამიტომ მე ვთხოვე ჩვენს კონსულს ბეირუთში კ. დ. პეტკოვიჩს შეეგროვებინა ცნობები ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული მონასტრის (შავ მთაზე) კალიპოსის ღვთისმშობლის ნაშთზე. იგივე თხოვნა წერილობითაც გავუგზავნე კონსულს, რაზეც პეტკოვიჩმა 1884 წლის 14 ივნისის წერილში ასე მიპასუხა: „გავიკითხე თქვენი დავალების თაობაზე, რომელიც ეხება უძველეს ქართულ კალიპოსის მონასტერს. ამ საკითხის გამო მე წერილობითი თხოვნით მივმართე ანტიოქიის (ლაოდეციის) მართლმადიდებელ მიტროპოლიტსა და სხვა პირებს. მაგრამ, სამწუხაროდ თქვენთვის საინტერესო მონასტრის შესახებ დღემდე არავითარი ცნობა არ მიმიღია“<sup>3</sup>.

ახლა ანტიოქიაც, ისკანდერუნიცა და შავი მთაც თურქეთის გამგებლობის ქვეშაა მოქცეული (თუმცა სირიაში გამოცემული თანამედროვე რუკები მას კვლავინდებულად სირიის ტერიტორიად მიიჩნევენ), ხოლო დღემდე ვერც ერთ ქართველ მეცნიერს ვერ მოუხერხდა აქ შეღწევა და მისი სიძველეების შესწავლა. ესაა ერთ-ერთი მიზეზი, რომ მეტად მცირე ცნობები მოგვეპოვება ქართული მწიგნობრობისა და კულტურის ამ ერთ-ერთ თვალსაჩინო და მნიშვნელოვან კერაზე.

<sup>2</sup> იქვე, 39-91-95.

<sup>3</sup> А. Цагарели. Православный палестинский сборник, т. IV, СПб., 1888, 33-32.

1974—1976 წლებში სირიაში ჰიდროლოგთა ჯგუფთან ინგლისური ენის თარჯიმნად მუშაობის დროს საშუალება მომეცა წაეწყო მომხდარი ჩვენი წინაპრების კვალს, რომელიც დაცულია სირიის სიძველეთსაცავებში და ეკლესია — მონასტრებში.

დამასკოს ნაციონალურ მუზეუმში აღმოჩნდა ძველი ქართული ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი, დაწერილი პერგამენტზე ასომთავრულითა და ნუსხურით, რომელთა ფოტოპირებიც სირიიდან 1975 წლის 17 აპრილს ი. ლოლაშვილს გამოვეუგზავნე თბილისში შემდეგ წერილთან ერთად: „1975 წლის 10 აპრილს დამასკოს ნაციონალურ მუზეუმში მივედი. მთელი ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩემი დამასკოში პირველად ყოფნისას მითხრეს, რომ სწორედ აქ უნდა ინახებოდეს რაღაც გაურკვეველი ხელნაწერებიო. მართლაც, აქ აღმოჩნდა ძველი ქართული ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი, სულ რვა. ყველა მათგანი ტყავზეა დაწერილი, ძალზე დაზიანებული დამწვარი და დახეული. ფრაგმენტები ამ საუკუნის ოციან წლებში მუზეუმს გადასცა ომიადების მეჩეთმა. აქ ინახებოდა იგი საუკუნეების მანძილზე, 1926 წლამდე. ეს ქართული ხელნაწერები ხსენებულ მუზეუმში პირველად ნახა ჩვენი უნივერსიტეტის ასპირანტმა მ. ჩაჩიბაიამ, რომელიც იმხანად სტაჟირებაზე იმყოფებოდა დამასკოში“.

დამასკური ქართული ხელნაწერების შესახებ მოკლე ცნობა გამოქვეყნდა კიდეც 14 მაისს „ვეჩერნი ტბილისში“ (№ 110), სადაც აღნიშნულია რომ ასპირანტმა მ. ჩაჩიბაიამ დამასკოს მუზეუმში აღმოაჩინა „ცხრა ქართული ხელნაწერი“. გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში პროფ. კ. წერეთელმა, რომელმაც მიიღო მ. ჩაჩიბაიას წერილი, გამოთქვა მოსაზრება ამ ხელნაწერთა თარიღის, რაობისა და მნიშვნელობის შესახებ. იგი იუწყება: „უცნობი ქართული ხელნაწერები, შესრულებული ძველქართული დამწერლობით — ნუსხურითა და ასომთავრულით, თავიანთი შინაარსით ლიტურგიკული ხასიათისა არიან და, როგორც ჩანს, განეკუთვნებიან IX—X საუკუნეებს; ამ ნაპოვნ ძეგლებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურისა და კერძოდ ლიტერატურის ისტორიის პრობლემათა შესწავლისათვის“. მოგვიანებით პროფ. კ. წერეთელმა თარიღი X—XI ს-ით შეასწორა<sup>4</sup>.

პროფ. ი. ლოლაშვილმა შეისწავლა ხსენებული ხელნაწერების ფრაგმენტები და გამოთქვა ასეთი მოსაზრება „დამასკოურ ქართულ ხელნაწერებს, რომელთაგან ერთა სივეს ვადარჩენია მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი, დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ახლო აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხებთან ქართველების კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის. ცნობილი ფაქტია, რომ ადრეფეოდალურ ხანაში და შემდეგაც საუკუნეების მანძილზე სირია-პალესტინის ე. წ. წმინდა ადგილებში ქართველები აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს, პილიგრიმთა თავშესაფარ სახლებს, აარსებდნენ ქართულ კოლონიებს, ეწეოდნენ ფართო ლიტერატურულ და ქრისტიანულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ამდღერებდნენ თავიანთი თარგმანებითა და ორიგინალური თხზულებებით ჩვენს მწერლობას და მეზობელ ქრისტიან ხალხებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. ქალაქი დამასკო, რომელმაც ქრისტიანულ მწერლობას მისცა უდიდესი მოაზროვნე იოანე დამასკე-

<sup>4</sup> კ. წერეთელი, ახამელი ენა საქართველოში, მნათობი, № 6, 1976, გვ. 154.

ლი, ძველთაგანვე ერთ-ერთი დიდი კულტურული ცენტრი იყო სირიაში და სამოღვაწეოდ მრავალი გამოჩენილი მწერალი თუ საეკლესიო პირი მისწრაფოდა. როგორც ჩანს, ამ ქალაქში ქართველებსაც მოუყვლიათ ფეხი. ამისი ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტია ქართულ ხელნაწერთა ფრაგმენტების აღმოჩენა დამასკოში.

ისმის კითხვა: როდის გადაიწერა ეს ხელნაწერები, რა თხზულებებს შეიცავენ ისინი და რა მნიშვნელობა აქვთ მათ ძველი ქართული ლიტერატურისათვის?

დამასკოში ამჟამად დაცულია, როგორც ფოტოპირებიდან ირკვევა, 12 ფურცელი. ყველა გადაწერილია პერგამენტზე. ერთი — ასომთავრულით, დანარჩენი ნუსხურით. «ვეჩერნი ტბილისის» ცნობაში ცხრა ხელნაწერზეა ლაპარაკი. რ. შირიანაშვილი კი იუწყება, რვა აღმოჩნდაო. მაგრამ ჭეჭვრობით ნაპოვნია შეიდი ხელნაწერი (ერთი — ოთხფურცლიანი, ორი — ორფურცლიანი, ოთხი — თითოფურცლიანი). არც ერთ მათგანს თარიღი არა აქვს. პალეოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ ისინი გადაწერილია სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა პირის მიერ, სხვადასხვა ადგილას. ფრაგმენტებში დაცულია მხოლოდ სასულიერო შინაარსის თხზულებები.

1. უცნობი თხზულების ფრაგმენტი (1 ფ., 14 X 14 სმ., ასომთავრული) გადაწერილი უნდა იყოს დაახლოებით X საუკუნეში. ხელნაწერი ისეა დაგლეჯილი და გაშავებული, ხოლო ნაწერი — ვაფერმკრთალებული და ზოგან შავი ლაქებით დაფარული, რომ ამჟამად თითო-ოროლა სიტყვისა და ცალკეული ასოების ამოკითხვაა ხერხდება. ამიტომაც ფრაგმენტის შინაარსობრივი განსაზღვრა შეუძლებელია (სავარაუდოა, იგი იყოს გალობათა კრებული).

2. საგალობლების კრებულის დასასრული (4 ფ., 7. 75 X 9 სმ, ნუსხური), ფურცლები მთლად დაგლეჯილია. თავზე აწერია სინგურით «კურთხეულ არსა» (მოჩანს მკრთალად). მას მისდევს: «კურთხეულ ხან შენ უ[ფალო]» და წყდება ვედრებით: «დიდება შენდა [წმიდაო!... მო] გუცენ ჩუენ ჭამადნი საზრდელად» და რამდენიმე სიტყვის შემდეგ მთავრდება სამწერტილით. სამი ბოლო გვერდი დაწურულია. პალეოგრაფიული ნიშნებით ხელნაწერი თარიღდება XIV—XV საუკუნეებით.

3. «[იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნისათვის] (9 X 14 სმ.)—აქლემისა სტევისა ემ[ო]სა სამოსელი». და წყდება «თუალ-უხუავსა თავსა ეშინოდა». გადაწერილია სავსებით გარკვეული ხელით, რომელიც დამახასიათებელია XI საუკუნისათვის. გადარჩენილია მხოლოდ შუა ნაწილი. ტექსტი რედაქციულად საყურადღებოა.

4. ლოცვანი და ვედრებანი (2 ფ., 17 X 17,5 და 14 X 19, ნუსხური) ფურცლები ძლიერ დაზიანებულია (დახეულ-დაგლეჯილია). იწყება: «რა-მე ძყო. [სულო]...», წყდება: «შემინდევ მე, უფალო ჩემო...». მეორე ფურცლის ზედა არშიაზე მოწერილია იე. რაც ნიშნავს ხელნაწერის მე-15 რვეულის სათვალავს. პალეოგრაფიული მონაცემებით უყოყმანოდ შეიძლება დათარიღდეს XII საუკუნით.

5. ძღოსპირნი და ღმრთისშობლისანი (2 ფ., 8 X 9 სმ, ნუსხური) აქვს სინგურით შესრულებული ზედწარწერები: «უგალობდითსა, განმლიერდითსა, კურთხეულ არსა, აკურთხევდითსა». გადარჩენილია ხელნაწერის შუა ნაწილი. გადაწერილი უნდა იყოს XIV—XV საუკუნეებში. აქვს ერთი მინაწერიც:



«წმიდა ხარ შენ, უფალო. შენ გაქებს სული ჩემი». მისი ზოგი ძლისპირი გამოქვეყნებულია ე. მეტრეველის წიგნში.

6. ლოცვანი და ვედრებანი (1 ფ., 14 X 14 სმ, ნუსხური) გადაწერილია XII—XIII საუკუნეებში (შეიძლება ცოტა გვიანაც). ტექსტი ძნელად იკითხება.

7. იოანეს სახარების მეოცე თავის ფრაგმენტი—«ბნელდა იყო საფლავსა» (20.1)... წყდება: «სულარი, რომელი იყო თავსა მისსა არა» (20.7). გადაწერილი უნდა იყოს XI—XII საუკუნეებში (1 ფ. 9 X სმ, ნუსხური). ტექსტი მიჰყვება ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეულ რედაქციას (მდრ.: «ალიდეს უფალი საფლავისაგან» და «სხუა იგი მოწაფე წინა ურბიოდა»), რომელიც XI ს-ის შუა წლებიდან გავრცელდა ქართულ ეკლესია-მონასტრებში სანმარად.

ამრიგად, შვიდივე ხელნაწერის ტექსტები მეცნიერებისათვის საყურადღებოა ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული თვალსაზრისით. თვით ხელნაწერები საინტერესოა პალეოგრაფიულად და ენობრივი მონაცემებით.

აქვე მოგვყავს ხელნაწერთა ტექსტებიც:

ა. უცნობი ხელნაწერის ფრაგმენტი — X ს.

- 1 r და მიწადე ყოვლისა იქცეს  
 ◦ [ . . . ] [აელნო სუე [ . . . ]  
 [ . . . ] დი გეზინ [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]
- 1 v [ . . . ] უგალობდი წარმართთა შარის  
 [ . . . . . ]თა აკურთხევ  
 [ . . . . . ] უგალობდი მას  
 მთდ [ . . . . ] დ [ . . . ] ყოველთა საკრ  
 [ . . . . . ]  
 ◦ [ . . . . . ] ო [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]  
 უფალსა [ . . . . . ]  
 [ . . . . . ] მღის  
 მ [ . . . . . ] სნ [ . . . . ]  
 [ . . . . . ] მარ  
 [ . . . . . ]  
 [ . . . . . ]

ბ. საგალობლების კრებულის დასასრული — XIV — XV სს.

- 1 r [კრთხელ არსა]  
 კრთხელ ხარ შენ უ[ფალო, რამეთუ აღ]მზარდე სიერ-  
 ნით ჩემით და . . . . . მე]ცი საზრდე-  
 ლი [ . . . . . ] ლი ვსნ  
 [ . . . . . ] რ [ . . . ] ვნ [ . . . ]თა [ . . . . . ]თა გულნი  
 [ . . . . . ] არღის კი ეუოკ(?)  
 [ . . . . . ] მიოზებდით ყოველსა ზედა  
 [ . . . . . ] რამეთუ იესუსს მიერ უფლისა ჩენისა  
 [ . . . . . ] და დიდება და პატევი და ს....  
 [ . . . . . ] მიმათ უკუნითი უკუნისამდე ამინ



- [ . . . . . ] დიდება შენდა წმიდაო დიდება შენდა
  - [ . . . . . ] გცენ შენ ჰამადნი საზრდელად
  - [ . . . . . ] დ გვედრებით შენ აღმეს
  - [ . . . . . ] წმიდათა რათა ვიყვნეთ წინაშე შენ
  - [ . . . . . ] არა სირცხვილ ოდეს იგი
  - [ . . . . . ] ეცდსა: საქმეთა მათთა —
- ებრ:

**ბ. იოანე ნათლისმცემლის თავის პოვნისათვის — XI ს.**

1 r [აქ]ლევისა სტევისა ემ-  
[ო]სა სამოსელი  
[და] ვითარცა პოვეს თავი ნეტა-  
[რ]ისა იოანესი წარმო-  
[ე]მართეს რომელი იგი პერო-  
[დე]ს ლანისა ასული-  
საგან მიეღო რომლისად მრ-  
ელით ეამითან გული უ-  
თქმელია მონადირებად და  
მიემთხვა მცხიერი იგი და-  
ცხრომად ჰკონებდეს მ-  
ხილუბათა მათ წინასწარმეტყველისა  
ენისათა არა ზოლო ესე  
არამედ ამას ზრახვიდა ვითარმედ  
უკუეთუ უოვლად გებუ-  
ლად ზოლო იდვას გუამი  
იგი წმიდად აღვილ იყოს აღ-  
დგომადცა ზოლო უკუეთუ  
თავი იგი თვისსაგან

1v დამარხულ იყო არა [ე]-  
გე ოდენ მარჯულ იყო [ს]  
ამისთვის არღარა წმ[...]  
თად ვითარ იგი ღრმა და-  
მარხვად უტევა არამედ  
ზღუდე გარე მოდგმად  
იდგისა მას რომლისა დაფ-  
ლვად მისი უბრძანა  
და კართა დასავშველი-  
თა დაკრძალვად სცა  
რამეთუ უსჯულოხსა მის სა-  
წოლსა ტრფიალუბითა  
გულის სიტყუათაგან გან-  
ქლომილ იყო და ვითარცა  
სიზმარსა შინა მხილუბან[ი]  
იგი ეუტენებოდეს და წა[რ]-  
კუთვითისა მისცა ვითარ[ცა]  
ვგგონებ თვალ-უხუ-  
ავისა თავისა ეშინოდა

**დ. ლოცვანი და ვედრებანი — XII ს.**

1r რადმე ჰყო სულო [ . . . . . ]  
რამ განვითხვა [ . . . . . ]  
გიდგებთან დ [ . . . . . ]  
გემზილუბთან [ . . . . . ]  
სალმობითა [ . . . . . ]  
ღმერთო ჩემო საწ [ . . . . . ]  
საუკუნოა იგი წარუ [ . . . . . ]  
მას და საყდართა ზედა [ . . . . . ]  
და ჰრძწი განჩინებისაგან [ . . . . . ] მოსწ-  
რაფე მოქცევად სინანულ [ . . . . . ] რომე-  
ლი იგი თანა წარუვალ არს არამედ [ . . . . . ]  
ზოცილი მრავალ საგლოშლისათვის სულისაგან  
ჩემისა რომელმან განაქარვე ყოველი ცრემლი პირისაგან  
ქუეყანისა რამეთუ შენ სალმობასა ყოველთასა იოხებ და  
მჭუნვარებასა გარდაცულოლთასა ნუგეზინი[ს]-  
სცემ და შენ ხარ ჩვენ ყოველთა სასოა და სიმტკიცე  
ყოვლად წმიდაო ქალწულოთ დედაო ქრისტესოა კიოიელისანი 40 ღმერთო მი-  
ღბინე იესუ უფალო შეგცოდე იესუ შემინყაღ შეუფყო და  
განჰკურნე სული ჩემი და ყოვლითა ოდენ [ . . . . . ]  
სულსა ამას შინა ჰყო [ . . . . . ] ნლო მიწყალე  
უფალო მოწყალე მე და [ . . . . . ]  
[ . . . . . ] გ წმიდაო [ . . . . . ]  
[ . . . . . ] ე [ . . . . . ]  
1v [ . . . . . ] და ღირსი წმიდისა და ქ-  
[ალწულისა . . . . . ] და აურაცხელნი



[ . . . . . ] რათა არა სრულიად  
 [ . . . . . ] მომიტყვენ სა  
 [ . . . . . ] ჩემო გვედრ-  
 ები . . . . . ] არა განგებულო  
 [ . . . . . ] თა რსბოდა ვითარ  
 [ . . . . . ] ჩემნი მოწყალეობითა  
 [ . . . . . ] გამოჩნდენ იგინი დღესა მას საშ-  
 [ინელსა . . . . . ] და ლღად ვყო დიდებაა შენდა მრ-  
 [ . . . . . ] წიდა]ო მეუვეო ატხოვენ სული ჩემი  
 წმიდაო ღმრთისმშობელო შემიწყალე და მეოხ მეყავ წინაშე რომლისა შენისა  
 [ . . . . . ] ისა ჩუენისა წმიდანო მთავარ-ანგელოზნო მეოხ გვ-  
 ყვენით წინაშე ღმრთისა წმიდაო იოანე წინამორბედო  
 და ნათლისმცემელო მეოხ წმიდანო მოციქულნო პეტრე და  
 პავლე და ანდრია მეოხ გუეყავ წმიდანო მოციქ-  
 ულნო წინა-სწარმეტყველნო მღვდელთ-მოდღუარნო მოწამე-  
 ნო მამანო მამათ-მთავარნო და ყოველნო ღირსნო და  
 მართალნო მეოხ გვყვენით წინაშე უფლისა რათა მივ-  
 სნეს უსჯელოთა [უ]დვათა ჩუენთვან რამეთუ თქვენ  
 [ . . . . . ] მეოხებად ჩუენდა უძლე  
 [ . . . . . ] უფლის [ . . . . . ] ნის  
 [ . . . . . ] სე [ . . . . . ]

2 r

ი<sup>ე</sup>

შინა განფრდილი [ . . . . . ]  
 ვიკადრებ ა[ . . . . . ]  
 სასოაზითა [ . . . . . ]  
 ლადებ [ . . . . . ]  
 შემიწყალე მე[ . . . . . ]  
 თცხუე [ . . . . . ]  
 ცოდვილი მე [ . . . . . ]  
 ცხე არა ვიტყ [ . . . . . ]  
 ტისა ჟამისათა თანა შ[ . . . . . ]  
 მცხუენე ვ აწდა უ [ . . . . . ]  
 მშობელო ცათა შინა კურთხეულო ქუეყანისა [ . . . . . ]  
 უფალო გიხაროდენ საქლოუ უსძლოო კირილეოსინო 40 [ . . . . . ]  
 და ყოველი სრულიად დიდებაა შენდა უფალო იესუ ქრისტე ღმერთო ჩუენ ო  
 რომლისა უკუნითვან ბარ და დასასრული არა  
 არა გაქუს რომელმან ჩუენთეს ჭუარტულმა და სი-  
 კდილი თავს იდევ სახიერო და კაცთმო-  
 ყუარეო სულგრძელო და მრავალმო-  
 წყალო შემიწყალე ცოდვილი ესე და ნუ გან-  
 მირისხნები უფალო რამეთუ რომელთა საქმეთათს  
 ვითხოვ შენგან შენდობასა მათვე შინა და  
 უცხუემელად შთავარდები ვიცი უფალო  
 უკუტუტმცა არა მღხინებულ გყო

2v

[ . . . . . ] მე კაცთ-მოყუარებაა შენი  
 [ . . . . . ] ნი [ . . . . . ] აა რომელიმცა ა  
 [ . . . . . ] მცა უბრძნ  
 [ . . . . . ] რძალ ხარ ჩემ  
 [ . . . . . ] და სიტყუს მი  
 [ . . . . . ] დიდე]მაა შენდა სახიერ  
 [ . . . . . ] უკუ გვედრები  
 [ . . . . . ] ა კაცთ-მოყუარეო შემიწყალე მე  
 [ . . . . . ] ა სატანჯელისა და შემ  
 [ . . . . . ] ცოდვანი ჩემნი რომელნი საშოთვან

დღეი] სადა ვიდრე მოაქამომღე მიქმნიან  
ლ]ამითი და დღითი შეცნირებთი და უმცერე-  
ბითა ცნებით და უცკებულად ნუფსით და  
უნებლით ყოველნი შრომანი ჩემნი ცხადნი და დავა-  
რულნი საჩინონი და უჩინონი რაოდენი-  
ცა მიცადავს თუალითა და ენითა სასმე-  
ნელითა და საყნოსელითა შეგები-  
თა და საღვითა ყოველივე უფალო სახიერო და  
კაცთმოუღიარო სულგრძელო და მრავალ-  
მოწყალო რადებინცა შემეცადებია შენ-  
და საქმით და გონებით გულის-სიტყუთ  
და მოგუნებით შემინდე მე უფალო ჩემო:.

**2. ძლიხპირნი და ღმრთისმშობლისანი — XIV—XV სს.**

1v [ . . . ] არს უკუნისამდე და უკუნითი  
[უკუნისამდე ამინ]

1r იქმნელ იგინი [ . . . . . ]  
ვიდრემდის განქდეს ე [ . . . . . ]  
ვიდრემდის განქდეს ენ [ . . . . . ]ვე  
შენი რომელ მოიგე  
შეიყვანენ და დაპნერგ-  
ენ იგინი მთასა მას მკვლ-  
რობისა შენისასა  
განშხადებულსა მას სამე-  
უდრობელსა შენსა  
რომელ იქმენ სიწინიდეო რომელ  
განშხადეს ბელთა შენ-  
თა უფალო

რამეთუ შთავიდა ქუენ ფაააჲ-  
ს ეტლუბითურთ და მკედ-  
რებით შუა ზღუასა  
აუეაქცია უფალმან მათ ზედა წყ-  
ალი იგი ზღუასა მის  
ხოლო ძენი ისრაელისნი ვიღო დე-  
ს ქმელსა შუა ზღუასა მას  
განძლიერდითსა  
განძლიერ და გული ჩემი უფლი-  
სა მიერ და აღმაღლდა რქაჲ  
ჩემი ღმრთისა მიერ ჩემისა  
განერცნა პირი ჩემი ზედა მს  
წმინდა ხარ შენ იესუ შენ გაქ-  
ებს სული ჩემი

2r მოკლებასა ჩემგან სულისა ჩემი-  
სასა უფალი მოიქსენე  
შევედინ შენ წინაშე ლოცვაჲ ჩემი ტაძრ-  
ად წმიდად შენდა  
ცეულთა მათ ამოთა და ცრ-  
უთა წყალობად მათ დაუტევეს  
ხოლო მე კმითა ქებისაათა და აღსა-  
რებისაათა მსხუერპლი შევ-  
წირო შენდა  
რაოდენი ვილოცო მიგვე შენ  
საცხოერებულად ჩემდა უფალსა  
კურთხეულ არსა

2v კურთხეულ ხარ შენ უფალო მამათა ჩუენთაო  
და უფროასად ქებულ და უფროჲ  
სად აღმაღლებულ უკუნისამდე  
და კურთხეულ არს სახელი წმიდაჲ დიდებისა შენი-  
სი და უფროასად ქებულ  
კურთხეულ ხარ შენ ტაძარსა წმიდასა დიდებისა შენისასა  
და უფროასად  
კურთხეულ ხარ შენ რომელი მზი ზედა ქერობინთა  
და მხელავ უფსკრულთა და უ[ფროასად]  
კურთხეულ ხარ შენ საყდართა ზედა დიდებისა სუფე  
ვისა შენისათა უფ[როასად]  
კურთხეულ ხარ შენ სამყაროსა ზედა ცათასა  
და უფროასად  
კურთხეულთასა



აქვრთხედით ყოველი საქმენი ღმრთისანი უფალსა უვალოდლით და უფროჲსად ა- მალუბდით მას უკუნისამდე

**3. ლოცვანი და ვედრებანი — XII—XIII სს.**

- 1r [ . . . . . ]თა უფლისათა გუაქურთხენ ღმერთო [გუა]ქურთხენ მამათ უფალო იესუ ვითარცა ღმერთო [ . . . . . ] ერთობისაჲ წმიდაო უფალო უფლისაო მამათ ჩუენო კითილესონ 12 [ . . . . . ]  
 მოვედით თაყუანის ვსცეთ  
 აღიღსა ჩემსა ისმა ჩემი ღმრთისა  
 სიშართლისა ჩემისა  
 პირსა ჩემსა [ . . . . . ]მი-  
 წყალე მე და ისმინე ღმერთო ლოც-  
 ვისა ჩემისაჲ წუთ[ . . . . . ]ნ . . . . . [ . . . . . ]  
 გულფებელი [ . . . . . ]გი-  
 ყუარს ადა[ . . . . . ] მ [ . . . . . ] ეძლე  
 [ . . . . . ] სიტრუფე [ . . . . . ] გუ-  
 ლის კმა ყავთ [ . . . . . ] საყვირე-  
 ელ [ . . . . . ] [უფალმან [ . . . . . ]თუისი  
 1v უფალსა შესუშინ ჩემი ღაღადებ[ . . . . . ]  
 სა მისსა შიშართ  
 განრისხებოდით და ნუ სცო-  
 დავთ არარაჲ სთქუათ გულ-  
 თა შინა თქუენთა სარეცელ-  
 თა თქუენთა [ . . . . . ] ზედა შინანეთ  
 შეიყვარეთ ურთიერთი სი-  
 შართლითა და ესევდით  
 ღმერთსა [ . . . . . ]  
 წუენ [ . . . . . ] ჩუენ კე-  
 თილი [ . . . . . ] ჩნდი [ . . . . . ] ჩუენ ზედა ნათ-  
 ლისათა ყოველსა შინა  
 მოეც [ . . . . . ]  
 ჩემსა [ . . . . . ] იფქ-  
 ლი და [ . . . . . ] ს [ . . . . . ]

**8. იოანეს სახარების XX თავის დასაწყისი (20,1—20,7)—XII ს.**

- |    |  |    |  |
|----|--|----|--|
| 1r | <p>მნელა იყო საფლავისა მას და იხილა ლოდი იგი აღებული კარისა მისგან საფლავისა რბიოდა და მოვიდა სიმონ პეტრესსა და სხუსა მოწაფისა რომელი უყუარდა იესუს და ჰრქუა მათ ილიდეს უფალი ჩემი საფლავისაგან და არა უწყვი სადა დაღვეს იგი გამო- გიდა პეტრე და სხუაჲ იგი მოწაფე და მოვიდოდეს საფლავად რბიოდეს ორნივე ზოგად</p> | 1v | <p>და სხუაჲ იგი მოწაფე წინა ურბიოდა უადრეს პეტრესსა და მოვიდა პირველად საფლავად და შთახუნდა საფლავისა მას და იხილნა ტილონი იგი მდებარე- ნი და შინა არა შევიდა მოვიდა სიმონ პეტრეცა შემდგომად მისსა და შევიდა საფლავად და იხილნა ტილონი იგი მდებარე- ნი და სუღარი რომელ იყო თავსა მისსა არა</p> |
|----|--|----|--|

დამასკოს გარდა სირიის სხვა ქალაქებშიც მოხერხდა საინტერესო მასა- ლის მოძიება. წმ. გიორგის მონასტერი ქ. ჰომსიდან (ემესა) ერთი საათის სავალ გზაზეა. 1975 წლის 23 მაისს სპეციალური ნებაართვის შემდეგ საშუალება მოგ-





ვეცა შეგვესწავლა მონასტრის სიძველეები და ხელნაწერები. კათედრაზე მდებარე ბარე მოქედელ ყდამი ჩასმული სახარება ქართული აღმოჩნდა. ეს არის 1786 წლის თბილისში ნუსხურად დაბეჭდილი ქართული სახარება-ოთხთავი ერთკლე მეორის ბრძანებითა და ანტონ I კათალიკოსის კურთხევით<sup>5</sup>. იმ მინაწერებიდან, რომლებიც წიგნს ახლავს, ირკვევა, რომ ქართველებს ასურულ მოღვაწეებთან მჭიდრო კავშირი ჰქონიათ არა მარტო ადრე ფეოდალიზმის ხანაში, არამედ ე. წ. აღორძინების პერიოდშიც. კერძოდ XVIII საუკუნის მიწურულსაც კი.

„შემოგწირეთ მე, საქართველოს მეფის ირაკლის ძემან გიორგი წმინდის დიდებულის მთავარმოწამის გიორგის მონასტერს, აღ-ჰუმეირის მონასტერს წმინდა სახარება ესე, რათა მფარველ გვექმნა მარობლსავე ცხოვრებასა შინა მეცა, მეუღლესა ჩემსა, ძეთა ჩემთა და ასულთაცა ჩვენთა წმიდაო დიდო მოწამეო გიორგი, ამინ. მაისის 2 წელსა 1788, ხელითა ღირსისა მამისა გერასიმე ქილიზელისათა“ (გვ. 99).

აქვეა დატული ორი არაბული მინაწერი, რომლებიც ამ ქართულ ცნობას ავსებენ და ამტკიცებენ.

1. „ესე წმიდა სახარება შესწირა საქართველოს მეფის ძემ, ბატონმა გიორგიმ წმიდა გიორგის მონასტერს, რომელსაც ეწოდება ალჰომეირა, მდებარეობს ალ-ჰოსნის მხარეში. ეს შესწირულება საუკუნოა და ვინც მას შეცვლის, ვინც უნდა იყოს იგი, ეწიოს მას იუდა მოლაღატისა და ქრისტეს ჭვარამცემელთა ხედრი. ვაი მას, ვინც ამ ხედრს უსურვებს თავის სულს...“ იქვეა ჩაწერილი წყველა-კრულვა იმათ მიმართ, ვინც ამ სახარებას გაანათხოვრებს, გაყიდის ან მოიპარავს.

2. „მე უღირსმა ცოდვილმა გიორგიმ, საქართველოს დიდი მმართველისა და მფლობელის ხანის ირაკლი მეორის ძემ, შეგწირე ესე წმიდა სახარება წმ. დიდი მოწამის გიორგის მონასტერს ჰომეირას, რათა მფარველ მექმნას იმ ქვეყნად მეც, ჩემს მეუღლესაც და ძეთა და ასულთა ჩემთა. ვინც ეს სახარება წაიკითხოს, ილოცოს ჩემთვის და ჩემი ცოდვების მიტევებისათვის. შეიწყალოს უფალმა იგი. შეიწყალოს ყველა ის, ვინც მისთვის ილოცებს. ზემოხსენებული მეუღლისაგან ამ წმიდა წიგნის მიღებისა და შესწირვის მოთხოვნელი მამა გერასიმე ქილიზელი, მოწაფე კეთილსაგონებელისა ანტიოქიის ბატონის სილვესტრისა, 1788 წელსა... მოიხსენე, უფალო, მონა უენი გიორგი ხანი, მარიაში, დავითი, იოანე, ბაგრატი, თეიმურაზი, მიხეილი, ჭიბრაელი, ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, თამარ“.

ირკვევა, რომ ქართული ნაბეჭდი სახარება სირიის წმ. გიორგის მონასტრისათვის შეუწირავს ერთკლე მეორის ძეს გიორგის გერასიმე ქილიზელის ხელით. ჩანს XVIII საუკუნის 80-იან წლებში მონასტერში ქართველებს უმოღვაწეოთ, რაკი ქართული სახარება უამისწირევაზე საკითხავად დაუდევიათ საკურთხეველთან.

თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ საგულისხმოა, მონასტერში აღმოჩენილიყო კიდევ სხვა ქართული ხელნაწერები, ანდა რაიმე ნივთები. მოგვიანებით, მონასტერში მეორედ მისვლისას მართლაც მაჩვენეს მეტად ლამაზი ვერცხლის თასი, რომელიც, ვადმოცემის თანახმად, შესწირული უნდა ყოფილიყო იმავე

<sup>5</sup> ცნობა ამის შესახებ დაიბეჭდა გაზეთ „თბილისში“, 1975 წლის 31 ივლისის (№ 177) ნომერში.



პერიოდში, როდესაც სახარება შემოვიდა მონასტერში. სამწუხაროდ პირი ცნობა ამის შესახებ არ აღმოჩნდა, არც რაიმე წარწერა ჰქონდა დართული ვერცხლის თასს, თუმცა უდავოდ გვეჩვენება, რომ გიორგი XIII სახარებასთან ერთად, ცხადია, სხვა წმიდა ნივთებსაც შესწირავდა წმ. გიორგის მონასტერს და ამ თასის საქართველოდან მომდინარეობა სულაც არ არის მოულოდნელი.

საინტერესო ცნობას შევხვდი ერთ-ერთი არაბის ოჯახში, რომელიც ქ. ჰომსში ცხოვრობს. მას რამდენიმე ძველი არაბული ხელნაწერი წიგნი აქვს დაცული. ერთ-ერთი წიგნის ანდერძი გვამცნობს:

„ეს წიგნი, შვიდი წმიდა მსოფლიო კრების ქმედობის შესახებ, სადაც მოთხრობილია მართლმადიდებლურ დოგმებზე, მეორეა იმ წიგნთა შორის, რომლებიც დიდის წოდებით მოიპოვა არაბულ ენაზე პატრიარქმა მაკარიმ. ხაიმ ალექპოელის შვილმა, მისი რუსეთში მეორედ მოგზაურობის დროს, ძველი წიგნის „საუნჯის“ ბოლოს დართული ნუსხის თანახმად, მაშინ, როცა იგი იმყოფებოდა საქართველოში.“

ამის დასამტკიცებლად მე ჩემი საკუთარი ხელით დავწერე ზემოაღნიშნული, მე, უღირსმა გრიგოლმა, ანტიოქიის და მთელი აღმოსავლეთის პატრიარქმა გიორგი განტუს ხადადის შვილმა აბაი სოფლიდან, 1915 წლის 12 თებერვალს, ჩვენი პატრიარქობის მეცხრე წელს.“

საყურადღებოა, რომ არაბები, მსგავსად ქართველებისა, საზღვარგარეთ ეძებდნენ თავისი ისტორიული წარსულის კვალს.

საქართველო-სირიის ურთიერთობის კვალი ზეპირ გადმოცემებშიც შემორჩენილა. ერთ-ერთ კერძო საუბრისას გავიგე, რომ ქ. ჰომსში ცხოვრობს ოჯახი, რომელსაც ეძახიან საქართველოს ემიგრის ოჯახს. როგორც შემდეგ გამოიკვია. ამ ოჯახის პაპის პაპას მიუღია ემიგრის წოდება ქართველი მეფისგან.

ქ. ჰომსის სამიტროპოლიო ბიბლიოთეკაში სხვა წიგნებთან ერთად აღმოჩნდა სლავურად დაბეჭდილი უნგრული წიგნი „ჟამნი“, რომელსაც მოეპოვება XVIII — XIX საუკუნის ქართული მინაწერი მხედრულად:

„ქ. ეს სამხთო წერილი შიმევეწირეთ ჩვენ საქრისტიანო და მ. მარტყოფელმა პატი აბრამამ, ჩემმა ძმიებმან შერმაზანმა და პეტრემ და მახარებელმან ჩიქოფანაიას. ვინცა წაიკითხოს, ლოცვა-კურთხევა მოიხსენიოს.“

წიგნის ისტორია არ არის ცნობილი. საიდან მოხვდა იგი ჰომსის სამიტროპოლიო ბიბლიოთეკაში, ვინ არიან პატი აბრამა, შერმაზანი და პეტრე, ეს მომავლის კვლევის საგანია; ერთი რამ კი ცხადია, რომ ამ პატარა მინაწერს, ან მის ავტორს დიდი გზა უნდა გაეულო, სანამ სირიაში მოხვდებოდა.

ქ. ალექსანდრიაში ასურულ-კათოლიკურ ეკლესიის წინამძღვარმა შემდეგი ცნობა ამოგვიბეჭდა არაბული წიგნიდან:

„პატრიარქის ივანტიოს ეფრემ პირველის ბარსუმის ნეტარსახსენებელი წიგნი. თავის წიგნში «ძვირფასი იშვიათობანი ეკლესიის ისტორიაში» (გვ. 461) იბერთა (კურეთა) ქვეყნის გაქრისტიანების შესახებ იგი ამბობს:

«ქრისტიანულ რელიგიაზე მოქცეულ ხალხთა შორის IV ს-ის პირველ ნახევარში არის ქართველთა ერიც. საქმე იმაშია, რომ ერთი ქრისტიანი ღირსი დედა, სახელად ნინო, ჩამოვიდა ივერიაში — საქართველოს (კურეთა) ქვეყნის დედაქალაქში. იგი მეფე მირიანმა დაიბარა თავისთან, რომელსაც შვილი გახდომოდა ავად. ნინომ შეჰყვარა ღმერთს და ავადმყოფი თავის სარეცელზე და-

აწინა — ღმერთმა განკურნება უბოძა. იგივე დავმართა დედოფალსაც. როდესაც წინოს გამოჰკითხეს მისი სარწმუნოების შესახებ, მან ქრისტიანობაზე მოუთხრო და ურჩია მეფეს გამოეთხოვა ზიზანტიიდან ეკლესიის მსახურნი, რათა მათ ექადაგათ ახალი რელიგია. მეფემ მისწერა იმპერატორ კონსტანტინეს და გამოითხოვა მღვდლები. ჩამოსულებმა ასწავლეს ქართველებს ქრისტიანობა და მონათლეს ისინი.

მეფემ და დედოფალმაც მიიღეს ქრისტიანობა. ქართველები ასეთნაირად მოიქცნენ ქრისტეს სჯულზე. მათგან გამოვიდნენ ეპისკოპოსები, წმინდანები და ღირსი მამებიც<sup>6</sup>.

სხვასთან ერთად ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობა სირიასა და საქართველოს შორის დღესაც ნაყოფიერად ვითარდება. რუსთაველის იუბილეს დღეებში საქართველოში ჩამოსულა სირიელი არაბი ნიზარ ხალილი. მას მაშინვე გადაუწყვეტია ვეფხისტყაოსნის არაბულად თარგმნა. ვეფხისტყაოსანი მას წაუკითხავს ინგლისურად, სომხურ და ფრანგულ ენებზე და არჩევანი ფრანგულსათვის მიუცია. ნიზარ ხალილის ვეფხისტყაოსნის არაბულად თარგმნა დაუმთავრებია 1976 წელს<sup>7</sup> და ეს პირველი არაბული თარგმანი მან საქართველოში გამომატანა ხელნაწერის სახით.

ნიზარ ხალილი დაიბადა 1925 წელს ქ. ალეპოში, მისი მშობლები არაბი მუსლიმანები იყვნენ. მართალია, იგი არ არის პროფესიული ლიტერატორი, მაგრამ დიდი ხანია მთარგმნელობით მოღვაწეობს ეწვევა, იცის სომხური და რამდენიმე ევროპული ენა. პირველად 1953 წელს არაბულიდან სომხურად უთარგმნია VII ს-ის არაბი ავტორის ომარ იბნ ხორტაბის თხზულებები.

მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანი ჩვენი აღმოსავლეთმცოდნეების აზრით დიდ შესწორებასა და დახვეწას მოითხოვს, მაინც იგი პირველი არაბული თარგმანია და ამდენად ყოველგვარი წაქეზებისა და მისალმების ღირსია.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, ქართველებს არა მარტო შორეულ წარსულში ჰქონიათ მკვიდრო კავშირი ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერასთან—სირიასთან, არამედ ეს კულტურული ურთიერთობა დღესაც არ შენელებულა და განაგრძობს თავის კანონზომიერ განვითარებას. რომლის მცირე ნაწილის ხილვისა და აღნუსხვის ბედნიერება მხვდა წილად.

Р. Д. МИРИАНАШВИЛИ  
СЛЕДЫ ГРУЗИН В СИРИИ  
Резюме

Во время своего пребывания в САР автору удалось собрать некоторый материал по истории и литературе Грузии.

В музее г. Дамаска были найдены фрагменты древнегрузинских рукописей (X—XIV вв.). В одном из монастырей Сирии по сей день хранится напечатанная в 1786 году в Тбилиси грузинская библия. В библиотеках и частных собраниях сохранились арабские и иносязычные книги, содержащие сведения о Грузии, что дает возможность проследить за развитием культурных связей между Сирией и Грузией, которые зародились еще в далеком прошлом.

<sup>6</sup> ცნობა ამის შესახებ გამოქვეყნდა გაზეთ „თბილისში“, 1976 წ. 29 იანვარი (№ 24).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ქართული მწერლობის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1976, 114 გვ.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ პროფ. არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით 1976 წ. დასტამბა კრებული „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“.

კრებულში შეტანილია ბასკური ენის ცნობილი სპეციალისტისა და იბერიულ-კავკასიურ ენათა თვალსაჩინო მკვლევარის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ფრანგი ენათმეცნიერის რენე ლაფონის ორი წერილი: „ბასკური ენა“ (მთარგმნ. ნ. სტურუა) და „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ (მთარგმნ. ს. ვაბუნია). კრებულის მესამე წერილია არნ. ჩიქობავას „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“, რომელიც მოხსენიდა რენე ლაფონის ხსოვნისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1974 წ. 14 ივნისს (რ. ლაფონი გარდაიცვალა 1974 წლის თებერვალში).

რ. ლაფონმა პრაქტიკულად იცოდა ქართული ენა. ამიტომაც იგი ხშირად ბეჭდავდა რეცენზიებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ცალკეულ ტომებზე<sup>1</sup>, აგრეთვე, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ რიგ ტომსა თუ სხვადასხვა მონოგრაფიაზე. ამით რ. ლაფონი უცხოელ სპეციალისტებს აცნობდა იმ მუშაობას, რაც ჩვენში წარმოებდა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის თვალსაზრისით. მასვე ეკუთვნის წერილები ქართულისა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა შესახებ.

რ. ლაფონის კავკასიური ენებით დაინტერესება არ იყო შემთხვევითი.

ცნობილია, რომ ბასკური ენა, რომელიც გარემოცულია ინდოევროპული ენებით, არც ერთ მათგანს არ ენათესავება. ჯერ კიდევ 1869 წ. ა. შლაიხერი შენიშნავდა, რომ „...ჩვენ არ ვიცით არც ერთი სხვა ენა, რომელიც მასთან (ე. ი. ბასკურთან — გ. ბ.) ნათესაურ კავშირს ამჟღავნებდეს“<sup>2</sup>.

უფრო ადრე კი გერმანელი მეცნიერი ვ. ჰუმბოლდტი (1767—1835 წწ.), რომელმაც იმოგზაურა ბასკეთში და შექმნა „ბასკური დღიურები“, ბასკებს იბერიული წარმოშობის ტომად თვლიდა და ვარაუდობდა, რომ ისინი კავკასიის იბერიიდან გადასახლებულან იქ. ვ. ჰუმბოლდტის ეს შეხედულება „იბერიული თეორიის“ სახელითაა ცნობილი.

<sup>1</sup> მისი ერთი რეცენზია, რომელიც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემის დასრულებას მოეძღვნა, ითარგმნა ქართულად (მთარგმნ. რ. ლამბაშიძე) და დაიბეჭდა „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ XVII ტომში, თბ., 1970, გვ. 365-369.

<sup>2</sup> ციტირებულია ა. შლაიხერის ნაშრომიდან „გერმანული ენა“, რომლის ერთ-ერთი ნაწილს რუსულ თარგმანი მოყვებულა ვ. ზევერინცევის წიგნი: «История языковедения XIX и XX веков в очерках и извлечениях, часть I, М., 1960, გვ. 94.



ვ. ჰუმბოლდტის ეს თვალსაზრისი ცარიელ ადგილას არ წარმოშობილა... ერეკლესული „ოცი საუკუნეა კაცობრიობის ისტორიაში ტრიალებს აზრი, რომ ესპანეთის პიზნიზაჰინენსა რგანდელი ძირითადი მოსახლეობა ქართველებს ენათესავება...“<sup>3</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში ბასკურს უკავშირებდნენ ურალურ-ალათაურ და ჩრდილო ციმბირის ე. წ. პალეო-აზიურ ენებს, უნგრულ-ფინურ თუ ინდო-ევროპულ ენებს...

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩნდება ფრ. მიულერის ცნობილი თეორია, რომლის თანახმადაც „კავკასიური ენები არ უკავშირდებიან ინდოევროპულ ენებს, მაგრამ მათ ვერც ურალურ-ალათაურ ენათა ოჯახს მიეკუთვნებათ. ჩანს, კავკასიური ენები — მსგავსად ბასკური საევროპის დასავლეთში — წარმოადგენენ გადმონაშთს გაცილებით უფრო დიდ ენათაჯგუფისა, რომელიც გავრცელებული იყო კავკასიის მხარესა და მის სამხრეთით მანამ, სანამ იქ სემიტური, არიული და ურალურ-ალათაური ტომები გავრცელდებოდნენ“ (დაყოფა ჩვენია — გ. ბ.)<sup>4</sup>.

ნ. მარი იყო პირველი ენათმეცნიერი ჩვენში, ვინაც ბასკური იბერიულ-კავკასიურ ენათა სამყაროს დაუკავშირა; მან ბასკური გააერთიანა იაფეტურ ენათა წრეში (იაფეტური თეორიის მესამე, მედიტერანისტულ, ეტაპზე).

1920 წ. ნ. მარი ერთ თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ ხმელთაშუა ზღვის მოსახლეობაში მესამე ეთნიკური ელემენტის იაფეტურობის დამამტკიცებელ ახლახან აღმოჩენილ საფუძველს ბასკები წარმოადგენენ<sup>5</sup>.

ნ. მარი ბასკურით მაშინ დაინტერესებულა, როცა ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მოგვიანებით კი მან რამდენჯერმე იმოგზაურა ბასკეთში. ამ მოგზაურობათა ანგარიში გამოქვეყნებულა<sup>6</sup>.

წერილში „ბასკური ენის იაფეტური წარმოშობის შესახებ“ ნ. მარი ხაზგასმით აცხადებს, რომ ბასკური იაფეტური ენაა და რომ ეს ნათლადა წარმოჩენილი ფონეტიკასა და მორფოლოგიაში, სახელდობრ, ზმნური წარმოების რთულ სისტემაში<sup>7</sup>.

ფონეტიკური დაკვირვებიდან აქ აღსანიშნავია: ბასკურში ორნაირი რ გვაქვს, მსგავსად სომხურისა... ბასკურში არც ერთი სიტყვა არ იწყება რ-თი, მას წინ აუცილებლად უნდა უძღოდეს ხმოვანი<sup>8</sup>.

<sup>3</sup> შ. ძიძიგური, სენათმეცნიერო საუბრები, თბ., 1975, გვ. 163.

ესპანეთის იბერებთან ქართულთა მონათესაობის უძველესი მოხსენების შესახებ ქართულ მწერლობაში იხ.: რ. სირაძე, „ესპანეთის ქართულთა“ უძველესი მოხსენება ქართულ მწერლობაში და მისი მნიშვნელობა (რამდენიმე შენიშვნა), „მნათობი“, № 3, 1971, გვ. 162-171.

<sup>4</sup> Fr. Müller, Über die sprachwissenschaftliche Stellung der kaukasischen Sprachen, II Bd., 1864, გვ. 535. ამის შესახებ იხ. არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965, გვ. 218-219.

<sup>5</sup> Н. Я. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидаании средиземноморской культуры, Избранные работы Н. Я. Марра, т. I, Л., 1933, გვ. 108.

<sup>6</sup> Н. Я. Марр, О яфетическом происхождении баскского языка, ИАН. 1920, გვ. 131.

<sup>7</sup> 1. Предварительный отчет о командировке в пределы древней Этрурии и Баскии, ИАН, 1921, გვ. 725-739; 2. Из поездки к европейским яфетидам (отчет по второй заграничной командировке, октябрь 1922—июнь 1923), Яфетический сборник (ЯС), т. III, გვ. 1-64.

<sup>8</sup> დასახ. შრ., გვ. 133.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 140; როგორც ცნობილია, ისტორიულად არც ქართულში უნდა გვექონოდა რ სიტყვის თავში.



ბასკურსა და იაფეტურ ენებს საერთო აღმოაჩნდათ შორფოლნიკის სისტემა კ ა უ ზ ა ტ ი ე ს ბასკურში აწარმოებს -რა-: ე-ქარ-რი „ტარება“, „ზიდვა“. მისი კალზატიური ფორმაა ე-რა-ქარ-რი; აფხაზურშიც იგივე შორფემა აწარმოებს კალზატივის და იქაც, ბასკურის მსგავსად, იგი პრეფიქსის სახითაა წარმოდგენილი<sup>10</sup>... უ დ ვ ლ ი ე ბ ა ბასკურში ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი ა ა ნ მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი, მსგავსად იაფეტური ენებისა!<sup>11</sup>... ლექსემა „თავი“ ბასკურში გამოიყენება ისეთი ზმნების საწარმოებლად, რომლებსაც უკუქცევითობის გაგება აქვთ; იგივე ლექსემა უკუქცევით ნაცვალსახელის მნიშვნელობითაც გვხვდება და მისგან იწარმოება „თავისი“ ისევე, როგორც ამას ვადასტურებთ ქართულსა, მეგრულსა, სვანურსა, აფხაზურსა, უდიურსა და რიგ სხვა იაფეტურ ენაში<sup>12</sup>... თელის სისტემა ბასკურში ოცობითია, მსგავსად სხვა იაფეტური ენებისა...<sup>13</sup>

ნ. მ ა რ მ ა ბასკურს სხვა სპეციალური წერილებიც უძღვნა: „ბასკური „udagara“ წყვილი სიტყვის შესახებ“<sup>14</sup>, „პრეფიქსული წარმოებისათვის ბასკურში“<sup>15</sup>, „პირინეის გურიიდან“<sup>16</sup>...

„პირინეის გურიიდან“ ნ. მარის უშუალო შთაბეჭდილებითაა დაწერილი. ბასკეთი მას აგონებდა საქართველოს, კერძოდ მის ერთ კუთხეს — გურიას. ბასკური სოფელი ტ ა რ დ ე ც ი კი თავისი ადგილმდებარეობით — გურიის სოფელ სურებს, ხოლო იქაური მდინარე — მდინარე სუფსას (მდინარეა გურიისში)...

საინტერესოა ამავე წერილში წარმოდგენილი ზოგი ენობრივი დავიკრებება: ს ს უ ლ ე ტ უ რ დიალექტში გვაქვს სამეულთა სისტემა ტ, დ, თ, კ, გ, ქ, ბ, ფ-ს სახით; მართალია, არა, გვაქვს ჭ, ჭ, ჩ... მაგრამ ჭ რამდენიმე სიტყვაში აშკარად ისმისო<sup>17</sup>... ბასკურისათვის უცნოა თანხმოვანთა თავყრა სიტყვის თავში... ბასკურს გააჩნია მიღრეკილება სრულხმოვნობისადმი, მსგავსად მეგრულ-ჭანურიისა<sup>18</sup>... მართალია, პრეფიქსული წარმოება ბასკურში არაა გავრცელებული, მაგრამ მას მნიშვნელოვანი როლი აქვს ზმნის უღვლილებისას<sup>19</sup>. იქვე ცალკეული ბასკური სიტყვა შედარებულია იაფეტურ ენათა შესაბამის ლექსიკურ მასალასთან, რასაც, აგრეთვე, ნ. მარის სხვა შრომებშიც ვხვდებით. ასე რომ, ბ ა ს კ უ რ ი ს ა დ ა კ ვ კ ა ს ი უ რ ი ე ნ ე ბ ი ს გ ე ნ ე ტ უ რ ი ნ ა თ ე ს ა ო ბ ი ს დ ა ნ ა ბ ლ თ ე ბ ი ს ც დ ა უ კ ვ ე ნ. მ ა რ თ ა ნ გ ვ ა ქ ე ს.

აი ამ თეორიის მიმდევარია რ. ლაფონი. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „მსგავსებები ამ ენებს შორის (იგულისხმება ბასკური და იბერიულ-კავკასიური ენები — გ. ბ.) ვერ აიხსნება ვერც შემთხვევითობით, ვერც სესხებით; ი ს ი ნ ი გ ე ნ ე ტ უ რ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა ს გ უ-

<sup>10</sup> იქვე, გვ. 135.

<sup>11</sup> იქვე.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 136.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 139.

<sup>14</sup> Н. Я. М а р р, Du terme basque u d a g a r a «loutre», ЯС, т. I, გვ. 1-30.

<sup>15</sup> Н. Я. М а р р, К вопросу о префиксных образованиях в баскском, ДАН, 1924, გვ. 159-162.

<sup>16</sup> Н. Я. М а р р, Из пиринейской Гурии (к вопросу о методе), Известия Кавказского Историко-Археологического Института, т. V, გვ. 1-62.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>18</sup> იქვე.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 47.

ლისხმობს. ბასკური, მომდინარე აკვიტანიურისა და ბასკონურისაგან, დაკავკასიური ენები ერთად ქმნიან ოჯახს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ეუსკარო-კავკასიური. ასეთია ჰიპოთეზა, რომელსაც იცავენ დიუმეზილი, ბოუდა და ლაფონი“ (გვ. 73; დაყოფა ჩვენია — გ. ბ.).

ამ ჰიპოთეზის ყველაზე უფრო თანმიმდევრული დამცველია კ. ულენბეკი<sup>20</sup>, ხოლო დღეს ამასვე იზიარებს ცნობილი კავკასიოლოგი და ბასკოლოგი, პოლონელი ენათმეცნიერი იან ბრაუნი.

კ. ულენბეკმა ერთ თავის ადრინდელ წერილში<sup>21</sup> ანატომიურ ტერმინებში ზამოყო გაქვევებულ პრეფიქსი ბ-. ი. ბრაუნი მას უკავშირებს, ერთი მხრივ, დაღესტურ ენათა შესაბამის მონაცემებს, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველურისას. აქ საყურადღებოა ისიც, რომ პრეფიქსული წარმოება აღმოაჩნდა სახელებსაც (რაც უძველესი მოვლენა ჩანს), მსგავსად ზმნებისა. პოლონელმა ენათმეცნიერმა ეს დაუკავშირა არნ. ჩიქობავას იდენტურ დებულებას, გამოთქმულს ქართველურ ენათა მიმართ.

საინტერესოა კ. ულენბეკის სხვა წერილიც, რომელშიც ბასკურის ძირეულ მორფემათა ანალიზია მოცემული<sup>22</sup>. მკვლევარს ბასკურში დაუდასტურებია CV და CVC ტიპის ძირეულმორფემიანი სახელები. აღსანიშნავია, რომ ამ სქემის მიხედვით სიტყვის თავში არ შეიძლება გვქონდეს რ;<sup>23</sup> CVC ტიპის ძირეულ მორფემათა ბოლოკიდური თანხმოვანი კი ვ, ლ, ნ ან დ-ა. ი. ბრაუნის აზრით, აქაც, თვალში საცემია ბასკურისა და ქართველურ ენათა შესაბამის მოდელთა (რაც არნ. ჩიქობავამ დაადგინა) მსგავსება. ე. ი. ბასკურის ძირეულ მორფემათა უძველესი მოდელი ამ თვალსაზრისით ძალიან ახლოსაა კავკასიურთან, ხოლო ასეთი სტრუქტურული სახის მსგავსება ან ი, ს სხვა მომენტებით ერთად, მეტად საგულთისხმოა, — დაასკვნის ი. ბრაუნი.

კ. ულენბეკს ავე ეკუთვნის გამონათქვამი: „ბასკოლოგიის მომავალი მის კავკასიურ ენებთან შედარებაშიაო“.

ეს არაა მხოლოდ კ. ულენბეკის თვალსაზრისი. ამასვე იზიარებდა რ. ლაფონი. მისი ზოგი ნაშრომის სათაურის უბრალო ჩამოთვლაც კი, რაც მოცემულია მისსავე შედგენილ ბიბლიოგრაფიაში (გვ. 76-84), ამ მხრივ სიმპტომატურია: „მორფოლოგიური ფარდობანი ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“, „ბასკური და კავკასიური გამოკვლევები“, „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“, „ბასკური და კავკასიური ენების შედარებისათვის. 1: პირის ნიშნები ბასკურ უღვლილებაში“...

<sup>20</sup> ქვემოთ კ. ულენბეკის ზოგ დებულებას (ი. ბრაუნის კომენტარებითურთ) წარმოვადგენთ იმ მოხსენების მიხედვით, რომელიც ი. ბრაუნმა წაიკითხა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1976 წლის 1 ივნისს.

<sup>21</sup> ესაა კ. ულენბეკის წერილი «Die mit b- anlautenden Körperteilnamen des Baskischen», «Festschrift Meinhof, 1927, რომელსაც ი. ზიცარი იმორწმუნს თავის სტატიაში «О родстве баскского языка с кавказскими», ВЯ, № 5, 1955, გვ. 57.

<sup>22</sup> ამიტომაც, რომ რ. ლაფონი ბასკური სიტყვის ძირისადმი მიძღვნილ ქვეთავში ძირითადად კ. ულენბეკის ნაშრომზე — „ბასკური ლექსიკის უძველესი ფენება“ — მითითებით მკაყოფილება (გვ. 92).

<sup>23</sup> უფრო ადრე ამაზე ნ. მარიც მიუთითებდა (იხ. ზემოთ, გვ. 165), რაც საკანგებოდ აღნიშნა ვ. შიშპარიოვმა (В. Шишпариев, Очерки по истории языков Испании, М.-Л., 1941, გვ. 9).



როგორც ჩანს, ეს ბიბლიოგრაფია სრული არ არის. ამიტომაც, როგორც თვით შემდგენელი უწოდებს „ზოგად ბიბლიოგრაფიას“. აქ არაა შეტანილი, მაგალითად, რ. ლაფონისავე „ბასკურ-კავკასიური შესატყვისობანი“ („Correspondances basques - caucasiques“, 1948); სადაც ავტორი ცდილობს დაადგინოს ბგერათმესატყვისობანი ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის. ამ ნაშრომში რ. ლაფონს გარკვეული ენობრივი კანონი ჩამოუყალიბებია<sup>24</sup>, რის საფუძველზეც ბასკურში აღმდგარა აბრუპტივიზმი, რაც ბასკურს არ გააჩნია, მაგრამ ისტორიულად უნდა ჰქონოდა.

თვით ი. ბრაუნი ბასკურ-კავკასიურ ჰიპოთეზას მეტად დამაჯერებლად მიიჩნევს<sup>25</sup> ამიტომაც გამოყოფს იგი ბასკურს, როგორც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ერთ-ერთ წევრს, სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილ ამ ენათა სხვა ქვეჯგუფების გვერდით.

ეს მოკლე მიმოხილვაც, ფიქრობთ, ნათელს ხდის, რომ ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა მეცნიერულია. ამას უცხოელი მეცნიერები კარგა ხანია ასე თვლიან, ჩვენ კი ჩამორჩენა ვეძვეს. მართალია, ჯერ კიდევ 1955 წელს არს. ჩიქობავას წერილში „იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ორი ძირითადი საკითხის შესახებ“ გარკვევითაა ჩამოყალიბებული იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების პოზიცია ამ პრობლემის მიმართ, რაკი წერია, რომ „საკითხი ბასკურსა და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის კავშირის შესახებ დადებითად წყდება“<sup>26</sup>, მაგრამ პრაქტიკულად ამ უკანასკნელ ხანამდე ჩვენში თითქმის არაფერი გაკეთებულა<sup>27</sup>.

ამ თვალსაზრისით სარეცენზიო კრებულის — „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის“ — გამოსვლა, რომელიც, როგორც ამას ანოტაციაში ვკითხულობთ, განკუთვნილია ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, მეტად დროულია. იგი უშუალოდ მისცემს ბიძგს ქართველ ენათმეცნიერ-კავკასიოლოგებს, რათა პრაქტიკულად დაინტერესდნენ ამ პრობლემით და თავიანთი წვლილი შეიტანონ მის გადამწყვეტაში, რაც „ჩვენი მეცნიერების ღირსების საქმეა“ (გვ. 8).

კრებული იხსნება რ. ლაფონის წერილით „ბასკური ენა“, რომელიც ბასკური ენის ყველა მხარეს ეხება, მართალია, ზოგს — მეტად კომპაქტურად.

<sup>24</sup> ამდენად, ენათმეცნიერებაში კარგად ცნობილ კ. ვერნერის კანონის მსგავსად, საჭიროა რ. ლაფონის კანონიც ვენოთო — ვანცხადა ი. ბრაუნმა რ. ლაფონის ზემოთ აღნიშნული ნაშრომის ძირითად დებულებათა ანალიზისას იმავე მოხსენებაში.

<sup>25</sup> რაც მეტად ანგარიშგასაწევეა, რადგან ი. ბრაუნის სახით, როგორც ეს აღნიშნა ი. ბრაუნის მოხსენების შემდეგ სიტყვით გამოხუტა არს. ჩიქობავამ, ჩვენ გვყავს მკვლევარი, რომელიც ხედავს იმას, რასაც ვერ ხედავს ცალკე კავკასიოლოგი და ცალკე ბასკოლოგი. ესაა ის ბენდიერი შემთხვევა, როცა ბასკოლოგი კარგად, დამოუკიდებლად აანალიზებს ორივეს — ბასკურსა და კავკასიურ ენათა მონაცემებს, — დასძინა არს. ჩიქობავამ.

<sup>26</sup> Вопросы языкознания, № 6, 1955, გვ. 92.

<sup>27</sup> მხოლოდ გასულ წელს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილებასთან შეიქმნა ბასკური ენის მოყვარულთა საზოგადოება (თავმჯდომარე აკად. შ. ძიძიგულა ი. მოადგილე პროფ. ი. ტაბალუა). გასულ წელსვე, სამუთოა კავშირში პირველად, ჩვენი უნივერსიტეტის ქართულურ ენათა განყოფილება დაიწყო ბასკურის ფაქულტატური სწავლება.



ნაშრომის „შესავალი“ ჩამოთვლილია ის სამეცნიერო ცენტრები, რომლებშიც ბასკური ენა შესისწავლებოდა და შესისწავლება დღესაც. „შესავალიდანვე“ ვიგებთ, რომ ბასკური ენისა და ლიტერატურის პირველი კათედრა ბორდოს უნივერსიტეტში გახსნილა 1948 წ.<sup>28</sup> და სხვ.

პირველი თავი (გვ. 10—14) ეთმობა იმ შრომათა მიმოხილვას, რომლებიც 1918 წლამდე გამოიცა ბასკურის შესახებ. რ. ლაფონი განსაკუთრებით გამოყოფს პ. შუხარდის ნაშრომს „გამოკვლევა ბასკურის შესახებ“<sup>29</sup>. ეს „ყველაზე უფრო ღრმაა იმ დაკვირვებათაგან, რომლებიც კი მოუციათ ბასკური ზმნური სისტემის აგებულების შესახებ“ (გვ. 11), — წერს იგი. ასევე ცალკეა გამოყოფილი ბონაპარტის „ბასკური ზმნა“<sup>30</sup>.

მეორე თავში განხილულია „ბასკური ენის შესახებ გამოკვლევები 1918 წლისათვის (გვ. 14-21). აქ ვიგებთ, რომ ჟურნალ „ბასკური გამოკვლევების საერთაშორისო მიმოხილველში“ (რომლის გამოცემა დაწყებულია 1907 წ., ხოლო შემწყდარა 1936 წ. ესპანეთის სამოქალაქო ომის გამო) აქვეყნებდნენ თავიანთ სტატიებსა თუ რეცენზიებს შუხარდტი, ულენბეიკი, ვენსონი, ლაკომბი, ურკიხი და სხვ. ამავე ჟურნალს დაუწყია ფილოლოგთათვის ძნელად ხელმისაწვდომი ბასკური ტექსტების გამოცემა კომენტარებითურთ.

ცალკე ქვეთავებადაა გამოყოფილი „სტრუქტურალიზმის შექრა ბასკურის შესახებ გამოკვლევებში“ და „ენის შესავალი-პერიოდიკა“. პირველში რ. ლაფონის მეთოდოლოგიურს სახის ძიებას ვეცნობით<sup>31</sup> და, აგრეთვე, იმ ვზას, რომელმაც მიიყვანა იგი ქართული და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების შესწავლამდე, აი, რას წერს ამ უკანასკნელის შესახებ თვით რ. ლაფონი: „მე გადაწყვიტე შემეწავლა ქართული და შემდეგ სხვა სანხრეთ კავკასიური ენებიც, რომლებიც ენათა კარგად განსაზღვრულ, ერთ ჯგუფს ქმნიან. ჩემი გეგმები წერილით შევატყობინე მ. კონს<sup>32</sup> 1926 წელს და მან, მეიეს თანხმობით მომიწოდა მოქმედებისაკენ. მან მირჩია ბასკურშიც ჩამეხედა და შემეფასებინა მარის თეორია ბასკურისა და კავკასიური ენების გენეტური ნათესაობის შესახებ“ (გვ. 18).

<sup>28</sup> რომლის კათედრის გამგედაც რ. ლაფონი ვარდაცალკეაზღვე მუშაობდა.

<sup>29</sup> H. Schuchardt, *Baskische Studien*, 1893. როგორც თვითონ პ. შუხარდტი შენიშნავს, იგი ბასკურზე მუშაობამ მიიყვანა შემდგომ კავკასიურ ენებთან (არნ. ჩ ი ჰ ბ ა ვ ა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი, გვ. 262).

<sup>30</sup> ბონაპარტმა შეადგინა „შვიდი ბასკური პროვინციის რუკა“, რომლითაც იგი ლინგვისტური გეოგრაფიის ერთერთი ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოსო — უწერს რ. ლაფონი (გვ. 14). მართლაც, ე. თ. ი. ე რ ო ნ ი ს ა და ე. ე დ მ ო ნ ი ს (რომლებსაც თვლიან დრანგული ლინგვისტური გეოგრაფიის ფუძემდებლებად) თორმეტტომიანი „საფრანგეთის ლინგვისტური ატლასის“ პუბლიკაცია 1902 წ. დაიწყო და დასრულდა 1910 წ., როცა ბონაპარტის რუკა დათარიღებულია, მართლაც, 1864 წლით, მაგრამ უნდა დასრულებულიყო 1871 ან 1872 წ. (იქვე). ისე კი ლინგვისტური გეოგრაფიის ძირითადი პრ. ნციპები ცნობილი იყო უფრო ადრეც (გამოწველივით სხ.: Д. И. Эдельман, *Основные вопросы лингвистической географии (на материале индоиранских языков)*, М., 1968.

<sup>31</sup> მავალითად, გვ. 16-ზე ციტირებულია ა. მარტინე იმასთან დაკავშირებით, თუ რა სამსახურის გაწევა შეუძლია შედარებით გრამატიკისათვის სტრუქტურულ ენათმეცნიერებას საზოგადოდ და ბასკურისათვის კონკრეტულად: „ბასკურის ფაქტებიც მრავალმხრივია დიალექტური მონაკლებების მიხედვით, მაგრამ ერთიანია სტრუქტურული თვალსაზრისით“ (იქვე).

<sup>32</sup> მარსელ კონი ა. მეიესთან ერთად ხელმძღვანელობდა ენათმეცნიერთა იმ ჯგუფს, რომლებმაც 1924 წელს გამოსცეს კრებული „მსოფლიო ენები“ (გვ. 18).



მეორე ქვეთავში ბასკური ენის შესახებ დაწერილ ზოგ სტატიებზეა ცნობები და ჩამოთვლილია ის სამეცნიერო ურნალები, სადაც იბეჭდებოდა ან იბეჭდებოდა ახლა მასალები (სტატიები) ბასკურის შესახებ.

მესამე თავში (გვ. 21-22) მიმოხილულია ბასკური ენის გრამატიკები. აღნიშნულია, რომ „ყველა, ვისაც კი „ბასკურის გრამატიკა“ დაუწერია 1918 წლამდე თუ 1918 წლის შემდეგ, ეყრდნობოდა რომელიმე გარკვეული ნორმების მქონე დიალექტს. ე. წ. „სალიტერატურო დიალექტს“ და რომ „ეს ის დიალექტებია, რომლებზედაც ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნებოდა“ (გვ. 21).

მეოთხე თავშია „ბგერათა სისტემა: ფონოლოგია, პროსოდია, ვერსიფიკაცია“ (გვ. 22-31). აქ ჯერ ბასკურის ბგერათა სისტემის შესახებ დაწერილი შრომების მიმოხილვია, ხოლო შემდეგ ფონოლოგიური გამოკვლევებისა, სადაც სინქრონიული და დიაქრონიული ფონოლოგია ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

ბასკურის ბგერითი სისტემის დახასიათებისას უზრაღლებას იქცევს ავტორის დაკვირვება, რომ „ბასკური სიტყვა არასოდეს იწყება r-ით<sup>33</sup>, არც რბილითა და არც მავარი r-ით, ამიტომ როცა ბასკური r-ით დაწყებულ სიტყვას სესხულობს, მას აუცილებლად ემატება წინ პროთეტული ხმოვანი (ჩვეულებრივ a ან e) და r-ც მავარი ხდება“ (გვ. 25). აღსანიშნავია, რომ რ და რრ ფონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან (იქვე), თუმცა რრ ინტერვოკალურ პოზიციაში ჩანს მუდამ და ამდენად იგი უფრო ვარიანტი უნდა იყოს რ-სი, ვიდრე დამოუკიდებელი ფონემა.

„ბასკურ სიტყვას არა აქვს ორმაგი თანხმოვნები“ (გვ. 26). ყველაზე მდიდარი და რთული ფონეტიკური სისტემა სულეტურ დიალექტშია. აქ, განსხვავებით სხვა დიალექტებისაგან, რომლებშიც მახვილს არა აქვს გარკვეული ადგილი, მახვილი ინტენსიურია და ამავე დროს ტონურიც; იგი ძირითადად ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის. თუ მახვილი ბოლო მარცვალზე შეგვხვდა, მაშინ ხმოვანია სინკოპირებული და შესაძლებელი ხდება ადრინდელ ფორმათა რეკონსტრუქცია. მახვილს ზოგჯერ დისტინქციური, მორფოლოგიური მნიშვნელობა აქვს და სხვ.

ქვეთავში „დიაქრონიული ფონოლოგია“ u-საგან ü-ს მიღება ახსნილია როგორც u-ს პალატალიზაციისაკენ მოქმედი ტენდენცია, რაც ყველაზე მეტად სულეტურ დიალექტში იჩენს თავს და გამოწვეულია ბასკურის იმ ენებთან კონტაქტით, რომელთაც ü ხმოვანი აქვთ.

ცალკე ქვეთავი ეთმობა ბასკურის ლექსთწყობის საკითხებს.

მეხუთე თავი ბასკურის მორფოლოგიის ძირითად საკითხებს ეძღვნება (გვ. 31-51). აღნიშნულია, რომ ბასკურში სიტყვის ანალიზი ძნელი არაა, რადგან იგი ძირითადად აგლუტინაციის პრინციპს მიმართავს. უღვლილებისას გამოყენებულია პრეფიქსები და სუფიქსები, ბრუნებისას კი — მხოლოდ სუფიქსები.

ოციოდე სტრიქონი ეთმობა ბასკური ძირის საკითხს. მითითებულია, რომ ბასკური ძირების სტრუქტურა წარმოდგენილია კ. ულენბეკის 1942 წ. გამოქვეყნებულ გამოკვლევაში, რომელიც ფრანგულად ითარგმნა 1947 წ. სათაურით „ბასკური ლექსიკის უძველესი ფენები“.

<sup>33</sup> ამის შესახებ იხ., აგრეთვე, ზემოთ, გვ. 165.

ქვეთავში „კატეგორიები“ (გვ. 32-33) ბასკური ენის ბრუნვის ნიშნები ტაბულა მოცემული. ცალკე ქვეთავი ეთმობა „ბრუნებასა“ (გვ. 33-37) და „ზმნას“ (გვ. 37-51).

ბრუნებისას აღსანიშნავია ერგატივის მჭონებლობა და აყუხატივის არქონა. ატრიბუტული ზედსართავი არსებითი სახელის შემდეგ დაისმის (elxe berri „სახლი ახალი“), მსავასად ძველი ქართულის ნორმისა...

ბასკურ ზმნაში სუბიექტის გარდა მორფოლოგიურად ობიექტიც აღინიშნება. ბასკური გარდამავალი „ზმნები შეიცავენ ერგატივში დასმული მოქმედის ნიშანს ან მოქმედების საგნის ნომინატივის ნიშანს“ (გვ. 39)<sup>34</sup>, ხოლო გარდაუვალი ზმნები „...ულვლილებაში არ შეითანხმებენ სახელს ან ნაცვალსახელს ერგატივში“ (იქვე), დაახლოებით ისევე, როგორც ქართველურ, ნახურ, დალესტნურ ენებსა და ადიღურში.

ბასკურის პირიანი ფორმები, „რომლებიც განსხვავდებიან დროთა და კილოთა მიხედვით, შესაძლოა შეიცავდნენ ერთიდან ოთხამდე პირის ნიშანს“ (გვ. 41). ასეა დღეს იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, მავალითად, ადიღურშიც<sup>35</sup>.

დღეს უღვლილებისას ბასკურში რთული ფორმები ქარბობს; ისინი შედგებიან ძირითადი ზმნის უპირო ფორმისაგან + ერთ-ერთი მეშველი ზმნის (როგორცაა „ყოფნა“, „გადაქცევა“, „ქონა“, „კეთება“) მარტივი პირიანი ფორმისაგან. რ. ლაფონი შენიშნავს: „თანამედროვე სალიტერატურო ლაბურდულში მარტო რვა ზმნაა დარჩენილი ისეთი, მეშველი ზმნების გამოკლებით, რომელსაც გარკვეული მარტივი დროების წარმოება შეეძლოს. მეთექვსმეტე საუკუნეში კი ორმოცდაათამდე ასეთი ზმნა მინც იქნებოდა“ (გვ. 43). ავტორის ეს დაკვირვება დაფძქმებულია მის სპეციალურ მონოგრაფიული სახის გამოკვლევაზე „ბასკური ზმნის სისტემა XVI საუკუნეში“<sup>36</sup>. რომელიც ბორდოს უნივერსიტეტმა გამოსცა ორ ტომად 1943 წ. და ფასეულია სინთეტურ ფორმათა ანალიზურით შეცვლის ისტორიის თვალსაზრისითაც.

მეექვსე თავი სინტაქსს ეძღვნება (გვ. 51-63). იბერიულ-კავკასიურ ენათა თვალსაზრისით სინტერესოა ის, რომ „სინტაქსური ურთიერთობანი აღინიშნება ზმნის პირიან ფორმებზე აფიქსების დართვით და არა დამოუკიდებელი სიტყვების მეშვეობით (ნაცვალსახელებითა და მაქვემდებარებელი კავშირებით)“. ასეა დღეს იბერიულ-კავკასიურ ენათა იმ წყებაში, სადაც ჰიპოტაქსი ჯერ არ განვითარებულა.

ავტორი არ გამოორიცხავს ფრანგულ, ესპანურ და იტალიურ სინტაქსურ კონსტრუქციათა შესვლას ბასკურში, მაგრამ დასძენს, რომ „მათი როლი ძალზე შეზღუდულია“ და „ხშირად ბასკური წინადადების სტრუქტურა იმდენად განსხვავებულია რომანული წინადადების აგებულებისაგან, რომ სრულიად გამოორიცხავს მიბაძვის ან შერწყმის შესაძლებლობას“ (გვ. 52).

მეშვიდე თავი „ლექსიკას“ ეთმობა (გვ. 63-64). რ. ლაფონის აზრით, „ბასკურსა და მასთან უთუოდ დაკავშირებულ კავკასიურ ენებს“

<sup>34</sup> გვ. 36-ზე მთარგმნელის შენიშვნაა: „ავტორი ე. წ. გარდამავალი ზმნების სუბიექტსა და ობიექტს აღნიშნავს ტერმინებით: მოქმედი (agent) და მოქმედების მიმღები (recipient)“.

<sup>35</sup> Г. В. Рогова, З. И. Керашева, Грамматика адыгейского языка, Краснодар-Майкоп, 1966, გვ. 163.

<sup>36</sup> R. Lafon, Le système du verbe basque au XVI siècle. 2 vols. Bordeaux, 1943, 549 და 171 გვ.



სიურ ენებს აქვთ საერთო წარმომავლობის სიტყვები (დაყოფა ჩვენია — გ. ბ.), თუმცა ბასკურში ბევრია ქამიტურ-სემიტურისა, გერმანიკურისა და კელტურისაგან და განსაკუთრებით ლათინურისაგან ნა-სესხებიც. ეს გასაგებია, რაკი ამ ენებზე ლაპარაკობდნენ ძველად პირინეებში, ალპებსა და სარდინიაში; განსაკუთრებით მკიდრო კონტაქტი ჰქონდა ბასკურს რომანულ ენებთან.

მერვე თავშია „დიალექტოლოგია, რუკები, ტექსტები“ (გვ. 65-67), ხოლო მეცხრეში — „ბასკურის წარმომავლობის პრობლემა“ (გვ. 67-76).

რ. ლაფონი ბასკურის იბერიულიდან წარმომავლობას უარყოფითად ეკიდება. იგი პირდაპირ წერს: იბერიული დამწერლობის გამოყვანამ, რომელიც შეასრულა მანუელ გომეს მორენომ (1922 წ.), „ნათელყო, რომ ბასკური აგრძელებს აკვიტანიელებისა და ბასკონიელების ენას და არ მომდინარეობს იბერიული სიგანა“ (გვ. 67; დაყოფა ჩვენია — გ. ბ.); ან კიდევ: „ჩვენ შეგვიძლია იბერიული ტექსტების წაკითხვა, მაგრამ არ გვემის მისი მნიშვნელობა. არა გვაქვს ორენოვანი ტექსტები, ვერც ბასკურის დახმარებით მოხერხდა იბერიულის გაგება“ (გვ. 70).

ამდენად, ბუნებრივია მისი დასკვნაც: „კვლევის თანამედროვე ეტაპზე შეუძლებელია დაეასკვნათ, რომ ბასკური იბერიული სიგანა მომდინარეობს; თუმცა სრულიად კანონიერი იქნება ვივარაუდოთ, რომ ამ ორ ენას შორის არსებობს ნათესაური კავშირი, კავშირი უფრო შორი და არაპირდაპირი, ვიდრე უშუალო ჩამომავლობა“ (გვ. 71); „ერთადერთი ენები, რომლებიც შედარებითი მეთოდის წესების მიხედვით შეიძლება შევუდაროთ ბასკურს, არის კავკასიური ენები“ (ხაზი ჩვენია — გ. ბ.).

მიუხედავად ასეთი ღრმა რწმენისა, რ. ლაფონი მართებულად მოითხოვს „გეოგრაფიულად ასე დაშორებულ ენებს შორის შედარებათა დადგენის დროს“ სიფრთხილეს: „როდესაც ცვდილობთ აღმოვაჩინოთ ან დავადგინოთ გენეტური კავშირი დასავლეთ ევროპაში ჩარჩენილ ბასკურსა და სხვა მისგან დაშორებულ ენებს შორის, უნდა ვიმოქმედოთ მეთოდურად, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, ნელა. მაგრამ თუ შესწავლის პროცესში შევეპყრებით მორფოლოგიური ან ლექსიკური ხასიათის მსგავსებებს, ისინი აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რათა შემდგომში კვლევამ გადაწყვიტოს, შესაძარჩუნებელია ისინი თუ უკუისაგდები“ (გვ. 76; დაყოფა ჩვენია — გ. ბ.).

რ. ლაფონის ამ წერილს თან ერთვის ზოგადი ბიბლიოგრაფია (გვ. 76-82), რომელსაც „ბოლოს ერთვის ბასკურის წარმომავლობის პრობლემისადმი მიძღვნილი ცალკე ბიბლიოგრაფია“ (გვ. 62-84).

ბუნებრივია, ასე მოკლე ბიბლიოგრაფიაში ყველა ნაშრომი ვერც მოხვდებოდა. ასე, მაგალითად, რ. ლაფონის ერთ სპეციალურ ნაშრომზე ზემოთაქვითქვა. ბიბლიოგრაფიაში ვერ მოხვდა, აგრეთვე: K. Bouda, *Das transitive und intransitive Verbum im Baskischen*, Amsterdam, 1933. H. Schuchardt, *Primitiae linguae vasconum*, Halle, 1923...<sup>37</sup> C. C. Uhlenbek, *Die mit b-*

<sup>37</sup> ე. ბოუდასა და კ. შუხარდტის აღნიშნულ ნაშრომებზე მიუთითებს გ. შიშმაროვი (იხ. მისი: *Очерки по истории языков Испании*, გვ. 41).

anlautenden Körperteilnamen des Baskischen, „Festschrift Meinhof“, Famburg, 1927...

რ. ლაფონის მეორე წერილში „ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება“ (გვ. 85-98) ბასკური და კავკასიური ენათმეცნიერება ცალ-ცალკეა მიმოხილული. პირველის მიმოხილვისას ავტორი ეხება ბასკურის დიალექტებად დაყოფისა და დამწერლობის საკითხებს, ასევე ბასკურის სწავლებასა და შესწავლას უცხოეთში.

კავკასიური ენათმეცნიერების მიმოხილვისას რ. ლაფონი იხსენებს თავის ურთიერთობას ქართველ ენათმეცნიერებთან ა. შანიძესთან, არნ. ჩიქობავასთან, ვ. თოფურისთან, ქ. ლომთათიძესთან, გ. როგავასთან, ილ. ცერცვაძესთან და სხვებთან. იგი შალალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავკასიოლოგთა და, კერძოდ, ქართველ კავკასიოლოგთა მუშაობას. მისი აზრით, „საბჭოთა კავკასიოლოგები, რომელთაგან უმთავრესს ძალას ქართველები შეადგენენ, ენათმეცნიერთა ერთ-ერთი საუკეთესო ბირთვია მსოფლიოში“ (გვ. 91).

რ. ლაფონი ამ წერილში კვლავ უბრუნდება ბასკურისა და კავკასიურ ენათა ნათესაობის საკითხს: „ზოგი ენათმეცნიერი საკამათოდ ხდის წარმოდგენილი არგუმენტების დამაჯერებლობას, და საერთოდ ბასკურის სხვა ენებთან ნათესაობის საკითხსაც ეჭვის თვალით უყურებს. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს მათ ვკითხოთ, როგორ ფიქრობენ ახსნან ზუსტი ფონეტიკური შესატყვისობები, რომლებიც შენიშნულია ბასკურსა და კავკასიურს შორის და რომელთაც ვერ მივაწერთ ვერც შემთხვევითობას და ვერც სესხებას“ (გვ. 93).

რ. ლაფონი ეთანხმება არნ. ჩიქობავას, რომ გეოგრაფიულად ერთიმეორისაგან ძლიერ დაშორებული და ამყამად განსხვავებული სტრუქტურის მქონე ენების ნათესაობის მტკიცებისას „საჭიროა ენათა ისტორიის დიდ სიღრმეზე გათხრა“; ამისათვის კი კავკასიოლოგები უნდა ვაზიაროთ ბასკურ ენათმეცნიერებას, ხოლო ბასკოლოგები — კავკასიურსო.

ბასკურ-კავკასიურ ენათა ურთიერთობა დიდი პრობლემაა, — დასკვნის ავტორი და თავის წერილს ამთავრებს არნ. ჩიქობავას გამონათქვამით: „ცნობილია, რომ დიდი პრობლემები ერთი ხელის მოსმით ვერ გადაწყდება. ისიც ცნობილია, რომ ისინი ვერასოდეს გადაწყდება, თუ არ იქნა დასმული“ (დაყოფა ჩვენია — გ. ბ.).

წერილს თან ერთვის ბიბლიოგრაფია, სადაც შეტანილია „საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ გამოქვეყნებული წიგნები და ჟურნალები, რომლებიც ეხება ბასკურ ენათმეცნიერებას, კავკასიურ ენათმეცნიერებას, ან ორივეს ერთად“ (გვ. 95) და ორი სტროფი ბერნარდ დე ჩეპარეს უძველესი (1545 წ.) ბასკური წიგნიდან *Linguae Vasconum Primitiae* თავდაპირველი გამოცემის მიხედვით.

დაინტერესებული მკითხველისათვის საინტერესო იქნება ბასკური დამწერლობის ნიშნუშისა (რომელიც ქართული ტრანსლიტერაციითაცაა წარმოდგენილი) და მისი შესაბამისი ქართული თარგმანის გაცნობაც<sup>38</sup>.

არნ. ჩიქობავას წერილი „ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები“ რ. ლაფონის სამეცნიერო ნაღვაწის შეფასებაცაა და იმავდროულად ბასკურ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის პრობლემათა გადაწყვეტის გზებზეცაა სახავეს.

<sup>38</sup> ნ. მარსაც ასევე ჰქონდა მოყვანილი ბასკი პოეტის აჩობიას ლექსიდან ერთი სტროფი (იხ. მისი „პირინის გურიიდან“).

წერილში რ. ლაფონი დახასიათებულია როგორც „ბასკური ენის გამოჩენილი მკვლევარი და ქართული ენის პრაქტიკულად მცოდნე, მკვლევარიც“. არნ. ჩიქობავა ჩერდება რ. ლაფონის ერთ ნაშრომზე „მორფოლოგიურ შეხედვრები ბასკურსა და კავკასიურ ენებს შორის“ და განიხილავს იმ მეთოდოლოგიურ საკითხებს, რასაც ეს წერილი აღძრავს.

არნ. ჩიქობავა წერს „შედარების მიზანი ყოველთვის იყო და ახლაც არის იმის გარკვევა, თუ რაა ენებს შორის საერთო და რაა განსხვავებული, ოღონდ ხან წინა რიგში დგას საერთოს კვლევა, ხან კიდევ ჯერ განსხვავებული მოექცევა ყურადღების ცენტრში, რომ შემდეგ საერთო იკვლიონ და ზოგადი კანონზომიერება გამოავლინონ“ (გვ. 102; დაყოფა ავტორისაა — გ. ბ.).

ენათა შედარება ძნელია. როცა სიღრმისეულ ვითარებას ვარკვევთ, ადვილია ზედა ფენების შედარება. „შესადარებელი ფაქტების ადგილის გარკვევა სათანადო ენის სისტემასა და ისტორიაში. აი ეს იგულისხმება, როცა ისტორიის ღრმა ფენების გათხრაზე ვლაპარაკობთ და სიღრმისეულ მოვლენათა შედარებას ვთვლით საჭიროდ“ (გვ. 104; დაყოფა ავტორისაა. — გ. ბ.). — განაგრძობს ავტორი.

ამ თვალსაზრისით იკვლევდა და იკვლევს ცალკეულ ენებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება. მხოლოდ იბერიულ-კავკასიურ ენათა ცალკეული ჯგუფების ისტორიულ-შედარებითი ფონეტიკისა და მორფოლოგიის მეცნიერული საფუძვლიანობით დამუშავების შემდეგ „შეგვეძლება იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიულ და ვინახოთ და ბასკურის ასეთსავე ძველ ვითარებას შევუდაროთ“ (გვ. 105; დაყოფა ავტორისაა, — გ. ბ.).

ამგვარ თვალსაზრისს იზიარებდა რ. ლაფონიც.

ბასკური და კავკასიური ენები ერთმანეთთან ახლოსაა. ამ სიახლოვეს „გრძნობდნენ ფრ. მიულერი, პ. შუხარდტი, კ. ულენბეგი, ნ. მარი ...სხვადასხვა სტილისა და მეთოდის მკვლევარნი“ (გვ. 102). ამ გრძნობას კი „განსაზღვრავდა ენობრივი სისტემის შინაგანი ფორმა: ამ მხრივ ეხმარება, პირველ ყოვლისა, ბასკური ენა იბერიულ-კავკასიურს: ნაწევრის პოსტბოზიცია, ერგატიული ბრუნვა, ობიექტის აღნიშვნა ზმნაში, თვლის ოცობითი სისტემა... ცალ-ცალკე ასეთი მოვლენა შეიძლება რავინდარა ენაში აღმოჩნდეს... ნიშანთა კომპლექსი კი სხვაა“ (გვ. 106; დაყოფა ავტორისაა. — გ. ბ.)<sup>39</sup>.

ბასკურ-კავკასიური ენების ურთიერთობისა და წარმომავლობის საკითხი ძნელია, მაგრამ „ძნელი შეუძლებელს არ იშნავს“ (გვ. 109). ცნობილია, რომ „ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება. ჰიპოთეზა კვლევადი-

<sup>39</sup> ვ. შიშარიოვიც, მიუთითებდა რა ბასკურში თვლის ოცობით სისტემაზე, ავრთვე, ლექსება „თავის“ უკუქცევითობის ფუნქციით ერთნაირად გამოყენებაზე ბასკურსა და რიგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, რაც ჯერ კიდევ ნ. შარმა შენიშნა (იხ. ზემოთ, გვ. 166), აღნიშნავდა: „თელა ბასკურში, ისევე როგორც იაფეტურ ენებში ოცობითა. ულენბეგი ამ ვითარებას არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, რაკ ეს სისტემა გვხვდება იაფეტურ ენათა შორის მიღმა. მაგრამ სხვა დანალოგებთან ერთად ეს თვისება იქნეს მნიშვნელობას და შეიძლება იყოს ნიშანდობლივიც“ (В. Ш и ш м а р е в, Очерки по истории языков Испании, გვ. 10; დაყოფა ჩვენია — გ. ბ.).

ბას მოითხოვს. ჰიპოთეზა გამართლებულია, თუ ამ კვლევებში ებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, — თუ ახალი პერსპექტივები დასახა“ (გვ. 109; დაყოფა ავტორისაა. — გ. ბ.).

ბასკურ-კავკასიური ურთიერთობის პრობლემებზე მუშაობა მოითხოვს კავკასიოლოგ-ბასკოლოგის რთული პრობლემის სპეციალისტს: „ის უნდა ერკვეოდეს ქართული ენის ისტორიაში, მთის ძირითად იბერიულ-კავკასიურ ენებში (სამივე ჯგუფიდან თითოში მაინც; აფხაზურში ანდა ადიღურ ენებში, ჩაჩურსა ანდა ბაცურში, ხუნძურში ანდა ლაურ-დარგულში, ანდა ლეზგიურსა თუ არჩიულში...), ერკვეოდეს თეორიულ ენათმეცნიერებაში იმდენად, რომ ახალ თეორიებსა და ცნებებში ფასეული გაარჩიოს მოდურისაგან“ (იქვე)...

1940 წ. რომანულ ენათა ცნობილი სპეციალისტი აკად. ე. შიმმარიოვი წერდა, რომ ბასკოლოგია ამჟამად მსოფლიო მეცნიერების პრობლემას წარმოადგენსო.

ამასვე აღნიშნავს აკად. არნ. ჩიქობავა დღეს კავკასიოლოგიის მიმართ.

ამდენად, ვასაგებია, თუ რაოდენ რთული და პასუხსაგებია ზემოთ დასახული ამოცანა. ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მეცნიერულ გადაწყვეტას მუშაობის მდგომარეობა შრომა დასჭირდება არაერთი კავკასიოლოგ-ბასკოლოგისა. სამუშაო საშუაია, მაგრამ არა საჩქარო. ნაჩქარევ დასკვნებს თუ რაოდენ მცდარ თვალსაზრისამდე მიუყვანია ხშირად ენათმეცნიერება, ქართული (ქართველურ ენათა) ენის სხვადასხვა ენობრივ ოჯახთან განკუთვნიების ისტორიაც გვეუბნება<sup>40</sup>.

მაგრამ ისიც ცხადია, როგორც ამ კრებულის რედაქტორი წერს ერთგან, „ძნელი საკითხი არასოდეს გადაწყვეტება, თუ ის არ დაისვა, თუ ის კვლევების საგანი არ გახდა“ (იქვე; დაყოფა ავტორისაა. — გ. ბ.).

კრებულის — „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის“ — გამოცემა უპირველესად ამ ამოცანას ემსახურება.

<sup>40</sup> ასე, მაგალითად, ამ ბოლო დროს ვ. მ. ილიჩ-სვიტიჩმა ქართველურ ენები ე. წ. ნოსტრატულ ენებში გაერთიანა. იგი ამის თაობაზე პირდაპირ აცხადებს: „ამ ენობრივ ჯგუფების (მხედველობაში ინდოევროპული, ალათური, ურალური, დრავიდული, ქართველური და სემიტურ-ჩამიტური ენები — გ. ბ.) შედარება (უკეთ, შედარება შესაბამისი რეკონსტრუირებული ენები წინაშე ენის) აშკარად მოწმობს მათ ნათესაობას“ (В. М. Иллич-Свитич, Материалы к сравнительному словарю ностратических языков, კრებული: Этимология, 1965, М., 1967, გვ. 21). თუ რამდენად შესაძლებელია ქართველურ ენათა გაერთიანება ინდოევროპულ, ალათურ, ურალურ, დრავიდულ და სემიტურ-ჩამიტურ ენებთან, მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების გარეშე, არას ვამბობთ სხვა მომენტებზე, მართებულად აქვს შენიშნული ბ. ლიხტას (Б. А. Почуха, Грузинская лексика в «Ностратическом словаре», ВЯ, № 6, 1974, გვ. 100-105).

## ძროშობა და ინფორმაცია

ПАМЯТИ М. Б. РУДЕНКО (1926—1976)

Исполнился год со дня безвременной кончины талантливого востоковеда, большого знатока и исследователя средневековой курдской литературы и фольклора Маргариты (Седы) Борисовны Руденко. Вся ее жизнь и научная деятельность была тесно связана с родным Тбилиси.

М. Б. Руденко родилась в семье известного лингвиста-грузиноведа Бориса Тихоровича Руденко (1896—1942). Сам полиглот, он и дочери привил вкус к изучению языков. Из Тбилиси семья переехала в Ленинград, где в тяжелую блокадную зиму гсгиб Б. Т. Руденко. Легендарный город стал для его дочери второй родиной. В 1946 г., как бы продолжая семейные традиции, она поступила на восточный факультет Ленинградского университета. Успешно окончив университет, М. Б. Руденко стала аспиранткой Ленинградского отделения Института востоковедения АН СССР. Однако, быть может, не без влияния ее учителя акад. И. А. Орбели, она избирает почти неисследованную область — средневековую курдскую литературу и фольклор.

Еще в 1938 г. в предисловии к сборнику «Памятники эпохи Руставели» акад. И. А. Орбели писал: «Когда думаешь о народности поэта, о слиянии поэта с взаимодействующим его народом, невольно напрашивается сравнение трех великих поэтов Востока, иранца Фердоуси, имя которого вновь зазвучало на весь мир три года назад, грузина Руставели, имя которого так заслуженно и звонко звучит сейчас, и курда Ахмед Ханни..., всем, кроме курдов, известного, но в среде своего народа... бесспорно добывшего право на определение народный». Не удивительно, что именно этому поэту XVII в. посвятила свою кандидатскую диссертацию М. Б. Руденко. После защиты (1954 г.) она опубликовала критический текст поэмы Хани «Мам и Зин», снабдив его годичным переводом, предисловием и указателями (1962 г.). С 1955 г. она — научный сотрудник ЛО ИВ АН СССР.

Вскоре М. Б. Руденко издала «Описание курдских рукописей ленинградских собраний» (1961 г.). Здесь в основном описана очень ценная коллекция А. Д. Жаба, благодаря чему в научный обиход впервые вводился ряд новых, неизвестных памятников. В первую очередь это «Шейх Сан'ан» Факи Тейрана и «Лейли и Меджнун» Хариса Битлиси. Публикацией текстов и переводов, снабженных всем необходимым научным аппаратом, М. Б. Руденко восполнила существенные пробелы в истории не только средневековой курдской, но и всей ближневосточной литературы. Первые были прочитаны и переведены сложные тексты, и это при отсутствии необходимых словарей и пособий. Так было заложено новое научное направление в советском курдоведении.

Есть еще одно большое достоинство, отличающее работы М. Б. Руденко. Она не удовлетворялась лишь письменными источниками, изучала и хорошо знала разговорный язык, быт и фольклор курдов. С этой целью она часто посещала Грузию, Армению, Азербайджан. Среди курдов у нее были большие друзья и помощники в работе. Ей принадлежат публикации ряда курдских фольклорных произведений, работы по этнографии и языку курдов. Часто можно было видеть ее, энергично идущей по кривым улочкам старого Тбилиси в окружении курдов.

Этот слав литературных и фольклорных источников особенно ярко проявился в последней работе — докторской диссертации, посвященной курдским литературным и фольклорным версиям «Юсуфа и Зелихи». С блеском прошедшая защита свидетельствовала о новом, зрелом этапе научного развития таланта М. Б. Руденко.

До последнего дня, борясь с тяжелым недугом, т.е. прекращала она научной работы, готовила к изданию монографию о «Юсуфе и Зелихе», правила стихотворный перевод «Мам и Зин». Надо надеяться, что эти работы вскоре увидят свет и получат такую же высокую оценку советских и зарубежных специалистов, как и предыдущие публикации. Жаль, что их не увидит сам автор — М. Б. Руденко, прекрасный ученый, чуткий друг, неутомимый труженик, так рано, в расцвете творческих сил, ушедший от нас.

А. А. ГВАХАРИЯ, И. В. МЕГРЕЛИДЗЕ, КЕРИМ АНКОСИ



## ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დაგდგენ კომისიაში\*

1976 წ. 12 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 504; 505; 506 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 507; 507,1; 508; 509; 510; 511 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალოშვილმა, ნ. ცეცტიშვილმა).

504 «დილასა აღრე სრას მიქმეს, ღლე რა ქმნა მწუხრმან ფაშითა;  
აუღებ ვენა მათი აშავი, წახლეა ვქმენ მითვე წამითა;  
ენახე, ორნივე ერთჲან სხლეს ხასითა ოღენ სამითა;  
და რა მივე, მითხრეს დაუღობა, წინაშე დავეუ სკამითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 500) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: მესამე ტაეპის ბოლოს მიმის ნაცვლად დასმულია წერტილ-მიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დილას აღრე, როცა თავის დროზე გათენდა (ბნელი დღედ იქცა), სასახლეში მიხმეს; აუღეტი, მაშინვე წაეღე, რომ გამეგო მათი (=მეფის) აშავი; ენახე, რომ ორნივე (=მეფე-დედოფალი) ერთად ისხდნენ მხოლოდ სამი დიდებულთ; რომ მივედი, დაჯღობა შემომთავაზეს, მათ წინ დავეჭი სკამზე.

505 ვუბირასანეს, თუ: აღმერთმან ასრე დაგუაბერნა, და-ცა-გუღლა;  
ფამი გუახლავს სიბერისა, სიყმნაწუილე გარღვიღელია,  
ჟმა არ მოგუცა, ქალი გუაეის, ვასგან შუქა არ გუაქლია,  
და ყმისა არსმა არა გუგაუა, ამაღ ზედა წაგუითოღლია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 501) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვეითხრეს: აღმერთმა ასე დაგვაბერა და კიდევ დაგვაუძღურა; სიბერის დრო დაგვიდგა, ახალგაზრდობა გავივლია; ვაჟი არ მოგვცა (ღმერთმა), ქალი გვყავს, ვისგანაც შუქი არ გვაქლია, ვაჟის უყოლობა არ გვანაღვლებს, ამიტომ არაფრად ჩავგითვლია.

506 აწ ქალისა ჩუენისათუის ქმარი გუინდა, სად მოუნახოთ,  
რომე მივსცეთ ტახტი ჩუენი, სახედ ჩუენად გამოვსახოთ,  
სამეფოსა ვაბატრონიოთ, საკელმწიფო შევანახოთ,  
და არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩუენთა კრმალი ჩუენთუის არ ვამხოთ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 502) შედარებით პროექტში ცვლილება: ამოვსწყდეთ (ამოვეწყდეთ).

გ. კარტოზია პირველ სტროქონში სად, ჩვეულებრივ, ესმით როგორც კითხვითი ზმნიზედა. სინამდვილეში აქ სად = ს ა დ მ ე. ტაეპის აზრია: ახლა გვინდა ჩვენი ქალისათვის სადმე ქმარი მოვებნოთ.

ი. გვიგინიშვილი: სად ზმნიზედის ამგვარი კვალიფიკაცია მართებულია. ამიტომაც მის წინ მიმის დასმა საჭრო არ არის, უნდა მოიშალოს.

დაადგინეს: ტაეპის შიგნით მიმე მთიშალოს.

ი. გვიგინიშვილი: მესამე ტაეპში ხელნაწერთა უმრავლესობა შეეცანახოთ ფორმის ნაცვლად კითხულობს შეეცინახოთ-ს. ეს უფრო მართებული წაკითხვა ჩანს. ტაეპის აზრია: (სიძე) სამეფოს პატრონად გავხადოთ, (ამით) სახელმწიფო შევინახოთ.

ც. კიკვიძეს და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ტექსტში უნდა დარჩეს კალხატეის ფორმა შეეცანახოთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: საკელმწიფო შეეცინახოთ.

\* გავრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1974, №№ 3, 4; 1975, №№ 1, 3, 4; 1976, №№ 1, 3, 4.

გ. კარტოზია: მეოთხე სტრიქონში ამოვსწყდეთ ზმნაში ცკს არის დამატებული ძველი (რუსთველისდროინდელი) ნორმის შესაბამისად. ასევე საჭიროა ეს პრეფიქსი ამოვსწყდეთ ზმნაშიც (ვტ. 444კ).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს მეოთხე ტაეპში წაკითხვა ამოვსწყდეთ. 444-ე სტროფის მე-4 ტაეპში ამოვსწყდეთ შეიცვალოს ამოვსწყდეთ ფორმით.

სტროფის შინაარსი: ახლა ჩვენი ქალისთვის გვინდა სადმე ქმარი მოვძებნოთ, რომ მას მივცეთ ჩვენი ტახტი და ჩვენი მსგავსი გავხადოთ, სამეფოს პატრონად (მფლობელად) გავხადოთ, (ამით) სახელმწიფო შევიწინაოთ (დავიცვაოთ), არ ამოვწყდეთ, ჩვენს მტრებს ხმალი ჩვენზე არ ვაღვსევინოთ.

507 ვთქვი: «თქვენი ძისა არასმა გულსა ვით მივფარებობს,  
მაგრა კმა ჩუქნად იმედად, ვან მშუსა დაეღარებოს;

ვისცა სთხოეთ შევილსა სასიძოდ, მას დიდად გავხარებობს,  
და სხუამცა რა გუადრეთ! თუით იცით, მავას რა მოვუგებობისა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 503) შედარებით პროექტში ცვლილება: ვთქვი (ვთქვით). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვთქვი: „თქვენი ვაჟის არყოლა როგორ დავგაიწყებდა (რა დასაიწყებელია), მაგრამ ჩვენს იმედად საყმარისია ის, ვინც მზეს ეღარება; ვისაც სთხოეთ შევილს სასიძოდ, მას ძალიან გავუხარებდა, სხვა რაღა გვადროთ (მოგახსენოთ)! თავად იცით, ვე (საქმე) როგორ უნდა მოვადრდეს“.

507,1 აქ შეუვე არჩევს, ვახირობს, არ ვიცო, რა მოჰქვდებასა;  
ხუარაზშმა მომავს სასიძოდ, არა ჰკავს, არა ჰქვდებასა;  
იგ უცხო ვინმე საწყალი, მოემე უბრალო კულებისა,  
და ნესტან-ღარეჯანს ტარიელს ჰყრის, მაგრა არ ეფრებასა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 654) შედარებით პროექტში ცვლილება: ნესტან-ღარეჯანს (ნესტან-ღარეჯან), ჰყრის (ყრის). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აქ მეფე ბუმბს, თათბირობს, არ ვიცო, რა მოხდება; ხვარაზშმაჰი მოჰყავს სასიძოდ, არ შეჰფერის, არ უხდება; ის უცხო საწყალი, უღანაშაული მოემე ეღვება, ნესტან-ღარეჯანს ტარიელს ვაჰყრის, მაგრამ არ ეყრება.

508 დაიწყოთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია;  
ვთქვი: «ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არაჰქმნელა!»  
მეღემან ბრძანა: «ხვარაზშმა, კელწიოფე ხუარაზშმელია,  
და თუ მოგუტყმის შევილსა ხაწუნოდ, ძისებრა არა-მეღელია».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 504) შედარებით პროექტში ცვლილება: საჩუქნოდ (სასიძოდ). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დაიწყოთ ბუმბა, გული თუმცა მელია, ვიმაგრებდი (გულს): ვთქვი (ვიფიქრე): «ჩემგან ამის დაშლა არ ითქმის, არ არის საქნელი (შეუძლებელი)!» მეფემ ბრძანა: «ხვარაზშმაჰი, ხვარაზშელი ხელმწიფე, თუ მოგვცემს შევილს საჩუქნოდ (ხელსიძოდ), მისებრა არაინაა“.

509 რომე პირველვე დაესკუნა, მათ ესე შეეცმუნებოდა;  
ერთმანერთისა ეუჭურტლეს, სატყუცა აგრე სწუბუბოდა.  
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამად არ ეგებოდა,  
და ოდენ დაემიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრუბოდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 505) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: რომე თავიდანვე (წინასწარვე) გადაწყვიტათ (ეს საქმე), მათ ეს ეტყობოდათ; მხოლოდ ერთმანეთს უცქერდნენ, თქმაც ვერცდებოდათ. მართლაც დაშლის შეზღვევა შეუფერებელი (შეუძლებელი) იქნებოდა ჩემგან, მხოლოდ დავმიწდი, დავნაცრდი, გული იქით და აქით მიცემდა.

510 დედოფალსან თქვა: «ხუარაზშმა შეფეა მორკმით მჯდომელი,  
მთისამცა შევილსა სასიძოდ ჩუქნეთის სხუა სჯობდა რომელით?»  
შევილებამცა ვინ ჰკადრა, რაჟგან თუით იყო უნდომელი!  
და მოწმობა ღაერთე, დაესკუნა დღე ჩემი სულთა მქდომელი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 506) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



სტროფის შინაარსი: დედოფალმა თქვა: „ხვარაზშმაი დიდებული მბრძანებელი მეფეა, მამაშვილი შეილს ჩვენს სასიძოდ სხვა ვინ უნდა სჯობდეს!“ შედაგებას ვინ გაუბედავდა, რადგან თვითონ (ამის) მოსურნე იყო დაუედასტურე, (ამით) დამთავრდა (ეს) ჩემი სულის ამომხდელი დღე.

511 გაგზავნეს კაცი ხვარაზშმას წინა შეილისა მოხველი;  
 შესთვალეს: «გაქდა უმკვიდროდ სამეფო ჩემი უყოფი;  
 არს ერთი ქალი საძოვ, არ კიდევასახოვლი»

და თუ მოგუქემ შეილსა ხამისოდ, სხუასა ნულარას მოვლია.

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 507) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: გაგზავნეს კაცი ხვარაზშმათან შეილის სათხოველად; შეუთვალეს: „მელი ჩვენი სამეფო უმკვიდროდ დარჩა; გვეყვს ერთი სამეკვიდრო ქალი, შინიდან არ გასაყვანი (გარეთ არ გასათხოვებელი), თუ შეილს საიმიოდ მოგვეცემ, მეტს ჩვენგან ნულარაფერს მოვლი“.

### 1976 წ. 26 მარტი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომელთა შესახებ მსჯელობა წინა სხდომებზე გადიდო სპეციალური შესწავლისა და დამატებითი მასალის მოძიებისათვის.

1. განიხილეს 169-ე სტროფის პირველ ტავში წაითხვა მომკრედი/მემკრედ (იხ. 1974 წ. 11 იანვრის სხდომის ოქმი).

როგორც კომისიის სალექსიკონო მასალა მოწმობს, მემკრედი გვხვდება ძველ ძეგლებში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვაიანის ქვაბთა განგება...“), მომკრედი უფრო გვიანდელ ტექსტებში დასტურდება. რედაქციის წევრები იზიარებენ ი. გიგინეიშვილის ვარაუდს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში მემკრედი ფორმის პირვანდლობის თაობაზე.

ე. მეტრეველი: მემკრედი უფრო ძველი ფორმაა. ძველი ხელნაწერებიც (A2 B1...) მას უკერძო მხარს.

ა. ბარამიძე: მემკრედის გადაკეთება მომკრედ-დ გასაგები პროცესია, პირიქით ვერ ვეკარაუდებთ.

ს. ცაიშვილი: A2 B1 და ზოგი სხვა ისეთი ხელნაწერებია, რომლებიც ტექსტს არ აარქაულენ. ამიტომ, ვფიქრობ, მემკრედი უფრო ძველი წაითხვა უნდა იყოს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს 169-ში მემკრედი (აქა მემკრედ აზიენ მინა).

2. განიხილეს თინათინა, არაგვინა და მისი მსგავსი შედგენილი შემასმენლების დაწერილობის საკითხი (იხ. 1974 წ. 11 იანვრისა და 14 ივნისის ოქმები).

ი. გიგინეიშვილი: არს მუშევი ზმნის გაცევა შედგენილ შემასმენლებში ძველსავე ქართულს ახასიათებს. შდრ. მაგ., ოთხთავის უადვილესა. ამავე რიგისა დალაქტებში (იმერულში, გურულში) და აქედან ზოგიერთი მწერლის ენაში დადასტურებული დირსა/დირისა (ვინ ღირსა? ვინ ღირსა?). როცა ამგვარი შედგენილი შემასმენლების დაწერილობაზე ვიმსჯელებთ, მხედველობაში უნდა გვექონდეს შემასმენლის მრავლობითისა და ნაწილაკართული ფორმების დაწერილობაც. მაგ., თუკი მართალია ერთად დაიწერება, ერთად (შერწყმულად, უდღესოდ) უნდა ვწეროთ მართალია-ც, ან პირიქით, თუ ცოცხალ-ადღეს-სით დაწეროთ, დღესით უნდა დაწეროთ სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკართული ცოცხალ-აო ფორმაც, რაც, ვფიქრობ, უხერხულობას გამოიწვევს. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი (<არს) სახელურ ნაწილთან შერწყმულად უნდა ვწეროთ „ვეფხისტყაოსანშიც“, ისევე როგორც ეს ხდება ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემისას (შდრ. ზემოაღნიშნული უადვილესა და სხვ.).

ც. კიციანის და ს. ცაიშვილსაც მიაჩნიათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ორთოგრაფია ამ შემთხვევაში არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა ძეგლთა ორთოგრაფიისაგან.

შ. ძიძიგური: ხელნაწერთა ტრადიციაც ერთად დაწერილობას უჭერს მხარს.

ა. ბარამიძე: ამან შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგ., ჩვენს სტროფში შერწყმულად დაწერილი თინათინა შეიძლება ა-ფუძიან სახელად იქნეს გაგებული.

ი. გიგინეიშვილი: ზოგ შემთხვევაში შეიძლება კომპრომისზე წავიდეთ და გაუგებრობის ასაცილებლად დღესი დავსვათ.



შ. ძიძიგურმა და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ დადგენილი წესიდან გადახვევა, კონკრეტულად მისული წაკითხვის დაშვება, არ არის მიზანშეწონილი.

დაადგინეს: შედგენილი შემასმენლები დაიწეროს შერწყმულად (უდფისოდ): თინათინა (=თინათინ არს), არაინა (=არავინ არს)...

3. რედაქციამ განიხილა 171,1 სტროფის (ღმერთო, ლომო, შენად ნაცვლად...) ნამდვილობის საკითხი (იხ. 1974 წ. 8 თებერლის ოქმი) და დაადგინა: სტროფი ჩაითვალოს ჩანართად (წინააღმდეგე — ა. ბანაშიძე და შ. ძიძიგური).

4 რედაქციამ იმსჯელა 187,1 სტროფის („თავს უთხრა: „მოკლე, ვიკოსო სიცოცხლეს აუვიანას...“) შესახებაც (იხ. 1974 წ. 7 მარტის ოქმი) და ჩანართად მიიჩნია იგი.

5. განიხილეს 239-ში პარალელური ფორმები და იწყო/და იუწყყო (იხ. 1974 წ. 17 მაისის ოქმი), დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა და იწყო.

6. რედაქციამ განიხილა ტყუემქმენ (247<sub>ა</sub>), უჩინოქმენ (260<sub>ა</sub>) და მსგავსი რთული ზმნების დაწერილობის საკითხი (იხ. 1974 წ. 17 მაისისა და 14 ივნისის ოქმები).

შ. ძიძიგური: მე მინდა შევეხო საერთოდ რთულ სიტყვათა დაწერილობის საკითხს, რა მდგომარეობა გვექონდა ძველ ქართულში და შემდგომ? ძველ ხელნაწერებში საკმაოდ ჭრელი სურათია. ადგილის ეკონომისათვის ზოგჯერ ერთადაა დაწერილი ორი სიტყვა, ზოგჯერ კი პირიქით — ერთი სიტყვაა გაყოფილი. მაგ., ნ. მარი მიუთითებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასეთ დაწერილობაზე: შ ა ტ ბ ე რ დ ი.

უ. მეტრეველი: სიტყვათა გაყოფის მაგალითები ძალიან ხშირია, შეერთებისა კი არა.

შ. ძიძიგური: დიახ, მეც იმის თქმა მინდა, რომ ე. წ. რთული სიტყვები ძველ ხელნაწერებში ცალ-ცალკე იწერება, თუ ადგილის ეკონომიით გამოწყვეულ იშვიათ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში. კომპოზიტები, რაც აქვთ და აქვთ მოვდივართ, ქართულში მრავლდება. ეს გასაგებია. ბევრია კომპოზიტი „ვეფხისტყაოსანში“. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში, ვახტანგის გამოცემაშიც კომპოზიტები ცალ-ცალკე იწერება.

ე. მეტრეველი: ანტონ კათალიკოსამდე ეს წესი იყო გაბატონებული.

შ. ძიძიგური: ვახტანგის მომდევნო გამოცემებში ნაირ-ნაირი ფორმებია გამოყენებული. ნ. მარმა დაამკვიდრა რთული სიტყვების დფისებით წერა, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტსაც შეეხო. დღეს განსხვავებულ ორთოგრაფიას ვიყენებთ ძველ და თანამედროვე ტექსტებსა და გამოცემისას. ძველ ტექსტების როგორც ორენობიან, ისე ერთენობიან კომპოზიტებსაც დფისით ვწერთ, ახალში ერთენობიანებს შერწყმულად ვწერთ, ორ- და მრავალენობიანებს — დფისით. თუ გვიინდა, რომ ბოლომდე თანმიმდევრული ვიყოთ, ძველი ტექსტების (და მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“) გამოცემისას უნდა დავიცვათ ძველი ხელნაწერების ორთოგრაფიული ტრადიცია კომპოზიტების დაწერილობისა, ისევე როგორც ვიცავთ მათს სხვა ორთოგრაფიულ ტრადიციებს (ა, ჯ, უ, მ ასოთა ხმარებას). ბოლომდის პრინციპული რომ ვიყოთ, რთული სიტყვები ცალ-ცალკე უნდა დავწეროთ, მაგრამ შესაძლებლად მიმჩნია კომპრომისული წინადადების წამოყენება: კომპოზიტები, ორენობიანები იქნება თუ ერთენობიანი, ეწერათ დფისით.

ი. ვიგინიშვილი: ძველ ხელნაწერებში კომპოზიტების დაწერილობის მდგომარეობა ზუსტად ისეთია, როგორც ბატონმა შოთამ ბრძანა, მაგრამ ძველი ტექსტების გამოცემისას ძველ ხელნაწერთა ორთოგრაფიის დაცვა ვაუმართლებელი იქნება. კომპოზიტების დაწერილობა ორთოგრაფიის საკითხია. დღევანდელი ქართული ორთოგრაფია გერმანულ-რუსულ სისტემას მისდევს, რაც ერთენობიან კომპოზიტთა შერწყმულად დაწერას გულისხმობს. ვფიქრობ, შერწყმულად უნდა დაიწეროს რთული ზმნებიც.

დაადგინეს: რთული ზმნები, ისევე როგორც ერთენობიანი კომპოზიტები და შედგენილი შემასმენლები, დაიწეროს შერწყმულად.

3. რედაქციის წევრები დაუბრუნდნენ 308-ის წაკითხვას: მ ა მ ა ჩ მ ი ჯ ლ მეშუიდედ. შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მ ა მ ა ჩ მ ი რუსთველის დროსათვის არ შეიძლება კომპოზიტად ჩაითვალოს. ი. ვიგინიშვილსაც მიაჩნია, რომ მ ა მ ა ჩ მ ი ისევე არ არის კომპოზიტი, როგორც ბ ი ძ ა ჩ მ ი ი. შ.დ. თუთ ბ ი ძ ა ს ა ჩ მ მ ს ა მიხუდა.

დაადგინეს: მ ა მ ა ჩ მ ი დაიწეროს ორ სიტყვად.

8. რედაქციამ იმსჯელა S<sub>1</sub> ვ-ს ხმარების შესახებ ფუძისეული ვ-ს წინ (იხ. 1974 წ. 13 დეკემბრის ოქმი, სტრ. 332) და დაადგინა: უკვე ძველსავე ქართულში გვაქვს S<sub>1</sub> ვ-ს ხმარების მაგალითები ფუძისეული ვ-ს წინ (მაშინ როცა უ-ს წინ ვ-ს ხმარება არ დასტურდება),



ამიტომ ვტ-ის ტექსტში პირთა აღრევის ასაცილებლად პირველი პირის ფორმებში დაიწერა პირის ნიშანი. 332-ში ვ ა ე ბ დ ი -ს ნაცვლად მიღებულ იქნეს წაკითხვა ვ ვ ა ე ბ დ ი.

შემდეგ რედაქციის წევრებმა განიხილეს სტროფები: 512; 513 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა).

512 კაცი მოვიდა, აევსო ჯუბანითა და რილითა,  
გახარებოდა ზუარაზშმაჲს სიხარულითა დიდითა;  
ერძანა: «მოგუბნუდა ღმრთისაგან, ჩუენ რომე ვინატრიდითა!  
და თუით მაგისებრსა შეილხამცა ჩუენ ჭელსა რახა კლდიდითა!»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 509) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კაცი დაბრუნდა, (ზუარაზშმაჲს) აევსო (უხვად დაესაჩუქრებინა) ტანსაცმლითა და რილით, ზუარაზშმაჲს მეტად გახარებოდა; ეთქვა: «ღმერთმა მოგვცა, რასაც ჩვენ ვინატრობდით! შეილხ მაგისთანს ჩვენ რას ვარებდით!»

513 კულა გაგზავნეს სხუანი კაცნი სასიძოსა მოყვენებად,  
დავედრეს, თუ: «ნუ აყოვნებო, მოვდათ სუენად ნაბრძანებად». —  
მე მაშურალი, ნაბურთალი საწოლს შევე მისუენებად,  
და გულსა სეველა შემეფარა, ვიწყე ჳირთა მოპოუნებად».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 509) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: კიდევ გაგზავნეს სხვა კაცები სასიძოს მოსაყვანად, დააბრუნეს: «ნუ დაყოვნებო, მოვდათ, როგორც ჩვენ ვბრძანებთ». მე დადღილი, ნაბურთალი საწოლში შევედი მოსასვენებლად, გულს სეველა შემოამაწყა, დაიწყე ჩემი უხედურება.

#### 1976 წ. 9 აპრილი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 514; 514,1; 515, 517 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუშმალიშვილმა, ნ. ცქიტიშვილმა); 518; 519 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკანამ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბულიძემ).

514 მეტმან სეველამან მიმწურა გულსა ადევმად დანიხად.  
ასმათის მონა შემოვდა, მე ვჯუ ლალი და ჯანა ხად,  
წიგნი მომართუა, ეწერა: «ვინ სჩან ალევისა ტანისად,  
და ადრე მოვლი, ვიბრძანებს, დავეოწმებოდა ხანისად».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 510) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ზედმეტმა სეველამ მიმიყვანა (მიმიახლოვა) ისეთ მდგომარეობამდე, რომ მზად ვიყავი გულში დანა დამეცა. ასმათის მონა შემოვიდა, სადაც მე ვიჭექი, ლალი და ძლიერი, წერილი მომართვა, შიგ ეწერა: «ვინც სჩანხარ ტანად ალევისებრი, ვიბრძანებს, ადრე, დაუყოვნებლივ მოვლი».

514,1 აჲ საწოლს მჯღომი ტარიელ შექრუშეთი, სეველიანდო,  
სასიძოს მოუქანისათუბს გულს ლახუარა სჭრის დანადო;  
მონა მოვიდა საქმობლად, იგ მისთუბს წასაყუნადო,  
და იგ გაუწერებობს, რომელი ვერ მწუკ იმისთანადო.

1956 წ. გამოცემასთან (სტრ. 661) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: აჲ საწოლში მჯღომ სეველიანად მოქუფრულ ტარიელს სასიძოს მოყვანის გამო გულში ლახვარი ესობა; მოვიდა მონა მის დასაძახებლად და წასაყვანად, ის გაუწერება, რომლის მსგავსი მზეც ვერაა.

515 შევეჯ, წაუჯ, ბაღნას მიჯ. ეითა სცნოიდუ ღზინთა ზომით!  
ბაღნა შეველე, კოშკი დამხუდა, ასმათ ვნახე მირსა დგომით;  
ვნახე, ესჭურეტდი ნატრიებად, ერუმლი ანდა დაწუთა წთობით,  
და დამიმძიდა, არა ვკითხე, რემი სჭირდა მასლუ ნდომით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 511) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.



ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეში უნდა მივიღოთ ზოგიერთ ნუსხაში (A<sup>4</sup> A<sup>10</sup>) დასული წაკითხვა: რა უ მ ძ ი მ ღ ა, არა ვკითხე. ტაეპის აზრია: რა უ მ ძ ი მ ღ ა (ასმათს), არ ვკითხე, ეტყოზოდა, რომ ჩემი მისვლა უნდოდა.

ც. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ შენიშნეს, რომ რა უ მ ძ ი მ ღ ა ნარედაქციევ ნუსხებში გვხვდება, თანაც მათ მხარს არ უჭერენ მათივე ბუღდის სხვა ხელნაწერები (A<sup>3</sup> A<sup>9</sup>). ნახევარტაეპის აზრი შეიძლება ასე ვთქვათ: შეეწუხდი, მაგრამ არაფერი ვკითხე.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: რა უ მ ძ ი მ ღ ა, არა ვკითხე. სტროფის შინაარსი: (ცხენზე) შევექე, წავედი, ზაღრაში მივედი. როგორ გაიგებ (ჩემი) სიხარულის ზომას! ბაღია გაიარე, ვნახე, კოშკის ძირას იღვა ასმათი; ვუყურებდი და ვხედავედი, რომ ნამტრიალური იყო, ლოყაზე აჩნდა ჩამონაწევიტი ტრემლები, არ ვკითხე, რა აწუხებდა, (ეტყოზოდა, რომ) ძალიან უნდოდა ჩემი მისვლა.

- 516 იგი ვნახე ღალრეჯილი, ესე მეტად დამიძიმდა.
- ვითა წინას შემომცინის, აღარ ევერე გამაღიმიდა.
- ყოლა სიტყუა არ მომიგო, ოღენ ცრემლითა გარდმოსწიმიდა,
- და ამით უფრო დამაწყულლა, არა წყლულთა მიაქიმიდა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 512) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ის ვნახე დაღონებული, ეს მეტად სამძიმო შეიქნა ჩემთვის. წინათ რომ შემომცინებდა ზალმე, ისე აღარ გამიღიმა. სიტყუაც არ მითხრა, მხოლოდ ცრემლებს წვიმასავით აფრქვევდა, ამით უფრო დამაწყულლა, წყლული არ გამიკურნა.

- 517 ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გაიკიდნა,
- შინა კოშკად შემივანა, ფარდავსაცა ამიხილნა,
- შევე, ვნახე იგი მთუარე; ჭირბან ყოელმან უკუმრილნა,
- და გულსა შეუნი შემომადგნა, მაგრა გული არ დამილნა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 513) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ჩემი ერთადერთი საფიქრალი მომავორა (ჩემს ერთადერთ საფიქრალს მომწყეცია), შიგ კოშკში შემივანა, ფარდაც ამიწია. შევედი, ვნახე ის მთუარე (ნესტანი), ყოველი ჭირი მომიცლიდა, გულს სინათლე შემომადგნა, მაგრამ გული არ გამილხვა (გულზე მწუხარება არ ვაღამეყარა).

- 518 იყო არნათლად ნათელი, ფარდაცა შემომდგომელი;
- ეხურა მოშლით პიროჭრო, მე მივეც რაღე რამელი;
- მათუე მწუანითა უებრო მიწოლით ტახტსა მჯდომელი,
- და ცრემლისა ღუარსა მოეცა პირი, ელკათა მკრთამელი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 514) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეში ზოგი ხელნაწერი (A<sup>4</sup> A<sup>9</sup> A<sup>10</sup>) კითხულობს: მითუე მწუანითა მოსილი, მიწოლით ტახტსა მჯდომელი. ეს წაკითხვა უფრო მართებული ჩანს.

გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ აღნიშნეს, რომ მოსილი იკითხება ნარედაქციევ ნუსხებში; ა. ბარამიძის აზრით, უებრო-ს გადაცემა მოსილი ფორმით გასაგებია (მწუანითა მოსილი). მოსილი > უებრო კი გაუგებარი პროცესია.

რედაქციამ დატყდა წაკითხვა უებრო, ოღონდ, შ. ძიძიგურის წინადადებით, ეს სიტყვა მძიმეებით გამოიყო.

ი. გიგინეიშვილი: რადგან პიროჭრო რიდე-ს მსაზღვრელია, მეორე ტაეში სიტყვები უნდა გადაისვას: ეხურა მოშლით პიროჭრო რიდე, მე მივეც რომელი (ასეა რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში).

გ. კარტოზია: ასეთი გადასმის შემთხვევაში მძიმე ცეზურიდან მეორე მარცვლის შემდეგ უნდა დავსვას, რაც დაბალი შაირისათვის ბუნებრივი არ არის.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა.

სტროფის შინაარსი: ფარდაც შემომდგარი ნათელი (ნესტანისა) არ იყო ნათლად (= ნესტანი გამწყრალი იყო); მე რომ მივეცი, ის ოქროსსპირიანი თავსაფარი ეხურა უწყესრიგოდ (დაუდევრად); იმავე მწუანე ტანსაცმლით ტახტზე იყო მიწოლილი უებრო (ნესტანი), ცრემლის ღვარს დაეფარა მისი ელვარე სახე.

- 519 ქუე წუა, ვით კლდისა ნაპრალსა ეეფხი პირგამებებული,
- არცა მზე მკვანდა, არც მთუარე, ხე ალუა, ედმოს ხებული;
- ასმათმან დამსუა შორსუარად გულსა მე ლახუარებებული;

და მერმე წამოჯდა წარბშერკშით, გამწყვრალი, გარისხებული.

საიტიბლო გამოცემასთან (სტრ. 515) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: იწვა, როგორც კლდის ნაპრაღში გამძინეარებული ვეფხი, ედგმში გაზრდილი ალუა (კვიპაროზი), რომელსაც არც მზე შეედრებოდა, არც მთვარე; ასმათმა მოშორებით დამსვა მე, შუბით გულდაპრილი. მერმე წამოჯდა წარბშეკრული, გამწყვრალი, გარისხებული (ნესტანი).

### 1976 წ. 16 აპრილი

სტომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განახილეს სტროფები: 520; 521; 522; 523; 524; 525; 526; 527 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვირგინიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ზ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბერიძემ).

520 მიზრძანა: დმიტრიის, რად მოხუც მშლეა პარისა მტკიცისა,

გამწირავე და მუხთალი, შენ, გამტყხელი ფიცისა?!

მაგრა ნაცვალსა ჰატიხსა მივეცმოს ზენა, მი-, ცახსა!

და ეკადრე: არა გაადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?\*

საიტიბლო გამოცემასთან (სტრ. 516) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: ყურადღებას იქცევს მეოთხე ტაეპის მეორე ნახევარი, რომელიც ხელწაწერებსა და გამოცემებში სხვადასხვა წაკითხვით არის წარმოდგენილი. კერძოდ, სარიტორიკული სიტყვა იძლევა ასეთ ვარიანტებს: უ ი ც ი ს ა, უ უ ი ც ი ს ა, უ ი ი ც ი ს ა. ამ ტაეპის წაკითხვის დადგენისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინოთ პოეტიკის ერთი სხვა ტაეპიც, სადაც სარიტორიკული გვევლება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა: ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა (I 706კ=ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს უიცისა, II 697კ). ორსავე სტროფში სარიტორიკული სიტყვაა უ უ ი ც ი ს ა, რომელიც უ ი ც ი ს ა ზედსართავის უფროსობით ხარისხის ფორმას წარმოადგენს. ხელწაწერებში უ უ ი ც ი ს ა, ჩვეულებრივ, დამახინჯებულად (მარცვალნაკვლად) არის წარმოდგენილი. ტაეპში მარცვალთა რაოდენობის დადების მიზნით გადამწერები უმატებენ ერთმარცვლიან მე, და, მართ სიტყვებს, რაც ზოგჯერ უაზროს ხდის ტაეპს. განსახილველი სტროფის მეოთხე ტაეპი ასე უნდა წაკითხვით: ვკადრე: არა გაადრო პასუხი მის ჩემგან უ უ ი ც ი ს ა?\*, 706-ე სტროფის მესამე ტაეპი კი ასე: ძებნა წამლისა მისისა, ცოდნა ხამს უ უ ი ც ი ს ა.

გ. კარტოზია: პროექტში წარმოდგენილი წაკითხვა ტაეპისა შინაარსობრივად სავესებით დამაკმაყოფილებელია. მიუღებელია მოსაზრება, თითქოს ტაეპში მე ნაცვალსახელი მარცვალთა რაოდენობისათვის იყოს ჩამატებული და ამით ფრახა უაზრო გამოდიოდეს. რუსთაველის ენის თავისებურებების გათვალისწინებით მე ნაცვალსახელის ასე „უაღვრილო ადვილას“ ხმარება სრულიადაც არ არის სახამეშო და გაუგებარი. ახლა რაც შეეხება ანალოგიურ წაკითხვას პოემის კიდევ ერთ სტროფში. 697-ში თუნდაც რომ მივიღოთ წაკითხვა უ უ ი ც ი ს ა, არ არის აუცილებელი, რომ 520-ე-ში იგივე ფორმა აღვადგინოთ. სავესებით ბუნებრივია დავუშვათ, რომ რუსთაველს ტექსტში ერთგან ზედსართავის ერთი (დადებითი ხარისხის) ფორმა (უ ი ც ი ს ა) ეხმარა, მეორეგან კი—მეორე (უფროსობით. ხარისხის — უ უ ი ც ი ს ა). მით უმეტეს, რომ ხელწაწერები სავესებით განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან. თუ 697-ე სტროფში უ უ ი ც ი ს ა-ს რამდენიმე ხელწაწერი კითხვობის, 520-ე სტროფში ეს სიტყვა კონიექტურაა, ხელწაწერები მას არ იცნობენ.

ც. კიკვიძე: მე სარწმუნოდ მიმანია ის, რომ ავტორს შეეძლო ზედსართავის სხვადასხვა ფორმა ეხმარა სხვადასხვა სტროფში. ნიშნდობლივად მიმანია ხელწაწერთა განსხვავებული ჩვენება, კერძოდ, ის, რომ 520-ე სტროფში უ უ ი ც ი ს ა არც ერთ ნუსხაში არ დასტურდება. ეს ვარკვეულად უარყოფითად განვეაწყობს კონიექტურის მიმართ.

ი. გვიგინიშვილი: იმას ნუ მოვიმჩივებთ, რადგან კონიექტურაა, ამიტომ ნუ გვიწინდობ.

ც. კიკვიძე: სწორედ ამიტომ! თუ ხელწაწერთა წაკითხვა გასაგებია, კონიექტურა არ უნდა მივლით.

ს. ცაიშვილი: მე საინტერესოდ მეჩვენება ბატონ ივანეს მოსაზრება, მით უფრო, რომ 697-ე სტროფში რამდენიმე ხელწაწერი უ უ ი ც ი ს ა-ს კითხვობის, მაგრამ ჩვენი პრინციპული პოზიციის გამო არ შემიძლია დავთანხმდეთ კონიექტურის მიღებას.



ა. ბარამიძესა და შ. ძიძიგურს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ უნდა დარჩეს კითხვა.

დაადგინეს: პროექტის წაკითხვა უცვლელად დარჩეს.  
სტროფის შინაარსი: შიხარა: „მივიკის, რატომ მოხვედი მტკიცე პირობის დამრღვევი, შენ, გამწირავი და მოლაღობი, ფიცის გამტეხი?! მაგრამ სამაგიერო ტანჯავს მიგცემს ცის განგება!“ მე ვუთხარი: „რა პასუხი გითხრა იმისა, რაც ჩემთვის უცნობია?“

521 ვთქვი: «პასუხსა ვერას ვკადრებ, თუ არა ეხნობ მე მართალსა: რა შეგცოფე, რა მიქნია უცნობისა, ფერამკრთალსა?»  
კულუა შიხარა: «რას გუუხის მტყუნასა და შენ მუხთალსა?»

და დაცურად რად მოუღორდი? მე დაუწვიე ამათ აღსა.

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 517) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გეუბნო (გეუბნა), დაუწვიე (დაეუწვიე).

ბ. კარტოზია: ცვლილება შეეხო გეუბნა ზმნას, როგორც ჩვენი კართოთეკა მოწმობს, ამ ზმნის II კავშირებითის ა-სუფიქსიანი ფორმები ო-სუფიქსიანებზე გვიან ჩნდება. შესაბამისად წყვეტილში აღრინდელია ე-სუფიქსიანი წარმოება (ვეუბნე), უსუფიქსო (ვეუბნე) კი — უფრო გვიანდელი. ამიტომ ტექსტი სხვაგანაც უნდა გასწორდეს: მას კაცსა ამოდ ვეუბნე 433, (ნაცვლად ვეუბნე ფორმისა), ანალოგიურია შემეცნე ბა-ზმნისაგან ნაწარმოებ ფორმათა ისტორია. აქაც აღრინდელია წყვეტილის სუფიქსიანი წარმოება (შეგემეცნე), უსუფიქსო (შეგემეცნე) კი გვიანდელია.

გ. გვიგნიშვილი: ჩემი აზრით, საქმაო საფუძველი გეუბნა-ს გეუბნო-თი შესაცვლელად არ არის. ჩემთვის გეუბნა უფრო ძველია, ვიდრე გეუბნო, ისევე როგორც გეუბნე უფრო ძველია, ვიდრე გეუბნე. კართოთეკაზე დაყრდნობა ძნელია. გასწორებასაგან თავი უნდა შევიკავოთ.

დ. კიკვიძე: როგორც მოხმობილი საილუსტრაციო მასალა მოწმობს, ო-სუფიქსიანი წარმოება უფრო ძველია და იგი XVIII საუკუნის ბოლომდე (ბესიკამდე) იხმარება. ამიტომ უპირატესობა მას უნდა მივცეთ.

ე. კარტოზია: ახალ ქართულში შეინიშნება უსუფიქსო წყვეტილის შეცვლა სუფიქსიანით (მაგ., შევიყარე > შევიყურე, ვავისწარე > ვავისწრე...), მაგრამ გეუბნე, შეგემეცნე ზმნების შემთხვევაში ამგვარი რამ სავარაუდოდელი არ არის. აქ სუფიქსიანი წყვეტილი ძველი წარმოებისაა.

შ. ძიძიგურმა და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს: ვინაიდან გეუბნო უფრო აღრინდელი წარმოება ჩანს, თანაც ხელნაწერებში ეს წაკითხვა კარგად არის დაცული (სამი რედაქციის 13 ხელნაწერში დასტურდება), სარწმუნოა ამ ფორმის პირვანდლობა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა გეუბნო.  
სტროფის შინაარსი: ვთქვი: „პასუხს ვერაფერს მოგახსენებ, თუ არ გავიგებ სიმართლეს: რა დაგიშვე, რა გქენი გონდაკარგულმა, ფერმკრთალმა?“ კვლავ ითხარა: „რა გულსაპარაკო შენ, მტყუნასა და მუხთალს? ქალურად (ქალის წესისამებრ) რატომ მოგტყუედი? ამიტომ დაეუწვიეარ აღს.

522 შენ არ იცი ხუარაზმშახი საქმროდ ჩემად მოყვანება?!  
შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,  
შენ გასტეხე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,  
და ღმერთმან ქმნა და დაგირჩინა ცულად შენი ქელოვნება!

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 518) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შენ არ იცი, რომ ჩემს საქმროდ ხუარაზმშახი მოჰყავთ?! შენ მქდარხარ სთათობიროდ (მრჩეველად), შენ დაგირთავს ნება ამაზე, შენ გატეხე ჩემი (ჩემთვის მოცემული) ფიცი, პირობა და მცნება (აღქმმა), (მაგრამ) ღმერთმა ინება და ამაოდ შეგჩრა შენი მოხერხება (ეშმაკობა)!

523 გასოვს, ოდეს პაპაა-ზმიდი, ცრემლნი შენი ველთა პანდეს,  
მურწანლნი და დასტაქარნი წამალსა-ყე მოგიტანდეს?  
მამაცხა სიცრუესა, ნეტარ, სხუანი რამცა კვანდეს!  
და რათვან დამთმე, მეცა დაგთმობ, უინი უფრო დახანდეს!

საიუბილეო გამოცემისთან (სტრ. 519) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პაპა-ზმიდი («პაის» ზმიდი), წამალსა-ყე (წამალთა-ყე), სიცრუესა (სიცრუეთა).





პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ წამალსაც, ი. გიგინეიშვილის წინადადებით, იწერა შერწყმულად. მანვე აღნიშნა, რომ -50 ნაწილაკი აქ ხოლმეობითობას უნდა ანიჭებდეს ზმნას (მოგიტანდეს). შდრ. მონანივე მიაართმედეს (75გ).

სტროფის შინაარსი: გახსოვს, როდესაც ოხრავდი, შენი ტრემლები ველებს რეცხავდნენ, ეჭიშვება და დასტაქრებს (ქირურგებს) შენთვის წამალი მოჰქონდათ? მამაკაცის სიტრუპე, ნეტავი, სხვა რა შეედრება! (მამაკაცის სიტრუპის მსგავსი, ნეტავი, სხვა რა არის!) რადგანაც გამწირე, მეც გაგწირავ, ენახოთ, ვინ უფრო დაზიანდება!

524 ამას ვბრძანებ: ვანცა ვინდა ეპატრონოს ინდოეთსა,  
 ვერცე მე მაქუს პატრონობა, უგზოს ელიდენ, თუნდა გზეთსა!  
 ვეე ავგუ რ იქმნების, წა, მომცთარხარ მოსაცეთსა,

და აზრნი შენნი შეეე გვანან, მტყუანსა და შენ ავეთსა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 520) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ამას ვამბობ: ვინც უნდა იყოს ინდოეთის მფლობელი (=ვინც უნდა იყოს ჩემი ქმარი), სწორი გზით ივლის თუ მრუდით, მინც მე ვარ მეფე! ეს (საქმე, რაც შენ განვიზრახავს) ასე არ მოხდება, წადი, გამეცალე, მომცდიარხარ მოსაცდომელს (დადალ შემცდარხარ!) შენი აზრები შენვე გვანან, მტყუანს და შენ ასეთს!

525 ცოცხალ ვიეუ, შენ ინდოეთს, ღმერთო. ხანი ვერა დაჭყო!  
 თუ ცეცალ დაეფოვასა, კირტა შენია სული გაყო!  
 სხტა ჩემებრა ვერა ჰპოეა, ცათამდისცა ჭელი აყო!ა“

და ესე სატყუა დაასრულა. ყმა ატირდა, სულთქუნა, აყო.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 521) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: თუ ვიცოცხლე (სანამ ცოცხალი ვიქნები), ღმერთს ვფიცავ, ინდოეთში არ დაგაყენებ! თუ შეეცდები დარჩენას (ინდოეთში ყოფნას), დილუბეი (შენს სხეულს სულს დაამორება) ჩემისთანას სხვას ვერავის იპოვი, ცამდისაც რომ მიაწვდინო ხელი!“ ეს სიტყვა დაასრულა და მოყმე (ტარიელი) ატირდა, ამოიხრა, „აჰ“ თქვა.

526 თქვა: „რა მეხმა ესე მისგან, მეამედა მტეიშმეტად,  
 კულა მიეცა თუალთა ძალი მის ნათლისა ვერე ჰურეტად-  
 აწ დაეკარგე; რად არ ვიქნის, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად?

და ვაე, სოფელი უხანო, რად ზი სისხლთა ჩეთა ხურეტად?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 522) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაე (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

თქვა (ტარიელმა): „ეს რომ მისგან გავიგონე, დიდი იმედი მომეცა, (ჩემს) თვალებს ისევე მიეცათ ძალა, რომ ეკვრიტით (ემზირათ) იმ სინათლისათვის (ნესტანისათვის). ახლა დაეკარგე; რატომ არ ვიკვირს, რატომ ვარ ცოცხალი, რატომ ვარ (მხოლოდ) გონდაეკარგული? ვაჰ, სწრაფ-მაელო წუთისოფელი, რატომ სვამ (ხვრებ) ჩემს სისხლს?!

527 შეეხედენ, ვნახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე,  
 აელდებ, ავილე, ღმრთისა და მერმე მე მათა მტებარე,  
 ექადრე, თუ: მზეო, დაგიწუჯე, ჩემიეცა დაწუი მზე ბარე!

და რათან არ მოქალ, პასუხი ერთიი გადრო მე ბარე.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 523) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ავდეგ, ავილე, ღმრთისა და მერმე მე (ავილე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე); მესამე ტრეპის ბოლოს შიშის ნაცვლად ძახილის ნიშანია. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შეეხედე, ვნახე სასთუმალთან გაშლილად დადებული ყურანი, ავდეგი, ავილე, ჯერ ღმერთი ვაქე (ვადიდე), შემდეგ კი ის (ნესტანი), ეუთხარი: „მზეო, დაეწუჯავარ, ბარემ ჩემი მზეც (სიცოცხლეც) დაწუი! რადგან არ მოქალი, ბარემ ერთ სიტყვას მოგახსენებ.“

#### 1970 წ. 7 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 528; 529 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გერტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 530; 531; 532; 533; 534; 535; 536; 537 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმბალიშვილმა, ნ. ცეტიშვილმა).

528 რომე გაადრებ, ესე სიტყვა აწ თუ ცუდად ნალიქნია,  
 ცამცა მრისხავს, შხისა შუქნი ვილა ჩემთვის ნუ შექნია!  
 თუ მაღირსებ გაკითხვას, ავი არა არ მიქნია».

და მან მიბრძანა: «რაცა იცი, თქვიო», თავი დამიქნია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 524) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გაკითხვასა (განკითხვას). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს სიტყვა, რომელსაც გუებზეში, თუ ტუქილია, საიბრფეროდ არის თქმული, ცამ შემრისხოს, შხის სხივები ჩემთვის სრულიად ნუ იშუქებენ! თუ მაღირსებ განსჯას (თუ მოსმენის ღირსად გაიხდი), (იცოდე, რომ) ცული არაფერი მიქნია». მან მითხრა: «რაც იცი, თქვიო», თავი დამიქნია.

529 კულაცა ეკადრე: «მე თუ, მხოლო, თქვენთვის ფიცი გამეტხოს,  
 ღმერთმან ანვე რისხვა მისა ზეცით ჩემთვის გაამეხოს!

ვისი ვინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მებოს,

და მამა მამინ რავუარ დურენ, რა ლახუარი გულსა მებოს?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 525) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ი. ვიჯინიშვილი: პირველ ტავში თქმული ფორმის ნაცვლად უფრო მართებულა რიჯ ხელნაწერსა და გამოცემაში დადასტურებული შენთვის. შდრ. ამავე სტროფის მესამე ტავის უშენოსა.

დაადგივს: მიღებულ იქნეს წაკითხვა შენთვის.

სტროფის შინაარსი: კვლავ ეუთხარი: «მხოლო, მე თუ შენთვის ფიცი გამეტხოს, ღმერთმა თავისი რისხვა ახლავდ დამატხოს მეხივით ზეციდან! შენ გარდა ვისი უნდა მიმანდეს პირისხე მზედ, ტანი (ცი) ხელ? მამ მამინ როგორ ვიცოცხლებ, როცა გულში ლახვარი მომხედება? (მამ მამინ როგორ ვიცოცხლო, თუ გულში ლახვარი მომხედება?)».

530 მე მეფეთა დარბაზს მივმეს, შექმნეს დიდა ვაზარობა.

მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.

დამეშალა, კერ დავსლიდი, დამჩნებოდა უმეცრობა;

და თავსა უთხარ: «მემოწმე, ჟამად გაუღობს გულმაგვრობა».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 526) შედარებით პროექტში ცვლილებაა: უთხარ (ეუთხარს). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე მეფეებმა სასახლეში მიხმეს (მიმიწვიეს), გამართეს დიდი ბუობა. მათ წინდაწინვე გადაეწყვიტათ, რომ ის მოემე შენი ქმარი გამხდარიყო. რომ დამეშალა, ვერ დავეშლიდი (ავერძალადი), უმეცრებად ჩამეთვლებოდა; თავს ეუთხარი: «დემოწმე (დევთანხმე), ღროვებით ვაფობს გამაგრდე».

531 მემცა დამლა ვითა ეკადრე, რათიან ივი ვერ მიმხუდარა?

არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამქვდა?

ტარიელ არს მემამულე, სხუასა მართებს არად არა,

და ვის მოიყვანს, არა ვიცი, აწუ ივი ვან მომედარა?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 527) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ პირველი ტავის ბოლოს კითხვითის ნაცვლად დასვა ძახილის ნიშანი, მესამე ტავის ბოლოს — მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმე.

სტროფის შინაარსი: მე როგორ გამებედა დამლა, რადგან ის (თვითონ მეფე) ვერ მიმხედარა! არ იცის, რომ ინდოეთი უპატრონოდ არ დარჩენილა? ტარიელია მემკვიდრე, სხვას არაფერი ესაქმება; არ ვიცი, ვის მოიყვანს, აწ ვინ გარჯილა ამაოდ.

532 ეთქვი: «ამათა ველარს ვიქ, დონე სხუა რა მოვაგუარო?»

თავსა უთხარ: «ნუ მოვიცავ, ვონებთ მრავალგუარო!»

მედვა გული მტეცისაებრ, ათსჯერცა მინდორს ვარო,

და ვისმცა მივეც თავი შენი, შეწე რად მე არ წამგუარო!?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 528) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვიქ (ვიქმ). უთხარ (ეუთხარ).

რედაქციამ მეოთხე ტავში რად მე შეცვალა რად მე წაკითხვით.

სტროფის შინაარსი: ეთქვი: «ამით ველარაფერს ვიხამ, სხვა რამ უნდა ვიღონო»; ვაგიფიქრე: «ნუ მოვიცავარ, მრავალნიარო ფიქრო!» გული მტეცივით მქონდა (გული გამიმტეცდა), მრავალჯერ მინდოდა ვაპროლოუავი ველად, შენს თავს ვის მივეცე, თუ რაიმე მირჩვის გამო თვითონ შენ არ წამართმევ!»

- 533 სულთა ეყვილდი გულსიათჳის, კოშკი ამაღ გამებაზრა;  
იგი წჳიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდა აზრა;  
ენახე, ძოწხა მარგალიტი ვარე ტურფად მოუმაზრა.  
და მიბრძანა, თუ: აგეე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 529) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. ვიგინიშვილი: მესამე ტაპის სარიტომო სიტყვა მოემაზრა ნაწარმოებთ ჩანს მაზარი (=მასარი/მესარი) სიტყვიდან (შდრ. საბა: მასარი არს წერილის ძელის ყეროს მსგავსად შემოვლებული).

რედაქციას სტროფის შინაარსი ასე ესმის: სულს ვყილდი გულსიათვის (ნესტანისათვის), ამიტომ კოშკი ბაზრად მექცა; ის წჳიმა ოდნავ შენელდა, რომელმაც თავიდან ვარდი დააზრა; ენახე, ძოწხა (ბაგეებს) მარგალიტი (ცილები) ლამაზად შემოვლებულა (ნესტანმა გაიღიმა). მი-თხრა: „ეგ საქმე (ამბავი) მე სიმაართელ რატომ მომეჩვენა?!

- 534 არ დაეიჯერებ მე შენხა ღალატხა, ორგულობასა,  
უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისოჳის არ მადლობასა;  
იჯლი თავსა ჩემსა და მორკმით ინლოეთს თლობასა!

და მე და შენ დაეხსნედ ქელმწიფედ, სჯობს ყოველსა საქმესლობასა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 530) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: პირველი-მეორე ტაპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: არ დაეიჯერებ შენს ღალატს, ორგულობას, ღვთის უარყოფას და ამიტომ—უმადურობას. შესაბამისად, მეორე ტაპის მეორე ნახევარში ტირე უნდა დავსვათ, თანაც არ მადლობასა ერთად დაიწეროს.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

სტროფის შინაარსი: არ დაეიჯერებ მე შენს ღალატს, ორგულობას, ღვთის უარყოფას, ამიტომ — უმადურობას; ითხოვე ჩემი თავი და შეგებით მეფობა ინლოეთში! მე და შენ დაე-ხსნედ ინლოეთში, ეს სჯობს ყოველ სიმეძლობას“.

- 535 მოღმობიერდა, მომიტკვა გამწყრალი, ვამქისებული,  
ანუ მზე იყო ქუეყანად, ან მოქარე ვარგაკუხებული;  
ახლოს დამისუა, მაღირსა აქაჳდის არღირსებული;

და შეუბნებოდა, დამისო ცეცხლი ამითა გუხებული.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 531) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ღმობიერი გახდა (მომიღა), მომიტკვა გამწყრალი, განრისხებული, თითქოს ქუეყანად ჩამოსული მზე ან სავსე მთვარე იყო; ახლოს დამისუა, მაღირსა, რაც აქამდე არ მიღრსებია; საუბარი გამიმართა და ამით დამიშრიტა აგუხებული ცეცხლი.

- 536 მიბრძანა, თუ: აგონიერი ჯამს აროდეს არ აქედღეს,  
რაცა სჯობდეს, მოაგუაროს, საწუთროსა დაუწყნარდეს;  
თუ სასიძო არ მოუშუა, ვაი თუ მეფე ვაგვიწარდეს,

და შენ და იგი წაიკიდნეთ, ინლოეთი გარდაქარდეს!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 532) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ვაი (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მითხრა: „აგონიერი არასდროს არ უნდა აქედღეს, როგორც უკეთესია, ისე მოაგვაროს (საქმე), წუთისოფელს დაუშვილდეს; სასიძო რომ არ შემოუშუა, ვაი თუ მეფე ვაგვირისხდეს, შენ და ის წაიკიდნეთ (და ამის გამო) ინლოეთი დაიღუპოს!

- 537 კულა თუ სიძე შემოუშუა, მე შემირთოს, იფოს ასდენ,  
ერთმანერთხა გავყარნეთ, ძოწუელნი ვაგუიფლასდენ,  
მათ მორკმულთა მოივლინონ, ჩუენ პატივნი ვაგუიფლასდენ,

და ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი ვაგუიფლასდენ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 533) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სიძე რომ შემოუშუა, მე შემირთოს, ასე მოხდეს, ერთმანეთს დაეშორდეთ, ძოწუელი (სამზიარელო სამოსი) ფლასად (სამგლოვიაროთი) შეგვეცვალოს, ისინი შევებთ იუენენ, ჩვენ კი ტანჯვა ვაგვიმრავლდეს, ეს სათქმელადაც არ შეიძლება, რომ სპარსელები ვაგვიბატონდნენ.

1976 წ. 21 მაისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძგურა.

განიხილეს სტროფები: 538; 539; 540; 541 (პროექტი მოამზადეს ც. კვიციანი, ნ. ავალი-შვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუშმალიშვილი, ნ. ცქიტიშვილი); 542 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზია, გ. არაბულა, ე. გერტიშვილი, ლ. კვიციანი, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბელიძე).

538 მე ვჰკადრე: აღმერთმან ამოროს მას ყმისა შენი ქმარობა!  
 რა შემოვიღენ ინდოეთს, შევივნა მათი გვარობა,  
 უჩუენო ჩემს ძალ-კული და ჩუმა მეომარობა:  
 და ასრე დავკოცნე, შეეძლოს აღარას არ საქმარობა! »

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 534) შედარებით პროექტში ცვლილებაა: უჩუენო (ეუ-ჩუენო).

ც. კვიციანი: მეორე ტაბის სარიტომო სიტყვა გ ვ ა რ ო ბ ა d გამოცემის კონიექტურაა. ხელნაწერთა უმრავლესობაში გ მ ი რ ო ბ ა იკითხება, რაც რითმას არღვევს და შინაარსობრივადაც შეუსაბამოა. გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ აქ სარიტომო სიტყვად უნდა გვეჩვენდეს მ ა რ ო ბ ა, რომელიც ამოსვლად გულისხმობს რება ზმნიდან წარმოებულ მ ა რ ე / მ ა რ ი მიმლეობას.

ი. გიგინეიშვილი: მე პრინციპულად მომხრე ვარ ამნაირი გასწორებისა. რება ზმნიდან წარმოებულ ფუძეებზე „ვეფხისტყაოსანში“ უხვად გვხვდება და ამგვარი ფორმის არსებობაც საყვებით შესაძლებელია.

ა. ბარამიძეც მხარს უჭერს აღნიშნულ კონიექტურას.

დაადგინეს: მეორე ტაბში სარიტომო სიტყვად მიღებულ იქნეს მ ა რ ო ბ ა.

ა. ბარამიძე: მეოთხე ტაბში და ვ კ ო ც ნ ე სიტყვას ხელნაწერებში აქვს ვარიანტი და ვ კ ა დ ნ ე (და და ვ კ ა დ ო) და სწორედ ეს მიმჩნია აღრე ძირითად წაკითხვად. მაგრამ მთელი ეს ფრაზა აღმოჩნდა „როსტომიანში“. როგორც ჩანს, უკვე XV საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში გვეჩვენა და ვ კ ო ც ნ ე. ამიტომ ვფიქრობ, რომ იგი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტში.

ი. გიგინეიშვილი: და ვ კ ო ც ნ ე ამ კონტექსტში შესაბამოა. გამოთქმა — ისე დავხოცავ, რომ არაფრის მაქნისინი იქნებოდა — უაზრობაა. უნდა: ისე და ვ კ ა დ ნ ე, ე. ი. ისე გავხდი, რომ არაფრის მაქნისინი იქნებოდა. „შაჰ-ნამეს“ ციტატა კი იმაზე მიუთითებს, რომ მის ავტორს „ვეფხისტყაოსნის“ ის ნუსხა ჰქონდა ხელთ, სადაც და ვ კ ო ც ნ ე ეწერა.

ე. მეტრეველი და ც. კვიციანი აღნიშნეს, რომ „შაჰ-ნამეს“ ჩვენება ანგარიშგასაწევია. ამასთან, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორედ და ვ კ ო ც ნ ე იკითხება. ე. მეტრეველი, კერძოდ, აღნიშნა, რომ და ვ კ ო ც ნ ე აქ პირდაპირ, სიტყვისიტყვით არ უნდა გავიგოთ.

ს. ცაიშვილი: ძველ ხელნაწერებსა და წარწერებში (მაგ., ვანის ქვაბის წარწერებში) ძველი წაკითხვები უფროა დაცული. ამ შემთხვევაშიც „შაჰ-ნამეს“ ჩვენება და ვ კ ო ც ნ ე-ს სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

დადაგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა: ასრე და ვ კ ო ც ნ ე.

სტროფის შინაარსი: მე ვკადრე: „აღმერთმა ამოროს (ნუ ქანს), რომ ის ყმა შენი ქმარი გახდეს! ინდოეთში რომ შემოვიღენ და გავიგებ მათ მოსვლას, ეუჩუენებ ჩემს ძალ-ლონეს და ჩემს მეომრობას: ისე დავხოცავ, რომ აღარაფრად ივარგებენ!“

539 მიბრძანა, თუ: «ქამს დიაცი დიაკურად, საქმედელად,

დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნევ; ვერ ექმნები შუა კედლად:

რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწვეულად,

და ქნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქს კმელსა ნედლად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 535) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: შეიქს (შეიქს). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მესამე ტაბში, ი. გიგინეიშვილის წინადადებით, მძიმე გადაისვა: რა მოვიდეს, სიძე მოკალ...

სტროფის შინაარსი: მიბრძანა: „საჭიროა ქალი ქალურად, დედააკურად იქცეოდეს (საქმეს დედაკურად წვევებდეს), დიდ სისხლს ვერ დაგაისრებ, ვერ ვიქნები შუაში კედლად: როცა მოვა, სიძე მოკალ მისი ჯარის დაუხოცავად. მართალი სამართლის ქნა ხმელ ხეს(ც) გაანედლებს.

- 540 ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველა გმირთო,  
 შიპარვით მოკალ ხახითო, ლაშქართა ნუ შიართოთო,  
 მახთა ხაბათა ნუ დაჰყოც, ზროხათა, კითა ვართოთ, —  
 და დიადი მახხლი უბრალო კაცმანდა ვით იტირთათო?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 536) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: და-  
 ჰყოც (დახოც). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ასე ქენი, ჩემო ლომო და ყველა გმირის მჯობო, მაღულად მოკალი  
 სასიბო, ლაშქარს ნუ იახლებ, მის ჯარსაც ნუ დახოცავ, როგორც საქონელსა და ვირებს, —  
 უდანაშაულო ბევრი სისხლი ადამიანმა როგორ უნდა იტიროთო?

- 541 იგი რა მოკვლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,  
 ჰკადრე, თუ: «ხპარსთა ვერა ვიქ ინდოეთისა ჰამასა,  
 ჩემია მკუიდრი მამული, არ მივცემ არცა დრამასა,  
 და არ დამეკსნები, გავიღო ქალაქსა ვითა ტრ:მასსა»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 537) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ვიქ  
 (ვიქმ).

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში ე უ ბ ე ნ ფორმის ნაცვლად უნდა მივიღოთ უფრო ადრინ-  
 დელი ე უ ბ ე ნ ე.

რედაქცია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, რადგან ე უ ბ ე ნ არც ერთ ხელნაწერში არ დას-  
 ტურდება.

პროექტი უცვლელად იქნა მიღებული. სტროფის შინაარსი: მას რომ მოკლავ, უთხარი  
 პატრონს (მეფეს), ჩემს მამას, ჰკადრე: «ვერ ვიზამ, რომ ინდოეთი სპარსელებს (მიეცე) საჰ-  
 შელად, მეშვიდრებით ჩემია მამული, არ მივცემ არც დრამას (წერილ ფულსაც), თუ არ და-  
 მებსნები, ქალაქს ტრამალად გადაგიქცევი!»

- 542 ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული, ნუცა ნდომი,  
 ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოკლომი;  
 ქმნას მიუემან ველმოტებით შემოხუჭუნა, შემოკულომა,  
 და კვლთა მოგეცემს თავსა ჩემსა, შეგუფურობდეს ერთვან სხდომი».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 538) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის პრო-  
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: სრულებით ნუ ახსენებ (გაამხელ) ნერც ჩემს სიყვარულს, ნერც  
 ჩემ ნდომას (სურვილს), ამით უფრო მიალწევ სამართლიანობას; მეფე (თვით) შემოგუხ-  
 ვეუნება ქედმოხორილი, გადაგაკედება, მოგეცემს ჩემს თავს და ერთად მეფობა (ტახტზე სხდომა)  
 დაგეშენდება“.

#### 1976 წ. 4 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარშიძე, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ე. მებრეველი, ს. ციციშვილი.  
 განიხილეს სტროფები: 543, 544, 544,1; 545; 546; 547; 548; 549; 550; 550,1; 552; 552  
 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, გ. არაბულმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხა-  
 რაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 553; 554 (პროექტი მოამზადეს ც. კიციძემ, ნ. ავალიშვილმა,  
 ლ. გუგუშვილმა, ლ. თუმშალიშვილმა, ნ. კვიციანიშვილმა).

- 543 ესე შეტად მომეწონა თათბირი და ვამორჩევა,  
 ჩემთა მტერთა დაგაეადე დასაქოცლად ტრმლისა ქნევა;  
 მერმე აეღვ წამოსავლად, მან დამიწყო ქმევე წმევა,  
 და მწაღდა, მაგრა ვერ შეემართე შეჭილვა, შემოხუჭუნა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 539) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
 ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ეს რჩევა და გადაწყვეტილება ძალიან მომეწონა, ჩემი მტრების და-  
 სახოცად ხმლის ქნევა შევწყვიტე (გადავიფიქრე); მერე წამოსავლელად ავღეკი, მან (ნეს-  
 ტანმა) კვლავ დასაქდომად მიმიწვია, მსურდა, მაგრამ ვერ გაეუბედე ხელის მოკიდება, შემო-  
 ხუჭევა.

- 544 ხანი დაეყუ, გაეყურე, მაგრა გავქე ვითა ხელი.  
 ასმათ წინა ნამომიძღუა, ჩამდიოდა ცრემლი ცხელი.  
 ჳირი ბერჯულ ვიათასე, ლხინი ჩემი ვაერთხელი,  
 და მერმე წასლდა არა მწაღდა, ანად მივალ არვიცხელი“.



საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 540) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებები შეიტანეს (ვათასი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ხანი დავყავი, (შემდეგ) გამოვეთხოვე, მაგრამ შმაგივით გავხდი. ას-  
მათი წინ წამოიძლია, ცხელი ცრემლი მდიოდა. ჭირი გამიათასდა (გამიპარაკლდა), ლხინი კი  
შემიმცირდა (გამიშხოლოვდა), თანაც წასვლა არ მინდოდა, ამიტომ მივედიოდი ნელა (აუჩქარ-  
ებლად).

- 544,1 გარე ვაქციე ასმათი, მუნ ჩემი ჩამოვილიდი;
- ლამით უჭურტედი ვარსკულავთა მე საწოლს ვერ დაწოლიდი;
- გულსა დამესვის ლახუარი, ძავთა წაწამათა სროლიდი;
- და მისმან შექმან დამალურჯა, დამალება, დამდა წყლული.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 693) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირ-  
ველსა და მესამე ტევეში (შიგნით) დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ვავაბრუნე ასმათი, რომელმაც გამოპაცია; საწოლში (ოთახში) რომ  
ვერ ვწევბოდი, ლამით ვარსკულავებს ვუჭურტედი; გულზე მესობოდა (ნესტანის) შავი წამ-  
წამებისაგან ნასროლი ლახვარი; მისმა შექმა დამალურჯა, დამალავა, დამქრა (დამაწყ-  
ულა).

- 545 „მოვიდა კაცი: «ხასიძო მოვაო», მოსლვა გუხაზარ,
- მაგრა თუ ღმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ, არა;
- მეფესა მიხუდა სიამე, არ სიტყუა ივაგლახა რა,
- და მიბრძანა, ახლოს მიმისუა, «მოდიო», თავი დახარა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 541) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: დაბრუნდა (გაგზავნილი) კაცი (და ვეითხარა): «სასიძო მოდისო»,  
მოსვლა გუხაზარ, მაგრამ თუ ღმერთი რას უზამდა, ვაგლახ, არ იცოდა; მეფეს გუხაზარა, რამე  
სავაგლახო სიტყუა არ უთქვამს, დამიძახა, «მოდიო», მანიშნა თავის დაქნევით (დახრით), ახ-  
ლოს მომისვა.

- 546 მიბრძანა: «ჩემთუის ესე ღლე ლხინი და სიხარულია.
- გარდავიტალოთ ქორწილი, ჯამს ვითა დასა, სრულია;
- კაცნი გავგზავნენთ, მოვიდოთ ფოლგნით საჭურჭლე სრულია,
- და უხუად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უგუნწულია».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 542) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოთხრა: «ეს ღლე ჩემთვის ლხინი და სიხარულია. გადავიტალოთ  
ქორწილი მეფური (სასახლის შესაფერისი), როგორც დას შეეფერება; ხალხი გავგზავნოთ,  
ყოველი მხრიდან მოვიტანოთ მთელი საგანძურით, უხვად გავცეთ (წყალობა), ავაყსოთ (ქონე-  
ბით ქვეშევრდომები), სიძუნწე უგუნწულია».

- 547 მე გავგზავნენ ფოლგან კაცნი საჭურჭლეთა წამომხმელნი;
- სასიძოცა მოგუივდა, იფენეს ხანსა არდამხმელნი;
- შიგნით ჩუენნი გაეგებნეს, გარეთ მოლგეს ხუარახმელნი;
- და მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტველეს ვერცა კმელნი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 543) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პრო-  
ექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე გავგზავნე ყველგან განძეულის წამომღები ხალხი; სასიძოც მო-  
გვივდა, ხანი არ დაუყოვნებიათ; შიგნიდან (ქალაქიდან) ჩვენები გაეგებნენ, გარედან ხუარახ-  
მელები მოლგნენ (მოვიდნენ); ერთად მყოფ ლაშქარს ხმელეთით ვერ იტველა.

- 548 მეფემან ბრძანა: «მოვახმეთ კარვითა მოედანი,
- გამოიხუენოს სიამეზან, დაფოს ცოტაი ხანა;
- მუნ მისად ნახუად გავიდენ უშნოდ სპანი სხუანია,
- და შენ აქა ნახუ, კმარიან აქა ნახეისა კმანია».

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 544) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: აქა  
ნახვისა კმანია (იქა ნახვისად ყმანია).

გ. კარტოზია: მეოთხე ტევეის მეორე ნახევარი მთლიანად I გამოცემის კონიექტურაა.  
იგი საჭირო არ არის, რადგან ზღუნაწერთა დიდ ნაწილში დაცული წაკითხვა კ მ ა რ ი ა ნ  
ა ქ ა ნ ა ხ ვ ი ს ა კ მ ა ნ ი ა «ვეფხისტყაოსნის» ენისთვის დამახასიათებელ პარონომასიულ  
გამოთქმას წარმოადგენს.

პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მეფემ ბრძანა: „მოედანზე გაამზადეთ კარავი, მოსვენოს სიძემ, ცოტა ხანი დაუსო; იქ მის სანახავად წაიღიდეს უშენოდ სხვა ლაშქარი, შენ აქ ნახე, საქმარისია აქ ნახე.“

549 მოედანს დაედგი კარვები წითლისა ატლასებისა.

მოვიდა სიძე, გარდაცა, დღე, პეკანდა, არს აღესკებისა,  
 შეიქმნა გასლვა შვიანთა, ვარაა მუნ ხახებისა,

და დაიწყო დროა ლაშქართა თემ-თემად, დას-დასკებისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 545) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მოედანზე დაედგი წითელი ატლასის კარვები. მოვიდა სიძე, ჩამოხტა (დაბანჯდა), თითქოს აღდგომის დღე იყო. შიგნით (ქალაქში) მყოფნი გავიდნენ, დიდებულების ქარი იყო იქ, ლაშქარი დაეწყო თემებად და გუნდ-გუნდად.

550 მე დაეშუქურ, ვითა წესია საურავგარდაქდილისა,

შინა წამოვე, მასურალსა ქმნა მომწლოდა ძიღისა;

მონა მოვიდა, მომართუა წიფნი ახმათის ტბაღისა;

და ააღრე მოდიო, ვიბრძანებს მსგავსა ალვისა ზრდილისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 546) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე დავიღავე, როგორც შეეფერება სამსახურმოხდელ (მოკვლეობაშესრულებულ) კაცს; შინ დაებრუნდი, დაღლილს ძილი მომინდა; მონა (მსახური) მოვიდა, მომიტანა საყვარელი (ტბაღი) ახმათის წერილი: „მაღე მოდიო, ვიბრძანებს ალვის მსგავსი ტანაყრილი (ნესტანი)“.

550,1 მე შინა წაველ, მმრავლობდეს სეღისა რაზმთა ურვანი,

მას ვეფინებდი, რომლისა გულსა მიწველიდა ხურვანი;

ახმათის მონა წიფნით მხელა, ზე ანდა ოფლში ცურვანი:

და ამაღელ მოდიო, ვიბრძანებს, ვისი გაქვს სულუბრ წურვრანი.“

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 698) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: მე შინ წავედი, გამიხშირდა სეღის რაზმები („სეღის რაზმთა მწუხარება“), იმას ვეფინებდი, ვისი სურვილიც გულს მიწველიდა; ახმათის მონა წერილით დამხვდა, ოფლში ცურავდა: „მაღე მოდიო, ვიბრძანებს ის, ვინც სულივით ვენატრება“.

551 ცხენისაგან არ გარდაქვე, წავე ფიცხლად, დაემორჩილდი;

ქალი დამხუდა ნატირები, ვპკითხე: «ცრემლსა რასა მიღლი?»

მითხრა: «შენი შესწრობილი, ტირილსამცა ვით აესცილდი?»

და გაუწუწუდლად ვით გამართლო? რაგუპარდლცა გაეკაიოლდი?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 547) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: ცხენიდან არ ჩამოვხტი, სწრაფად წავედი, დავემორჩილე: ქალი (ახმათი) ნამტირალევი დამხვდა, ვკითხე: „ცრემლს რატომ ღვრიდი?“ მითხრა: „შენი შემყურე ტირილს როგორ აეცილდები? განწყვეტლად როგორ გამართლო? როგორ გავეკვილდი?“

552 შევედი, ვნახეთ ბალიშსა ზედა წარბშეკრვით მჯღომარე;

მზე ევლარას იქს მის მესსა, მას გაენათლა რომ არე,

წაუღე, მიბრძანა: «რასა სდგა? დღე მივიწის წინ ხაომარე!»

და ანუ გაწირე, მიტყუე და კულაყა მოიმციომარე?»

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 548) შედარებით პროექტში შემოდეგი ცვლილებაა: იქს (იქმს), გაენათლა (განენათლა), მივიწის (მივიწის). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: შევედი (ნესტანთან), ვნახეთ ბალიშზე წარბშეკრულად მჯღომი; მზე ვერ გაენათელდა იმაზე მეტად, მას რომ გაენათებინა მიღამო, წინ წაუღე, მითხრა: „რას დგახარ (რატომ ხარ უმოქმედო)? საომარი დღე წინ გიძევს თუ გაწირე, მომატყუე და ისე იტრე?“

553 მე შეწინა, აღარა ვთქუი, ფიცხლად გარე შემოვბრუნდი.

უკუაყვილე: «აწ გამონდეს, არ მინდოღეს, ვისცა უნდი!»

ქალი ომსა რაგუარ მაწუწეეს, აგრე ვითა დატბახუნდი!»

და შინა მოვე, მოკლვა მიხი დავაპირე, არ დავემუნდი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 549) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უნ-  
 დი (ვენდი). პროექტი მიღებულ იქნა.

სტრატის შინაარსი: მე მეწყინა, აღარაფერი ვთქვი, სწრაფად გამოებრუნდი. მივაძახე:  
 „ახლა გამოჩნდება, თუ არ მინდა (ის), ვისაც ვუნდობარ! ჭალი საომრად როგორ მომიწო-  
 დებს, ასე როგორ დაძაბუნდი!“ შინ მოვედი, მისი (სასიძოს) მოკვლა გადავწყვიტე, არ შევ-  
 ყოყმანდი.

554 ასხა უბრძანე მონასა: «საომრად დაემზადენით!»

შეცხვდით, ვაველეთ ქალაქი, არავის ვავეცხადენით.

კარავსა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარმაც თქმად ენით,

და უსიხლოდ მოვკალ ივი, გლახ, თუცა კმა ხისხლისა დენით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 550) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: უბ-  
 რძანე (ვენბრძანე).

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის წინადადებით, მეოთხე ტაეში სისხლისა დენით  
 შეიცვალა წაკითხვით: სისხლთა დადენით.

სტრატის შინაარსი: ას მონას (მეომარს) ეუბრძანე: „საომრად მოემზადეთ!“ ავმხდრდიო,  
 გავიარეთ ქალაქი, არავის ვეჩვენეთ (ფართულად ვავედით). კარავში შევედი, ის მოყმე როგორ  
 იწვა, თქმაც მზარავს, უსიხლოდ მოვკალი ის, თემცა საპირო იყო სისხლის დაღვრა.

## ახალი წიგნები

Издательство «Наука», Москва, 1977

«История грузинской советской литературы».

АН СССР, Институт мировой литературы им. А. М. Горького; АН ГССР, Институт истории грузинской литературы им. Ш. Руставели.

Редакционная коллегия: Г. Г. Абашидзе, А. Г. Барамидзе, Н. И. Воробьева, Г. Е. Гвердцители, У. А. Гуральник, В. Д. Жгенти, Г. И. Ломидзе, Г. И. Мерквиладзе, Я. М. Строчков, Г. Ш. Цицшвили.

Ответственные редакторы: Г. И. Ломидзе, В. Д. Жгенти, Г. И. Мерквиладзе.

Книга состоит из больших разделов, посвященных основным этапам истории грузинской советской литературы. Обзоры историко-литературного развития сочетаются с монографическим рассмотрением творчества крупнейших писателей Советской Грузии — прозаиков, поэтов и драматургов — и проблемно-тематическим анализом наиболее значительных произведений, созданных в разных жанрах.

Авторы работы уделяют внимание вопросам теории социалистического реализма, взаимосвязям и взаимообогащению братских литератур.

416 стр., Цена 2 р. 81 коп.

ბამოცემლობა „მეცნიერება“

შალვა ნუცუბიძე, შრომები, ტ. VI, ბერძნული რომანის „ბარლამისა და იოხაფის“ წარმოშობისათვის.

რედაქტორი: ნ. ნათაძე.

ამ ტომში განხილულია რომანის „ბარლამისა და იოხაფის“ ქართული და ბერძნული ვერსიების ურთიერთმომართება. წამოყენებულია ჰიპოთეზა

უადრესი ქართული ვერსიის იოანე მოსხისათვის კუთვნილობის შესახებ. მოცემულია დამატებითი არგუმენტები ძირითადი ბერძნული ვერსიის ქართულიდან თარგმნილობის (ექვთიმე მთაწმინდელის მიერ) სასარგებლოდ.

270 გვ., ფასი 2 მან. 25 კაპ., ტირაჟი 1500.



ფასი 1 მან.

6 143/2 36  
12

76 198

